

გონიერობა



2

2018



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0134-3459

18002



9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 60-ე წელი

მარტი-აპრილი

№2

2018 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
სანდრო გერიძე

სარედაქციო კოლეგია
როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გუნა სამნიძე
რამაზ სურგანიძე
ჯემალ სურგანიძე
ბელა ქაბურია
ვასტანბ ლლონტი
თინა შიოშვილი

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მალხაზ ფაღვაძე

ოპერატორი
მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2018

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ხომლი ენ“-ის
სტამბაში. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33



9 1770134 345001

ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)); რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

ჯონი, ჯონა

თეიმურაზ ლანჩავა – ლექსები	3
ჯემალ ჯაყელი – მოთხრობები	15
ანა დუნდუა – გრძნობათა ქიდილი (ნოველა)	18
გიო ზედვაკელი – ლექსები	21
ჯემალ მახრიშვილი – ბანრის შალი (მოთხრობა)	28
რობერტ ნადირაძე – ლექსები	35

თარგმანი

ჰიუ ბრედინი – ხელოვნების შუა საუკუნეების თეორია (ინგლისურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო გიორგი ჭანსკიძე)	46
--	----

ჯიბი, ჯულიუსი

ზაალ გოტკოველი – ვარდისფერი სულის სინათლე	57
ქეთევან დავითაძე – „მოქცევაი ქართლისაის“ თავდაპირველი რედაქციის შექმნის სავარაუდო დრო	62

ისტორია


ტარიელ ფუტყარაძე – ტერმინოლოგიური შეცდომები და არსგაყალბებული სიმბოლური თარიღები	67
---	----

წერილი

მამია ფაღავა – ექსპედიციის დღიურები	88
მიხეილ მახარაძე – ფრაგმენტები ქართულ ფილოსოფიაზე და ქართველ ფილოსოფოსთა ცხოვრებიდან (დასასრული)	105
ნიაზ ზოსიძე – ქართული დასახლებები აფრიკაში?	113

ხსენება

ლუბა გიბილაიშვილი – მეცნიერი, მოღვაწე, აღმზრდელი (პროფესორ ნელი ღუბაძის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)	117
--	-----



თეიმურაზ ლანჩავა

ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ხელოვნების ქურუმს, ილია ჭავჭავაძის, მემედ აბაშიძის სახელობის პრემიების ლაურეატს, საქართველოს მწერალთა კავშირის ოქროს ორდენისა და რუსეთის მწერალთა კავშირის მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის ოქროს მედლის მფლობელს, საქართველოს სახალხო მწერალს, ბატონ **თეიმურაზ ლანჩავას** ვულოცავთ დაბადების 71 წელს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია
აჭარის მწერალთა სახლი
ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია

* * *

მივტირი წარსულს, სურვილს ვავებებ,
ვმწუხარობ მტრობით, ქვეყნის ღალატით,
და რომ მეცხოვრა შურის გარეშე,
გაქცევა ვცადე, დროს ვიპარავდი.

დროს ვინ გაექცა, შემომეხარჯა,
საათი, წუთი, თვალში – ნათელი,
არ ვასხვავებდი, ვუყვარდი, ვძულდი,
ჩემთვის მთავარი იყო ქართველი.

ჩემთვის მთავარი იყო ქართული,
შევრჩი ერთგული ფიცსა და რწმენას,
გაუსაძლისი, ენით არ თქმული
ძალა მართავდა ჩემს ბედისწერას.

არის სამშობლო ყველაზე დიდი,
სამშობლოს იქით ცა და ღმერთია,

და რასაც გულით და რწმენით ვქმნიდი,
ვცდილობდი, დროს რომ არ წაერთმია.

დრო ჩამოიხრჩობს თავს უდროობით,
არ მინდა, ფიქრი დროში ჩავტეო,
ვარ მონყენილი ამ მყუდროობით,
გთხოვთ, მითანაგრძნოთ და მაპატიოთ.

გთხოვთ, შემიყვაროთ, როგორიცა ვარ,
ჯაჭვის პერანგით, ზოგჯერ, შიშველი,
უსპეტაკესი, როგორი ცა ვარ,
მოვიღრუბლები და ვერ მიშველით.

არეულ დროში დავეძებ ჩემს თავს,
ხალხში დავეძებ და ვერ ვნახულობ,
ახლა ძნელია, პოეტი გერქვას,
პატივისცემა დაიმსახურო.

ახლა ძნელია, დროის ნარცისებს,
რომ მოაწონო თავი, გასწირო.
ძნელია, მაგრამ, ძნელი არც ისე,
სიყვარული ვერ გაანანილო.

უუშორესი მიზიდავს სივრცე,
სად სული ჩემი ქრის და ფარფატებს,
ვიხდი სამოსელს, და ჰაერს ვიცმევ,
ვპატიობ, რაც ვარ თუ ვერ დამხატეს.

ბედისწერაში ჩავდე სურვილი,
რითი ვარსებობ, რომ დაგანახოთ,
რომ გაგრძნობინოთ ჩემი სურნელი,
და ჩემი ლანდი რომ დაგამარხოთ.

– მიყვარხართ! – ვყვირი, არავინ მისმენს,
გაოცებული მაჩერდებიან,
მაჩერდებიან, მაგრამ, რატომღაც,
ცარიელ სიტყვას არ მჯერდებიან.

– გული მიირთვით, ინებეთ გული, –
ხელებგანვდილი ზეცას შევყვირი,
ცხოვრება არის ძნელი და რთული,
ტივილის მსგავსი, სახად შეყრილი

* * *

ჭორი გავრცელდა, ბათუმში
გემებს ჩუქნიან პოეტებს,
სტრიქონებს ახურდავენ,
ცვლიან ბრინჯაოს მონეტებს.

გაოცებული ავყვირდი: –
შეხედეთ, ლექსი რას შერება,
თუ გამდიდრება სწყურიათ,
ლექსები ნერონ ბავშვებმა.

მპასუხობს ჩემი კოლეგა,
გველისო, ალბათ, დამშევა,
ჩვენ რომ გემები გვაჩუქონ,
ზღვა მიგვატოვებს, დაშრება.

მერე ორივე ვიციინით,
პოეტებს სადღა წყალობენ.
სიტყვა რომ ლექსად აქციონ.
ლუკმა პურისთვის წვალობენ.

ლიფსიტებს ზღვაში ვინ დათვლის,
ანდა ბათუმში – პოეტებს,
კარგია, ყველა თავის გზას
და თავის ადგილს ჰპოვებდეს.

* * *

ჩემთვის დათო თედორაძე.
წვიმიანი ბათუმია,
სიყვარულში პირველკაცობს,
ქართველია, ქართულია.

მისი პოეზია მიყვარს,
სადიდკაცო ლექსები აქვს,
გვერდით არ დაისვამს ჭილყვავს,
იმერული ფესვები აქვს.

გიჭირს!? თავსაც განაცვალე,
სიტყვას გეტყვის ხალისიანს,

თუ ისურვებ, ზღვას გაჩუქებს,
იანვარშიც მაისი აქვს.

თუმცა ბევრჯერ გაგვიწვიმდა,
ერთმანეთს არ შევლევით,
ლომებს ვედიდკაცებოდით,
ჯიხვების ჯოგს შევრევივართ.

ახლა, როცა შემოდგომა,
ჩემს კარებზე აკაკუნებს,
ძმებს დავეძებ უდროობით,
დროის გამო დაკარგულებს,

დათო აქაც პირველია,
ხვაშიადის გამხელაა,
იგრძნობ, რასაკვირველია,
სიყვარული რამხელაა.

დათო თედორაძე მიყვარს,
სიტყვას გეტყვის ხალისიანს,
თუ ისურვებ? ზღვას გაჩუქებს,
ზღვაც და გულიც თავისი აქვს.

* * *

ვერ დანახვიდან არ დანახვამდე,
გაუსაძლისი გრძელი წამია,
სანთელს მინთებდი ჩემს დამარხვამდე
გრძნობდი, ცხოვრება რა ძირ მწარეა.

სხვა მოლოდინებს დაეპატრონე,
არ გიფიქრია, თუ რა მიყავი,
არ გიფიქრია ჩემზე, დამტოვე,
არ მაპატიე, რომ ბრმა ვიყავი.

* * *

ავფრენილვარ სიხარულით ბევრჯერ ცამდე,
როცა გულმა ცაში ფრენა ინება,
ვერაფრით ვერ მოვახერხე, ბევრჯერ ვცადე,
ერთი გულის ორად განაწილება.

გამუდმებით ზეცისაკენ მექაჩება,
გამუდმებით აქეთ-იქეთ დამათრევს,
მინა ფიქრობს, რომ მოკვდება, მე დამრჩება,
ზეცა ფიქრობს, ველარავინ წამართმევს.

ვინც წაიღო, უკან აღარ დააბრუნა,
ოცნებების სიხარულით შემძვრელი,
სიყვარულის დაბრუნება ბევრჯერ ვცაადე,
არ მოხერხდა, ველარაფრით შევძელი.

გული კვდება, როცა ყველას ავინწყდება
და სურვილებს ველარაფრით შველიან,
ჩემი გული ისევ ცოცხლობს, არ მიწდება,
ჩემი გული ჩემია და შენია.

* * *

გათავდა, აღარ მოგიძღვნი ლექსებს
გულს დაგიმაღავ, რომ აღარ გენდოს
ვეჩვევი ახალ თამაშის წესებს,
უფარყოფ წარსულს, მხიბლავდი ერთ დროს.

გათავდა, ველარ შეიტყო, რა მსურს,
რა მიხარია, ვცხოვრობ, რა ნირით,
გადავაფარებ სიბნელეს წარსულს,
გზასაცდენილი ხულიგანივით.

ვწუხვარ, ხვალიდან ველარ შევხვდებით,
მსურს კარზე მომდგარ სიკვდილს მივხედო,
და როცა გაზეთს გაშლი შემთხვევით
ნეკროლოგიდან გადმოვიხედო.

* * *

დავხატე ერთხელ ჩემი თავი, მაიმუნს ვგავდი,
მოვიდა ვიღაც უსახური, ნაღდი ურია,
თქვა ეს ყმაწვილი ნიჭიერი, თავისთავადი,
ერთი შეხედვით მშვენიერი მაიმუნია.

ლომი დავხატე და დავარქვი ავტობორტრეტი,
მოვიდა ისევ, თქვა მხატვარი მართლა ლომია,

იგრძნობა მასში გარდატეხვის მძლავრი მომენტი,
ჩანდა ნათქვამში იუმორი და ირონია.

გაძნელდა ყოფნა, შელევინხარ კაცის ღირსებებს,
გადასხვაფერდი, ეგუები თითქოს ახალ დროს,
როდესაც შენში გადაღლილი ლომი ისვენებს
დროს შუძლია, მაიმუნი მართლა გაგხადოს.

* * *

რა მკვდარი დღეა, მკვდარსაც არსად მიასვენებენ,
არავინ ტირის, ზედმეტია სიცილზე ითქვას,
ძაღვები ხეებს ფეხანევით მიასვენებენ,
მერე ლუკმა პურს მითვლემილი ელიან დიდხანს.

ღრუბელი, როგორც სიკვდილეთის შავი სუდარა,
შემოჰხვევია ქალაქის ცას, როგორც არშია,
ამ წუთისოფელს სევდით დაღლილს არა უნდა რა,
სიკვდილ-სიცოცხლე ერთმანეთთან ბარიბარშია.

ამოგრიალდი, ქარო, იქნებ, ეს დღე ნაშალო,
ან სევდა ჩემი წაიყოლო, ფიქრში დამარხო,
მომეც უფლება, სიკვდილის წინ ფრთები გავშალო
და როგორ ვკვდები, დაგიმალო, არ დაგანახო.

* * *

მოვკვდები, როგორც ფიროსმანი სულით ამაყი,
მაგრამ ჯერ ჩემი მარგარიტა უნდა დავხატო,
ვიცი, დრო მოვა, იაიებს გულზე დამაყრი,
მაგრამ საფლავი საძებარი უნდა გავხადო.

მოვა, დრო მოვა, ჩემს უფერულ, უდღეურ ლექსებს
ნაიკითხავენ სევდიანი ვიშით, გოდებით,
მოვა, დრო მოვა, მოიძებნით წარსულის ფესვებს
გამოფხიზლდებით, უსათუოდ მოგაგონდებით.

მოვკვდები, როგორც ფიროსმანი, როგორც ნიკალა,
მაგრამ ჯერ ჩემი მარგარიტა უნდა დავხატო,
მე დღეებს ვამღვრევ, სიცოცხლისგან სიკვდილს ვიპარავ,
ჩემი საფლავი საძებარი უნდა გავხადო.

* * *

მიასვენებდნენ, არ ჩანდა გლოვა,
სევდა-ნალველი არ აჩნდა სახეს,
იყო, უბრალოდ, ყვავილთა გროვა,
რომელიც ყოფით დეტალებს ამხელს.

მკრთალი ღიმილით გასდევდა ამბავს,
სიკვდილის ამბავს, როგორც რეფრენი
და მე ვთქვი მაშინ, ეს გლოვას არ ჰგავს,
მოჩვენებაა ეს ყველაფერი.

* * *

მიშვებულია სინდისი,
სხვის სარეცელში ბალახობს,
ჩურჩულში კვდება ტკივილი,
რომ თავი არ დაგანახოს.
დროს თავის სიტყვა-პასუხით,
ვერ უსაშველეს მგოსნებმა,
და იმალება კარს უკან,
სანყალი პატიოსნება.
დამდგარა ჟამი ბოდვების,
გრძნობ, აღარავინ დაგვინდობს,
დაფასებულა ბორდელი,
და დროც ბორდელში კაიფობს.

* * *

თქვენ შეგიძლიათ, დაუკრათ ბრამსი,
იყოთ, ვიდრე ხართ, უფრო ლამაზი,
ქალწულებრივი, მადონას მსგავსი
და ტაშს გიკრავდეთ მთელი დარბაზი.

თქვენ შეგიძლიათ სიშმაგე სულის
გადასდოთ ნისლით გაჟღენთილ სივრცეს,
ფრთები შეასხათ ყოველგვარ სურვილს,
ცაში საფრენად ოცნება მისცეთ.

სული ამაყი თქვენ შეგიძვრიათ,
მრავალჯერ, მრავალთ ჩუქნიდით განძად,

გეხელნიფებათ, თქვენ შეგიძლიათ,
სხვებს დაანახოთ, ღმერთს როგორ ბაძავთ.

თქვენ შეგიძლიათ, პატარა ბავშვი
ნეტარებისგან აქციოთ კაცად,
რომ ამოუშროთ ცრემლები თვალში,
თქვენი ამბორით დასაჯოთ მკაცრად.

თქვენ შეგიძლიათ...
თქვენ ბევრჯერ მიხვდით,
რომ შეგიძლიათ და მაინც მწაროთ,
თქვენ შეგიძლიათ... მე ბოდიშს გიხდით,
მაგრამ რატომღაც მე აღარ მწყალობთ.

* * *

მზე შემოდგომის ხსოვნაში ჩადნა,
გაიყოლია თითქოს რიჟრაჟი,
ეს ყველაფერი შორიდან ჩანდა,
ეს ყველაფერი იყო მირაჟი.

ეს ყველაფერი წინადღეს ჰგავდა,
თავმომწონედ რომ უნდა გასვენდე,
ეს ყველაფერი სამზადისს ჰგავდა,
სიკვდილის წინ რომ ხალხს გაახსენდე.

დრო მოთმინების დასარწყულებლად
შესაძლებლობის ნულის ტოლია,
საკუთარ თავის დასარწმუნებლად
ხვდები, რამდენი მტერი გყოლია,

მიაყურადე, ტაშს ვინ გიკრავდა,
ვისგან და რისთვის გერგო პატივი
და დაინახე დიდ სირთულიდან
ყველაზე მეტად, რაა მარტივი.

მზე შემოდგომის ხსოვნაში ჩადნა,
გაიყოლია დილის რიჟრაჟი,
ეს ყველაფერი შორიდან ჩანდა
და ყველაფერი იყო მირაჟი.

* * *

გაჩენის დღიდან ტახტზე დავისვი
და პოეზიის მაღლი მფარავდა,
იყო ლექსები ჩემი კრწანისი
და პოეზია იყო მარაბდა.

ბევრჯერ ჩამაქრეს, ბევრჯერ ავენთე,
ხშირად სიავის მჩხვლეტდა ეკალი,
ბევრი ვიომე, რომ არ დამეთმე,
და უშენობას არ მოვეკალი.

დაეძებს თვალი ზეცაში ღრუბლის
გამწვინებელს და მაღლის დამნახავს,
ჩემი სიცოცხლე, სიცოცხლედ თუ ღირს,
მიუწვდომლობას თუ გადალახავს.

ახლაც სისხლიან ტორებს ილოკავს
ჩემი წარსული, მზისგან ნაფერი,
აინტერესებს, ჩემგან რა რჩება,
მიუწვდომლობა თუ – არაფერი.

* * *

მე დავიკარგე ჩემს თავში, ვეძებ
გულს სხეულს გარეთ დარჩენილს შენში,
არავინ ფიქრობს პოეტის ბედზე,
არც სისხლზე, დროით ამღვრეულ ფერში
როგორ სჭარბობენ ცისარტყელები
და ტანჯავს სურვილს განცდათა წყება.
მე დავიკარგე საკუთარ თავში,
რომელიც ხშირად კუბოში წვება.
იქიდან ხედავს, რა არის წრფელი,
მოჩვენებითი, ყალბი თუ ფლიდი,
ასე ვარსებობ რამდენი წელი,
შენ რომ შენ გვერდით და ცოცხლად მთვლიდი.
ავსებუღია სამყარო ბოლმით
და ჯოჯოხეთი ზეიმობს ცოდვით,
ვერ მნახულობდი, თუმცა მეძებდი,
ვერ მნახულობდი და მაინც მგრძნობდი.
შეუცნობელი რჩება ბოლომდე

ვნებები კაცის და ფიქრი ღმერთის,
 ან ცაში რად გსურს, იყო, ცხოვრობდე,
 თუ მიწა ზრუნავს ყოველთვის შენთვის,
 ვარ დარჩენილი ცხოვრების მიღმა,
 ყოფიერების გარეშე, ვალში
 წუთისოფელის, რომელმაც მღირღნა,
 გაუცხოებად მაქცია ბავშვი.
 მე დავიკარგე ჩემს თავში, ვისმენ
 შენს გულისძგერას დარჩენილს ჩემში,
 განვდენილი მაქვს ხელები ცისკენ
 და ვიგლაგნები კოსმიურ მტვერში.

* * *

დამემგზავრა გზაში ფიქრი.
 ავტობუსში დამემგზავრა,
 ფიქრი მიმაქვს ავტობუსით,
 ფოსტით უნდა გამემგზავნა.

სიყვარული აღარ უნდათ,
 თავი ჩემი, დამეზარა,
 დამრჩა მოგონება ხურდათ,
 სევდით გული გამეზარა.

მძიმე არი ფიქრი მაშინ,
 თუ სიყვარულს ღამეს უთევს,
 ფიქრმა დამამძიმა გზაში,
 ავტობუსი მითუხთუხებს.

* * *

ჩემს მტრებს, რომელთაც ძალიან ვგავარ,
 გავუფერმკრთაღე სახის ელფერი,
 გავაგებინე, ვინ ვარ და რა ვარ
 და საკუთარი ხატი შევექმენი.

შემომცქერიან შურით და იჭვით,
 მემუქრებიან ეკლიან ჭინჭრით,
 მტრებთან, რომელთაც ძალიან ვგავარ,
 ვარ დამნაშავე ჭკუით და ნიჭით.

ბიჭებო, გიჭირთ? – მივეხალისე,
ბევრჯერ სიკეთის გაცემა ვცადე,
სხვისი სიკეთის აყვავილებით
არწივის ფრთები მიმაფრენს ცამდე.

* * *

ვნახე დედალვთისმშობელი
ჩემს საფლავზე ყვავილს რგავდა,
დედაჩემის კაბა ეცვა,
დედის მონატრებას ჰგავდა.

შეკრთა, თვალი ამარიდა,
დამინახა, გამეცალა,
თქვა, ტირილი აღარ გინდა,
დედა არ გარდაგეცვალა.

წუხილს ძლივს წავართვი თავი.
მსურს, სიზმარი მართალს ჰგავდეს,
ვიყო სიყვარულით მკვდარი,
ღვთისმშობელი დედად მყავდეს.

* * *

ათასი თვალი უმზერდა პოეტს,
ათასი ყური უსმენდა, სჯიდა,
როგორ შეებნე თითები სონეტს,
როგორ გარდმოხსნეს იესო ჯვრიდან.

შორეულ ჰანგებს ჩუქნიდა დარბაზს,
არწყულებდა და ათრობდა ბანგით,
ათი ათას ქალს, მთვარეზე ლამაზს,
ცისკენ სამგზავროდ შეეკრა ბარგი.

ისხდნენ კაცები, ნერვებზე შლიდათ,
რომ ვილაც სიტყვით, ლამაზ რითმებით,
ეფერებოდა მათ ცოლებს მშვიდად,
ჰაეროვანი სიტყვის თითებით.

ცა ივსებოდა, ცარიელ სივრცეს,
მოულოდნელად იბყრობდნენ ფრთები,
ეს ის დრო იყო, როცა არა სვამ,
როცა არა სვამ და მაინც თვრები.

* * *

თუ სიყვარული არაფერს ნიშნავს,
ზღვა რისთვის ღელავს. როცა ზღვასთან ხარ,
თუ სიხარული არაფერს ნიშნავს,
რატომ ბობოქრობს, როცა სხვასთან ხარ.

ზღვა რისთვის ხდება წყნარი, მორჩილი,
როცა მის ტალღებს მკერდით ეხები,
მეფერებაო, რისთვის მომჩივი,
როცა მკლავებით ტალღებს ეხვევი.

სანაპიროზე ვაგროვებთ კენჭებს,
და თოლიების ცქერით ვერთობით,
შენ ჩემი ზღვა ხარ, და ფიქრის ტალღებს
ვამსხვრევთ ოცნების ერთადერთობით.



ტაბუდ ტაყიდი

იყიდება სახრჩობელა

„ცხვირი არ უნდა ჩაყო იმ საქმეში, რაც შენ არ გეხება, სხვისი საქმისა სხვამ იცის. რაც არ უნდა გასაკვირი რამ გაიგონო, ან ნახო, არ გაიკვირვო“. – ადრე გაგონილი ეს სიტყვები გამახსენდა, როცა ქუჩაში სატელეფონო ბოძზე გაკრული განცხადება წავიკითხე. იგი იუნწყებოდა: „იყიდება სახრჩობელა“.

არავისთვის მიკითხავს, თუ რატომ იყიდება სახრჩობელა, ან ვის რაში სჭირდება იგი. რა ჩემი საქმეა. კაცი აკეთებს ასანყოფილს და წასაღებ-წამოსაღებ სახრჩობელას და ყიდის. ყიდოს! ამ ქვეყანაზე არაფერი გასაკვირი არ არის. მე რატომ უნდა გამიკვირდეს?! იყიდება. რა არის ამაში უცნაური და გასაკვირი, როცა ხედავ, რომ ყველაფერი იყიდება. ეს თავადაც იცით! – იყიდება სიცოცხლე, იძარცვება სასაფლაო. სახრჩობელა კი არა, აუქციონზე გასაყიდად ცხედარი გამოიტანეს. ეს რომ დაინახეს, ძალიან გაუკვირდათ, შიშით და უკმაყოფილების სიტყვებით გასცილდნენ იქაურობას. ერთმა ლამაზმა ქალმა ის ცხედარი იყიდა და ეტლით წაიღო. იგი თურმე მისი ძალიან ძვირფასი ადამიანის ყოფილა. მისთვის ესოდენ უსაყვარლესი ადამიანის საფლავი მაინც რომ დაეგულვა, დაასაფლავა თავის ეზოში და იქაურობას ყოველდღე ყვავილებით ამკობდა. აი, თურმე ცხედრის გაყიდვაც შესაძლებელი ყოფილა და სახრჩობელას გაყიდვა რა ბედენაა?!

უკეთესის უკეთესი და უარესის უარესიც არსებობს! კაცმა ბაზარში გამოიტანა ფულის საჭრელი დაზგა და ზედ დაანერა: „იყიდება!“

ერთმა ლაზღანდარა გამვლელმა ლიმილით ჰკითხა:

– შე კაი კაცო, მაგის გაყიდვაში რომ ფულს მიიღებ, ის ფული აიღე და შენ თვითონ მოჭერ მაგ შენი ფულის საჭრელი დაზგით. რამდენიც გინდა, იმდენი მოჭერი, რატომ ყიდი?!

– რა ვქნა, ძმაო, მაგ თუ ფულის საჭრელი დაზგით ხეირი ვერ ვნახე, ოჯახი წინ არ წამოვიდა.

ამის შემდეგ კიდევ იკითხავთ, რატომ იყიდება სახრჩობელა? ვისი რა საქმეა, ყიდის კაცი, თუ გინდა იყიდე, თუ არა, ჩაიარე.

მეც მავანივით ჩავიარე. აბა, რა თავში უნდა მესალა სახრჩობელა. ჩავიარე, ვიფიქრე, იქნებ გულზე მომეშვას-მეთქი, მაგრამ ამაოდ. მეორე ბოძზეც იგივე განცხადება გაეკრათ: „იყიდება სახრჩობელა“. აქვე იყო მითითებული ტელეფონები მყიდველთა და მსურველთათვის... არ გამკვირვებია. გაკვირვება ან პირადი სურვილების გამოხატვა ამა თუ იმ ქმედების, საგნის, მოვლენის გამო სულმოკლეობად მიმაჩნია. არავინ არ უნდა გაიგოს, რა გიხარია, რა გწყინს, რა გინდა ან რა გაინტერესებს.

იყიდება სახრჩობელა. მერე რა?!

მივდივარ. კიდევ ერთ შემხვედრ ბოძთან ხალხი შექუჩულიყო. ზოგი ორაზროვნად იღიმე-

ბოდა. ზოგი, მეტადრე ქალები, იცრემლებოდნენ, ბერიკაცები თუთუნს ნერვულად აბოლებდნენ.

იმ ბოძზეც შემონეპებული იყო განცხადება, – იყიდება სახრჩობელა, დამატებითი ცნობებისთვის ტელეფონები ესაა და ეს.

ერთმა ცნობისმოყვარე კაცმა ბოდიშის მოხდით შემაჩერა და მკითხა:

– უკაცრავად, ეს ბიზნესია თუ ხუმრობა?

– ვინ, როგორ მიიღებს...

– რალამც იყიდება, ეტყობა, ბიზნესია. – თქვა მან.

– ალბათ! ახლა ყველაფერი იყიდება, – კაცი, ქალი, დედ-მამა, ცოლი. ყველაზე უკეთესი ბიზნესია ბავშვების გაყიდვა, მეტადრე ახალშობილების... ეგ კი არა, ქვეყანა იყიდება. თუკი ჯერ მთლიანად არ გაყიდულა.

– შევიშლები, ალბათ, და ეს არის, – გულისტკივილით თქვა კაცმა.

– რატომ, ბატონო, ცხედარი თუ იყიდება, ყველაფერი თუ იყიდება, სახრჩობელამ რა დააშავა?! ამას წინათ კაცმა თავზე ბენზინი გადაისხა და დაიწვა. გაგიგონია?! არავის გაკვირვებია, ოღონდ შეეცოდათ. თვითმკვლელობა ხომ არაქრისტიანულია?! ის კაცი დაიფერფლა. მისი საფლავი არ არსებობს. მაგას არ ჯობია, სახრჩობელათი ისარგებლოს? საფლავი მაინც დარჩება, მივაჭირისუფალი და დაიტირებს, შთამომავლებს ეცოდინებათ ვინ არის იქ დამარხული!

– ხეზე ჩამოეკიდოს, ბატონო, განა უკეთესი

არ არის? კაპიკიც არ დაუჯდება.

– სახრჩობელა ტრადიციულია, ხეზე ჩამოკიდება ღიმილს იწვევს, სახრჩობელაზე ჩამოკიდება კი – თანაგრძნობას. ის ნამდვილ, ტრადიციულ საქმედ ითვლება.

– თქვენი ვერაფერი გავიგე, ბატონო, – თქვა გულისტკივილით.

– არცაა საჭირო ყველაფრის ცოდნა, მე ისედაც ბევრი გითხარით. ამას რად უნდა ლაპარაკი. კაცმა გამოიტანა სახრჩობელა და ყიდის. თუ გინდა, იყიდე, თუ არა, ჩაიარე.

გაკვირვებულმა და დარცხვენილმა საკმაოდ უფერული, უღიმღამო ბოდიში მომიხადა და წავიდა.

წავიდეს!

მანაც გაყიდოს, რისი გაყიდვაც სურს.

მივდივარ და გუნებაში მეცინება. ცოტა ხნის შემდეგ სერსემივით ხმამაღლა გამეცინა. ცოტაც და... ავხარხარდი. თავი ველარ შევიკავე და არ წავიქცე-მეთქი, კედელს მივეყრდენი. ხალხი მოგროვდა ამ ჩემს ხარხარზე. სული რომ მოვიბრუნე, ხალხის გასაგონად ვთქვი: – ტირილ-სიცილის ეპოქაში ვცხოვრობთ. მალე, ალბათ, ყველას ტირილი მოგვეძალება, რადგან თბილ „ქვეყნებში“ გადაფრინდნენ ქართველები.

ჩემი ნათქვამი ვინ როგორ გაიგო, არ ვიცი, მაგრამ... გაოგნებული ხალხი მალე შემომეცალა. მე კი დამამშვიდებელი აბი დავლიე და ჩემი გზით წავედი.

ლომტურა

შეშინებული და დაფეთებული კურდღელი გარბოდა.

– ასე მაგრად რამ შეგაშინაო – ჰკითხა ტურამ.

– ლომებს ჭედავენ თანმიყოლებით. დაგჭედვენ და მერე ამტკიცე, რომ ლომი არა ხარ...

„ლომებს ჭედავენო?“ – ცბიერად გაიფიქრა ჯაგნარის ჩხავანა ტურამ, – მივიდე, იქნებ, მეც დამჭედონო, ძალიან გამომადგება ლომის ტიტული. მივიდა.

ტურა დაჭედეს ლომივით და უწოდეს ლომტურა.

რისი გაკეთება შეგიძლიაო, რითი გამოადგები ჩვენს საბრძანებელსო.

– დროს შეგრძნება მაქვს ძალიან ზუსტი. ვიცი, როდის, როგორი ფერის მამალი ყივის; დედალი სად ჯდება; ჩემი ლამაზი ხმით როგორ გავამხიარულო გარემო; კარგად ვიცი, როგორ უნდა მივუახლოვდე ზეცას კიბით, თუ გინდა –

ღჯით, და იქ ვარსკვლავების მოძრაობას დავაკვირდე, გარდა ამისა ვიცი ნაფიქრალი როგორ დავწერო წიგნად.

– დღეიდან შენა ხარ ლომი, ნალით დაჭედული. გქვია ლომტურა, სარგებლობ ლომის ყველა უფლებითა და ავტორიტეტით.

ლომტურა შეუდგა იმაზე ფიქრს, თუ როგორ წარმატებით გამოიყენოს ლომობა. მისი ტიტულები და ავტორიტეტი.

შესასვლელში გამოაკრეს ლომტურას წარმატების ჩამონათვალი. მასში ეწერა: ლომტურა არის დიდი მწერალი და მოაზროვნე, დიდი

მეცნიერი, ვარსკვლავთმრიცხველი, ღრმად მოაზროვნე. მთავარია, რომ არის დიდი მწერალი და მეცნიერი... ზედმინევენით ესმის დროის ფაქტორი; როგორი ფერის მამალი ყივის ყველაზე ადრე... იცის, როგორ გაახალისოს გარემო თავისი განუმეორებელი ხმით.

P.S. ლომტურამ კარგად იცოდა, რომ მას ლომივით არაფერი მონაცემი არა აქვს. ყველაფერში ბაძავს ძალიან უნიჭოდ, მაგრამ ბედნიერია იმით, რომ ლომის უფლებათა და ავტორიტეტით სარგებლობს. მერე რაა, რომ ეს ყველაფერი ყალბია. რაც არ ეკუთვნის, იმით მოაქვს თავი...



ანა დუნდუა

ბრძნობათა ზიდილი (ნოველა)

„როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია!“

გიორგი ლეონიძე

ქალების ნებიერს არ გამოჰპარვია რაღაც აღტაცების მსგავსი შეძახილი საქორწინო დარბაზში შესვლისას რომ იგრძნო. ალბათ, აუცილებლობა იყო მის გვერდით რომ მომინა დაჯდომა. მთავარი მაინც ჩემი მეგობარი ოთარ ზამთარაძეა. მან სკამი გამომიწია და მანიშნა – ლევან ხიდაშელო, აქ დაბრძანდიო. ჩემ გვერდით ლამაზი ქალი უხმოდ დაჯდა. თითქოს ჩანყობილი საქმე იყო. არადა, მართლა ყოფილა ჩანყობილი. ქალს თვალებში ჩავხედე და მშვენიერება ვიხილე. მწვანე, შავი ნა-მწამებით მოცარული თვალები. გულმა რეჩხი მიყო. ადვილად დასაპყრობ ქალს არ ჰგავდა. მერე მითხრა ნანამ... სანამ საზღვარგარეთ წავიდოდი, მანამ თქვენი ლექცია მოვისმინე უნივერსიტეტში „სიყვარულის გამძლეობაზე“, მის შემდეგ ძილი და მოსვენება დაკარგული მაქვს. შეიძლება, ასე მართლ ლექციის მოსმენით შეიყვარო ადამიანი?! არც კი მგონია ქმარშვილიანი რომ ვარ. ზოგჯერ მავინყდება კიდეც. როცა ოთარმა მომიწვია, ვიცოდი იგი თქვენი მეგობარი იყო და ვუთხარი, ისე მოახერხე, რომ მის გვერდით მომინოს დაჯდომა-მეთქი. რადგან ეს მოხდა, მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ თქვენ გვერდით. ყველაფერთან ერთად მე თქვენი ნაწარმოებებიც მომწონს. მასში ეროვნული სუნთქვა ისმის. თქვენი იდუმალი განცდის იმპულსები, პოეტური ხილვები მკითხველს აოცებს.

ამის შემდეგ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მე მოჯადოებული ვიყავი. როგორ ვანვდიდი კერძებს, ან რას ვჩურჩულებდი, აღარ მახსოვს. ალბათ, ათას სისულელეს. ისე კი ვგრძნობდი, რომ ძალიან კარგ გუნებაზე ვიყავი. წვეთი ღვინო არ დამიღვია, ღვინისათვის რომ მიმეწერა ჩემი განწყობილება, ასე არ იყო. წარსულის მოგონებები ნისლით დაიბურა. ცოლ-შვილი სადღაც მიინავლა. წინ ოქროსფერი რეალობა იდგა. გული გამიხალისდა. ბედნიერების ჰორმონები, ენდორფინები, მომეძალა. სიყვარული ზეციური ოცნების დედამიწაზე ჩამოტანა თუ არის ნეტავი. თურმე, ყოვლისწამლევანი გრძნობა თუ იფეთქებს, მას ვერაფერი ჩააქრობს.

ქალის მშვენიერება ხომ სრულყოფაშია. ამ სრულყოფილების მთავარი ატრიბუტი მაინც სახე იყო. მშვენიერი, როგორც ბადრი მთვარე, მომნუსხველი. რატომღაც ნოე ჩხიკვაძის ლექსი მომაგონდა.

„ვინ მკითხულობს? ვინ დამეძებს? ვის ვუყვარვარ მე?
 აცრემლებულ თვალთ ვაცეცებ, მოდი, ხმა გამე!
 ირგვლივ ცივა... სუსხიანი ღამეა, ღამე,
 გული მტკივა, სანუგეშო მითხარი რამე!
 მე მარტო ვარ, მარტო ვმდერი... ყრუა სოფელი,
 ვის ვუთხრა, ვის განვუმარტო სევდა-ნალველი.
 არვინ მყავდა, არავინ მყავს, არავის ველი, –
 საიდუმლო მეგობარო, მომეცი ხელი!“

* * *

ცის უსაზღვრო სივრცეში ნამგალა მთვარე ეკიდა და ვარსკვლავები ციალებდა. თავს ბედნიერად ვგრძნობდი. მშვენიერება ჩემ წინ იდგა. ჩემი დარდის საწყისი. არავითარი თვალ-მარგალიტი, საკუთარი სილამაზით გამოირჩეოდა მხოლოდ. მე, ცოლშვილიანმა კაცმა, თავდავინწყებით შევიყვარე იგი. მერე ვინ? ქმარშვილიანი ქალი. ანა კარენინას რომ შეუყვარდა ვრონსკი, რუსული პროზის გიგანტმა, ლევ ტოლსტოიმ, ისე დახატა ეს სიყვარული, რომ ანა კარენინას მიმართ სიმპათიასაც კი ვგრძნობ. ისე კი, ოჯახი პიროვნების თავისუფლებას ნამდვილად აბრკოლებს.

– ლევან, ყოველდღიურად გვესმის ზნეობრივი დაცემის მაგალითები. რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს? არაფერს. ეს იმიტომ, რომ ვიცით ვერაფერს გავხდებით. გაურკვეველი გრძნობა მტანჯავს. ვერა და ვერ მოვიხსენი ეს შინაგანი დაძაბულობა. აფორიაქება თანდათან ძლიერდება და არცაა იმედი იმისა, რომ ოდესმე ნულს გაუტოლდება. დუმილი ძნელია, როცა გულს ამოძახება სურს. ვნერვულობ. გონებაგაფანტული ვარ. ვგრძნობ, რომ ეს ნორმალური მდგომარეობა არაა. ბაბუაჩემმა სულ გამაგიჟა. სიმღერა მენატრებაო. სიმღერების მეტი რაა ტელევიზორში-მეთქი. მაგიკი არა, სიმღერა – „დენ პაბედი“ – მენატრებაო. კიდეც სოფლის სამზარეულო მენატრებაო. მახსოვს, სოფელში დიდი სამზარეულო გვექონდა. ცხრა ძმა ცხოვრობდა და ცხრა აკვანი ირწეოდა თურმე. იმ დროს ყოფილა აშენებული, როცა ლურსმანი საერთოდ არ არსებობდა. ურდულებით იკეტებოდა. მერე კოლმეურნეობას მივყიდეთ. იმან კიდეც ფერმად გადააკეთა. ცხოვრების დაუსრულებელ მდინარებაში ის სამზარეულო დღესაც მახსოვს. სოფელში ჩაიარა ჩემმა მხიარულმა ბავშვობამ.

– ძალიან კარგი. დღევანდლობაზე რას მეტყვი? იცი, ნანა, შენი სიყვარული ძალიან მალე მოვიდა. მანამდე იყო აღტაცება, მოწონება, გაცნობიერება იმისა, რაც მოხდა. მერე ნატვრა დაუსრულებელი, ეგებ ნანამაც შემეყვაროს-მეთქი.

– არა, ლევან, მე შენი შეყვარება უფრო ადრე მოვასწარი, ვიდრე შენ. წინ მრავალი დაბრკოლება იყო. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ბნელ ჯურღმულში ვხობავ. იცი, ლევან, წუხელ ჩემი ბიჭი რას მეუბნება? – დედა, აკალასი და მაკალასი არ მინდა. ის ზღაპარი მომიყვები, დედინაცვალმა რომ მოიძულა და მერე უფლისწულს გაყვა ცოლადო. როგორ გინდა გულიდან მოიგლიჯო ასეთი ბავშვი. ან შენ, ლევან, როგორ უნდა დატოვო შენი შვილები, შენი ყოველდღიური სიხარული? არა, ეს არ უნდა მოხდეს. ოჯახი უნდა შევინარჩუნოთ, თორემ ყველაფერი ცუდი სპექტაკლივით გამოვა. ჩვენ, ქართველები, უნიჭიერესი ხალხი ვართ. ასე რომ არ იყოს, ვერც სვეტიცხოველს ავაშენებდით და ვერც „ვეფხისტყაოსანს“ დავწერდით. სიყვარული სუნამოსავითაა, დროთა განმავლობაში აორთქლდება.

– ასე გგონია?

– ასეა ეს. აქსიომაა. დამტკიცება არ უნდა. ახლა თამარ ჯიშკარიანის ერთკუბლეტიან ლექსს გეტყვი. მოგეწონება. „ახლა მე შენს მონატრებას ვეფერები, გაზაფხულდა. ის წარსული ქრელაჭრულა მოგონება, განადგურდა“. ხომ კარგია?

– რა არის კარგი? განადგურებული სიყვარული? ნუ იტყვი მაინც.

– ასეა ეს. ეს რეალობაა. შენ არ მიატოვებ შენს ცოლ-შვილს და მე არ მივატოვებ ჩემს ქმარ-შვილს. იყოს ჩვენი ცხოვრების საგზლად ეს ლამაზი სიყვარული. ქალის დაბინდული გამოსხედეა, რბილი ხავერდოვანი ხმა იმაზე მიანიშნებდა, რომ იგი კაცის მიმართ გულგრილი არ იყო.

– საოცრება ხარ, ნანა და საოცრად მიყვარხარ იცოდე. აწი რაზე ვილაპარაკოთ?

– გლობალურ დათბობაზე. – ხშირწამწამა მწვანე თვალეში დაცინვა გაკრთა.

– მართლაც სასაცილოდაა ჩვენი საქმე.

– იცი, ლევან? მერი შერვაშიძე, ალბათ, ცისფერ ოცნებად დარჩა გალაკტიონის ცხოვრებაში. ჯობია ეს ჩვენი სიყვარული ლამაზ ოცნებად დარჩეს. ქალის მდუმარება თითქოს შუქს ჰფენდა და ღირსებას მატებდა მას. ლევანი ფიქრებში ჩაიძირა. შეჰყურებდა ამ ლამაზ ქალს და ასე ეგონა, რომ იგი მშვენიერების საუფლოდან იყო მოვლენილი.

– ახლა მე ჩემი ცხოვრების გადამწყვეტი წუთის ზღვარზე ვდგავარ და მეჩვენება, თუ საკითხი დადებითად არ გადაწყდა, დავიღუპები. – ლევანის ცრემლიან თვალეში ტანჯვა იკითხებოდა.

– რა გჭირს, ლევან?

– სულის სიღრმეში დაგუბებული ტკივილი თავს მავიწყებს.

ქალი უშურველად აფრქვევდა თავის სილამაზეს. ლევანი გარინდულიყო. მერე ცოლი დაუყენა გვერდით. რეაქცია ნული. მისი გული გრძნობდა ზღვარგადასულ სიყვარულს და ფართხალებდა. ნანა ისეთი ლამაზი იყო, მზეს ეუბნებოდა, – შენ ჩადი და მე ამოვალო... ქალი ამზეურებული თვალე-ბით შესცქეროდა მის წინ მდგომ ვაჟკაცს და გულში გალაკტიონის სიტყვები უტრიალებდა: „გულში რამდენი ჭრილობა მაქვს მოურჩენელი“. კენარი ტანი მწვანე კაბაში გამოეკვართა. იდგა ამაყი და შეუვალი. ლევანის წინადადებას ყველაფერი მიატოვე და გამომყევით, ქალი არ თანხმდებოდა. არა იმის გამო, რომ მასთან სიახლოვე არ სურდა, პირიქით, მისკენ ისწრაფოდა, მაგრამ ვერ ასცდა იმ ჩარჩოებს, რადგან შეზღუდული იყო იმით, რასაც პატიოსნება ერქვა.

– დრო და ჟამის მდინარებას უნდა გავატანოთ ჩვენი სიყვარული. ნანა მივიდა და ლევანს აკოცა. გამომშვიდობებაც, ის მიამიტური კოცნაც სიყვარულის, ამ მარად უკვდავი გრძნობის, დასტური იყო.

* * *

ლევანს წინ კიდევ ერთი სიზმარში მცურავი ღამე ელოდა. სახლში მისულმა აღრიალებულ ტელევიზორს დაუნია და რადიო ჩართო. „როცა თანამდებობის პირები მაქსიმალურ ფუფუნებაში ცხოვრობენ, ამით მათი რეიტინგი ეცემა, რადგან საზოგადოება გაჭირვებაში ცხოვრობს“. ვილაც სიმა-რთლეს გადმოსცემდა რადიოდან... ლევანის გულში კვლავ გამაოგნებელი ძალით ფეთქავდა ნანას სიყვარული. გარეთ ნიავი ქროდა. ნიავს თითქოს იმ ქალის სიყვარული მოჰქონდა, ქვეყანას რომ ერჩინა. ვერაფერი შეედრებოდა იმ სატანჯველს, ნანას დაშორებით რომ იყო გამოწვეული. სულის უშორეს ბნელ ხვეულებში კვლავ სიყვარულს გრძნობდა, სიყვარულს ხელშეუხებლს, დაუსაბამოს.



ბიო ზედვაკაღი

ფურცელზე წერა მომენტრად, უბრალოდ წერა

ფურცელზე წერა მომენტრად... მუხურის ეზო...
ჰამაკი... ბევრჯერ ნაკითხული გრანელის ლურჯი
ნიგნი და... ყვითელგულიანი ჩიტები ხეზე...
ბიძაშვილები – თავგებებით შესული ბუფერს...

ხალმიდან ყველის ამოღება და მერე ჭიშკარ-
გადაღმა ფრთხილად გადაპარვა, ბიჭებთან ძუსის
სანაპიროზე ცოფიანი არაყით „თიშვა“...
თხმელებში – ბანქო, სიგარეტი და სამი ტუზი.

საერთოდ წერა მომენტრად... მსუბუქად წერა...
მწვანე მინდორი... მოლოდინი გვალვაში ავდრის;
მე ახლა ზემო ვარკეთილში დივანზე ვწევარ
და ზედვაკეში მარტო ჩემი ოცნება დადის.

ფურცელზე წერა მომენტრად, უბრალოდ, წერა...

მეგვლე

დილით ცეცხლი რომ დამენთო
თონეში, თოვლში იმ,
გზა ნიჩბით უნდა მემკვლია.
და მეკვლედ გვყავდა ვინ?

მეზობლის გოგო პრანჭია,
კისკისა გოგო და.
მე რომ თონეში გავრბოდი,
ის ჩვენთან მორბოდა.

ჩვენგან ნასული, თოვლივით
 მოფენდა სოფელს ქორებს.
 ჭიშკარგადაღმა გასული
 უცაცხანებდა ღორებს.

იმ დაცლილ მთიან სოფელში,
 ის ერთი იყო ბავშვი,
 მე ბავშვზე ცოტა დიდი
 და დანარჩენები-ხანში.

წავიდა ყველა გზა მართალს,
 ათოვს ტანმაღალ ეკლებს.
 ეს ლექსი ფოსტის ბარათს ჰგავს,
 ვუძღვნი გათხოვილ მეკვლეს.

გლეხის გული. ფხალი მინდვრის...

შავლეგო აბესაძეს

გლეხის გული. ფხალი მინდვრის,
 ყველი – დერგის, ღვინო – დოქის,
 მირჩვენია სუფრას მდიდრის.
 დახატული ჩემი სოფლის
 ერთი თოვლიანი ფოტო
 საგზლად ბარე ექვს თვეს მყოფნის.
 მე თბილისშიც ვლოთობ,
 მაგრამ ჩემი ფუძის განაყოფის
 მოკითხული თაფლის არყით
 ეშხში შესულს
 აღარ მყოფნის
 არც სასმელი,
 აღარც ლექსი,
 აღარც თოვლი გუშინდელი.
 შავლეგ, გინდა, ადექ ფეხზე,
 მე არაფერს ვუშინდები..
 რას უყურებ, შენ ჩემ სახეს,
 არყით ნაგვემ-აჭრელებულს.
 ასე მაღლა ავყვეთ სახლებს,
 მოვიკითხოთ რაჭველები.

ჰაჰა, მეტრი იყოს თოვლი
იაგორას ნაყანებთან.

.....
მივდიოდით გზაზე ორნი
და გზად ძუსა ყაყანებდა.

სიმბრტოვის მელანქოლია

ნავლენ დაჩიდან,
ნავლენ ისე, რომ
არ მოიხედავს უკან არავინ.
ხის ქვეშ დარჩება ჭიქა და ჩერო,
ველზე – ბორცვები, ბორცვზე – კარავი.
მე თქვენ არავის შეგეცოდებით,
მე თქვენ მიტოვებთ სოფელს სრულიად –
ზემო იმერეთს თავის ოდებით
და ტყეს, რომელიც დანისლულია.
თქვენ არ გაღელვებთ ჩემი შიშები,
იქნებ, კარებთან დამხვდეს ტოტია!
არ გესმით, როცა ვყვირი – „მიშველე“
და თოფს კედელზე ვეპოტინები.
ყველა ნავიდა, ყველამ გაიშვა,
და ჩემო თავო, დარჩი რალა შენ?
შენც გადაგელო ფოტო პარიზში
კოშკთან
ან ლუდის კათხით პრალაში.
გავსებულია ვაშლით სახილე,
მსხალიც თავისით წყდება ყუნნიდან.
ნავედი, ვნახო ჩემი ნახირი,
ფეხიდან ნაკელს გამოვუნმინდავ.

ინანა, მე სუსტი გღმეხი ვარ

მზისფერი მაისიც მივლიე,
ვაშლებიც დამნიფდა შაქარა.
მე ახლა დავეხსენ იანვარს,
ღრუბლებს ვდევ მინდია-შაქანი.

მე მთვარის ყურება მომბეზრდა,
შენ მინდა გიყურო, ინანა.

ლანდი ვარ ხიმინი ლობესთან,
და ყოველ დათრობას ვინანებ.

შეხედე, მზე მოდის – უთუა,
რალაცა ნამები დილამდე...
მე დამლლის სინათლე უთუოდ,
ვეკვრები სიბნელის ბინადრებს.

ინანა, მე სუსტი გლეხი ვარ
ისე, რომ მეფეებს აქადელთ
ვუფროთხი და ვემალვი მეხივით
ჩვენს ერამდე და აქამდეც.

ინანა, მე მხოლოდ ის მინდა:
(ოცნება ცხენივით უბელო)
ღრუბელზე ვისხდეთ და მისმენდე,
ორივეს გვიძლებდეს ღრუბელი.

მთვარის კიბო აქვს

ეკო მესხს

მთვარეს კიბო აქვს...
რენტგენის სურათი
ლამეში აჩვენებს მოშავო ლაქებად
მომავალს, რომელიც არ არის სულერთი,
რომელიც მოკვდავებს ანაღვლებთ ნაკლებად.

მჭვარტლიან ბუხართან აგდია მოპასანი,
გაშლილი ყვავილივით – გარე ყდით.
კარებში – ჩემი თეთრი ბოტასები,
ზაფხულის ლამეა და გარეთ კი...
ეზოა ნათელი, მთვარიანი.
ყორესთან – მეგობრების ხორხოცი.
მინდორი – ისე ნამიანი,
თითქოს მთვარეს ცრემლი მოხოცეს...

რა ვქნა, ვიზიარებ, პოეტებო,
თქვენგანაც ველოდები სამძიმარს.
ხვალ, ალბათ, მთელ სოფელს მოედება –
მოკვდა მთვარე,
რალა აზრი აქვს,

წერო...

ვის ვუნერო სონეტები,
როგორ დავითენებ ალიონს...
კეკეოზ, მაგის დედაც ავატირე,
წამო,
ძუსის პირას დავლიოთ!!!

ბაუშვი

გაუშვი, განა სულ ითოვებს ასე, განა სულ...
დაე, ფიფქებმა ჩვენი ეზო თოვლით აავსოს.
დე, გავეყაროთ უთოვლობით დღემდე დანავსულ
ყინვიან ზამთარს, ვიგუნდაოთ ერთად, ლამაზო.

გაუშვი, გაუ... თეთრი ქუდით, თეთრი კაშნეთი
ჩვენს თეთრ ეზოში ჩვენი გოგო, ისიც თოვლივით
თეთრი...ხომ იცი, რომ ხარობენ თოვლით ბავშვები?
– გაულე კარი, ყინვის შიშით ამოქოლილი.

შეხედე, შეხე, შე... მის სახეს აკაშკაშებულს,
არ შეიძლება ახლა მისი იქ არ გაშვება!
ეს იქნებოდა, როგორც ცოდვა, დანაშაული,
უფრო მარტივად, მშობლებისგან გადამლაშება!

გაუშვი, გაუუ... განა მარტშიც ასე ითოვებს,
მარტში ეს მინა დაჟანგდება, ატალახდება.
მოვა დრო, როცა ის სარკესთან თმებს შეისწორებს
და შეძულდება თოვლი, როცა დიდი გახდება.

პეტრე-პავლობ

ხსნილია. 12 ივლისი,
პეტრე-პავლობის საკურთხი.
12 კაცი „ვილისში“ ...12 კმ გზა...
ერთი აღმართის ავლა და:
მთას მოდებული ბზა.
სკოლის ეზოში ალვები,
ტოტებნალენი ბლები.

„ბავშვებო, მოგესალმებით“.
ცნობისმოყვარე თვალები.
ცნობისმოყვარე ქალები,
ცნობისმოყვარე ქმრებით.
მე მათთვის უცხო მგზავრი ვარ,
მომცეს საერთო სალამი.
ახალი ნაწვიმარია,
ასი მეტრი მაქვს სავალი.
ამ თავხოტორა ბავშვების
დარად ძუსაზე კალმასს
დავდევი ჩქიფით, დაშნებით,
აქ დავეჩვიე არაყს!
მეც მეცვა გამოხეული
ქლორით ნახატი ჯინსები.
ყვირილით გამირეკია
„ზედვაკეს“ ლეგა ნისლები.
მეც ვტანტალებდი ხრეშიან
გზებზე შიშველი ფეხებით.
აქ ძალი დამიგეშია,
იქ – დამიბელავს ვერხვები.
რამდენჯერ გამირეკია!!! –
კედელზე ვწერდი კირით:
„მიყვარხარ“...
„ქვების ძირამდე“
„მიჭენებია“ ვირი.
ეჭვი,რა დროს გასულა,
მოვედი, ჩემო ბუხარო,
მოვედი, ჩემო წარსულო,
გთხოვ,
დაღვრემილი ნუ ხარ!
მოვედი ჩემო მარანო,
მინადნასულო ღვინო
და უსიმინდო ბელელო –
დამთავრებულო კინო.
მოვედი პეტრე-პავლობას,
კედლიდან მიმზერ, ბაბუა.
ისეთი მკაცრი სახე აქვს,
რომ ზურგით შემომაბრუნა,
აფსუს, დაზარდე შვილები,
და გყავდა შთამომავლობა.
აფსუს, მაგ შენი ჯაფა და
ბებიაჩემის ქალობა!

ტოტებნალენი ბლები და
 სკოლის ეზოში ალვები.
 ბავშვებო, შემოგეველებით,
 ბავშვებო, მოგესალმებით!

ქალაქის ზერელე ცხოვრების გერი ვარ

ქალაქის ზერელე ცხოვრების გერი ვარ,
 მეველე ვიყავი სოფელში და დილის
 ექვსს აკლდა ნუთები, ვანთებდი კერიას,
 მზის პირველ კბილამდე – ყანაში!

სადილი

მოჭკონდა ბებიას – ქოთანში ლობიო,
 კედლებზე ცვრებისგან მტირალი მათარა.
 „– ნანვიამარია და მინას ობი აქვს,
 ცივია, ბებია, არ დაჯდე მაქანა,
 შენ გაზდას“.

მეტყოდა ასე და მეც ჯიბრით

ვეხუტებოდი ცივ ბელტებს, არიქა.

ვბიჭობდი,

მინაზე ვინეჩი ბეჭებით,

ჩემი ჭკუაში ჩაჯდომა არ იქნა...

მერე, როდესაც დავტოვე სოფელი,

ყოფილი მეველე ქალაქის უსიერ

ქუჩებში შეცვლილი სახით და პროფილით,

თეთრი პერანგი და ლამის მუსიე,

თამბაქოს ვარჩევდი ოდნავ რბილს, მენტოლით,

ვკარგავდი რითმასაც, რაც უყვართ თბილისში,

დღეს ისე უბრალოდ ვერავინ მენდობით,

როგორც თავს გაცნობდით – ჟორჟიკას შვილიშვილს.

ქალაქის ზერელე ცხოვრების გერი ვარ.



ჭაბაძე პანრიშვილი

ბანრის შპლი

შინიდან ციებცხელებიანივით გამობარბაცდა და მეტროსადგურის გადაღმევ, მიმყუდროებულ ფიჭვნარში მდებარე ძმაკაცთა უცვლელი სალოდინოსკენ გასწია.

საშუადღეოზე ანეული შემოდგომის ლიბრიანი მზე ლეგა ღრუბლებიდან დროდადრო სნეულივით იჭვრიტებოდა...

სუფთა ჰაერმა ნაარყევი გონი ცოტათი მოუცოცხლა, მაგრამ მაინც ვერ იხსენებდა: ნუხელ შინ თავისით მიეთრია თუ ახლაც ძმაკაცებმა მიიტანეს და ლოგინზე პირდაპირ გაუხდელი დადეს!.. თან წელან სახლის გასაღებიც ველარსად იპოვა. დარდი კოლას! თუ გუნებაზე არ იყო, თავის ერთოთახიან ბინას აღარც კეტავდა ხოლმე: სამეზობლოდ არავინ ეკარებოდა, ქურდებს კიდევ რა უნდა წაეღოთ?!

ტროტუარზე ბორძიკ-ბორძიკით მიდიოდა და აღარც ის ახსოვდა, გადაბმულად რამდენ დღე-ღამეს ლოთიფოთობდნენ! ეს კი აღიდგინა – არყის საყიდლად ბოლოს ჯიბეები სულ დედის დაგინებით ამოიბრუნეს და იმოდენა ფული დახარჯეს! ეხუმრებით – ოცდაშვიდი ლარი!!! სამაგიეროდ, ო, რა სუფრა გაიშალეს რბილი ლეიბების საამქროს გამონგრეული გალავნის შიგნით, გაუკრეჭავი ბუჩქნარის ძირას: არყები... შპროტი... ძეხვი... შავი პური... მჟავე კიტრი... „ბალტიკა“... გადაუბანელ ხელებზე ანადენი შებოლილი თევზის მინაზებულ სუნს ლამის

ჭკუიდან შეეშალა: ნამშევი კუჭი ყოველივე ამის უფრო მხეცური ჟინით განმეორებას მოითხოვდა, მაგრამ თავი რა ქვისთვის ეხალა – გროშიც აღარსად მოეძებნებოდა!

ძილაცოლილსა და უმისამართოდ გულაღრენილს, ქუჩაში მიმომავალი თანამოდმენი უცხო პლანეტებიდან გადმოყრილ სირებად ეჩვენებოდა!.. ერთ ქალს მაინც ბეცურად გაუშტერა თვალი და გამოსალაპარაკებლად ნაბიჯი დაიმძიმა.

ქალმა ეს მაშინვე იგრძნო და ყოველი შემთხვევისთვის შუბლი შეიკრა, თან ფეხსაც აუჩქარა.

– აი, დაძმურ გაგებაში!... დღეს კვირაა თუ... შაბათი?

– ოთხშაბათი.

პასუხმა სულ აურია დავთრები. არა, ბირჟაზე შეყრილი „საბუტილნიკების“ მეტი ველარაფერი უშველიდა – როგორც ყოველთვის, ახლაც ერთად რალაცას მაინც მოიფიქრებდნენ! ვინ იცის, იქნებ, უკვე მოფიქრებულიცა ჰქონდათ და იმასლა უცდიდნენ, თან უკანასკნელი სიტყვებით ამკობდნენ – აქამდე სად აგდიაო!!!

ფეხს შეუფერებელი პატივმოყვარეობის საამო განცდით აუჩქარა, მაგრამ ფიჭვნარშიც იმედი ჩაუკვდა – მაგიდა-სკამებად გამოყენებულ ბეტონიტის ჯმუხ ლოდებზე ძეხორციელი არ ესკუპა! არადა, აქამდე შინ რა გააჩერებდათ – თქვენ რას ლაპარაკობთ!.. ან იქნებ ძილს ველარ აატანა და დააგვიანდა?! თავიანთ მიერვე

გაშანშლული, თვალშეჩვეული ძველი ნამუსრევი ისევ ისე ეყარა, დღეს ჩვეული „პახმელიიდან“ გამოსვლის რაიმე ნიშან-წყალი კი ირგვლივ არაფერს ეტყობოდა!!!

ჰოდა, იმანაც ხელად დაიჯერა – არც შინ გამოუარეს, აღარც აქ შეუცადეს და სიფთაზე ლუდ-არყის საყლურნად სადღაც დედაბოზურად აეთესნენ! ჰმ, ესეც ყისმათი იყო – „ნოკიაც“ რალა წინა დღეებში დაკარგა! თუმცა რა შორსაც ისა ცხოვრობს – ემანდ შემოხმინებებს რა უნდოდა, მაგრამ...

სათვალავში ჩაუგდებელი კაცის განცდამ ცივი ჟრჟოლა მოჰგვარა და უნებლიეთ მგლისებურად წამოიყმუვლა. „დაიცა, ათესვა ეგეთი არ უნდა, პედერასტებო!“ – კბილებდაჭერით დაიმუქრა გუნებაში, თუმცა წინდანიწვე ხვდებოდა, მის ამ უნდოდა მუქარას არანაირი ძალა ან შედეგი არ ექნებოდა! არადა, რა წყალს მისცემოდა – ნაბახუსევი მუცელი ისე გვრემდა, თითქოს შიგნარის კონას უჩუჩხურებენო!

ერთი დაპირება დააპირა კიდეც, ისევ მეტროსპირა ფარდულები ჩამოველო, ეგებ რამე ნისიად ახლაც გაემანსა, მაგრამ ყველასთან პირშერცხვენილი და თავლაფდასხმულია! ძველებურად კი ვინმეს ველარც აცდუნებდა, ველარც აშინებდა – უკვე მოხარშულს იცნობდნენ!

გაუცხოებულ ბირჟას ზამთრის სასაფლაოსავით უბრუნა მხარი და კორპუსებისკენ გადაყელა, თუმცა არ ესმოდა, საით ან რისთვის მიჩერჩეტობდა.

* * *

კორპუსებშორის, სეიფისოდენა სახარაზოს გვერდით მოულოდნელად სოფელ დედაკაცს წაანყდა. წენგოსფერ ბანრის შალში გამოხვეული შავოსანი შინიდან წამოღებულ სკამუნაზე მობლუნძულიყო, ბრეზენტის გამოხუნებულ საფენზე კი ერთმანეთთან ხოხმიკად მიეწყო წენიკი ხახვის, ნივრის, ლობიოს, ასკილის, სიმინდის ჩანაკლულელებული ტოპრაკები... ქლიავის დანახვაზე ბიჭს პირწყალი მოედინა.

– რა ღირს ე შენი ქლიავი?

– აქ ქლიავს სადა ხედავ, ბიჭო? – ეგ შაშალაკი ლელვია!

– ჰო, რაც არი! კილოს რო...

– ჯამი...

– ჯამი?!

– ჰო, რა გაგიკვირდა – ჯამი! – მოუჭრა დედაკაცმა და ციდიანი სასწორი აჩვენა, – სხვა ყველაფერს ამითა ვწონი. ლელვი კი ზედმეტად რო არ დაიჭყლიტოს, ჯამობით ვუშვებ...

– ჰოდა, როგო...

– აი, ერთი ვედრო სუ ორლარობაზე გავყიდე!.. მაგრამ რაკი ეს ერთი ჯამილა დამრჩა, ლარნახევრად... ჰა, ლარადაც მოგცემ – ალალი იყოს!

– მოიტა, აბა!

– დაიცა, პარკში გადავიტანო!

– პარკით სადღა ვატარო!

ბიჭი ისეთი მოსხლეტით ჩაცუცქდა, თითქოს ბუქნაობა უნდა დაინყოსო და ლელვით თავმომული თიხის ჯამი თამამად გადაიდგა.

გაკვირვებული დედაკაცი მორიდებით აკვირდებოდა უცნაურ მუშტარს, ლელვს გაუფცქვნილად და ყუნწიანად რომ ელალებოდა. თუმცა ცივი ლელვი რა თავწყალს გაადენდა, როცა მისი მოკუპრული კუჭი არაყს ითხოვდა.

ბიჭმა სოფლურ ნობათს თვალი გულგრილად გადაავლო, რაკი იქ თავისი საკბილო არაფერი ჩანდა.

– რალა აქ მოსულხარ? აგე, მეტროსთან, უნდა დამჯდარიყავი – იქ ზღვა ხალხი ირევა და...

– განა არა? – დილას იქ ვიჯექი, მაგრამ...

– იქ იჯექი?.. მე სუ მანდა ვტრიალებ ხოლმე და, აბა, რატო აქამდე არ დამინახავხარ?

– არა, არა!... გითხრა!.. – აჩქარებისაგან დედაკაცს ენა აუბორძიკდა, თან სახეზეც დაეტყო, მალე დამნაშავესავით გაელიმებოდა, – დღეს პირველად გამოვეყევი ჩვენებურ მემანვნე ქალეზსა და დილას მართლაც მეტროსთან დამსვეს, მაგრამ... – აქ დედაკაცს შემეჭნარ პირი-სახეზე უნირო ღიმილმა გადაურბინა, – საცდელად თან ერთი ჩარევა არაყიც (ბიჭს ყურები თავისით დაეცქვიტა!) გამოვიყოლე, მაგრამ ოთხოდე

„რუმკაც“ არ მექნებოდა გაყიდული, პოლიციელი დამადგა თავზე – მაგ შენი არყიანად ახლავე მოშორდი აქაურობას, თორემ ყველაფერს ჩამოგართმევო! ჰოდა, მეც შემეშინდა და აქეთ გადმოვი...

– კიდე იაფად გადარჩენილხარ! – ყასიდად უთანაგრძნო ბიჭმა და ლელვი აბივით გადაყლაპა, – შეიძლება სხვას პოლიციის განყოფილებაშიც წაეყვანე და ჯარიმა გამოეწერათ!.. ნელს ბევრი არაყი გამოხადეთ?

დედაკაცს პირი-სახეზე გაკვირვება შეაფრინდა.

– ჯერ რა დროს არყის გამოხდაა, შვილო – ღვინოც არ გადაგვიწმინდავებია!.. წლევანდელ არაყს დეკემბრისკენ გამოვხდით, ეს კი შარშანდლიდან გვქონდა მონარჩუნებული!

– ჰოდა, ბევრი მოინარ... ჩუნეთ?

– რა ვიცი, შენ ბევრს რას ეძახი, – დედაკაცი გულლიად ალაპარაკდა, თან ზედ მომდგარ ქალს ორი კილო ლობიო აუნონა, ფული გამოართვა და გაუშვა. მერე ისევ ბიჭს გაუგრძელა მუსაიფი, უკვე მინაზე რომ დამჯდარიყო, – რაც საოჯახოდ მოგვინდება, კაცმა ის ცალკე გადაინახა... თან მალე ახალიც გამოგვეხდება!.. ჰოდა, ერთი სამი ათლიტრიანი შტოფი იქნება გაგვეყიდო...

– ჩამოიტანე აქა – ჩემთან შეგინახავ!... გაყიდვითაც სუ მე გაგიყიდი!

– თუკი მაგ სიკეთეს გვიზამ! – მიაგება დედაკაცმა და ალალი სახე ანგარიშმა დაუძაბა. – დღეს ოთხშაბათია... შაბათამდე აღარ ჩამოვალ!.. მაშინ შაბათს კაცსაც გამოვიყოლებ და ჯერ მოილა...

– რალა მოლაპარაკება უნდა – მაშინვე წამოიღეთ!.. ხილის არაყია?

დედაკაცს მიმტევებლურად გაეცინა.

– ჩვენებურ გოგო-ბიჭობას ხილი საჭმელადაც ენატრება – ხილს საარყედ ვინ გაიმეტებს?! ან გინდაც გაიმეტონ, იმოდენა ჭაჭას რალა უნდა უყონ?! ხილის არყის ხდა უვენახო მთის სოფლებში სცოდნიათ!.. ჩვენთან სუ ჭაჭის არაყია, შვილო!

ბიჭი თვალებს ისე აფეთებდა, გეგონებოდა, სადაც არი, გულყრა მოუვლისო.

– რა უყავი ის ნარჩენი – აბა, ერთი დაასხი!

– უი, არა, არა!.. წელან მილი... პოლიციელმა სუ თითის ქნევით გამაფრთხილა – წვეთიც აღარ გაყიდო!.. არ დამინახოს, თორემ!..

– ნუ გეშინია, იქიდან აქ როგო უნდა დაგინახოს?!. თუ არადა, აქ არა ვარ – ეგენი სუ ჩემი ძმაკაცები არიან! დაასხი!

– ბიჭოო!..

დედაკაცმა კორპუსების ეზო-ყურეს ბებრული მზერა მიმოატარა, მერე ვედროში ჩაყრილი ფალასფულასიდან არყის ბოთლი ამოაძვრინა და ძველებური მოხდენილი, ქუსლიანი თლაშო გაავსო. ოლონდ სანამ ბიჭს გადააწოდებდა, ჯერ ვითომ ვაჭრულად აუხსნა.

– იცოდე, ჭიქას ორმოცდაათ თეთრად ვყიდი!

– ვიცი!.. აქ სუ ეგრეა!.. შენ მე რას მასწავლი!..

ბიჭმა ისეთი მოუთმენლობით გადაჰკრა, დედაკაცს გული გადაუტრიალდა – რალაზე ჭიქაც გადაეყლაპებოდაო!

– დარწმუნდი?

– ჰო, რა, ნალდი ჭაჭაა – არ უნდა რიჟა ბაზარი! – ამოიხავლა ბიჭმა და მიდამო გალიზიანებით მიათვალ-მოათვალა, – სად არიან, ის შკოდნიკები!

– ვინა, შვილო?

– ძმაკაცები!

დედაკაცმა არყის ბოთლი ისევ ვედროში მიაფანიერა, ბიჭმა კი ლელვის ქლაპაჭლუპით ჭამა განაგრძო. თან ისე მტკივნეულად იმანჭ-იგრიხებოდა, ეს დედაკაცსაც შეენიშნა. შიგადაშიგ ოხვრა-კვნესასაც ურევდა.

– რა იყო, შვილო, არაყმა ხო არ გიხამა და ყელი ამოგშუშხა?!

– არაყმა კი არა, ა ლელვმა მუცელი სუ ამიქოთა – უეჭველად რალაც ჭია შემეყვა!

– უი, მომიკვდეს თავი! – დედაკაცმა მუხლზე მუშტი შემოიკრა, – გაუფცქენელად, თანაც შეუბერავად რო დაუნყებ ჭამას, შეიძლება...

– მოიტა, ერთიც დაასხი – იქნებ ჩამიყუჩოს!

დედაკაცმა მაშინვე დაუსხა. ბიჭმა წელანდებული ასწრაფებულობით გადახუხა.

– მოსაკლავი ვარ! – ბიჭი ახლა საკუთარ თავს აულაპარაკდა და მუცელზე ხელები მოწამლულივით შემოივლო, – მეც რას მივაძეხი?!. იცი, როდის მოკრეფილია?!. ვისი მოკრეფილია?! უუუხ!

– ვიშ, ქა, რაღა ვქნა! – შეიცხადა დედაკაცმა, – „როდის მოკრეფილია?!“ რა სიტყვის პასუხია?! ეგე, ზედ არ ეტყობა?!. სისხამ დილით ჩემმა შვილიშვილმა კიბე აიყუდა და კავით სუ სათითაოდ ჩამოკრიფა!.. თან ისეთი სუფთა გოგოა, ისეთი სუფთა, იტყვი...

– გათხოვილია?

– არა, არა – ათწლედი შარშანწინ დაამთავრა!

– მერე, რაღას უცდით – რატო აქამდე არ გაგითხოვებიათ?!

– ეჰ, იქ ვიზე უნდა გათხოვდეს, – გულმტკივნეულად მოიჩივლა დედაკაცმა, – სოფელი სუ დაგვეცალა... სანდო და რიგიანები აღარ არიან!

– აღარ არიან და ამოიყვანე აქა, გვაჩვენე – უცოლო ძმაკაცების მეტი რა მყავს! სუ დარჩეული ბიჭები არიან! ოღონდ ქალაქელ გოგოებს ვერა ნდობიან – რა გვესწავლება?!. რა ჰქვია?

– თამილა.

– თამარა?! ო, კაი სახელია!

– არა, არა, თამილა!

– უჰ, თამილა უფრო უკეთესი სახელია!... ჩემს გარეთა ბიძაშვილსაც თამილა გვიქვიან!.. რასა საქმიანობს?

– ვინა, ჩემი შვილიშვილი?

– ჰო, აბა, ვისი?

– რაიონში ქარგვისა და ჭრა-კერვის წრეზე დადის!

– ეგ კარგია! გათხოვდება, ქმარ-შვილი ეყოლება... ოჯახი, ბავშვები... ნემსი, ძაფი, რამერუმე...

– მერე არ იკითხავ, რა ხელი აქვს, ბიჭო! – დედაკაციც ადვილად მიეცა აღფრთოვანებას, – ბაზრობაზე ნაყიდ ყუაკეტს გულისპირი ხო სულ დაურღვია და ყანსნალით თავისებურად მოქარგა, კალთების გადაყოლებაც ისე შემოუქარგა...

– თან დაასხი!

დედაკაცმა ბიჭს ცალი წარბი გამაფრთხილებლად აუწია.

– აქოდა, სასმელი გამეყიდოსო, მე მაგიტომ... გეყოფა, შვილო, არაყს ნუ დაიძალეხ – გაზნეხ!

– აქ რა იმდენიც მე დავლიე?!. დაასხი-მეთქი!

– კარგი, აი, საბოლოოსაც დაგისხამ!.. აჰა და გეყოფა! ეს მერამდენია?

– ეგ შენ დაითვალე – გენდობი!

ბიჭმა კვლავ მუნჯურად გადაჰკრა. დედაკაცმა ბოთლი და ჭიქა ისევ ვედროში ჩამალა და ყაჭივით გააბა.

– ჭრა-კერვის მასწავლებელს ეთქვა, მე ჯერ თამილასთანა მოწაფე არა მყოლიაო!.. თვალები და თითები საქარგავად ასხიაო!..

– სა... ქარგავად და... – ბიჭს გონი და ენა ძველებურად აღარ ემორჩილებოდა, – ამოიყვანე აქა და... ძმაკაცებს მოსაქარგი... ნოხების მეტი რა უკიდიათ!

– რას ამბობ, ბიჭო, ნოხს რაღა მოქარგვა უნდა!

– ნუ, რა ვიცი!.. რასაც უნდა!.. ერთი ტრუსიკის ძმაკაცი მყავს, აბრეზა! ჰოდა, მაგის დეიდას მთელი თურქეთი გაბილიკებული აქვს – იმოდენა ფართალსა და იმას ეზიდება!.. ამ მასივს სუ ის აცმევს და ახურავს!.. ჰოდა, მოსაქარგის მეტი რა იქნება!.. კაროჩე, ჯერ თამუნა ამოგვიყვანე, ნატურში რო გაიჩითოს!. იტოგში თუკი ერთმანეთი მოეწონებათ... მერე... ჰმ! მე ხო ვიცი – აბრეზა ყველაფერს მიაქარ-მოაქარგვინებს!

– ჰო, შვილო, მაგრამ ბედის საკითხიც არი!..

უცებ გრძელი, ავი დუმილი ჩამოუვარდათ.

– არა, რატო აღარ ასხამ? – ბიჭი კორძიანად ჩაეკითხა და ნერვებმაც უმტყუნა, – ჟმოტობა არ იყოს!

– არა, ჩემი შვილებისა და შვილიშვილების სიცოცხლემ – სუფთა ჭაჭაა! – შეცმუკდა შეურაცხყოფილი დედაკაცი და ვედროდან ამოღებული ბოთლი გაბედვით შეანჯღრია, არყის ჯაჭვი და სიკამკამე უნდო მუშტრისთვისაც რომ დაენახვებინა, – აბა, ამას წუნი შეედება?!

ბიჭმაც დრო იხელთა – ბოთლი უტიფრად გამოსტაცა.

– აქ რაღა მდგარა?!

ბოთლი პიონერების საყვირით მოირგო და სულ ყლარნაყლურნი აუყენა.

– რას შვრები, შვილო! – აწრიალდა დედაკაცი და თავისი ჭკუით ბოთლის წასართმევად წაეპოტინა, – გულ-მუცელს სუ გამოგიოთუქავს!.. მაიტა აქა, თორემ არ ვიცი, რას გიზამ!..

ბიჭი მარცხენათი დედაკაცის წატანებულ ხელებს იგერიებდა, თან ცდილობდა, მარჯვენა ხელით ბოთლი მტკიცედ სჭეროდა, თუმც არაყი ნიკაპზე ჩამოეკლაკნა და უკვე გულმკერდზეც ეღვრებოდა. ბოლოს გამონრუტული ბოთლი ტოპრაკებთან ფალავნურად მიაგდო.

– აჰა, შე კაი ქალო, რა იყო! – დებილურად გაიღრიჯა და წვალეზულივით აიყაყვა, – ეხლა წავედი და...

– წახვედი?! ფული? ფულს ვინ გადამიხდის?!

– რაც არა მაქვს, საიდან გადაგიხადო?! მერე, მერე!.. ხო დაინახე, ძმაკაცებიც არ გამომიჩნდნენ, რო..

– მე შენი ძმაკაცები არ ვიცი! – დედაკაცი თანდათან წინმატდებოდა, – ფული თუ არა გქონდა, მაშ... მაშინ თავიდანვე უნდა გეთქვა!.. ერთი ჯამი ლელვი შემეჭამე!.. იმოდენა არაყი დამილიე!.. ეხლა კიდე მეუბნები!.. ფლასიან დედაკაცს მიბრიყვებ, არა?!. გადამიხადე ჩქარა!

– დამიჯერე, ბებუკავ, მერე... სხვა დროს გადაგიხდი!

– შენ არც როდისაც არ გადამიხდი!

– რაა... ო?!. იცი, მე ვინა ვარ!!!

– ეგ რაში მეკითხება – მე ჩემი ეხლავ გადამიხადე!

– ვაა, ეს მაინც თავისას უკრავს! საიდან გადაგიხადო, როცა ჯიბეში კაპიკიც არ მიგდია!

– არ გიგდია და მაშინ რაღასა სვამდი?!

– ო, ეგ უკვე... როგორ აგისხნა?!. ეგ სხვა პონტია!.. შენ ამას ვერ გაიგებ!.. მართლა არა მაქვს, თორემ!.. – ამოღერდა დედაკაცის მოულოდნელი სიმედგრით ნირშეშლილმა ბიჭმა და უფულობის გამოსახატავად ხელისგულებს ერთმანეთს რომ უსვამდა, ოქროს წვრილმა ბეჭედმა თავი მაშინლა შეახსენა.

წელან ეზოს კუთხეში მოთამაშე ბავშვები

ახლა შეჯგუფებულიყვნენ და შორიდან შიშით იმზირებოდნენ.

– აჰა, ოქროს ბეჭედი! – ლოთური გაბედულებით შეიხავლა ალგზნებულმა ბიჭმა და წვალეზით წაძრობილი ბეჭედი დედაკაცს კალთაში მონყალეზასავით ჩაუგდო.

გაოგნებულ დედაკაცს თვალი ახლალა აეხილა და სიბრალულმა გულზე მარწუხივით მოუჭირა – მის წინ აწენილი ცხოვრებისგან წაადრევად დაბერებული ყმანვილი რაცრაცებდა!

– ეგ ბეჭედი თუგინდ ათ ყუთ ლელვსა და ქლიავს გიყიდის!.. გაიგე ეხლა?!. რაშოტსა ვართ?!. ადოის!

– მოიცადე, შვილო, სად გარბიხარ?!. მოიხედე!.. მობრუნდი! – დაადვენა წამომართულმა დედაკაცმა, თან ცდილობდა, მხრებიდან შალი არ მოსცურებოდა, – შენი არაფერი მინდა!.. მოდი, უკანვე წაილე ბეჭედი!..

ატორტმანებულმა ბიჭმა შორიდან უკანმოუხედავად ძლივს აუწია ხელები – ყველაფერი მესმის, მაგრამ მე მანდ მომბრუნებელი აღარა ვარო!

– ეხლა წასვამი ხარ და!.. როცა გამოფხიზლდები, ინანებ! – დედაკაცი მაინც თავისას მისძახოდა, – შაბათს ისევ ჩამოვალ!.. ეს შენი ბეჭედიც თან მექნება და წაილე!.. კომპსა და ჩურჩხლებსაც ჩამოგიტან!.. აბა, თუ შეისმინოს!..

ბიჭი კორპუსების ეზო-ყურეს გადასცდა და გაუჩინარდა.

* * *

გამტკნარებულ დედაკაცს სამსახურიდან დაბრუნებული ორი ქალი მოადგა. ერთმა ოთხი კილო ხახვი იყიდა, მეორემ – კილონახევარი ნიორი.

– ცერცვიც ხომ არ გექნებათ? – იკითხა სქლად ტუჩებშეღებულმა ქალბატონმა, – ერთი ჭიქაც რომ იყოს, მეყოფა – თმის შესაღების გასახავებლად მასწავლეს!

– არა, შვილო, ჩვენ ცერცვი არ მოგვყავს!

შემოდგომის მოკლე დღე თანდათან მიიწურა. არემარე მიმკრთალდა.

– ელო ძალო! – სოფლურ კილოზე მოუქცია მეტროსადგურისკენ მაღალი ჩანთების ქნევით მიმავალმა მემანვნი მეზობლის ქალმა, – ნახევარ საათში ავტობუსიც მოგვივა – ნულარ და-აგვიანებ!

– არა, არა!.. დააგვიანებ, რასა ჰქვია?! აი, რაც გამეყიდება, რაც არადა!.. აქ არ დამაგდოთ, ეთო!

– არა, არა, ნუ გეშინია!

ბინდი კორპუსებს შორის შეუმჩნევლად ჩამოიპარა, ეზო-ყურეც გადაიბინდა. ბინებიდან ერთმანეთის მიყოლებით გამოციმციმებდა შუქი. ქუჩის ლამპიონებიც აინთო.

ელოს ახლა რომელიღაც კორპუსის მეზობელი ქალები შემოედგნენ და ხელი უმაღ დაუცალეს – ყველაფერი იყიდეს. თან შაბათისთვის ნაირნაირი შეკვეთებიც მისცეს.

– შინდის კერკი არ დაგავინყდეს!

– ოღონდ ფელამუშის ტყლაპი რბილი უნდა იყოს – ბოვში სულ მაგასა მთხოვს!..

ელომ შეიკრა ბარგი-ბარხანა და თავისიანებისკენ გაეშურა. თან ფრთხილობდა, მხარი არ ჰქცევოდა! ერთმანეთში არეულ ერთფეროვან კორპუსებს გამოსცდა და ცარიელ რაღაც სკვერს რომ გაუსწორდა, ღრენანარევმა ხვრინვამ ელექტროშუქით განათებული კუთხისკენ მიახედა – წელანდელი ყმანვილი ტუიის შენეულ ბუჩქებში ჩადგმულ ზურგიან მერხზე გულაღმა გაშოტილიყო, თან ცალი მკლავი ძირს მოტეხილივით ეთრეოდა!

ელო ყოყმანმა შეიპყრო. ჯერ გადანყვიტა, გაელვიძებინა და ბეჭედი დაებრუნებინა, მაგრამ იმავნამიერად გადაიფიქრა – ნასვამია და თავის ამქარში ამღამვე შექამს ან არ დაეკარგოსო! თან არ უნდოდა, ძილი ჩაემნარებინა! „ამ უბედურს არ დაგრილოს!“ – უცებ სიბრაღული მოერია და დედაბრული გადაწყვეტილებაც თავისთავად ეწვია – თავისი ახალთახალი ბანრის შალი გადაეფარებინა, მაგრამ გულში ახლა შიში ჩაეპარა – ვაითუ, მერე აღარ გამომიჩინოს და მე რაღა მეშველებო! „არ გამომიჩინეს და აღარც მე დავუბრუნებ ბეჭედს!.. აბა, ერთი ნუ გამომიჩინეს!.. მართლა ყაჩაღობა ხო არ არი!“ – ბოლოს

ამნაირად გაიმხნევა თავი.

მძინარეს ჯერ გადმოვარდნილი მკლავი შეუკრიფა. მერე ვედროდან ამოღებული შალი სიგრძივ დააშალა და გვერდებიდანაც დედაშვილურად შეუგო.

არყით გახეთქილ ყმანვილს ერთხელაც არ შეუჩუჩუნია. მის ფარეზობას რომ მორჩა, თავისებურად დაიმედებულმა ელომ ბარგი აიღო და თავის გზას აჩქარებით გაუდგა.

* * *

გვიანი ვახშობაც გადავიდა.

უზარმაზარ ქვაბულში ჩაფენილი თბილისი უთვალავი ელნათურით გამომწვევად, თუმც რაღაც უაზროდ ჩახჩახებდა...

ნაადრევად დაბერებული ყმანვილი შიმშილმა და სიგრილემ გამოალვიდა. თავნამონეული, ელექტროშუქისაგან დასხივებულ თვალებს მტიკინეულად აბლატუნებდა და ვერ გარკვეულიყო, ამჯერად სადღა ეგდო ან ზევიდან ეს რა ეფინა! მაგრამ თვალში გადავსებული სანაგვე ურნა რომ ჩაუვარდა, ყველაფერი თავისებურად გაივარაუდა! აბრეზასა და კარანდაშას ატამანობით ამას ძმაკაცები იანგლებდნენ: მისთვის სანაგვეზე გამოტანილი რაღაც ბინძური საფენი წაეფარებინათ, თავად კი, ცხადია, ხოსროს დუქანში გრიმიტობდნენ, თან მის გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ და სიცილ-ხარხარისგან იგუდებოდნენ!

– ოხ, თქვე განდონებო! – შლეგურად წამოვარდა და ზიზლით მოძრობილი შალი ნაგვის ურნისკენ გააფრიალა! ფურთხვა-ფურთხვით ტანსაცმელსაც მონდომებით იფურთხავდა!.. მერე გულცხელზე ჯავრის ამოსაყრელად და ხელახლა ჩასაცეცხლად „ცხვირდასაჟეჟი“ ძმაბიჭების საძებრად გაესწრაფა!.. მაგრამ ვერავის პოულობდა – ვინ იცის, ვისთან ქუჩილაობდნენ ანდა რომელი სად იყო და რას აკეთებდა!..

იმ ნაშუალამევს შემთხვევით შემოყრილებს მობილური ტელეფონით ორიოდ სიტყვის გადარეკას დაუფიქრებელი დარდიმანდობით სთხოვდა, მაგრამ ყველა რაღაცას იმიზეზებდა და ფეხაჩქარებით შორდებოდა!

მარტო დარჩენილი გემოჩატანებით იგინებოდა და იხტიბარს მაინც არ იტეხდა: ცოცხით მოგვილი საძმაკაცოს ჯოგურ ურთიერთობას შეტკობილი, ქუჩა-ჩიხებში შებერტყილის ჟინმორევით დანონიალებდა...

* * *

მთვარე?

„მთვარეო?! – იკითხავს შეცბუნებული მკითხველი, – კი მაგრამ, აქ რა შუაშია მთვარე?“

ჰმმმ, აქ მთავარი მთვარეა!!!

ადამიანებისაგან იმედგაცრუებული, გაფითრებული მთვარე წალურჯო ცაზე გოგრასავით ეკიდა და ქვეყნიერებას შემადრწუნებელი გულგრილობით გადმოსჩერებოდა: დამლალა თქვენმა ურიგმარიგობამ!.. როდემდე და სადამდე?! არ იქნა თქვენი გამოსწორება!.. არადა, თავშიც ქვა გიხლიათ – რაც გინდათ, ისა ქენით!.. მე კი თავი დამანებეთ და ჩემზე ლექსების თხზვასაც შეეშვითო!..



რობერტ ნადირაძე

ბლაგოვივზრადის ქუჩის ლექსები

ფოტოს
შეხედე
ცას
მოელვარეს
შემთხვევით
გამვლელს
„მაგთი“-ს ოფისთან
სურათზე
სხვებიც
პოზიორობენ
ცრუ
წუთისოფელს
სტუმრობენ
ერთ დროს



ფოტო ფრიდონ ნიკოლაიშვილისა

ერნესტ ჰემინგუეის

ლეოპარდი კლიმანჯაროზე
ხოჭოა კარადაში
მანაც რთული გზა განვლო მწვერვალებისკენ
რას იპოვიდა
საცვალს მავანის
თეთრეულს და ორიოდ პერანგს

* რ. ნადირაძის პორტრეტი შესრულებულია მხატვარ მზია ხალვაშის მიერ.

* * *

გახსოვს მეზობლის
ის ორი ქალი
აქვე რომ ისხდნენ
აი იმ სკამზე
ერთი მათგანი
ნუხელ მომკვდარა
ხოლო მაღალი
ქალი შავებში
ვინც მასთან ერთად
აქ საუბრობდა
ადრე დამარხეს
სკვერს სადაც იყვნენ
მაღაზია გასდევს ჩრდილივით
სარკე ირეკლავს
იერს ამ სკვერის
ალბათ სიცოცხლეს
ახლა ვიფიქრე
ანარეკლია ამ ანარეკლის

* * *

ინასარიძის ქუჩაზე
ცხოვრობდა მამაჩემი
დათიკო ერქვა სახელად
ბოლოს შრომობდა პორტში
ერთ დღეს სიკვდილმა უნია
იყო წვიმა და თქეში
თვალწინ დაუდგა წარსული
ბლაგოვევრადის ხუთში
ჯიბლაძე ჰარი პეტია
ზავენი სიმა ფედო
ბარახოვიჩი ოლია
გამოეგებენ წამში
„კერასინკაზე“ იცხობა
თინას დაკრული ჭადი
კურიელა და ნატუტა
ორი შვილია მათი
სხვაგან არც მიესვლებოდა
აქაა მისი სახლი

* * *

როცა ჩავიარ იმ კედელთან
სად მზე ირეკლავს სითბოს
გამახსენდება ეზოს ბიჭები
საშა ედო და იგო...
ის კედელია სადაც დახვრიტა
დრომ საშა ედო იგო

* * *

მას გაუხარდა ცოცხალს მხედავდა
რალაც ბავშვური ლტოლვით მზირალი
რა უნდა მექნა უბანში ვდგავარ
გარშემორტყმული ჩემი წარსულით
ერთმა ახსენა არაგველები
წაგებულ ომში როგორ შევედით
თითქოს ამღერდა ლენარდ კოენი
კრიმატორიის კართან მდგომარი

* * *

ურეხში დევაძეებთან
ღვინო დავლიეთ წუხელ
უბნელის პატივისაცემად
ხსოვნის სალამო იყო
რთული ცხოვრებით იცხოვრა
უიღბლო იყო ძლიერ
შთამომავლობა არ დარჩა
ველარ აღიდგენს იერს
სადღეგრძელოთი შეესხა
ხორცი და ძვალი ისე
რომ დადის ახლა ბათუმში
ჯემალ დევაძე ისევ

ბია შანიძის ხსოვნას

ჩვენ ვსვამდით
 ისიც შემოგვესტუმრა
 კვირა რჩებოდა ამქვეყნიური
 ვთქვი სადღეგრძელო
 ალავერდი ვარ
 მეხმიანება ხმები გიტარის
 „როცა მოვკვდები
 არ დამიწყით
 იტალიური
 ინტურისტიდან
 დიდი ურმით
 გამომასვენეთ...“

აბვისტოს ომის ბახსენება

ჩემს ბავშვობაში სოფელში
 გადაკვეთათა დროთა
 ცხოვრობდა ორი მოხუცი
 ქალს პელაგია ერქვა
 საკარმიდამო მოვლილი
 დეკორაციას ჰგავდა

დღეში ათჯერ თუ თხუთმეტჯერ
 ჩვენ ჩავივლიდით სახლთან
 ვესალმებოდით მოხუცებს
 პასუხს ვიღებდით სწრაფად
 მახვილი პირველ ხმოვანზე
 ახლაც ჩამესმის ყურთან
 „გააგიმარჯოს“ გვეტყოდა
 კაცი ქალი კი დუმდა

8 აგვისტოა ვიხსენებ
 წიგნი მიჭირავს ხელში
 გუდიაშვილის ნახატი
 საფეხურები ცაში
 ოლონდ კიბეზე არავინ
 დამარცხებულთა მარში

* * *

ცეცხლი მიყვარსო
 მურმანი წერდა
 ეს იყო ადრე
 წინათ დიდი ხნის
 მეც შემყვარდა
 ოლონდ ეკალ-ბარდს
 დღეს მოდებია
 ცეცხლი სხვაგვარი
 ის ოცნებობდა თავისუფლებას
 საქართველოა თავისუფალი
 ოლონდ ის ცეცხლი
 რომელ გვიყვარდა
 ყოფილა ნატვრა
 აპოკალიპსის

* * *

მაზნიაშვილის ქუჩით მოვდიოდი
 დედას ხაჭაპური გამოეტანა...
 შვილს სთხოვდა ეჭამა ბიჭი უარობდა
 მეც გამახსენდა წარსული
 დედა რომ მთხოვდა ამგვარად
 რა სიყვარულიც სუფევდა
 ნეტა თქვენც გაგეზიარათ
 მაზნიაშვილიც ამ გრძნობით
 გენერლად გამოიზარდა
 როგორ თქვა
 ახლაც ამბობენ
 იმეორებენ ეთერშიც
 “მე ქართველის გენერალი ვარ
 სხვა სამსახური არ ვიცი”
 მოკლა მტერმა და მოყვარემ
 ომგამოვლილი მოხუცი

მარტოს უყვარდა შეტევა
 შავლეგოს ჯიშისა იყო
 „ვაჟკაცსა გული რკინისა
 აბჯარი ჰქონდა ხისო“

* * *

ადეცი ქუჩას გახედე
გამოიფხიზლე ანმყოში
ჩაიცვი თმა დაისველე
ადეკალონი შეისხი

გახამებული პერანგი
„ინსპექტორები“ ყვითელი
ტაქსში ჩაჯექი გაქანდი
გელოდებიან... არავინ

ვრჩები და არსად მივდივარ
ვრჩებოდი არ მოვდიოდი
აპრილის ოცდაშვიდია
და ორიათასთვრამეტი

* * *

უჩვეულო გამოხედვა
დავინახე შენი
მეც გავხედე არემარეს
თითქმის არაფერი
მანქანები სკვერი
ქუჩა მათხოვარი ერთი
არაფერი არაფერი
არაფერი მეტი
მხოლოდ ქალი მათხოვარი
ქუჩის კუთხეს მდგომი
ვისაც ეტლი ჩვილი ბავშვით
იქვე უდგას გვერდში

* * *

ინასარიძის ქუჩის მცხოვრები
მეზღვაურობდა ადრე
გათენებამდე იცის გამოსვლა
და საქმიანობს აქვე
დაქუცმაცებულ ლუკმებს გულდასმით
ხალიჩასავით გაფენს

გახედავ ქუჩას
და ფრინველები
ხედავ კენკავენ საკვებს
ასამდე მტრედი მაინც იქნება
და თოლიებიც ერთხელ
აიშლებიან შემდეგ ხმაურით
წავლენ სიკეთის მაცნედ

* * *

ბათუმის ბარში ლუდს ვსვამდით
სალამოს მე და უბნელი
ვლაპარაკობდით წარსულზე
რომ ვერაფერი შევძელით
ბარში მოზარდი შემოდის
გამოგზავნილი მშობელის
ყვავილებს ყიდის ყვავილი
არ უყიდია არავის
ენტუზიაზმი წაუხდა
დრო იყო ქესეტოვანი

ვუთხარი ყველა ქალისთვის
ერუქებიან ყვავილი
მოვიდა გასამრჯელოსთვის
მონაგები აქვს მრავალი
გასვლისას ბარმენს გახედა
წავიდა გახარებული
მე გამახსენდა რატომღაც
პარიზი და ფიროსმანი

სბრბ დბ ჰპრბლდ მპრფმბს

არაფერი შეედრება
ყოფნას ერთხელ ამ მიწაზე
ცა უსაზღვრო ჰორიზონტის
რომ გასქერი სივრცეს ზღვაზე
ამ ფერდობებს
მწვანე ქედებს
ბათუმისკენ მომზირალებს
უბნის სკვერში დაღამებას
გათენებას უბრწყინვალეს

* * *

„სად მივდივართო“
 „ვინ ვართო“
 „საიდან მოვეშურებით“
 იკითხა ერთხელ გოგენმა
 სხვაც კითხულობდა მრავალი

რაა ცხოვრება მითხარი
 ჩქარა პასუხი გამეცი
 გაჩნდი იყავი და მოკვდი
 ნახვედი როგორც მოხვედი

ჩამომითვალე თუ ძმა ხარ
 დედა ახსენე პირფვარი
 „ჯერ დედას გადავებხვევი
 ცოლი და შვილი შემდეგი...“

ახალგაზრდობის წამია
 მეტი რა არის მითხარი
 „მამა სასხლავით ვენახში“
 დის ერთგულება უღევი

სამშობლო დაუვიწყარი
 კოსმოსი ყოვლისმომცველი
 ცნობადი გამოუცნობი
 ჰორიზონტს მიღმა მდებარი

„სად მივდივართო“
 „ვინ ვართო“
 „საიდან მოვეშურებით“
 იკითხა ერთხელ გოგენმა
 სხვაც კითხულობდა მრავალი

* * *

რა კარგად მოიქცა რუსთაველი იერუსალიმში რომ წავიდა
 თუმცა სხვაგან არც მიესვლებოდა
 წარმოიდგინე როგორ დადის ქალაქში
 სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს
 ახლა ვიფიქრე რომ ყველა ჯვარცმა ტოლია
 ბევრი და ცოტა სიკეთესავით

მას ქრისტე ჰყავდა მაგალითად
 ხოლო ქრისტეს ყველა ცოდვილი
 ეს ასხვავებდა მათ
 ვით შეზღუდულ სივრცეს უსაზღვროება

ბრბ

ის ცოცხალია
 ძმაბიჭის დედა
 მარტოდმარტოა სევდით
 შვილი მოუკვდა
 დიდი ხანია
 არავინა ჰყავს გვერდით
 ალბათ ჰგონია
 რომ დაგვაწინყდა
 არა ჩვენ გვახსოვს იგი

წუხელი ვსვამდით
 თვალში დაგვაკლდა
 „შეზოფრენიკი“ ერთი
 ალბათ ჰგონია
 რომ დაგვაწინყდა
 არა ჩვენ გვახსოვს იგი

იყო შემთხვევა
 სავადმყოფოსთან
 როგორ ატირდნენ ორნი
 ალბათ ჰგონიათ
 რომ დაგვაწინყდა
 არა ჩვენ გვახსოვს ორნი

ქუჩაში ბავშვი გადაარჩინა
 დედა მადლობას უხდის
 ალბათ ჰგონია რომ დაგვაწინყდა
 არა ჩვენ გვახსოვს იგი

ზამთარი წავა და გაზაფხულზე
 ისევ იელვებს კვირტი
 აყვავილდება ისევ ქვეყანა
 ვილაცა მაინც იტყვის
 „ალბათ ჰგონია რომ დაგვაწინყდა
 არა ჩვენ გვახსოვს იგი“

ეპიტაფიის მბზიმე

მეზობელი სახლის სადარბაზო მოხატული იყო
 ძველი შენობა
 ბავშვობაში ხშირად ვუყურებდი
 ერთხელ გადაღებილი დამხვდა
 იმიტომ არ გადაულეზავთ რომ სძულდათ
 დაფარეს რადგან სიყვარული მათ ვერ შეიძლენ
 და ვფიქრობ ახლა
 ცხოვრებიდან ვინც კი წავიდა
 თავი დაფარა იმავ მიზეზით

* * *

მართლაც ვარსკვლავები განაგებენ
 ადამიანის ბედს
 მაგალითად შარშან სხვანაირი
 მოგცევა გვექონდა
 მაშინ ვიფიქრე ვიცი ფორმულა
 წელს ჩემ ცხოვრებას გავიიოლებ
 ერთი უბრალო ყოფა ავილოთ
 ღია კაფესი კონცხის შემყურე
 იქიდან გემნი ნავით ტვირთულნი
 ეშურებიან სხვა ნავსადგურებს
 სად წლევანდელი მდგმურთა მოქცევა
 ვერ იმეორებს ქცევებს უწინდელს

* * *

იყო პოეტი ვინმე პაუნდი
 სიბერის ჟამზე იმოგზაურა
 თურმე წარსულში
 განცვიფრებული უყურებდა
 ჯოისის საფლავს
 შეუჭამია სარეველას თურმე
 საფლავი
 რამ განაცვიფრა პაუნდი იცი
 იმდენი ომი გადახდა ჯოისს
 იმდენი ტონა სიმძიმე აწვა
 ანთეოსივით იჭერდა მყოფადს
 ამის სანაცვლოდ კი დავინყება

* * *

There was a certain poet Pound
 Turns out he travelled to the past
 In his old oge
 Spellbound he beheld the grave of Joyce
 The weeds had eaten the grave
 It twists
 What bewildered Pound you know
 So many struggles Joyce had been through
 So much burden did he shoulder
 Catching the present like Antheos
 And instead only oblivion

Translatted bu S. Kocharadze

* * *

კაფეში ვზივარ ზღისპირას
 ღვინოს ვსვამთ უბნის ბიჭები
 შენ მიყურებდი შორიდან
 დაქალის გვერდით იჯექი
 არ მინდა ახლა არ მითხრა
 მოვკვდები მაშინ მითხარი

ღამეა ზღვაში ლივლივებს
 წარსული სილუეტები
 როცა სუფრიდან ადექი
 მე ვითომ უბნელს ვუსმენდი
 არ მინდა ახლა არ მითხრა
 მოვკვდები მაშინ მითხარი

ვიხსენებ არ მავინწყდება
 შემთხვევა ძველი ამბავი
 სიყვარულისთვის რაც ვარგა
 ამქვეყნიური არ არი
 ნუ მეტყვი ახლა არ მითხრა
 მოვკვდები მაშინ მითხარი

* * *

В кофе сыжу у пристани
 С друзьями пью вино
 Была и ты сподругою
 Смотрела в даль в упор
 Не говори не нужно мне
 Умру скажи потом

Стемнело в небе молниями
 Сверкает что пройдет
 Ты встала посмотрела вдруг
 А Я какбуто слеп
 Не говори не нужно мне
 Умру скажи потом

В спомнится незабудется
 Старинная печаль
 Любовью унесенные
 Живут вдали от нас
 Не говори не нужно мне
 Умру скажи потом

თარგმანი ჩემია

ჰიუ ბრედინი ბელფესტის ქუინსის უნივერსიტეტში უფროსი მასწავლებელია – სქოლასტიკური ფილოსოფია. ამასთანავე, იგი ლიბერატო სანტორო-ბრიენზასთან ერთად თანაავტორია წიგნისა Philosophies of Art and Beauty.

მითითებულ ლიტერატურას (ავტორების ჩათვლით) უცვლელად ვტოვებ, რადგან ვფიქრობ, დაინტერესების შემთხვევაში მკითხველს გაუადვილდება ლიტერატურის ან ავტორის შესახებ ინფორმაციის მოძიება.

მთარგმნელი

ხელოვნების შუა საუკუნეების თეორია

ჩვენი წელთაღრიცხვით VI საუკუნის ორი მონინავე სწავლული და მოაზროვნე, ბოეციუსისა და კასიოდორუსის სახით, ხშირად მიიჩნევიან იმ კლასიკური კულტურის უკანასკნელ წარმომადგენლებად, რომელიც სწრაფად მიიღია მეექვსე საუკუნის დასავლეთ ევროპაში. ლათინურ დასავლეთში ე.წ. 'შუა საუკუნეების' პერიოდი შესაძლოა, განისაზღვროს როგორც დაახლოებით ცხრა საუკუნე 600-1400 წლებს შორის. თუმცა, ხელოვნების შუა საუკუნეების თეორიამ სერიოზული სახე VIII საუკუნის დასასრულს მიიღო, როდესაც შუა საუკუნეების დასავლეთის ისტორიაში პირველად კაროლინგელმა სწავლულებმა (მათ კაროლინგელებს უწოდებდნენ იმპერატორ კარლოს დიდთან (Charlemagne) კავშირის გამო) დაიწყეს ვიზუალური ხელოვნების ბუნებისა და ფუნქციის დეტალური შესწავლა.

შუა საუკუნეების მოაზროვნეები საკმაოდ განიცდიდნენ ბერძენ და რომაელ წინაპართა გა-

ვლენას. ესთეტიკისა და ხელოვნების თეორიის შემთხვევაში, უმთავრესი ცნებები და თეორიები პითაგორასგან, პლატონისგან, ნეოპლატონიკოსებისგან (პლოტინე და ფსევდო დიონისე), ავგუსტინესგან და ვიტრუვიუსისგან მიიღეს მემკვიდრეობით. თუმცა, ყოველი იდეა ამ წყაროებიდან, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ქრისტიანული წარმომავლობის, სწორედ შემდგომ პერიოდში მიიღო ქრისტიანული შეფერილობა.

გარდა ამისა, რამაც გავლენა იქონია და რაც ხშირად უგულვებელყოფილია, ესაა კლასიკური შენობებისა და არტეფაქტების ფიზიკური გადაჩენა, განსაკუთრებით იტალიასა და ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიებზე და ის უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭირო იყო მათ შესაქმნელად. ყოველივე ეს პერიოდულად ექვემდებარებოდა განახლებას ბიზანტიუმთან კონტაქტის მეშვეობით, ხოლო მოგვიანებით ისლამის თანასწორად მშვენიერ ცივილიზაციასთან კონტაქტის შედე-

გად. საბოლოო გავლენა, რაც საკმაოდ განსხვავებული იყო, მომდინარეობდა იმ არტისტული მოტივებიდან, რომლებიც ბარბაროსი დამპყრობლების ტალღებმა შემოიტანა კლასიკურ სამყაროში მეხუთე საუკუნიდან.

პითაგორელები პირველები იყვნენ, რომელთა აზრით მთელს ბუნებას, ხელოვნების ნაწარმოებების ჩათვლით, გააჩნდა მათემატიკური სტრუქტურა. ამ შეხედულებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა შუა საუკუნეებში, რადგან იგი შესატყვისობაში იყო ღმერთის შესახებ ქრისტიანულ წარმოდგენასთან, რომ სამყაროს შემქმნელი უაღრესად რაციონალური და გონების წყარო იყო. ასევე, ეს შესაბამისობაში იყო ქრისტიანობის იუდაიუსტურ ფესვებთან, *სიბრძნის წიგნში* (11:21) ჩვენ ვკითხულობთ, რომ ღმერთმა 'ყოველივე მოაწესრიგა ზომით, რიცხვითა და წონით'. ამდენად, ღმერთი იყო პირველი და საუკეთესო შემოქმედი, დედამიწისა და ცათა მრავალფეროვნებისა და მშვენიერების შემქმნელი. შემოქმედი ადამიანები ღმერთის ანალოგიური საქმიანობით იყვნენ დაკავებული, და ისევე იყენებდნენ საკუთარ გონებას შემოქმედებისას, როგორც ღმერთი საკუთარს.

თუმცა, შემოქმედი ადამიანები არ იყვნენ ღმერთის, როგორც უზენაესი შემოქმედის, ტოლი. ადამიანთა მიერ შექმნილი ხელოვნების ნაწარმოებები დაბალი ხარისხისა თუ შეზღუდული ადამიანური აზროვნების შედეგი იყო, და ამდენად, გაცილებით დაბლა მყოფი ონტოლოგიურ წესრიგში, ვიდრე თავად ნატურალური ობიექტები. ეს შეხედულება შესატყვისობაშია იმასთან, რაც შუა საუკუნეების ადამიანებმა ამოიკითხეს პლატონში, რომლის აზროვნებამ თავისი მედიატორული სახით წმ. ავგუსტინესა და ნეოპლატონიზმის მეშვეობით დიდი როლი ითამაშა შუა საუკუნეების აზროვნებაზე.

განსაკუთრებით ფსევდო დიონისეს ნეოპლატონიზმმა იქონია უდიდესი გავლენა შუა საუკუნეების ფილოსოფიასა და თეოლოგიაზე, XIII სა-

უკუნეში არისტოტელიანური აღორძინების დროსაც კი (მაგალითად თომა აკვინელი იმდენად იყო პლატონიკოსი, რამდენადაც არისტოტელიანელი). პლოტინე ხელოვნებას გაიაზრებდა, როგორც უხილავი სამყაროს მშვენიერისა და ჭეშმარიტების გადმოცემის თუ აღბეჭდვის საშუალებას ხილულ ფორმაში. ხელოვნების ნაწარმოები იყო ხელოვანის ცოდნისა და გაგების ტრანსლაცია მატერიალურ წესრიგში, რომლებიც გადმოედინებოდა *Anima mundi*-დან და უმთავრესად იმ *ერთისგან*, რომელიც არსებობის მიღმაა. შევცვალოთ პლოტინეს 'ერთი' 'ღმერთად', და ჩვენ მივიღებთ მეხუთე საუკუნის ფსევდო დიონისეს ქრისტიანულ ნეოპლატონიზმს. კვლავ და კვლავ, მთელს შუა საუკუნეებში, რა ეჭვებითაც არ უნდა ყოფილიყო მოცული ხელოვნება ასკეტიკოსებისა და რიგორისტების მიერ, მისი დაცვა მდგომარეობს იმ შეხედულებაში, რომლის თანახმადაც ხელოვნების მშვენიერი და ბუნების მშვენიერი მთლიანია და ორივე მათგანის მშვენიერი შეგრძნებებისთვისა და ინტელექტისთვის წარმოადგენდა ღვთაებრივი მონესრიგებულობის რეველაციას.

ხელოვნების ბუნების შესახებ ეს თეორია განმტკიცდა თავად ვიზუალურ ხელოვნებაში არსებული განვითარებების შედეგად. უკვე პრე-ბიზანტიურ ხელოვნებაში გაჩნდა ვიზუალური პოეტიკა, რომელიც გამოსახულებებს გაიგებდა, როგორც იდეალურის პრეზენტაციას, სულის უცვლელი სამყარო საფუძვლად უდევს გამოვლინებებს¹. რამდენადაც ამ მიმდინარეობამ შეიძინა სიძლიერე, პერსპექტივა და რეალისტური კოლორიტი, რაც თანდათანობით უარყოფილი იქნა ხისტი, უძრავი და მოელვარე ფერებით. ხსენებული განვითარება კარგად მოერგო ქრისტიანული იკონოგრაფიის მოთხოვნებს და მის ტიპურ გამოხატვას წარმოადგენდა მოზაიკა. VI საუკუნისთვის, ვიზუალური ხელოვნების როლი აღარ იყო ფიზიკური მშვენიერის წარმოდგენა, არამედ სულიერი ცხოვრების პიქტორიული თუ სკულპტურული ანალოგიების ძიება.

¹ Appearance – გარეგნული მხარე, გამოვლენა, გამოვლინება, მოვლენა

კაროლინგური რენესანსი

კაროლინგული რენესანსი უკვე დაწყებული იყო, კარლოს დიდის (Charlemagne) კორონაციამდე, ჩვენი წელთაღრიცხვით 800 წელს. კარლოს დიდს, უზარმაზარი ბარბაროსული იმპერიის მმართველს, დასავლეთში კლასიკური ცივილიზაციის აღდგენა სურდა, და ამ მიზნით თავის გარშემო შემოიკრიბა იმ დროის მონინავე ლათინი (ე.ი. დასავლელი) მეცნიერები. იმ პერიოდის ერთ-ერთ ნაშრომში, რომელიც ცნობილია როგორც *Libri Carolini* და რომლის ავტორიც უცნობია, დეტალურადაა განხილული ვიზუალური ხელოვნების ბუნება და ფუნქცია. ამის(თვის) უშუალო იმპულსს წარმოადგენდა ხატმებრძოლური მიმდინარეობა აღმოსავლეთში.

ხატმებრძოლობა მიზნად ისახავდა რელიგიური გამოსახულებების განადგურებას, აღმოცენდა ბიზანტიური იმპერიისთვის დამახასიათებელი სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და რელიგიური დაძაბულობების კომპლექსური კომბინაციის შედეგად და უნდა ჰქონოდა ხანგრძლივი (ზე)გავლენა ვიზუალური ხელოვნების შემდგომ ისტორიაზე იუდაიზმსა და ისლამში. ქრისტიან ხატმებრძოლებს გააჩნდათ ორი ფუნდამენტური შეხედულება: პირველი – სათაყვანებელი რელიგიური გამოსახულებების ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა კერპთაყვანისმცემლური იყო (იმ დროს პაგანიზმის მეტალური ჩვეულებანი კვლავ პრევალენტური იყო და ზოგჯერ კერპთაყვანისმცემლობის ბრალდება გამართლებული იყო), და მეორე – თავად ღმერთის ან ღვთაებრივის რაიმე ასპექტის რეპრეზენტაციის მცდელობა, როგორც ვიზუალური გამოსახულებისა, მკრეხელობად ითვლებოდა, რადგან იგი ღმერთს შეურაცხყოფდა იმით, რომ მის ბუნებას მატერიალური ფორმით წარმოადგენდა. მიუხედავად იკონოფილების მიმართ იოანე დამასკელის წინააღმდეგობისა, მთელს VIII და IX საუკუნეში ხატმებრძოლობა საკმაოდ ძლევამოსილი იყო, როგორც კონსტანტინოპოლში, ისე იმპერიაში და მისი ერთ-ერთი შედეგი ბიზანტიური რელიგიური ხელოვნების თითქმის ტოტალური განადგურება იყო.

ხატმებრძოლობას არ ჰქონია რაიმე პრაქტიკული გავლენა დასავლეთში; ადამიანები არ იყვნენ დაკავებულნი რელიგიური გამოსახულებების მოსპობით. მიუხედავად ამისა, მისი ინტელექტუალური იმპულსები განიცდებოდა და პაპები თანმიმდევრულები იყვნენ მიმდინარეობის დაგმობაში, მათ მთავარ საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ გამოსახულებები მორწმუნეთა გონებაში ეფექტურად აყალიბებდა იმ რეალობების ღვთისმოსავ კონტემპლაციას, რომლებსაც გამოსახულებები აღნიშნავდნენ. გარდა ამისა, ჩვენი წელთაღრიცხვით 787 წელს, ნიკეის მეორე კრებამაც დაგმო იგი. თავად კარლოს დიდი (Charlemagne) არ იყო დაკავებული პაპების დაწყნარებით ან კრებებისთვის ანგარიშის განევით და იგი მხარს უჭერდა ხატმებრძოლობას გამოსახულებებისადმი მოკრძალებული დამოკიდებულების პრაქტიკის დაგმობის საზღვრებში. მიუხედავად იმისა, რომ *Libri Carolini*-ს ავტორების ამოცანა ნიკეის კრების კრიტიკა და უარყოფა იყო, რომელსაც ისინი დიდი გულმოდგინებით ახორციელებდნენ, მოახდინა რელიგიური ხელოვნებისთვის ქმედითი აპოლოგიის ფორმულირება.

პირველ რიგში, მათი დასკვნა იყო ის, რომ შეგრძნებებისმიერი სამყარო, მათ შორის ვიზუალური რეპრეზენტაციები, თავისი არსით ღირებულია. შესაძლოა, იგი სულის უხილავ სამყაროზე დაბლა მდგომია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღმერთის მიერაა ბოძებული და არ უნდა იყოს უარყოფილი ან განადგურებული. მეორე – ხელოვნებას აქვს ის დონე, რასაც ჩვენ დღეს ვუნოდებდით ავტონომიას. ეს ნიშნავს იმას, რომ რეპრეზენტაცია შესაძლოა, ყოფილიყო კარგი ან ცუდი, როგორც რეპრეზენტაცია, მაშინაც კი, თუ ის გამოხატავდა უზნეობასა და სიცრუეს.

პირველ რიგში, მათი დასკვნა იყო ის, რომ შეგრძნებებისმიერი სამყარო, მათ შორის ვიზუალური რეპრეზენტაციები, თავისი არსით ღირებულია. შესაძლოა, იგი სულის უხილავ სამყაროზე დაბლა მდგომია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღმერთის მიერაა ბოძებული და არ უნდა იყოს უარყოფილი ან განადგურებული. მეორე – ხელოვნებას აქვს ის დონე, რასაც ჩვენ დღეს ვუნოდებდით ავტონომიას. ეს ნიშნავს იმას, რომ რეპრეზენტაცია შესაძლოა, ყოფილიყო კარგი ან ცუდი, როგორც რეპრეზენტაცია, მაშინაც კი, თუ ის გამოხატავდა უზნეობასა და სიცრუეს.

მესამე – მიუხედავად ყველაფრისა, ხელოვნებას ჭეშმარიტება უნდა გამოეხატა. რამდენადაც, ხელოვნების ნაწარმოები შესაძლოა, ყოფილიყო კარგი თავისი ფორმით, მაგრამ ცუდი თავისი კონტენტით: კარგი, რეპრეზენტაციონალური სრულყოფის გამო, ცუდი – წარმოდგენილი ობიექტის გამო.

არ იქნებოდა მიზანშეწონილი იმის თქმა, რომ ამ შემთხვევაში ავტორები ერთმანეთში ურევდნენ ესთეტიკურსა და მორალურ ღირებულებებს. შუასაუკუნელები უალრესად განიცდიდნენ ავგუსტიანული პლატონიზმის გავლენას, მათი მოსაზრებით სრულყოფილების ყოველი ფორმა საბოლოო ჯამში ერთიანდება ყოფიერების ტრანსცენდენტულ სრულყოფაში. ყოველი ღირებულის ერთიანობის რწმენა იყო ერთგვარი საჭრისი, რომელიც ფორმას აძლევდა მათ არტისტულ და ესთეტიკურ მსჯელობებს. არტისტული უგვანობა შესატყვისობაში იყო მთლიანობასთან, იმისდა დამოუკიდებლად, იყო თუ არა მისი უშუალო წყარო არასრულფასოვანი ან სიცრუე.

ამას გარდა, კაროლინგელები მსჯელობდნენ ხელოვნების სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფუნქციებზე, მათი მოსაზრებით ეს იყო სამი: პირველ რიგში, მას ჰქონდა საგანმანათლებლო როლი, ბიბლიაში არსებული შემთხვევებისა და წმინდანების ცხოვრების ვიზუალური რეპრე-

ზენტაციის სახით, რომელიც წარმოადგენდა წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობისთვის ინსტრუქციის მეთოდს. მეორე – ისინი ითავსებდნენ სულიერი ცხოვრების მუდმივ შეხსენებას, კაცობრიობის საბოლოო მიზანსა და ხვედრს. მესამე – ისინი თავიანთი მშვენიერებით ამკობდნენ ღმერთის სახლს.

მთელს შუა საუკუნეებში ამ სამმა ფუნქციამ დააფუძნა ვიზუალური ხელოვნების გამართლების სტანდარტი. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი მათგანი უშვებს ხელოვნებასა და რელიგიას შორის მჭიდრო კავშირს შინაარსის, ლოკაციისა და მიზნის თვალსაზრისით. გაცილებით ინსტრუმენტალისტული გზა ამის ფორმულირებისთვის იქნებოდა იმის თქმა, რომ რელიგიისთვის ხელოვნება ძირითადად მისი სასარგებლოობის გამო იყო ღირებული. თუმცა უნდა გავიხსენოთ, რომ მშვენიერისა და ჭეშმარიტების ასიმილაცია შეთავსებადი იყო ღირებულებების შუა საუკუნეების ონტოლოგიასთან. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ამას ნეოპლატონისტები ამბობდნენ, ხელოვნების არსობრივ ბუნებას წარმოადგენდა ის, რომ იგი გრძნობით ფორმაში ქმნის ღვთაებრივი მშვენიერის ასახვას. ჩვეულებრივი რამ იყო ის, რომ ხელოვნება უნდა გამოვიყენოთ ღვთაებრიობის თაყვანისცემის სამშვენიისად, რომლის მშვენიერი გაბრწყინდება მასში.

ვიტრუვიუსის გავლენა

ვიტრუვიუსმა (ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნე) დაწერა საკმაოდ ცნობილი ნიგნი არქიტექტურაზე, რომელმაც არსებითი გავლენა იქონია ხელოვნების შუა საუკუნეების ხელოვნებაზე, როგორც კაროლინგულ პერიოდში, ისე შემდგომ. (მისი *De Architectura*-ს ორმოცდაათზე მეტი ხელნაწერი გადარჩა). შუა საუკუნელებისთვის ვიტრუვიუსი კონვენიალური იყო რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, იგი არქიტექტურას გაიაზრებდა უნივერსალურ ხელოვნებად, რომელიც მოიცავს ხელოვნების ყოველ სხვა ფორმას, და მართლაც, ყოველ ადამიანურ

განსწავლულობას აერთიანებს თავისი ფრთის ქვეშ. ეს, შუა საუკუნელებისათვის იყო ერთ-ერთი გზა ღმერთის სახლში ყოველი ხელოვნების თავმოყრის თავიანთი პრაქტიკის დაფუძნებისა: ფერწერა, ქანდაკება, ქვაზე მუშაობა, ხეზე მუშაობა, რკინაზე მუშაობა, ვიტრაჟი, მუსიკა, საღმრთო წერილის პოეზია, სამოსელისა და საკრალური ჭურჭლის მრავალფეროვნება, შემდგომ საუკუნეებში თეატრიც კი. ეკლესია იყო მთავარი საჯარო შენობა შუა საუკუნეების ევროპაში, ყოველი ხელოვნება თავს იყრიდა მათი თაღების კონსტრუქციაში, არა მხოლოდ ღმერთის დიდე-

ბის შესამკობად, არამედ გამოსატავდნენ რწმენა-წარმოდგენებს და ეს (ზე)გავლენას ახდენდა როგორც საზოგადოების მგრძნობელობაზე, ისე ქრისტიანულ სამყაროზე.

გარდა ამისა, ვიტრუვიუსი წერდა არქიტექტურული სიმეტრიის მათემატიკურ საფუძველზე და ზოგადად, შენობისთვის გეომეტრიის მნიშვნელობაზე. ეს კიდევ ერთხელ ამყარებდა შუა საუკუნეობრივ წარმოდგენას, რომ არსებობდა რაციონალური, მათემატიკური მონესრიგებულობა ხილულ სამყაროში. ვიტრუვიუსის მტკიცებით, იგივე მათემატიკური მონესრიგებულობა ედო საფუძვლად ადამიანურ სხეულს, რომელიც შესაძლოა, მიღებული ყოფილიყო როგორც არქიტექტურის მოდელი. თავი იყო სხეულის სიმაღლის ერთი მერვედი, ფეხი ერთი მეექვსედი, ხელი ერთი მეოთხედი. 'სხვა კიდურებს აქვთ თავიანთი პროპორციული ზომები. და მათი გამოყენებით ანტიკური მხატვრები და ცნობილი მოქანდაკეები სახელს ითქვამდნენ' (Vitruvius, III, 1). ასევე არქიტექტურაშიც, მათემატიკური ურთიერთმიმართებები ნაწილებს შორის არსებითი იყო მათი კონსტრუქციისთვის.

ამ შეხედულებებმა რეზონანსი წარმოქმნა შუა საუკუნეების კოსმოლოგიაში ერთ-ერთ ნეოპლატონურ ელემენტთან, შეხედულება რომლის თანახმადაც შექმნილ სამყაროში ყველაფერი სტრუქტურულად ანალოგიური იყო ყოველივესთან. მიკროკოსმოსი და მაკროკოსმოსი, ნაწილი და მთელი, დედამინა და ცა, სულიერი და უსულო, ყოველივე ეს გადაჯაჭვული იყო

ყოველი საგნის უნივერსალურ ანალოგიასთან. ამდენად, ადამიანურ სხეულთან ანალოგიური პოლიტიკური მონესრიგებულობის კონსტრუქცია, როგორც ეს გვხვდება იოანე სოლსბერის *Policraticus*-ში, ან ადამიანურ სხეულთან თავისი შინაგანი სიმეტრიებით ანალოგიური კათედრალის კონსტრუქცია, ან მხატვრობისა და ქანდაკებების კონსტრუქცია, რომლებიც მისდევენ სწორ მათემატიკურ პროპორციებს, ყოველივე ეს წარმოადგენდა იმის უზრუნველყოფას, რომ რასაც ადამიანები აწარმოებდნენ შესატყვისობაში იყო უნივერსალურ, და ბუნების წესრიგის ლეტაებრივ(ად) მონესრიგებულობასთან. ხელოვნება ყოველთვის თანხვედრაში უნდა იყოს ბუნებასთან, რაც შუა საუკუნეების სტანდარტულ შეხედულებას გამოსატავს, როგორც ამას აკვინელი ამბობს: *Ars imitatur naturam in sua operatione* [ხელოვნება ჰბაძავს ბუნების მოქმედებას?] (*Summa Theologiae*, I, 117, 1c).

IX საუკუნეში წარმოქმნილი ხელოვნებისა და ესთეტიკის თეორია თავისი ძირითადი პრინციპებით შეუცვლელი დარჩა შუა საუკუნეების დარჩენილი პერიოდისთვის. თუმცა, დრო და დრო, სხვადასხვა მოაზროვნე და აზროვნების სხვადასხვა სკოლა, დეტალურად იკვლევდა მის სხვადასხვა ასპექტს. საბოლოო ჯამში, ამან წარმოქმნა ხელოვნებაზე და მშვენიერზე შექმნილი თხზულებების ფართო კრებული, რომელთა უმეტესობამ თავი დააღწია გაურკვეველობას და რაც განხილულია ედგარ დე ბროინის მონუმენტურ *Etudes d'esthétique médiévale* (1946).

კლუნური რეფორმა

კაროლინგული რენესანსი ვერ გადარჩა IX საუკუნის შემდგომ. საუკუნის დამთავრებამდეც კი, ფართოდ გავრცელებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ განაპირობა კაროლინგული ინტელექტუალების მიმოფანტვა და კულტურული ცხოვრების იმპულსის სერიოზული დაკარგვა. თუმცა, ბენედიქტელთა

მმართველობისას 910 წელს კლუნში, ბურგუნდიაში დაარსდა ახალი მონასტერი, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა უნდა ჰქონოდა განათლების პრეზერვაციასა და ხელოვნებაზე. მისი იდეალები, განსაკუთრებით, მისი ვალდებულება მლოცველის ცხოვრების, მსახურებისა და განათლების წინაშე, აბატთა შესანიშნავი გუ-

² Activity – აქტივობა, საქმიანობა, მოქმედება.

ნდის მეშვეობით გავრცელდა მთელს დასავლეთ ევროპაში, გავლენამ ჰოლანდიაში და შოტლანდიაშიც კი მიაღწია, რამაც მონასტრული სახლების თავისუფალ კონფედერაციაში – თავისი აღმავლობისას ათასზე მეტი – გამოიწვია ე.წ. *Ordo cluniacensis* დაფუძნება. ამასთანავე, მისი გავლენა გავრცელდა სხვა ბერმონაზონთა ორდენზე და ზოგადად, რელიგიურ ცხოვრებაზე.

საბოლოო ჯამში, კლუნიურმა მიმდინარეობამ განაპირობა ფართო მასშტაბით ახალი ეკლესიების აშენება, ყოველი მათგანი რომანულ სტილში. ამასთანავე, კლუნიელმა ბერებმა ააღორძინეს ეკლესიების შემკობა სკულპტურებით; თავდაპირველად ეს ხასიათდებოდა რეპრეზენტაციის სტატიკური, კონტექსტისგან თავისუფალი სტილით, რომელიც გამოიყენებოდა ილუმინირებულ ხელნაწერებში, თუმცა მოგვიანებით სამგანზომილებიანი რეალიზმის უმაღლეს ხარისხს მიაღწია. ამასთანავე, მათ თავიანთ სკულპტურებში რიცხვების ერთგვარი მისტიციზმი შეიტანეს. ამდენად, შესაძლებელია ისეთი სკულპტურული განლაგების აღმოჩენა, რომელიც რიცხვ ოთხზეა დაფუძნებული: ოთხი მახარებელი, ოთხი კარდინალური სათნოება, სამოთხის ოთხი მდინარე, ოთხი სეზონი. შუა საუკუნეებს მიდრეკილება ჰქონდათ ამგვარი სახის შეზღუდვების გამოყენებისადმი – ამასთანავე, გეომეტრიული შეზღუდვები, როგორცაა ფრესკის ან ბარელიეფის კვადრატზე, სამკუთხედზე ან ნახევრად წრიულ სივრცეზე მორგება და დიდად აფასებდნენ იმ ვირტუოზულობას, რომელსაც მათზე მუშაობა მოითხოვდა.

გარდა ამისა, ამ დროისთვის შუა საუკუნის ხელოვნებმა დაიწყეს ვიზუალური სიმბოლოების ვრცელი არსენალის სერიოზული განვითარება. ცხოველები, ყვავილები, მწერები, ჩიტები და მცენარეები აღნიშავდნენ კონკრეტულ პიროვნებასა და შემთხვევას, სათნოებასა და მანკიერებას, იგავებსა და თქმულებას საღმრთო წერილიდან. მტრედი აღნიშნავდა ნოეს, მშვიდობას, სული წმიდას, განწმენდას. კრავი აღნიშნავდა ქრისტეს და წმ. აგნიას. ნარშავი აღ-

ნიშნავდა ამქვეყნიურ მწუხარებას, ვაზის ღერო ღმერთის ეკლესიას. წმ. პეტრე წარმოდგენილია გასაღებებით ან თევზით, წმ. პავლე – ხმლით ან საკუთარი ეპისტოლოების გრაგნილით. მართლაც, ეს საკმაოდ ვრცელი იკონოლოგია იყო, რომელმაც ყოველი სახის ქმნილებას, დედამიწასა და ცას (ღრუბლები სიმბოლიზებდა უხილავ ღმერთს), არტეფაქტებს, ფერებს, ასოებს, რიცხვებს, სამოსის სტილს, ფორმებსა და ყველაფერ იმას, რაც შეიძლებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო ვიზუალურად, მიანიჭა სიმბოლური ღირებულება.

ვიზუალური სიმბოლიზმის გამოჩენა შეიძლება აიხსნას ორი ფაქტორით. პირველი იყო შუა საუკუნეობრივი შეხედულება, რომელიც უკვე ვახსენეთ ყოველი საგნის უნივერსალური ანალოგიის სახით. ამ ასპექტით, არაფერია იმაში უცნაური, რომ არსებობს მსგავსება მცენარესა და სათნოებას, მტრედსა და წმინდანს, ფერსა და ემოციას შორის. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, აღმნიშვნელები არა პირობითი, არამედ მოტივირებული იყო. ეს გაიაზრებოდა 'ნატურალურ' ენად და არა შიფრების კონგლომერაციად, რომელთა გაშიფვრა მხოლოდ იმათ ხელეწიფებოდათ, ვინც მათ მნიშვნელობას შეისწავლიდა. მეორე ფაქტორი, შუა საუკუნეების დროის გათვალისწინებით, მდგომარეობდა იმის საჭიროებაში, რომ ვიზუალური ხელოვნება მისაწვდომი და გასაგები ყოფილიყო ყველასათვის. იგი გამიზნული იყო სწავლებასა და განათლებაზე, და ვიზუალური სიმბოლოები მოსახლეობას სახელწოდებაზე გაცილებით უკეთ ინფორმირებდა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა გამოსახულებაზე და რა მორალური კანონი ან დოგმა იყო წარმოდგენილი ან რა მორალური კანონის ან დოგმის შესწავლა შეიძლებოდა მისგან.

ნებისმიერ შემთხვევაში, ვიზუალური სემანტიკა ღრმად იყო ფესვგადგმული კულტურულ რწმენა-წარმოდგენებსა და შუა საუკუნეების პერიოდის იმპერატივებში და ეს საკმარისად მტკიცე აღმოჩნდა იმისათვის, რომ გაგრძელებულიყო ამ პერიოდის შემდეგ რენესანსის

ქრისტიანული ხელოვნების მეშვეობით. თუ შევეცდებით ამ ხელოვნების აღქმას იმ ვიზუალური იკონოლოგიის ცოდნის გარეშე, რომელსაც ის მოიცავს, მხედველობიდან გამოგვრჩება მისი

არსებითი მახასიათებლები და ვერ შევძლებთ შემოქმედებითი წარმოსახვის კონტაქტის დამყარებას იმ ადამიანების გრძნობებისადმი, ვისთვისაც იგი იყო გამიზნული.

მათორმატე საუკუნის რენესანსი

შუა საუკუნეების სპეციალისტები ზოგჯერ 'მეთორმატე საუკუნის რენესანსზე' საუბრობენ და ფაქტობრივად, დასავლეთ ევროპაში ეს უაღრესად შემოქმედებითი პერიოდი იყო. ეს პერიოდი მომსწრე იყო სკოლების აღმავლობის ხანისა, რომელიც მალევე განვითარდა უნივერსიტეტებში³, დააჩქარა ანტიკური ტექსტების აღდგენა და თარგმნა, გამოიკვეთა ფილოსოფიასა და თეოლოგიას შორის დივიზია და ყოველგვარი ცოდნის სისტემატიზაციის მძლავრი იმპულსი. არქიტექტურაში და მასთან ასოცირებულ ხელოვნებაში გამოიკვეთა რომანული სტილის გოთიკით ჩანაცვლება. ხელოვნების თეორიასა და ესთეტიკასთან დაკავშირებით, XII საუკუნის სამი მნიშვნელოვანი სკოლა უნდა დავასახელოთ: ვიქტორიანელების, შარტრისა და ცისტერციანელების სკოლები.

წმ. ვიქტორის ავგუსტიანული სააბატო მდებარეობდა პარიზის გარეთ, წარმოადგენდა ჰუგო სენ ვიქტორიანელისა და რიშარ სენ ვიქტორიანელის მშობლიურ მიწას. ორივე მათგანი ნეოპლატონურ ტრადიციას მიეკუთვნება, რომელიც მიზნად ისახავდა შეუფერხებელ და უწყვეტ მოძრაობას ადამიანურ გამოცდილებაში, დაწყებული მატერიიდან, დამთავრებული სულითა და ღვთაებრიობის გამოუთქმელობით, ამ ყველაფერს კი ოქროს ძაფით გასდევდა მშვენიერი. რიშარ სენ ვიქტორიანელმა დეტალურად შეისწავლა სულის აღმავლობა *admiratio rerum*-იდან მისტიკური ეგზალტაციის უკიდურეს მდგომარეობამდე. ჰუგო სენ ვიქტორიანელი უფრო მეტად მატერიალური მშვენიერის

ანალიზზე იყო კონცეპტირებული. მშვენიერი ბუნებაში და მშვენიერი ხელოვნებაში – რომელთა მიზანი იყო ბუნების სისრულე და სრულყოფა – წარმოადგენდა ღვთაებრივი მშვენიერის ფიგურას ან სიმბოლოს. იგი სხვადასხვა სახის იყო, მოიცავდა ყოველ შეგრძნებას და არა მხოლოდ ხედვასა და სმენას. თუმცა, თითოეულ მათგანს გააჩნდა გონების მიმართვის ფუნქცია მისი შემქმნელისაკენ, რადგან ისინი 'იმ წიგნებით არიან, რომლებიც ღმერთის ხელითაა შეთხზული' (*Didascalicon*, VII, 3). ეს ვიქტორიანული წარმოდგენა, რომლის თანახმადაც ხელოვნება შესაძლოა იყოს მისტიკური გამოცდილების მიღწევის ინსტრუმენტი, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამის შორეული გამოძახილები უორდსუორთთან, და შესაძლოა, ზოგადად რომანტიკულ მიმდინარეობაში, უნიკალურია დასავლეთ ევროპაში.

XII საუკუნის სკოლებიდან პარიზის შემდგომ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, შარტრის სკოლა იყო. იგი შუა საუკუნეების სკოლებიდან პირველი იყო, რომელმაც არისტოტელეს ჰილემორფული თეორია დაამკვიდრა, რომლის თანახმადაც, სხეულები შედგება პირველადი მატერიისგან⁴ და სუბსტანციური ფორმებისგან, თუმცა, ეს ჰილემორფიზმი პლატონის შუქზე იყო ინტერპრეტირებული. ფაქტობრივად, პლატონის *ტიმეოსი* ის ტექსტი იყო, რომელმაც არსებითად განსაზღვრა შარტრის ინტელექტუალური ტრადიცია და მამასადამე, არ არის გასაკვირი, რომ მისი ესთეტიკა თავისი ხასიათით 'ტიმეოსური' იყო. ეს ნიშნავს იმას, რომ იგი

³ ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება თუ ვიტყვით, რომ სკოლებიდან განვითარდნენ უნივერსიტეტები (მთარგმ. შენიშვნა.)

⁴ *Prime matter* – არისტოტელეს *მეტაფიზიკაზე* დაყრდნობით *proté hulé* გარდა პირველადი მატერიისა, შეიძლება ითარგმნოს როგორც (და)საწყისი მატერია (მთარგმ. შენიშვნა.)

ეყრდნობოდა აქსიომას, რომელიც თავისი ნარმოშავლობით პითაგორული იყო და რომლის თანახმადაც სამყარო შექმნილი იყო მათემატიკური კანონების შესაბამისად, რომლიდანაც იგი იღებდა მონესრიგებულობას, ჰარმონიასა და მშვენიერს. ღმერთის როგორც არქიტექტორის ან ხელოვანის მეტაფორა გულისხმობდა იმას, რომ ადამიანთა მიერ შექმნილი ხელოვნების ნაწარმოებები ექვემდებარებოდნენ იმავე პრინციპებს, რომ ისინი იყო ცოდნის პროდუქტები, მათ შორის, როგორც მათემატიკური ცოდნის, ისე ხელისმიერი ოსტატობის. ხელოვნების ეს კონცეფცია, როგორც კოგნიტიური და ფიზიკური აქტივობა, არსებითი იყო შუა საუკუნელთა თეოცენტრული მსოფლმხედველობისთვის და განუწყვეტელივ მეორდებოდა მთელს სქოლასტიკურ პერიოდში.

დიდებული გოთიკური სტრუქტურებიდან, ერთ-ერთი ადრეული, შარტრის კათედრალი იყო. თუმცა, უმთავრესად ცისტერციანელები არიან პასუხისმგებელნი მთელს ევროპაში გოთიკის გავრცელებაზე. ერთი შეხედვით, ნაკლებად სავარაუდოა მათი არქიტექტურული ნოვატორობა, რადგან ცისტერციანელთა მსოფლმხედველობის ნაწილი იყო ის, უმეტესწილად, ქარიზმატული და ამავედროულად, მოურიდებელი ბერნარ კლერვოელის შედეგად, რომ აფიშირება, მონასტრული ცხოვრების გაძლიერებას ფუფუნება და ზედმეტი მორთულობა თავიდან უნდა იყოს აცილებული. ბერნარი განსაკუთრებით აღელვებული იყო კლუნიური ეკლესიების მოკაზმულობებით და მათ სანინააღმდეგოდ დაწერა ცნობილი დიატრიბა *Apologia ad Guillelmum*.

ამ თვალსაზრისით, ცისტერციანელთა ეკლესიები სადა და ასკეტური სტრუქტურების უნდა ყოფილიყო და გარკვეული აზრით, ისინი იყო

კიდევ, იმდენად, რამდენადაც არ შეიცავდნენ რაიმე მხატვრობას ან რეპრეზენტაციონალურ სკულპტურას. თუმცა, ვიტრაჟი დასაშვები იყო და ცისტერციანელი არქიტექტორები ამით გამოირჩეოდნენ შუა საუკუნის ხელოვნებისთვის დამახასიათებელ ფორმისგან. ამასთანავე, ისინი კრძალავდნენ ჩახლართული ჩუქურთმებისა და ორნამენტაციის დაშვებას და ნაცვლად ამისა, წინა პლანზე აყენებდნენ ხაზისა და პროპორციის ასკეტურ სინამდევს. სრულყოფილი პროპორცია გოთიკის ცისტერციანული სტილის ნიშანი და მემკვიდრეობა გახდა და ამდენად, არქიტექტორებისთვის სრულყოფილი მაგალითი.

ცისტერციანელთა ესთეტიკა, რომელიც ხაზის შეუმკობელ სინამდევს, ფიგურასა და მოცულობას ეფუძნებოდა ტექსტურისა და ფერის შეზღუდული გამოყენებით, შუა საუკუნეების ესთეტიკური მგრძობელობის ერთ-ერთი პოლუსი იყო, ხოლო მეორე პოლუსი შთამბეჭდავად იყო წარმოდგენილი XII საუკუნის სხვა ფიგურის, სენ დენისის აბატის სუგერის სახით, რომელიც ფართო საზოგადოებას ერვინ პანოფსკიმ გააცნო. სუგერის შეხედულება სან დენის ეკლესიის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით გადარჩენილია (Suger, 1946), იგი ფაქტობრივად შუა საუკუნეების ესთეტიკური მგრძობელობის ყოველ ასპექტს მოიცავს. არ არის გასაკვირი, რომ სუგერი იზიარებს ნეოპლატონიზმის მეტაფიზიკას, განსაკუთრებით ფსევდო დიონისესთვის ჩვეულ სინათლის მეტაფორას. ეს ზუსტად შეესაბამებოდა იმ არტისტულ სწრაფვებს, რომლებსაც იგი ფლობდა და მისი შეხედულება ახალ ბაზილიკასთან დაკავშირებით სავსეა იმაზე მითითებით თუ როგორ ბრწყინდება [ნათდება – გ.ჭ.] უმაღლესი სამყაროს ნათებით [სინათლით – გ.ჭ.] მრავალფეროვანი და მბრწყინავი მატერიალები.

სქოლასტიკა

სქოლასტიკური პერიოდი დაახლოებით XIII-XIV სს-ებს მოიცავს. იგი ხასიათდებოდა იმავე სურვილით, რომელიც XII საუკუნეში გამოვლინდა – მომხდარიყო ღმერთის, ადამიანისა და

ბუნების შესახებ დასრულებული და სისტემური შეხედულების კონსტრუირება. რამდენადაც საუკუნე მიმდინარეობდა, გამოვლინდა სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი, უილიამ მოერბეკმა და

სხვებმა თარგმნეს არისტოტელეს გარკვეული თხზულებანი, და დღემდე უცნობი თუ უგულვებელყოფილი ნამუშევრები შეუერთდნენ ფილოსოფიის კანონს. რამაც განაპირობა პლატონისტური აზროვნების ასიმილირების მცდელობა არისტოტელიანურთან, ამ მიზანს ყველაზე სრულყოფილად თომა აკვინელმა მიაღწია.

სამწუხაროდ, ხელოვნების სქოლასტიკური ფილოსოფია ცოტათი განსხვავდება იმისგან, რაც მანამდე იყო. სამწუხაროა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ იმის გაგებას, თუ რაოდენ განსხვავებული იქნებოდა თუ სქოლასტიკოსები ნაიკითხავდნენ და შეითვისებდნენ არისტოტელეს *პოეტიკას*. რეალურად, არავინ იცის ეს რატომ არ გააკეთეს. XIII საუკუნეში უმეტესად პოეტიკის შემოკლებული ვარიანტი იყო ხელმისაწვდომი და უილიამ მოერბეკმა იგი სრულად 1278 წელს თარგმნა. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, იგი უგულვებელყოფილი იყო სქოლასტიკოსი მოაზროვნეების მიერ, უცნობი იყო ისეთი ადამიანებისათვის, როგორიცაა დანტე და ბოკაჩო, მეტიც, უგულვებელყოფილი და უცნობი იყო მთელს *კუატრენტოს* პერიოდშიც კი.

თუმცა, ზოგი სქოლასტიკოსი ფილოსოფოსი საკმაოდ ბევრს წერდა მშვენიერზე და ზოგიერთი მათგანი რელიგვიოზურია ხელოვნების თეორიასთან მიმართებით. დიდებული სქოლასტიკოსები ბონავენტურასა და აკვინელის სახით, ვიზუალური გამოსახულებების მშვენიერზე საუბრობდნენ მათი სენსორული და მიმეტიკური ნიშან-თვისებების თვალსაზრისით. ბონავენტურა წერდა, რომ 'გამოსახულებას მშვენიერი ეწოდება იმ შემთხვევაში, თუ იგი კარგადაა შესრულებული. ამასთანავე, მას ეწოდება მშვენიერი

მაშინ, როცა ის საკუთარ ობიექტს კარგად წარმოადგენს' (*Comm. in I Sententiae*, 31 (pars 2), 1, 3 ad 2). აკვინელი წერდა, რომ 'თუ გამოსახულება სრულყოფილად წარმოაჩენს რაღაცას, მას მშვენიერი ეწოდება მაშინაც კი, თუ ეს რაღაც უგვანოა' (*Summa Theologiae*, I, 39, 8c).

აქ ორი რამაა აღსანიშნავი: პირველი – არტისტული მშვენიერი არ არის ახსნილი როგორც ღვთაებრივის თუ უხილავი მშვენიერის მატერიალური გამოსახვა, არამედ, როგორც მატერიალური ობიექტის თვისება, რომელიც შექმნილია ადამიანური ოსტატობით. მეორე – როგორც ჩანს, ორივე მათგანი იზიარებს არტისტულ რეალიზმს. ეს არ არის ხელოვნება, რომელიც ცდილობს სპირიტუალურის აღბეჭდვას მატერიალურში, არამედ ხელოვნება, რომელიც აღბეჭდავს ერთი მატერიალური ობიექტის (წარმოდგენილ ობიექტს) რაობას მეორე მატერიალურ ობიექტში, ნახატის ან ქანდაკების სახით. XIII ს-ის ხელოვნება საკმაოდ პროგრესული იყო ბიზანტიურ ხელოვნებასთან შედარებით. შესაძლოა, ბოლომდე გაცნობიერების გარეშე, ბონავენტურა და აკვინელი თავიანთი დროის ვიზუალურ ხელოვნებას აღწერდნენ არა მარტო ისე, როგორც იგი სინამდვილეში იყო, რაც ნიშნავს იმას, რომ ხელოვნება მიისწრაფვოდა რეალიზმისკენ, არამედ, გაცილებით მნიშვნელოვნად, როგორც იგი ვლინდებოდა თავიანთ გრძნობით გამოცდილებაზე, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ხელოვნება სარგებლობს საკუთარი ბუნებრივი ქვეყნარტებითა და მშვენიერით და არა მისი რეფერენციით იდეალურისა და ღვთაებრივის ტრანსცენდენტურ სფეროსთან. შუა საუკუნეების ამ პერიოდში არა მხოლოდ ხელოვნება, არამედ ადამიანთა მგრძნობელობებიც იცვლებოდა.

ხელოვნები და ჟამთააღმწერლები

თუ ჩვენ გვსურს, შევისწავლოთ ხელოვნების თეორია შუა საუკუნეების გვიან პერიოდში, ასეთ შემთხვევაში, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან თვითონ ხელოვნები, არც მათი შემოქმედების აღწერა თანამედროვეთა მიერ.

ვიზუალურ ხელოვნებასთან დაკავშირებით შუა საუკუნეები ყოველთვის ქმნიდნენ სახელმძღვანელოებს, დეტალური ინსტრუქციებით, თუ როგორ უნდა დავნაყოთ პიგმენტი და ავრიოთ ფერები, როგორ უნდა მოვამზადოთ კე-

დელი ფრესკისთვის და ა.შ. გარდა ამისა, ჩვენ ვფლობთ უამთაღმწერელთა მიერ ხელოვნების ნამუშევრების აღწერილობებს. სახელმძღვანელოთა უმეტესობა არ შეიცავს არანაირ ხელოვნების თეორიას და, უმეტესწილად, აღწერილობანი ეხება წმინდად ფაქტუალურ დეტალებს მატერიალებთან, ზომებთან და ღირებულებასთან დაკავშირებით. თუმცა, დრო და დრო, თანმდევი შენიშვნები ამ პერიოდის არტისტულ კულტურას შუქს ფენდა. უკვე XI ს-ში ჩვენ ვპოულობთ ლეო ოსტიელის საკვირველ ფრაზას: 'ვილაცას შეეძლო ერწმუნა, რომ მოზაიკის ფიგურები ცოცხალი იყო' (Holt, 1981, p. 13) – და ეს, ბონავენტურასთან და აკვინელთან არსებულ არტისტულ რეალიზმამდე, თითქმის ორი საუკუნით ადრე. ვილარ დე ონეკური XIII საუკუნის ესკიზების საგულისხმო წიგნში და სახელმძღვანელოში ამბობს, რომ მან ლომი ცხოვრებიდან დახატა (Holt, 1981, p. 91). XIII ს-ით დათარიღებულ დოკუმენტში, რომელშიც გამოყოფილია პუნქტები მასონობის შესახებ, ნათქვამია, რომ 'იმ საქმის ისე კარგად დასრულება არავის ძალუძს, რომელიც სხვამ დაიწყო' (Holt, 1981, p. 103) – ინდივიდუალური გენიის ცნების ადრეული გამოხატულება და, ამდენად, ნათელი გადახვევა იმ შეხედულებიდან, რომელიც ყოველთვის ორგანული იყო შუა საუკუნეობრივი აზროვნებისთვის, რომ ხელოვნება მართებული წესებით გაძლოლას წარმოადგენდა.

ეს განცხადებები და პრაქტიკები, რომლებიც გამომდინარეობდა ცხოვრებიდან, მიმეტიკური რეალიზმიდან, ხელოვნების ინდივიდუალური გენიიდან, უეცრად არ გამოჩენილა რენესანსის დროს, არამედ, დაფუძნდა შუა საუკუნეების დასრულებამდე. ამასთანავე, ვილარის ესკიზები ილუსტრირებს მის შეხედულებას, რომ ადამიანთა და ქმნილებათა ნახატები შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო გეომეტრიულ ნიმუშებთან. ეს მთლიანად წარმოადგენდა შუა საუკუნეობრივ შეხედულებას, რომ ობიექტები და ობიექტების რეპრეზენტაციები კონსტრუირებულნი იყვნენ მათემატიკური წესების შესაბამისად. თუმცა, პანოფსკიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ თითქოსდა,

მათი მათემატიკური სტრუქტურის დემონსტრირების მიზნით ვილარის მიერ შესრულებული მოხაზულობები გრაფიკულად შესრულებულ სახეებზე და სხეულებზე, არ მომდინარეობს რაიმე სპეციფიკური მათემატიკური პრინციპებიდან. როდესაც ჩვენ მათ კრიტიკულად ვუყურებთ, ისინი ისევე იმპრესიონისტულად ვლინდებიან, როგორც თავად გრაფიკული ნამუშევრები (Panofsky, 1970a, pp. 112-16).

ჩენინო ჩენინი (1370-1440) ჩვეულებრივ მიიჩნევა შუა საუკუნეებსა და რენესანს შორის მთავარ შუალედურ ფიგურად. მისი *Il libro dell'arte* შუა საუკუნეების სტილისთვის კიდევ ერთი პრაქტიკული სახელმძღვანელოა. თუმცა, როგორც აქ, ისე იქ, ვპოულობთ შენიშვნებს, რომლებიც XIV საუკუნისთვის იმდენადვე იყო სახასიათო, რამდენადაც რენესანსის დროს: მაგალითად, მხატვრები თავიანთ ხელობას ბუნებიდან ხატვისგან ეუფლებიან; ფერწერა თეორიული ცოდნის ტოლფასია; და კიდევ ის, რომ მხატვარს როგორც მოესურვება, ისე შეუძლია საკუთარი წარმოსახვის გამოყენება (Cennini, I, 1).

გვიანი შუა საუკუნეების არტისტული სული შესაძლოა ყველაზე ცხადად დუჩოს დიდებული საკურთხეველის ხატის სახელოსნოდან სიენის საკათედროში გადატანისას გამოიხატება. ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, ეს იყო დიდებული სამოქალაქო შემთხვევა. ყველა სავაჭრო დანესებულება დაკეტილი იყო და მღვდლებისგან, ბერებისგან და ქალაქის მცხოვრებისგან შემდგარი პროცესია, სანთლებით ხელში მიჰყვებოდა საკურთხეველის ხატს, 'ყოველი ზარი მხურვალედ რეკდა ისეთი დიდებული გამოსახულების თაყვანისცემის ნიშნად, როგორიც ესაა' (Holt, 1981, p. 135). ამის გათვალისწინებით, არ არის გასაკვირი იმის გარკვევა, რასაც ჩენინი წერდა, რომ მხატვრობა გვირგვინდებული უნდა იყოს თეორიასთან ერთად, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი პოეზიის ტოლფასია და აღმოაჩენს უხილავ საგნებს. შუა საუკუნეების პერიოდი და მასთან დაკავშირებული ვიზუალური ხელოვნება ჩენინით დასრულდა და დაიწყო რენესანსი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩენინთან ორი პერიოდის ერთობლივ გამოვლინებას ვპოულობთ.

დამონებები

ძირითადი წყაროები

Aquinas, Thomas (1964-76) *Summa theologiae*, Blackfriars edition and translation, 60 vols, London: Eyre & Spottiswoode and New York: McGraw-Hill

Bernard of Clairvaux (1844-90) *Apologia ad Guillelmum*, in J.-P. Migne, (ed.), *Patrologiae cursus completus, series latina*, 222 vols, Paris, vol. 182, cols 895-918; partial English translation in G. G. Coulton (1930), *Life in the Middle Ages*, 2nd edn, 4 vols, Cambridge University Press, vol. IV, pp. 169-74

Bonaventure (1882-1902) *Opera omnia*, 10 vols, Florence: Quaracchi

Cennini, Cennino (1933) *The Craftsman's Handbook [Il libro dell'arte]*, trans. by Daniel V. Thompson, Dover
 Hugh of St Victor (1961) *Didascalicon*, trans. by Jerome Taylor, Columbia University Press, Book VII (not included in the translation) printed as *De tribus diebus* in J.-P. Migne, (ed.), *Patrologiae cursus completus, series latina*, 222 vols, Paris, 1844-90, vol. 176, cols 811-38

Libri Carolini (1844-90), in J.-P. Migne, (ed.), *Patrologiae cursus completus, series latina*, 222 vols, Paris, vol. 98, cols 941-1350

Suger (1946) *Abbot Suger: On the Abbey Church of St-Denis and its Art Treasures*, ed. and trans. by Erwin Panofsky, Princeton University Press

Villard de Honnecourt (1968) *Album de Villard de Honnecourt*. Facsimile. Paris: Léonce Laget

Vitruvius (1931-4) *On Architecture [De architectura]*, trans. by Frank Granger, Loeb Classical Library

ძირითადი წყაროების კრებულები

Holt, Elizabeth G. (1981) *A Documentary History of Art*, 2 vols. Vol. 1, *The Middle Ages and the Renaissance*, Princeton University Press

Tatarkiewicz, Wladyslaw (1970-4) *History of Aesthetics*, 3 vols. Vol. 2, *Medieval Aesthetics*, Mouton

მეორადი ლიტერატურა

Barrett, Cyril (1965) 'Medieval art criticism', *The British Journal of Aesthetics*, 5, 25-36

Copleston, F. C. (1946-63) *A History of Philosophy*,

7 vols. Vol. 2, *Medieval Philosophy*, Newman Press

Dales, Richard (1992) *The Intellectual Life of Western Europe in the Middle Ages*, 2nd edn, Leiden, Brill

Dasseleer, Pascal (1999) 'Esthétique "thomiste" ou esthétique "thomasienne"?', *Revue philosophique de Louvain*, 97, 312-35

De Bruyne, Edgar (1946) *Etudes d'esthétique médiévale* [Studies in medieval aesthetics], 3 vols, Bruges, De Tempel

Dvorák, Max (1967) *Idealism and Naturalism in Gothic Art*, trans. by Randolph J. Klawiter, University of Notre Dame Press

Eco, Umberto (1986) *Art and Beauty in the Middle Ages*, trans. by Hugh Bredin, Yale University Press

Ferguson, George (1961) *Signs and Symbols in Christian Art*, Oxford University Press

Focillon, Henri (1963) *The Art of the West in the Middle Ages*, 2 vols, trans. by Donald King, Phaidon Press

Grabar, André (1969) *Christian Iconography*, Routledge & Kegan Paul

Hauser, Arnold (1951) *The Social History of Art*, 2 vols, Routledge & Kegan Paul, vol. 1, pt IV, pp. 131-265

Huizinga, J. (1927) *The Waning of the Middle Ages*, Arnold

Ladner, Gerhart B. (1979) 'Medieval and modern understanding of symbolism', *Speculum*, 54, 223-56

Le Goff, Jacques (1988) *The Medieval Imagination*, trans. by Arthur Goldhammer, Chicago University Press

Mâle, Emile (1961) *The Gothic Image*, trans. by Dora Nussey, Fontana

McEvoy, James (1994) 'La philosophie du moyen âge, la civilisation médiévale et la culture du médiéviste', in Jacques Follon and James McEvoy, (eds), *Actualité de la pensée médiévale*, Louvain and Paris: Peeters, pp. 69-78

Panofsky, Erwin (1970a) *Meaning in the Visual Arts*, Penguin

Panofsky, Erwin (1970b) *Renaissance and Renaissances in Western Art*, Paladin

Taylor, H. O. (1911) *The Medieval Mind*, 2 vols, Macmillan



ზაქარ ბოტაშვილი

გარდისფერი სულის სინათლე

1981 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ქართველ მკითხველს, გემოვნებიან და მომთხზველს, ძვირფასი საჩუქარი უძღვნა – გამოსცა „სიყვარულის წიგნი“, რომელშიც დაივანა ქართული პოეზიის ყველა იმ შედეგმა, რომელიც კი თითქმის უხსოვარი დროიდან შექმნილა ადამიანის ამ უპირველეს გრძნობაზე, იმ გრძნობაზე, რომლის სახელითაც, რომლის გამოც ხდება მსოფლიოში ყველა სიკეთე და, სამწუხაროდ, ყველა ბოროტებაც...

ამ უმშვენიერეს წიგნს შემდგენლებიც ჩინებულნი ჰყავდნენ – გივი გეგეჭკორი, ემზარ კვიციანიშვილი და ტარიელ ჭანტურია, რომელთა ლიტერატურული ძალმოსილება, ლიტერატურული გემოვნება გინა ალლო ყველა სახის კრიტიკრიუმს აკმაყოფილებს. თავადაც XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ...

შემდგენლები შემდგენლებად, მაგრამ ისიც ხომ უნდა ითქვას, რომ ამ კრებულს დამატებით ღირსებასა და პატივს მატებდა ბრწყინვალე ბოლოსიტყვაობა – „როგორ უყვარდათ საქართველოში“, რომელიც ქართული სალიტერატურო აზროვნების აღიარებული მეტრის გურამ ასათიანის კალამს ეკუთვნოდა.

რამ გამახსენა „სიყვარულის წიგნი“ და მისი შემქმნელნი – შემოქმედნი, რომელთაც ვერავინ და ვერაფერი აიძულებდათ კომპრომისზე წასვ-

ლას და ამით ამ კრებულის დონის დაწევას რომელიმე მდარე ღირებულების მქონე ლექსით. რამ და იმან, რომ ისინიც კი სიამოვნებით დაუთმობდნენ ფურცლებს თუნდაც ამ ლექსს:

ბევრი იფრინა თუ ცოტა,
ჩიტი დაეცა ჭალას,
მზე დაუღამდა საცოდავს,
სიცოცხლე დასდეს ბრალად!
ცაში არწივი ყიოდა,
ხევში გარბოდა წყალი...
გოგონას გული სტკიოდა,
გზებზე მღეროდა ქარი.
სადარდებელი მაცადათ,
ცაო, რა ფერებს მიქრობ...
ის კარგი გოგო სად არი,
– გულს მიყინული სითბო!

არ შემოძლია, ვერ მოვისვენებ, თუ კიდევ ერთ ჩინებულ ლექსს არ გაგახსენებთ:

შეშლილი სული სარკმელს აწყდება,
ნეტავ, რად ელტვის ღამეს მთვარიანს?!
კედელს ეხლება ხეთა ლანდები,
ამ კედელს იქით მძაფრი ქარია.
დღეები შენი სულ მუდამ მცდიდა, –
მწვავდნენ, მღვენიდნენ შენი თვალები...
მე ცისფერ ყვავილს მოგიტან ციდან
და ისევ ცაში გავიპარები.

ამ ლექსების ავტორი თენგიზ სვანიძეა, რომლის ლიტერატურული დებიუტიც მოგვიანებით შედგა და, ალბათ, ამის გამოც ვერ მოხვდა მისი პოეზიის ეს მშვენიერი ნიმუშები ზემოხსენებულ კრებულში. დარწმუნებული ვარ, „სიყვარულის წიგნის“ არცერთი შემდგენელი არ დაინუნებდა მათ.

თენგიზ სვანიძე კი პოეტი გახლავთ, რომლისთვისაც პოეზიის ქარიშხლებსა და სამუშეო ტრიალი თუ ქროლა არსებობის ბუნებრივი ფორმაა და ისიც გამუდმებით ქართულ სიტყვასთან ჭიდილში ცდილობს ადგილის დამკვიდრებას იქ, სადაც მხოლოდ რჩეულთ ხელენიფებათ ყოფნა. მისი მზერა გამუდმებით ზეცისაკენ არის მიმართული და თუ ჩვენს ცოდვითდაცემულ დედამინაზე დაიარება, მხოლოდ იმიტომ, რომ სულიერი საგზალი მოიმარაგოს არსთაგამრიგესთან შეხვედრის წინ. კარგად იცის ისიც, რომ

სიტყვა და გული, ციდან მართული,
უფლის სასწორით იწონებიან...
ლექსი კიბეა, ცად ამართული,
საფეხურები სტრიქონებია!

ამ საფეხურებს – მზისკენ გასაფრენად გამზადებულ ბილიკების ხვეულს მიუყვება იჭვნარევი შიშით შეპყრობილი და მიწიდან ამალლებას შესთხოვს საკუთარ სულს, ფრთები სჭირდება გასაფრენად, თუმცა, როგორც ყველა შემოქმედს, ერთი კითხვა უკარგავს მოსვენებას:

მინაზე ვარ და ზეცა მიზიდავს,
ცხოვრებამ ბევრი მწარე მაჩვენა...
ნეტავ თუ მიმაქვს რამე მიწიდან
ცოდვილი სულის გადასარჩენად?!

მიმაქვს, როგორ არ მიმაქვს და ეს, უპირველესად, სიყვარულის დიდი ნიჭია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სიყვარულია თენგიზ სვანიძის არსებობის ანი და ჰოე, სიყვარულის წმიდათაწმიდა ემბაზშია განბანილი მისი სულიცა და მისი პოეზიაც. აქ უხერხულიცაა იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ უყვარს სამშობლო, როცა თავის ოთხფეხა მეგობრის ხსოვნასაც კი ლექსების

ცალკე კრებული უძღვნა, სიტბოთი და სიკეთით სავსე კრებული.

დიახ, თენგიზ სვანიძის პოეზია სიყვარულის ნექტრითაა ნიშანდებული და არ არის შემთხვევითი, რომ ამ უმშვენიერეს გრძნობას უძღვნის კრებულს, რაც თავისთავად დიდი გამოწვევაა ნებისმიერი რანგის შემოქმედისათვის...

თუ ხმამაღალ ნათქვამად არ ჩამითვლით, ეს გამოწვევა თენგიზ სვანიძის წარმატებით დასრულდა, წარმატებით დასრულდა იმიტომ, რომ პოეტისთვის სიყვარული და სიყვარულზე წერა პოზა არ არის, არც ტრაბახისა და ქედმაღლობის საგანი, არამედ არსებობის ერთადერთი გამართლება, რაც კრებულში შესული ლექსების ლაიტმოტივს წარმოადგენს. სიყვარული ჩითის კაბით უჩუმრად დადისო, აცხადებს პოეტი და მყისიერად ხვდება, რომ სიყვარულზე ასე მხოლოდ ისინი საუბრობენ, ვისაც სრულადა აქვთ გასიგრძეგანებული ამ გრძნობის სიდიადე. თენგიზ სვანიძეც მათ რიცხვს ეკუთვნის და ამიტომაც სჯერა, რომ

თუ სიმღერაა,
სილამაზეს უნდა უმღერო,
ააღვარო გაზაფხულის ნაზი ფერები.

იცის კარგად, რომ სიცოცხლე უსიყვარულოდ, სიკვდილზე უფრო ძნელია, რომ როცა მშვენიერებას ვერ ამჩნევ და ვერ აფასებ, სიცოცხლეს აზრი დაკარგული აქვს, რომ სადაც არ არის სიყვარული, იქ აპრილშიც კი არ ჰყვავის ნუში; რომ ჭეშმარიტი შეყვარებული ზამთარშიაც კი გაზაფხულებითაა უზომოდ მთვრალი, წვიმა რომ წვიმას, ისიც კი შეყვარებული ფეხშიშველა სოფლელი გოგოსავით შემოგოგმანდება ხოლმე ქალაქში და ჩვენს სულებს ცისარტყელებით ავსებს.

ოღონდ გვიყვარდეს ჩვენ ერთმანეთი, –
დე, ნურასოდეს ვიქნებით ერთად.

უსიყვარულოდ ყოფნა მეცხრე ტალღის მოლოდინში დასაღუპი გემის არსებობაა მისთვის. რა მართალია და რა გულწრფელი პოეტი, როცა ყველას გასაგონად აცხადებს:

უსიყვარულოდ არ მიცხოვრია
და სიყვარული რაა, არ ვიცი.

არადა, როცა გიყვარს, ლურჯი ნისლები საფრენად აქეზებენ სულს და თვალნათლივ ხედავ, თუ როგორ წვეთავს მთვარიდან თეთრი სიჩუმე, როგორ თბები და ინაბები სასნაულის მოლოდინში, როგორ ისრუტავს ღვთიურ შუქს ღამე, კვარჩვით ანთებული და გაჩირაღდნებული ღამე.

კითხულობ თენგიზ სვანიძის ლექსებს და რწმუნდები, რომ მათი ლირიკული გმირი თავად სიყვარულია, ყოვლისშემძლე, ყოვლისმომცველი, ყოვლის ნამლეკავი გრძნობა და რა ბედნიერია ის, ვინც მისი მადლისა და მირონის თანაზიარი გახდება და შეძლებს საყვარელ არსებას – ნანდაურს დაუმტკიცოს მისი გრძნობების სინრფელეცა და ღამის სიგიჟესთან წილნაყარი გულის მდულარება. ვნებებისაგან აყალყული პოეტი კი უავშარო ლექსებით ცდილობს სატროს მოხიბვლას, ვის არსებაშიც ერთი კი არა, მზეების მთელი თანავარსკვლავედი ეგულება. ამიტომაც ოცნების საჭრელით ძერწავს თავის სიყვარულს და მხოლოდ მერე ურჩევს ღამაზ სახელებს. ჩემი ფიქრების ჩქერალიდან ამოკალმახდიო, მიმართავს სანატრელს და ძალამიცემულს ეჩვენება, რომ მთების გადაგორება ძალუძს, შეჰყურებს სასურველს და სული უგუბდება იმის გაფიქრებაზე, რომ სიზმრებიდან გადმოსული ოცნების ცისფერი სულის აფრები შეიძლება სულაც სხვისთვის შრიალებდეს, სხვას ატკობდეს და ულამაზებდეს ყოფას. თუმცა მყისვე უკუაგდება ამ „მკრეხელურ“ აზრს და კვლავაც შეჰხარის იასამანივით ნაზსა და სათუთს:

მე ამ გაზაფხულზე უფრო
შენი გაზაფხული მათრობს.

ასე მიმართავს მისი სულის მზესავით გამფურჩქნელს და მისი სიცილი ენატრება – ცისარტყელების ფერით ნაქსოვი სიცილი.

სრულყოფილი სილამაზის ხილვა, ყოველთვის ტკივილს იწვევსო, – წერს დიდი ინგლისელი მწერალი სომერსეტ მოემი და შეიძლება ითქვას, რომ სევდა და ტკივილი თენგიზ სვა-

ნიძის ლექსებს იმთავითვე დაედარა. შეხეთ, რა უბრალოდ, რა ხელშესახებად იგრძნობა პოეტის სულში დატრიალებული ქარბორბალები ლექსში „დაგეძებს სული“:

როგორც ეს ღამე, ვივსები თოვლით,
თოვლშიც თბილია შენზე ოცნება...
გადაკარგული სიზმრები მოვლენ,
მოვლენ ტკივილად და საოცრებად.
იღვიძებს სული, სული ლტოლვილი,
ციდან ჩამოდის თოვლი ქათქათით
და თეთრ კაბაში გამოწყობილი –
დედოფალივით მოჩანს ქალაქი.

უარყოფილი და სიცოცხლემისჯილი პოეტები კვდებიან ფოთლებივით, კვდებიან და სიკვდილში ცოცხლდებიან, რათა უკომპასოდ დარჩენილ გემებს დაემსგავსონ, სიყვარულით დანგრეულ ტროფობის ტაძართან, ნანგრევებად ქცეულ ტაძართან რომ იძირებიან დავინყების მორევში და სიყვარულისთვის გაჩენილი უსიყვარულოდ ტოვებენ სამყაროს – ამოებას ამოთა...

ხმელ ფოთოლივით
გამიტაცებს სიზმრის ქარები
და მოგონება
ატირდება ცის დასავალთან.

სასონარკვეთილსა და თავგზააბნეულს სული უტირის და ეჩვენება, რომ „წუთისოფლის ხორკლიან გზებზე გდია სიჩუმე მკვდარი ჩიტივით“. და მაინც მზე ესიზმრებათ ნაწვიმარ თვალებს, მაინც ელოდება რალაც უხილავს და მაინც მადლობას უხდის იმ ტკივილისთვის, თავისი დიდი ოცნების სახელი რომ დაურქმევია.

ვინ ეშმაკმა დაგვწყევლა,
დაგვაშორი-შორა – შორ...
წლები გადაჰყოლია
წვიმებს, ქარებს, თოვას, თქორს...
და მეც, კარგო, შენს სახეს
ცრემლიანი ვიგონებ...
იმ გზებით თუ დადიხარ, –
ჩვენ რომ გამოვიგონეთ.

ასე ნება-ნება მოდის მარტოობის შავი ფაფა-რით მონყენა და გარინდება, სიყვარულის დაუნდობელი მესაფლავე. ჩემი დარდის მესაფლავე მეგონე, თურმე ჩემი მესაფლავე ყოფილხარო, – მოსთქვამს გამხელილ გრძნობებს შენირული პოეტი, თუმცა მაინც ახალი მზის მოლოდინშია, მაინც აისების მომღერლად რჩება.

სიყვარულის ტრუბადურია თენგიზ სვანიძე და სწორედ სიყვარული შთააგონებს პოეტს მშვენიერ პოეტურ ხილვებს, პოეტურ სახეებს, შედარებებსა თუ მეტაფორებს.

მზე – წუთისოფლის მარადი მგზავრი –
ინურებოდა ცის დასავალთან.

.....

შენ მიდიოდი და თან მიგქონდა
გზები, მზითა და ფიქრით დაღლილი...
ლამაზ წუთების თოვა იყო და
მკერდს გიკოცნიდა თეთრი აპრილი.

პოეტს იმის დანახვაც შეუძლია, თუ როგორ გაუკეთა ხელკავი ქარმა ღრუბელს და როგორ გაიტაცა მთების გადაღმა, თუ როგორ უხვევს მონადირესავით გზიდან ბილიკი, რათა მთვარე დოლივით გადაიკიდოს მხარზე. ზამთრის ცა ტაძრის თეთრ გუმბათს აგონებს, შორეული ხიბლით და ელვარებით გამორჩეულ გუმბათს, შეუძლია სულში ჩანუროს ცა მენამული, საოცარი, გამაოგნებელი ხილვა ენვიოს:

შემდგარიყო ლოდზე თეთრი ქალი,
თეთრი მკერდით გასაფრენად ცისკენ.

შეყვარებულ პოეტს ცაში ასაფრენად აშვებული სიზმრები ფასკუნჯებს აგონებს, ცისარტყელებისკენ – ციური შედევრებისკენ რომ მიისწრაფიან, რათა იმ გამაოგნებელი სიმაღლეებიდან დაინახონ, თუ როგორ წვეთავს თეთრი სიჩუმე მთვარის სილურჯიდან.

თენგიზ სვანიძე გატაცებით, შეიძლება ითქვას, თავდავინწყებით წერს სიყვარულზე და ამ დროს ნებისმიერი შემოქმედი ერთი საშიშროების წინაშე დგას, მართლაც ბენვის ხიდზე უწევს სიარული, რომ მისი ამაღლებული ხილვები თუ

ზმანებები მდაბალი გრძნობებით არ გაითელოს და ამით ნებსით თუ უნებლიეთ არ წაბილწოს ის იგავმიუნვდომელი მშვენიერებანი, ამ უღიადესი გრძნობის თანამგზავრებად რომ გვევლინება. თამამად შეიძლება ითქვას, – პოეტი აქაც პირნათელია მკითხველის წინაშე.

შენ ტანი ჰყვავის ახლაც მზისებრ,
ეგ თვალებიც ცეცხლოვანი ბადეა –
თეთრი მკერდის (ვით ყრმობის ჟამს, ისე)
ბაჭიების მოფერება მწაღია.

ნახეთ, რა ულამაზეს მოგონებად შემოდის მის მეხსიერებაში ზღვისპირას გატარებული ერთი ჯადოსნური ღამე და იმ ღამის ჟრუანტელისმომგვრელი სიხარული:

მთვარე თეთრ ნისლეებში თითქოსდა თრთის,
ფეთქავენ ვარსკვლავნი – ვარდები ცის...
გოგონა დაეძებს აწყვეტილ ღილს...
იმ ღამის გახსენება სიცოცხლედ ღირს!

გოგონა აწყვეტილ ღილს დაეძებსო და ამით ყველაფერია ნათქვამი თავდავინწყებაზეც და იმ-ღამისეულ სიგიჟეებზეც, ოღონდ მოზომილად და ტაქტიანად.

თვალი დახუჭე (არ არის გვიან!)
და ჩემს მკლავებში ნუკრივით შეკრთი
და რადგან მაინც ცოდვილი მქვია,
ერთ ცოდვას კიდევ ჩავიდენ შენთვის.

ბაღში, იელისა და მაცვლის სურნელით გაბრუებულ ბაღში, საოცარი მისტერია ტრიალდება და ბოლოს იმასაც ვხედავთ, გამთენიისას თუ რა ჩუმად და უხმაუროდ ტოვებენ იქაურობას სიყვარულით გათანგული ბიჭი და მთვარე...

არ ვიქნები მართალი საკუთარ თავთან, თუ ისიც არ აღვნიშნე, რომ მის ლექსებში ალაგ-ალაგ შორეული, მშვენიერი რემინისცენციები ჩაგვესმის. თენგიზ სვანიძე ხომ ისეთი დიდებული შემოქმედების მხრებზე დგას, როგორიც გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე, მორის ფოცხიშვილი, სხვანი და სხვანი იყვნენ, XX საუკუნის ქართული პო-

უბიის მშვენიერებანი. მთავარი კი ის არის, რომ ყოველივე ეს მკითხველს კი არ აღიზიანებს, არამედ ბატონ თენგიზის დიდ წინამორბედებს ახსენებს, რომელთა დიდი შთაგონებითაცაა ძალმოსილი ეს ნიჭიერი პოეტი.

სიცოცხლე კი მიდის, მიჰქრის და ყველას შეახსენებს, რომ ერთ დღესაც წერტილი დაესმევა ამოებებს ამოთა. ამას თენგიზ სვანიძეც გრძნობს:

ცრემლად იღვრება სულში ნათოვი
 თოვლი, სპეტაკი, როგორც მზის სული...
 გტოვებ და მიმაქვს ცა სიმარტოვის,
 ზამთრის დღეებით გადანისლული.

იმასაც შესთხოვს არსთაგამრიგეს, რომ საყვარელი არსება არ შეახვედროს სიბერის ჟამს, რათა შვლის ნუკრივით დარჩეს მისი სახება გულში.

ნურაფერს მეტყვი იმ დღეებზე,
 ნურაფერს მეტყვი,
 მე დავბრუნდები,
 სიყვარული თუ დაბრუნდება.

ნაზამთრალი რტოდან აპირებს დაბრუნებას, მაგრამ ვაი, რომ სატრფო მარტო სინამდვილიდან კი არა, სიზმრიდანაც გაეპარა.

მზე ბანაობს ნისლში,
 ნისლი იისფერია...
 შენსას აღარ იშლი?!
 ფრი, ფრი, ფრი, ფრი ფერიავ!

მე სიყვარულმა გამანადგურა, სიძულვილი რას მომერეოდაო, მოსთქვამს მგლოვიარე და თვალნათლივ ხედავს, თუ რა უსწრაფესად იზრდება დარდის გორგალი, რა უსწრაფესად იღვავა დღეები ნუთისოფლისა და მწარედ დაასკვნის, „თურმე მაშინ მიდიხარ, რომ გგონია მოხვედიო...“

და მაინც თავისას არ იშლის, მაინც ევედრება უფალს, უკანასკნელი ფრენისთვის, უკანასკნელი ჟრუანტელებისთვის ფრთები მინილადე ყოვლის განმრიგეო.

ერთი რამ ჩემთვის ცხადზე ცხადი შეიქნა. თენგიზ სვანიძეს, ამ ქვეყანაზე მართლაც დიდი სიყვარულისთვის გაჩენილ კაცს, კონკრეტული ტრფო-

ბის საგანი არასოდეს ჰყოლია ამოჩემებული, მას სიყვარული უყვარდა, უყვარს და ეყვარება მარად, ამ სიყვარულს, ასევე, დიდი სიყვარულით დროგამოშვებით არქმევს სხვადასხვა სახელს. ეს სიყვარული წმიდათანმიდაა და დღემდე აცოცხლებს სიჭარმავეში კარგა ხნის წინ გადამდგარ პოეტს. ეს ულამაზესი გრძნობა აწერიანებს ისეთ ლექსებს, დიდხანს რომ გამახსოვრდება და სულს გინათებს. ასეთი ლექსია თუნდაც „თავს ვეკითხები“:

პატარა გოგოს პატარა გული
 უკვე ტყვე იყო მეზობლის ბიჭის...
 სალამო იყო რალაც ზღაპრული
 და სუნი იდგა ცაცხვის და ფიჭვის.
 პატარა გოგოს დაჩითულ კაბას
 უშრიალებდა სიო თავნება...
 მზე ჩადიოდა თვალების ნაბვით,
 საოცარ ხიბლით და დანანებად.
 ველარ ვიხსენებ, ბიჭი მზისგულა
 გოგოსთან გაჩნდა საიდან, როგორ...
 თვალები ტანზე ჩამოუცურა
 და გააჟრჟოლა პატარა გოგოს.
 მოაქვს წარსულთან გასაუბრებას
 რალაცნაირი სევდა ნებისად...
 ის ბიჭი ხომ არ გეცნაურება? –
 თავს ვეკითხები ჟამს სიბერისას.

ის ბიჭი შენ ხარ, თენგიზ სვანიძე, იმ ბიჭივით შეინარჩუნე სულის სინრფელე და სინმინდე, გულმართალი დაიარები შენს სათაყვანებელ სამშობლოში და სიყვარულის უმშვენიერესი ნერგებით რთავ შენს საესავ მამულს.

P.S. აი, აქ უნდა დამემთავრებინა ეს წერილი და სათაურიც შერჩეული მქონდა – „მე ცისფერ ყვავილს მოგიტან ციდან“, მაგრამ ყველაფერი დასწრებაზეაო და დავადგინე, რომ მსგავსი სათაურით წერილი უკვე გამოქვეყნებული ჰქონია ელგუჯა ბუაძეს, მეტად დახვეწილი გემოვნების მქონე კრიტიკოსს, რომელსაც საფუძვლიანად განუხილავს თენგიზ სვანიძის შემოქმედება და საგულისხმო შეფასებებიც მიუწოდებია მკითხველისთვის.



ქართვან დავითაძე

„მოქცევაი ქართლისაის“ თავდაპირველი რედაქციის შექმნის საგარაუდო დრო

„მოქცევაი ქართლისაის“ თავდაპირველი რედაქციის შექმნის საგარაუდო დროის თაობაზე, მეცნიერთა შორის დღესაც კამათია. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, შესაბამის არგუმენტებზე დაყრდნობით, გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ზოგადად, ქართლის სამეფოს გაქრისტიანების თარიღი: IV ს-ის I ნახევარშია საძიებელი; უფრო ზუსტად კი, აღნიშნული თარიღი IV ს-ის 20-იან წლებზე უნდა მოდიოდეს. შესაბამისად „მოქცევაი ქართლისაის“ თავდაპირველი რედაქციის შექმნის ქვედა მიჯნა სწორედაც, რომ IV ს-ის I ნახევრის სიახლოვესაა საგარაუდებელი.

„მოქცევაი ქართლისაიმ“, გამოქვეყნების-თანავე (1888-1890 წ.წ.), მეცნიერთა შორის დიდი დაინტერესება ჰპოვა. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ სახეზე იყო ძეგლის არა თავდაპირველი, არამედ – მოგვიანებით რედაქტირებული ვარიანტი. დაიწყო მსჯელობა, თუ როდის შეიძლებოდა შედგენილიყო „მოქცევაი ქართლისაის“ თავდაპირველი რედაქცია.

ყველაზე გვიანდელი თარიღი, რომელიც გამოთქმულია „მოქცევაი ქართლისაი“ თავდაპირველი რედაქციის შექმნის თაობაზე, ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის. მისი დაკვირვებით, განსახილველი თხზულება, IX საუკუნეში შექმნი-

ლი ძეგლია და ამის დასადასტურებლად თავად ტექსტში არსებულ ერთ კონკრეტულ მინიმუმბას იმონებს – „...ეს მატიანე შეუძლებელია IX საუკუნეზე უწინარეს იყოს შედგენილი იმიტომ, რომ როგორც პროფ. ბოლოტოვმა სამართლიანად აღნიშნა, იქ ერთი მსხვილი ქრონოლოგიური შეცდომა მოიპოვება და სასანელთა მეფეების დედაქალაქად ბაღდათი დასახელებული... რომელიც იმ დროს ჯერ არ არსებობდა, რადგან მის აგებას მხოლოდ 762 წელს შეუდგენ... ეს გარემოება მემატიანეს აღარ სცოდნია, ხოლო მას რომ თუნდ VIII საუკუნეში ეცხოვრა, უნდა სცოდნოდა, როდის ააგეს ქ. ბაღდადი, როგორც ეს იცოდა მაგალითად იოანე საბანისძემ... ამის გამო შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ „მოქცევაი ქართლისაის“ მატიანე IX საუკუნეშია შედგენილი...¹ (გვ.114).

თავის დროზე, „მოქცევაი ქართლისაის“ თავდაპირველი ვარიანტის IX ს-ში შექმნის ვერსია გაიზიარა კ. კეკელიძემაც, რომელსაც თავისი მოსაზრების გასამყარებლად საკმაო რაოდენობის არგუმენტაცია მოჰყავს – „...როდისაა დაწერილი ეს თხზულება? მხედველობაში გვაქვს მთლიანი თხზულების, კრებულის შედგენის დრო და არა შემადგენელი მისი ნაწილებისა, რომელთაგან, შეიძლება ზოგიერთი მართლაც შედარებით ძველი იყოს. ამ მხრივ ყურადღება

¹ ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. 8, თბ. 1977 წ.

უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: 1) თხზულებაში დასახელებულია ქალაქი ბაღდადი, როგორც დედაქალაქი სასანიანთა მეფეებისა, ბაღდადი კი, ჩვენ ვიცით, აგებულია 762 წელს; 2) სია მეფე-ერისთავებისა მოყვანილია აშოტ კურაპალატის (გარდ. 836 წ.) და მისი შვილის გუარამის (გარდ. 882 წ.) დრომდე, ესე იგი მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრამდე; 3) თხზულებებში გვხვდება მთელი წინადადება ახალ სპარსულ ენაზე, რომელსაც მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე ადგილი ვერ ექნებოდა; 4) თხრობა აღმართვისათვის პატიოსნისა ჯვარისა და კირილე იერუსალიმელის ეპისტოლე, რომლებითაც ავტორს უსარგებლია, ქართულ მწერლობაში შემოსული უნდა იყოს არაუადრეს მერვე საუკუნის გასვლის ან მეცხრის დამდეგისა, ვინაიდან პირველად ისინი გვხვდება ჩვენ სინას მთაზე დაცულ 864 წლის „მრავალთავში“, მაშასადამე, ამაზე ადრე ეს კრებული ვერ დაინერგებოდა; 5) თხზულების მიზანია, როგორც აღვნიშნეთ, დაამტკიცოს, რომ ქართველებს თავისი საკუთარი განმანათლებელი ჰყავს, რომელიც სომხის მისიონერებისაგან, კერძოდ, გრიგოლ განმანათლებელისაგან სრულიად დამოუკიდებელია... 6) თხზულებაში ჩანს წმ. გიორგის კულტი, რომელიც განმტკიცდა ჩვენში არაუადრეს IX საუკუნის II ნახევრისა; 7) აქ ნახსენებია მარტის წელიწადი, რომელიც მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში შემოვიდა ჩვენში; 8) თხზულებამ იცის პანოდორე ალექსანდრიელის წელთაღრიცხვა, რომელიც, აგრეთვე, მეცხრე საუკუნეში იდგამს ფეხს ჩვენში. ყოველივე ამ მოსაზრების გამო... შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კრებული შედგენილია არაუადრეს მეცხრე საუკუნისა, დაახლოებით მის უკანასკნელ მეოთხედში...² (გვ. 530-531). „მოქცევაი ქართლისაის“ IX-ში შექმნის მოსაზრებას იზიარებს, აგრეთვე, ც. ქურციკიძე. (ქურციკიძე 1984:67).

აღნიშნულისაგან განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს პ. ინგოროყვა. მისი დაკვირვებით

„მოქცევაი ქართლისაის“ მეორე ნაწილი – „წმ. ნინოს ცხოვრების“ თავდაპირველი ვარიანტი VIII ს-ში უნდა იყოს შესრულებული (ინგოროყვა 1939:525).

თავად ძეგლის პირველად გამომქვეყნების ე. თაყაიშვილის აზრით, ის ფაქტი, რომ ქრონიკებში გაბმული თხრობა ქართლის სახელმწიფოებრიობის წარმოქმნიდან მოყოლებული – სტეფანოზ II-ის ერისმთავრობამდე, ანუ VII ს-ის II ნახევრამდე გრძელდება, რომ მის შემდეგ ერისთავთა და კათალიკოსთა მშრალი სიაა მოცემული, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ „მოქცევაი ქართლისაის“ თავდაპირველი შექმნის სავარაუდო დროა – VII ს-ის II ნახევარი, რომ „ქრონიკების“ ბოლოს არსებული ერისთავთა და კათალიკოსთა მშრალი სია, მოგვიანებით IX ს-ის უცნობი რედაქტორის მიერ უნდა იყოს მომატებული (თაყაიშვილი 1890:58).

„ქრონიკების“ VII ს-ის II ნახევარში შექმნის იდეას იზიარებდა პ. ინგოროყვაც (ინგოროყვა 1939:136).

„მოქცევაი ქართლისაის“ VII ს-ში შედგენას ეთანხმება მ. ლორთქიფანიძეც – „...როგორც აღვნიშნეთ, „მოქცევაი ქართლისაის“ ყოველ შემთხვევაში, მისი პირველი ნაწილი, VII საუკუნის უგვიანეს არ უნდა იყოს შედგენილი...“ (ლორთქიფანიძე 1966:129).

განსახილველ საისტორიო თხზულებას VII ს-ში შექმნილად მიიჩნევდა მ. გოგოლაძე – „... ვფიქრობთ, ძეგლის შედგენის სავარაუდო დროს უფრო დაკონკრეტება შესაძლებელი ჩანს“³ ავტორი საისტორიო თხრობას VII ს-ის 40-იანი წლების დასაწყისით ამთავრებს.

ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი არაა. ძეგლი რომ VII ს-ის II ნახევარში დაწერილიყო, მისი ავტორი არაბთა შემოსევას ქართლში ჰაბიბ-იბნ-მასლას შემოსვლას 654 წელს, ქართლის დახარკვას და არაბთა ბატონობის დამყარებას ორიოდ სიტყვით მაინც აღნიშნავდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ „მოქცევაი ქართლისაის“

² კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ. 1980 წ.

³ გოგოლაძე მ., „მოქცევაი ქართლისაის“ შედგენილობა, წყაროები და დათარიღება, საქართველო, №3, თბ. 1998 წ.;

შედგენილი იყოს VII ს-ის 40-იან წლებში, სახელდობრ 642-643, უფრო ზუსტად კი 642-654 წლებში, არაბთა მიერ ქართლის დაპყრობამდე (654 წ.) (გოგოლაძე 1998:46).

აზრს, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ VII ს-ის II ნახევარში უნდა იყოს შექმნილი, იზიარებს ლელა პატარიძეც (პატარიძე 1993:61).

ზემოთქმულ მეცნიერთა შეხედულებისაგან განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს სოლ. ყუბანეიშვილი. მისი აზრით, აღნიშნული თხზულების შექმნა უკავშირდება „პატიოსანი ჯვრის“ აღმართვის დღესასწაულის დადგენასა და ჯვრის ტაძრის აგებას, რომელიც სტეფანოზ I-ის მეფობის დროს VI ს-ის დასასრულსაა აგებული, შესაბამისად თხზულებაც VI საუკუნეზე ადრე ვერ დაინერგებოდა.⁴

გ. წულაიას მოსაზრებით, „მოქცევაი ქართლისაის“ თავდაპირველი ვარიანტი VII-VIII ს-თა მიჯნაზე უნდა ყოფილიყო შედგენილი.

XX ს-ის ბოლოს, საკითხის ახლებურად გააზრების გამო, ქართულ ისტორიოგრაფიაში, კვლავ წინა პლანზე წამოიწია „მოქცევაი ქართლისაის“ დათარიღებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა. გამოკვლევებით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა „მოქცევაი ქართლისაის“ კულტურულ-ისტორიულ ღირებულების მაღალი დონე, რაც გამომწვეულია არა მარტო იმით, რომ იგი ჩვენამდე მოღწეული ქართული ისტორიოგრაფიის უძველესი ძეგლია, არამედ იმითაც, რომ როგორც ახლად ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, „მოქცევაი ქართლისაი“ ქართლის გაქრისტიანების თანადროულად უნდა იყოს შექმნილი.

აღნიშნული საკითხის კვლევისადმი საგანგებო შრომა აქვს მიძღვნილი მ. ჩხარტიშვილს. იგი განიხილავს, რა მანამდე გამოთქმულ მოსაზრებებს „მოქცევაი ქართლისაის“ თავდაპირველად შექმნის თაობაზე, ბრძანებს – „...ქართული წყაროების მიმართ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების პირობებში „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის გვიანი საუკუნეებით და-

თარიღება ხდებოდა ფაქტებზე ძალდატანებით. როგორც მსჯელობებში ლოგიკური წრის შემცველნი, ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის მტკიცებანი არ შეიძლება მიღებულ იქნას არგუმენტად განსახილველი ძეგლის თარიღის გარკვევისას. დღეს, სპეციალისტთა ნაწილის მიერ, ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ გვიან ხანაში შექმნის შესახებ თვალსაზრისის გაზიარება ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ დასახელებულ მკვლევართა ავტორიტეტს და არა რაიმე მამტკიცებელ საბუთს... (ჩხარტიშვილი 1987:153); იქვე, ავტორი ერთგვარად აჯამებს რა თავისი გამოკვლევების ერთ ნაწილს აღნიშნავს – „...ამგვარად, არა გვაქვს არავითარი საფუძველი არ დავუჯეროთ თხზულებისვე მითითებას იმის შესახებ, რომ იგი მეოთხე საუკუნის ძეგლია...“

რაც შეეხება, მთლიანი ძეგლის VII ს-ის II ნახევარში შექმნასთან დაკავშირებულ ვარაუდს, მ. ჩხარტიშვილის მოსაზრებით, – აღნიშნული თარიღი „მოქცევაი ქართლისაის“ არა შექმნის, არამედ მისი ერთ-ერთი რედაქტირების პერიოდი უნდა იყოს.

გ. გოილაძისეული დაკვირვებით – „...ამ ბოლო ხანებში აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია, ზემოდასახელებული საისტორიო თხზულებათა ძირითადი ფენები ქართლის მოქცევის თანადროულად მიიჩნიონ...“ მისივე მოსაზრებით „მოქცევაი ქართლისაის“ „ქრონიკა“ უშუალოდ მირიანის დროსაა შექმნილი და მისი მეფობისადმია მიძღვნილი. „...ზემოთქმული საფუძველს იძლევა დავასკვნათ: „ქრონიკის“ პირველი ნაწილი მირიანის უფროს ძეს – რევის და მის მეუღლეს სალომეს ჯერ კიდევ საუფლისწულო მამულში უჯარმაში რომ იხსენებს და რევის გამეფებაზე არ მიუთითებს, იმას მოწმობს „ქრონიკების“ ეს ნაწილი მირიანის თანადროულად, მის სიცოცხლეში რომ შედგა (იგი მირიანის ანდერძით – უნდა დამთავრებულიყო).

რაც შეეხება „წმ. ნინოს ცხოვრებასა“ და მისი თავდაპირველად შექმნის სავარაუდო დროს, გ. გოილაძე ბრძანებს – „მოქცევაი ქართლისაი-

⁴ ყუბანეიშვილი სოლ., „გრიგოლ დიაკონი და მისი თხზულება“, ლიტერატურული ძიებანი, II, თბ. 1945 წ.;

დან“ („ნინოს ცხოვრებიდან“) ზემომოტანილი ცნობები, ვფიქრობ, აშკარად მიუთითებს: 1. ქართლში ნინოს მოღვაწეობისა და ქრისტიანობის გამარჯვების ამბავი, იმთავითვე ისეთ ცხოველ ინტერესს იწვევდა, რომ მაშინვე მომხდარა მისი წერილობითი ფიქსაცია (ასე რომ, IV ს. I ნახევრის ქართლის სამეფოში უკვე არსებობდა თხრობათა ციკლი, რომელშიც ქართლის მოქცევის ამბები იყო გადმოცემული). 2. ქართლის მოქცევის შესახებ თხრობათა ციკლი ძირითადად მეფე მირიანისა და წმ. ნინოს ირგვლივ იქმნებოდა. ამრიგად, საეჭვო არ ჩანს, IV საუკუნეშივე რომ არსებობდა თხრობათა ციკლი ქართლის მოქცევის შესახებ...

„მოქცევაი ქართლისაის“ გაქრისტიანების თანადროულად შედგენილ ძეგლად მიიჩნევა ზ. ალექსიძეც – „...სავარაუდოა, რომ თავდაპირველად დაიწერა ქართლის ისტორია მირიან მეფის გარდაცვალებამდე და მას ეწოდებოდა „მოქცევაი ქართლისაი“. მასში შედიოდა ქართლის სამეფოს შექმნის, მცხეთის შენების მშრალი ქრონიკა, წარმართ მეფეთა სია და ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების ვრცელი მოთხრობა. ასეთი სტრუქტურა ზუსტად ასახავს ტრადიციული საეკლესიო ისტორიებისა და ქრონიკების მოდელს. შემდეგში „მოქცევაი ქართლისაის“, როგორც ჩანს, დაემატა სხვა ნაწილებიც, ხოლო სათაური ძველი შერჩა. სულ ბოლოს (IX ს. 30-იან წ.წ.) მას უნდა დართვოდა ერისთავებისა და კათალიკოსების სია. ამასთან ერთად უნდა შექმნილიყო ის პროტორედაქცია, რომლიდანაც მომდინარეობს შატბერდული და ჭელიშური რედაქციები და რომელმაც „მოქცევაი ქართლისაის“ სათაურით გააერთიანა „ქრონიკა“ და „ნინოს ცხოვრება“... (ალექსიძე 2007:150)

„მოქცევაი ქართლისაის“ IV ს-ის ძეგლად მიიჩნევა ს. კაკაბაძეც – „...ამგვარად გამოდის, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ წარმოადგენს ძველ ქართულ საისტორიო ნაწარმოებს, დაწერილ მე-4 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში...“

წმ. ნინოს ცხოვრება“ IV ს-ის ძეგლად მიაჩნია რ. სირაძესაც – „...ვფიქრობთ, რომ „ნინოს

ცხოვრება“, უფრო ზუსტად, მისი ცალკეული ეპიზოდები უნდა განეკუთვნებოდეს ქართული მწერლობის დასაწყის ხანას, კერძოდ IV საუკუნეს... (სირაძე 1989:236). ამის ერთ-ერთ გამამყარებელ არგუმენტად მოჰყავს ის ფაქტი, რომ IV-V ს-ის ბერძენ-რომაული ისტორიკოსების მონათხრობი ქართლის გაქრისტიანების ისტორიისა თითქმის ზუსტად იმეორებს „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ დაცულ მონაცემებს. – „...საქმე ისაა, რომ IV-V ს-ის ხუთი ბერძენ-რომაული ისტორიკოსი, კლასიკური წარმომადგენლები საეკლესიო ისტორიისა, რომლებიც ახლოს იდგნენ ქართლის მოქცევის ეპოქასთან და პირველხარისხოვანი ცნობებით სარგებლობდნენ, ერთნაირად გადმოსცემენ ქართლის მოქცევის ამბებს, თანაც სწორედ ისე, როგორც „ნინოს ცხოვრებაში“. ეს ისტორიკოსებია: გელასი კესარიელი, რუფინუსი, თეოდორიტიკვირელი, სოკრატე სქოლასტიკოსი და ერემია სოზომენე...

ამ და სხვა არგუმენტებზე დაყრდნობით, რ. სირაძე თავის კვლევაში დასკვნის სახით ბრძანებს – „...რეკონსტრუირებული სახით წარმოდგენილი „ნინოს ცხოვრება“ უნდა ჩაითვალოს უძველეს ქართულ ნაწარმოებად, რომელიც შეიქმნა არაუგვიანეს IV საუკუნისა და რომლის ცნობები უკვე გამოყენებულია IV-V საუკუნეთა მიჯნაზე V ს. ბერძენ და სომეხ ავტორთა მიერ. ნინოს მოღვაწეობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხავების შექმნა თითქმის ერთი საუკუნით უნდა უსწრებდეს „შუშანიკის წამებას“...

როგორც ვხედავთ, ქართული ისტორიოგრაფიის უძველესი ძეგლის „მოქცევაი ქართლისაის“ თავდაპირველი რედაქციის შექმნის დროსთან მიმართებაში, საკმაოდ ფართო: IV-IX ს-თა არეალია გამოკვეთილი.

ერთ რამეში ყველა თანხმდება, რომ თხზულებას არაერთი რედაქციის კვალი ემჩნევა. ქართლის სამეფოს გაქრისტიანების დროთა სიახლოვეს შექმნილი ძეგლი, როგორც მინიმუმ ორჯერ: VII და IX ს.ს.-ში ახალი მონაცემებით შეუვსიათ უცნობ რედაქტორებს – ქართლის სამეფოს გაქრისტიანებისეული თხრობის უცვლელ-

ლად გადმოცემის პარალელურად ძველისათვის ერისთავთა და კათალიკოსთა მშრალი სია დაუმატებიათ. ამგვარი სახით „გასრულებული“

ძველი, თავის მხრივ, საფუძველი გამხდარა მის შემდგომ შექმნილი არაერთი საისტორიო თხზულებისა („ქართლის ცხოვრება“ და სხვა).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე ზ., „მოქცევაი ქართლისაი“, თბ. 2007 წ.;
2. ჩხარტიშვილი მ., „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ატრიბუცია, მნათობი, № 5, 1987 წ.;
3. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ. 1980 წ.;
4. ქურციკიძე ც., „მოქცევაი ქართლისაის“ ტექსტის და ენის საკითხები, ფილოლოგიური ძიებანი, I, თბ. 1984 წ.;
5. ინგოროყვა პ., ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მნათობი, № 4, 1939 წ.;
6. ლორთქიფანიძე მ., ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ. 1966 წ.;
7. პატარიძე ლ., „ცხოვრებაი წმიდისა ნინოსისი“ (ქართლის გაქრისტიანების კულტურულ-ისტორიული საკითხები), თბ. 1993 წ.;
8. წულაია ვ., „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ. 1979 წ.
9. გოილაძე ვ., „წმ. ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის“, მნათობი, № 2, თბ. 1991 წ.
10. სირაძე რ., „ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული მწერლობისა, განთიადი, № 3, თბ. 1989 წ.
11. ლოლაშვილი ივ., „ნინოს ცხოვრების რედაქციები“, ქ.ს.ე., ტ.7, თბ. 1984 წ.;
12. უჭუხიძე გ., კიდევ ერთხელ „წმ. ნინოს ცხოვრების“ დათარიღებისათვის, ლიტერატურული ძიებანი, XX, თბ. 1999 წ.;
13. გიორგაძე გრ., „ხეთურ-არმაზული ტრიადები“, მნათობი, № 7, 1985 წ.;
14. გოგიტიძე ს., „მირიან მეფე და ქართლის მოქცევა“, ბათ. 1997 წ.;
15. კაკაბაძე ს., „მოქცევაი ქართლისაი“, საისტორიო ძიებანი, თბ. 1924 წ.;
16. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. 8, თბ. 1977 წ.;
17. თაყაიშვილი ექვთ., სამი ისტორიული ქრონიკა, თბ. 1890 წ.;
18. გოგოლაძე მ., „მოქცევაი ქართლისაის“ შედგენილობა, წყაროები და დათარიღება, საქართველო, № 3, თბ. 1998 წ.;
19. ყუბანეიშვილი სოლ., „გრიგოლ დიაკონი და მისი თხზულება“, ლიტერატურული ძიებანი, II, თბ. 1945 წ.;



ტარიელ ფუცკარაძე

ტერმინოლოგიური შეცდომები და არსბაყალბებული სიმბოლური თარიღები

(ბათუმის მხარის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილი ოფიციალური
დოკუმენტების ზოგი ტერმინის ანალიზი საინფორმაციო ომის კონტექსტში)

საინფორმაციო ომი, როგორც დემოგრაფიული რესურსის მართვის პროცესი, მუდამ იყო დიდი თუ მცირე ომების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნახნაგი. მოსახლეობის ცნობიერების მართვის, კერძოდ, განწყობების ჩამოყალიბების, ასევე, ინფორმირებისა თუ დეზინფორმირების თვალსაზრისით, საინფორმაციო შეტევასა თუ საინფორმაციო თავდაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე მსოფლიოში¹. ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენათმეცნიერება, ისტორიოგრაფია, ლიტერატურის ისტორია, ეთნოლოგია...) ქმნიდა, ქმნის და მომავალშიც შექმნის ფართო საზოგადოების მაკონსოლიდირებელ თუ დამანანწვერებელ, მაორიენტირებელ თუ მადეზორიენტირებელ წინაპირობებს (/საფუძვლებს). პოზიტიური თუ ნეგატიური შედეგი დამოკიდებულია როგორც კვლევის სიზუსტეზე, ისე კვლევის დამფინანსებელთა მიზანზეც; სამწუხაროდ, ხშირად, ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად ხდება ისტორიული ფაქტების გაყალბება და იდეოლოგიების შემუშავებაც, რათა სასურველი მიმართულებით მოიმართოს მოცემული მიწა-წყლის მფლობელი ხალხის ცნობიერება. საბოლოო ჯამში, ასეთი ხელისუფლების მიზანია დემოგრაფიული რესურსის მართვით თავისი გავლენა დაიტოვოს (თუ განავრცოს) სხვა სახელმწიფოს სამიზნე ტერიტორიაზე. იშვიათი არაა რეალური ისტორიის უნებლიე დამახინჯებაც, რაც, ასევე, შეიძლება მოწინააღმდეგემ გამოიყენოს საინფორმაციო ომში; შესაბამისად, სახელმწიფოთა შორის ხანგრძლივად ნორმალიზებული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს ობიექტურ კვლევასა და აკადემიურ კვალიფიკაციებს. საინფორმაციო ომის კონტექსტში წარმოდგენილ სტატიაში გაანალიზებულია:

– ბათუმის მხარის, ბათუმის ოლქის, სამუსლიმანო საქართველოსა და აჭარის აღმნიშვნელი ქართული და რუსული სახელების ურთიერთმიმართება და ტერმინების ერთმანეთში აღრევით გამოწვეული ის აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც თავს იჩენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის სამართლებრივი საფუძვლების კვლევისას.

– საბჭოთა საქართველოში 25 თებერვლისა და თურქეთში 7 მარტის სადღესასწაულო დღეებად გამოცხადების იდეოლოგიზებული მოტივაცია.

¹ დღეს, როგორც არასოდეს, გლობალური ქსელისა თუ თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, ძალიან გაიოლებულია საზოგადოების ინფორმირება თუ დეზინფორმირება.

ბათუმის მხარე, ბათუმის ოლქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ბოლო პერიოდის ისტორიოგრაფიული კვლევების მიხედვით, 1921 წლის 16 ივლისს ბოლშევიკების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა უნისონშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციით ბათუმის მხარისათვის (სამუსლიმანო საქართველოსათვის) გათვალისწინებულ სტატუსსა და 1919 წლის 31 აგვისტოს სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარის) მოსახლეობის მიერ გამოხატულ ნებასთან². დავიმონებ ბოლო წლებში გამოქვეყნებულ რამდენიმე ნაშრომს (დამონმებულ ნაშრომებში სამართლიანადაა აქცენტირებული, რომ 1918-1921 წლებში რუსეთმა და ოსმალეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინეს):

ვახტანგ გურული: „აჭარაში თურქეთის, ხოლო შემდეგ რუსეთის ხანგრძლივმა ბატონობამ, თურქეთისა და რუსეთის ანტიქართულმა პოლიტიკამ გარკვეული ნიადაგი მოუმზადა აჭარის ავტონომიის იდეას (ხაზი ჩემია – ტ. ფ). ეს იდეა პოპულარული იყო აჭარაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.). აჭარის ავტონომია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც აღვნიშნეთ, დადასტურდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით (ხაზი ჩემია – ტ. ფ), თუმცა, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამო იგი პრაქტიკულად არ განხორციელდა“ (ვ. გურული, საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის; თბ., 2003, გვ. 114);

უჩა ოქროპირიძე: მემედ აბაშიძემ „შეძლო რეგიონის პროგრესული ძალების თავის ირგვლივ გაერთიანება და ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება – 1919 წლის 31 აგვისტოს ქართველ მუსლიმანთა პირველ ყრილობაზე მიღებული დადგენილებით, რომლის მიხედვითაც სამუსლიმანო საქართველო (აქაც და ქვემოთაც ხაზი ჩემია – ტ. ფ.) დედა-სამშობლოსთან სამარადისოდ შეერთებულად გამოცხადდა ფართო ავტონომიის საფუძველზე. აჭარის ავტონომიის შექმნის სამართლებრივი საფუძველი არის სწორედ 1919 წლის 31 აგვისტოს ისტორიული აქტით სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოხატული ნება და ამ ნების 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუციური დამტკიცება საქართველოს ძირითად კანონში“ (უ. ოქროპირიძე, აჭარის ავტონომიის შექმნა, თბ., 2011, გვ. 221);

ნაზი დაშნიანი: „1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში შეიკრიბა მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლობა, რომელმაც შეიმუშავა მიმართვა საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და პარიზის საზავო კონფერენციისადმი. ამ მიმართვაში ბათუმი, ისევე, როგორც მთელი აჭარა (ხაზი ჩემია – ტ. ფ.), აღიარებული იყო საქართველოს ნაწილად ავტონომიური მმართველობის უფლებით. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 25 დეკემბერს აჭარის ოლქი ბათუმიურთ (ხაზი ჩემია – ტ. ფ.) საქართველოს განუყოფელ ნაწილად გამოაცხადა, რაც აღიარებულია რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებითაც“ (ნ. დაშნიანი, დოკუმენტები ბათუმის ოლქის საქართველოსთან შემოერთების შესახებ (1920 წელი), ბათუმი, 2013, გვ. 185)³;

² სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის ნება გამოიხატა 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში ჩატარებულ სამუსლიმანო საქართველოს დელეგატთა პირველ ყრილობაზე (ხელმოწერილი დოკუმენტისა და მისი ვარიანტების შესახებ იხ. ქვემოთ).

³ აჭარის დედამშობლოსთან დაბრუნების 135 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია). III კონფერენციის მასალები, 2013. <http://bit.ly/2uXc65M>

გუგული კუკულაძე: „1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ მოაწერა ხელი დებულებას, რომლის თანახმადაც შეიქმნა ბათუმის ოლქი. მას სათავეში ედგა სამხედრო გუბერნატორი. პირველ სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა გენერალმაიორი კონსტანტინე კომაროვი (*Батумь и его окрестности, Бат. 1906:105*). სამხედრო და ადმინისტრაციულ საქმეებში იგი კავკასიის არმიის მთავარსარდალს ემორჩილებოდა. იმავე წელს **ბათუმის ოლქი** ადმინისტრაციულად დაიყო **ბათუმის** (ბათუმის, კინტრიძის და გონიოს უბნები), **ართვინის** (არტანუჯის, ართვინის და შავშეთის უბნები) და **აჭარის** (ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და მაჭახლის უბნები) **ოკრუგებად...** 1903 წლის 17 მარტს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა **ბათუმის ოლქის** აღდგენის დადგენილებას, ხოლო 1903 წლის 1 ივნისიდან იგი დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა. **ბათუმის ოლქი შედგებოდა ბათუმისა და ართვინის ოკრუგებისაგან** (ხაზი ჩემია – ტ. ფ.), რომელიც იყოფოდა 7 უბნად. ამათგან 4 უბანი იყო ბათუმის ოკრუგში (კინტრიში, გონიო, ქვედა და ზედა აჭარა), ხოლო 3 უბანი – ართვინის ოკრუგში (ართვინი, არტანუჯი, შავშეთ-იმერხევი). ბათუმის ოლქი მოიცავდა 6 195 კვ. ვერსს; ბათუმის ოლქის დედაქალაქად დასახელდა ბათუმი“ (გ. კუკულაძე, საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის პროცესში 1918-1920 წწ. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო); ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ბათუმი, 2016)⁴.

არა მხოლოდ დამონმებულ ავტორებთან, არამედ მთლიანად ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულ კონტექსტში არასწორადაა თარგმნილი რუსული ტერმინები: **область, округ**; პარალელურად, არაიშვიათად, **აჭარა გათანაბრებულია „სამუსლიმანო საქართველოსთან“** (რაც სერიოზული შეცდომაა). პირველ რიგში გავაანალიზებთ ბოლო ციტირებაში დამონმებულ ტერმინებს:

მეფისნაცვალის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის დედანში გამოყენებული ორივე ტერმინი: **область** და **округ** იმთავითვე (1878 წლიდანვე!) ქართულად სწორად უნდა თარგმნილიყო; მაგ., 1906 წლის რუსულ დოკუმენტში (დედანში) გამოყენებული შესიტყვება: **Батумская область** („ბათუმის ობლასტი“) მოიცავს „**ბათუმის მხარეს**“⁵; შესაბამისად, ქართულ თარგმანში უნდა იყოს „ბათუმის მხარე“ და არა – „ბათუმის ოლქი“; ხოლო იქ, სადაც რუსულ ტექსტშია **Батумский округ**, შესაბამის ქართულ თარგმანში ბარბარიზმიანი შესიტყვების ნაცვლად უნდა იყოს „**ბათუმის ოლქი**“.

აქვე წარმოვადგენთ რუსული და ქართული ტერმინების თურქულ პარალელებსაც:

область – მხარე – ოსმალური **ვილაიეთი** – საფაშო (რომელსაც მართავდა ფაშა). **область**-ის **საზღვრები მცირედით აღემატებოდა ვილაიეთის საზღვრებს**. თანამედროვე თურქულში მხარის (/რეგიონის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის) აღსანიშნავად არის ტერმინი „ილი“.

округ – ოლქი – ოსმალური **სანჯაყი**. სანჯაყი იგივეა რაც **ლივა**⁶; ტერმინი ლივა 1874 წლიდან დასტურდება. თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში გამოყენებულია, ასევე, ტერმინი „ბოლ-

⁴ გ. კუკულაძე იონიშებს 2008 წელს გამოქვეყნებულ ჯემალ კარალიძის ნაშრომს „ბათუმის ოლქის აღდგენა (1903 წელი)“, საისტორიო მაგნე XVI-XVII, (შრომების კრებული), ბათუმი, 2008.

⁵ ადრეულ გამოკვლევებში ოსმალეთის მიერ ოკუპირებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად „ბათუმის მხარის“ ნაცვლად, ისტორიოგრაფიული ლიტერატურის ანალოგიით, მეც ვიყენებდი ტერმინს: „ბათუმის ოლქი“, ოღონდ, ვაზუსტებდი რომ ეს იყო მთლიანად ე.წ. „სამუსლიმანო საქართველო“; იხ., მაგ., ჩემი წერილი: „1921 წლის ბოლშევიკური ოკუპაცია და ბათუმის ოლქის (აჭარა-ქობულეთი, ართვინ-შავშეთი) საბედისწერო დანაწევრება“, სადაც გაკეთებული მაქვს ასეთი შენიშვნაც: „დღემდე თითქმის ყველა გამოკვლევასა თუ ენციკლოპედიაში „ბათუმის ოლქი“ გაიგივებულია გაცილებით მცირე ტერიტორიასთან – აჭარასთან; შესაბამისად, ბათუმის მთლიანი ოლქის მოსახლეობის სურვილი, სხვა ქართველებთან ერთად მოქცეულიყვნენ ერთიან სახელმწიფოებრივ ველში, გამოცხადებულია მხოლოდ აჭარის მოსახლეობის ნებად“. <http://bit.ly/2uU5Mfi>

⁶ შდრ.: თურქული ოკუპაციის დროს ჯერ იყო ზემო და ქვემო აჭარის სანჯაყები. ისინი შემდეგ კაზებად გადაკეთდა იმიტომ, რომ 1851 წლიდან შეიქმნა ლაზისტანის სანჯაყი.


გე“ (1941 წლიდან). სანჯაყი (ლივა) იყოფა კაზებად: კაზა იგივეა რაც დღევანდელი „ილჩე“; შდრ., ძველი „ნაჰიე“ – რაიონი. კაზა არის ნაჰიეზე დიდი და ილზე პატარა ტერიტორია⁷.

ვფიქრობ, ცხადია, რომ დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ტერმინების თარგმნას. ზემოთქმულის გათვალისწინებით, 1906 წლის რუსული დოკუმენტის ქართულენოვანი ინტერპრეტაცია ასე უნდა გამოიყურებოდეს (აქ გავმართავთ ბოლო აბზაცს):

„1903 წლის 17 მარტს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა Батумская область-ის (ანუ **ბათუმის მხარის**) ადმინისტრაციული ერთეულის აღდგენის დადგენილებას; 1903 წლის 1 ივნისიდან იგი დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა. **ბათუმის მხარე** შედგებოდა **ბათუმისა და ართვინის ოლქებისაგან**, რომელიც იყოფოდა 7 უბნად. ამათგან 4 უბანი იყო ბათუმის ოლქში (კინტრიში, გონიო, ქვედა და ზედა აჭარა), ხოლო 3 უბანი – ართვინის ოლქში (ართვინი, არტანუჯი, შავ-შეთ-იმერხევი). Батумская область (= **ბათუმის მხარე**) მოიცავდა 6 195 კვ. ვერსს. **ბათუმის მხარის** დედაქალაქად გამოცხადდა ბათუმი“.

ბათუმის მხარისა და ბათუმის ოლქის რუსული რუკები ასე გამოიყურება:

ბათუმის მხარე (ობლასტი) (1)⁸:



⁷ არაბული წამომავლობის „ნაჰიე“ სპარსულ ენაში მხოლოდ სოფლის/ქალაქის „უბანს“ ნიშნავს. თურქული მასალა დაზუსტდა პროფ. როინ ყავრელიშვილიდან.

⁸ <http://bit.ly/2uZAwf2>

ბათუმის მხარე (ოზლასტი) (2):⁹



გაცილებით მცირე ტერიტორიას – მხოლოდ ამჟამინდელ აჭარას – მოიცავს ბათუმის ოლქი (ოკრუგი). დამატებულია მხოლოდ მაჭახელას ხეობის ზედა ნაწილი¹⁰:



⁹ <http://bit.ly/2qemPDF>

¹⁰ <http://bit.ly/2Hgp8xK>

მდრ., ბათუმის მხარის (ობლასტის) ზემოთ დამონმებული რუკა, რომელზეც მხოლოდ ბათუმის ოლქი (ოკრუგი) დავტოვეთ დედნისეული ფონით:



რუსული თუ ოსმალური დოკუმენტების თარგმანების დაზუსტებაზე დღეს უფრო არსებითია ტერმინოლოგიური აღრევით გამოწვეული ისტორიოგრაფიული უზუსტობების გასწორება, რამდენადაც დღესაც არის მცდელობა, მიიჩქმალოს ლენინისა და ათათურქის რევოლუციური ხელისუფლებების მიერ საქართველოს წინააღმდეგ 1921 წლის 16 მარტს ჩადენილი ანტიქართული ქმედება; კერძოდ, ის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დე ფაქტო და დე იურე არსებობის პირობებში რუსეთმა და ოსმალეთმა¹¹ 1921 წელს მოსკოვში გადაინაწილეს კავკასია და გაიყვეს საქართველოც. ამ ხელშეკრულებით გაყვეს ბათუმის მხარეც („ბათუმის ობლასტი“):

ბოლშევიკებმა და ათათურქის ხელისუფლებამ საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლებისა და სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ, ე.წ. ნეიტრალური ტერიტორიის სახით, გამოაცხადეს აჭარის ავტონომია, რომელიც მოიცავდა არა ბათუმის მხარეს (ბათუმისა და ართვინის ოლქებს), არამედ, მხოლოდ ბათუმის ოლქს ზემო მაჭახელის გამოკლებით¹². აღვნიშნავთ იმასაც, რომ საერთაშორისო მოლაპარაკებებისა თუ გარიგებების

¹¹ სულთნის (ოსმალეთის) ხელისუფლების სტამბოლში არსებობის მიუხედავად, 1920 წელს ანკარაში შეიქმნა რევოლუციური მთავრობა, 1921 წელს კი – „თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობა“ (რომელიც 1921 წელს ნამდვილად არ იყო ლეგიტიმური ხელისუფლება!). ანკარის მთავრობამ 1923 წელს დააარსა „თურქეთის რესპუბლიკა“. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ შუა საუკუნეებში სხვა ხალხების მინა-წყალზე ოსმალეთის სახელმწიფო დააარსეს შუა აზიიდან მოსულმა ოღუზთა შტოს ქაის ტომის წარმომადგენლებმა ოსმან პირველის მეთაურობით, რომელთაც 1453 წლის 29 მაისს აიღეს კონსტანტინეპოლი (ამჟამინდელი სტამბოლი). ქართველთა ისტორიული სახელმწიფოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ოსმალეთის იმპერიამ იარაღის ძალით დაიპყრო XVI-XVII საუკუნეებში.

¹² მენშევიკური მთავრობის მიერ ნავარაუდები „ბათუმის მხარის ავტონომია“ და ბოლშევიკების მიერ შექმნილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა“ არსებითად განსხვავდება: ამ უკანასკნელში საერთოდ არ მოიაზრება ისტორიული ტაო-კლარჯეთი.

დროს შეიძლება ტერმინოლოგიურმა სიჭრელემაც განსაზღვრა **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზოგი პროვინციის ბედი**¹³.

ბათუმის მხარის კონტექსტში ტერმინოლოგიური ბუნდოვნობა თუ აღრევა არა მხოლოდ თანამედროვე ისტორიოგრაფიულ გამოკვლევებში, არამედ 1918-1921 წლებში შექმნილ მასალებშიც ხშირად გვაქვს, მაგრამ ამ თვალსაზრისით უნაკლოა საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. სამაგალითოდ შევაპირისპირებთ 1918-1921 წლებში შექმნილ რამდენიმე დოკუმენტს, რომელიც ათვალსაჩინოებს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა წარმომადგენლობითი ყრილობის მონაწილენიც და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებაც ერთიანი გეგმით ცდილობდა საქართველოს სახელმწიფოს აღორძინებას, რომლის ნაწილი უნდა გამხდარიყო „სამუსლიმანო საქართველოც“ (სულ მცირე, ბათუმისა და ართვინის ოლქები); კერძოდ, სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიას უნდა მოეცვა აჭარაც, მაჭახელიც, ლაზეთის ნაწილიც, შავშეთ-იმერხევიც და ტაოს დიდი ნაწილიც. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელთა საერთო მიდგომას წარმოაჩენს ქვემოთ დამონშებული ისტორიული დოკუმენტების საერთო ტერმინოლოგიაც; შდრ.:

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“¹⁴ მიერ ორგანიზებული ყრილობისა და 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს მთავრობის დადგენილებები.

1918-1921 წლების ქართულენოვან დოკუმენტებს შორის აღსანიშნავია „ბათუმის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების“ ყრილობის¹⁵ პირველ (31.08.1919 წ.) და მეორე (01.09.1919) სხდომებზე მიღებული დადგენილებები. საყურადღებოა, რომ ჩვენამდე პირველი დადგენილების სამი ვარიანტია მოღწეული; ამათგან ორი (ხელმოუწერელი ვარიანტები!) მხოლოდ თბილისშია დაცული. ეს და ბევრი სხვა გარემოებაც ცხადყოფს, რომ პირველი დადგენილების პროექტი „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით მოამზადა. მრავლისმეტყველი ფაქტია ისიც, რომ ბათუმში მიღებული ორივე დადგენილება საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაადასტურა 1 სექტემბერსვე.

„ბათუმის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების“ ყრილობის დადგენილებებში ტერმინები: „სამუსლიმანო საქართველო“ და „ბათუმის ოლქი“ სინონიმებია და მიემართება

¹³ „ობლასტისა“ და „ოკრუგის“ აღრევის ერთი საინტერესო მაგალითი მოგვანოდა პროფ. ვახტანგ გურულმა (რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებთ): ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე აბზაცში იხსენიება არდაგანის (არტაანის), ყარსისა და ბათუმის ოკრუგები; ტექსტში არ ჩანს ართვინის ოკრუგი; ამკარაა, რომ ხელშეკრულებაში დაშვებულია შეცდომა: „ბათუმის ოკრუგის“ ნაცვლად უნდა იყოს „ბათუმის ობლასტი“. ამ და სხვა ხელშეკრულებებშიც იშვიათი არ არის მსგავსი ლაფსუსები.

¹⁴ 1918 წლის აპრილში ბათუმში ოსმალეთის საოკუპაციო ჯარის შესვლის შემდეგ აჭარის მკვიდრთა აქტიურმა ნაწილმა, რომელმაც კარგად იცოდა როგორც მშობლიური კუთხის, ასევე, ზოგადად, საქართველოს ისტორია, ოკუპირებული ტერიტორია დატოვა და სამოღვაწეოდ თბილისში გადავიდა. მათ 1918 წლის 15 მაისს საქართველოს დედაქალაქში დააარსეს „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“; თავმჯდომარედ აირჩიეს მემედ აბაშიძე; წევრებად: ჰ. აბაშიძე (მოადგილე), ს. დიასამიძე (მდივანი), ხ. თხილაიშვილი, ყ. შერვაშიძე, ზ. აბაშიძე, ს. ბუჟანიძე, ქ. ნოლაიძე, ი. ქათამაძე და სხვ. (სიხარულიძე 1973:124). კომიტეტმა თავისი პოლიტიკური მრწამსი ჩამოაყალიბა დოკუმენტში: „პროგრამა და ინსტრუქცია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა“, რომელიც 3 თავისა და 79 მუხლისაგან შედგებოდა. პროგრამას თავიდან ბოლომდე ლაიტმოტივად გასდევდა სამუსლიმანო საქართველოს დედამამშობლოსთან შეერთების იდეა (დოკუმენტის ანალიზისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: უ. ოქროპირიძე 2011:124); სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მიზანი იყო არა მხოლოდ აჭარის, არამედ ოსმალეთის მიერ ოკუპირებული მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

¹⁵ ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობამ აირჩია სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი (საბჭო) მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით და ერთხმად დაადგინა ბათუმისა და ართვინის ოლქების (აჭარა, ბორჩხა, ართვინი, შავშეთი და ტაოს დიდი ნაწილი) შემოერთება დანარჩენ საქართველოსთან ავტონომიის საფუძველზე; ყრილობამ თავისი დედეგაცია გააგზავნა პარიზის საზავო კონფერენციაზე (ამ ყრილობის ჩატარების აუცილებლობა შექმნა უფრო ადრე თურქული ოკუპაციის დროს გაყალბებული პლემბისციტმა).

ტერმინს: **Батумская область (ბათუმის მხარე)**. პირველ დადგენილებას ხელს აწერენ როგორც ბათუმის ოლქის (ოკრუგის), ასევე, ართვინის ოლქის (ოკრუგის) წარმომადგენლები; მეორე დადგენილებას ყრილობის სახელით აწერს ხელს მემედ აბაშიძე.

ბათუმის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილება (1919-1921 დაუთარილებელი. სამოქალაქო განათლების განყოფილება. პავლე საყვარელიძის პირადი არქივი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)¹⁶; დადგენილების პირველი ხელმოწერილი პროექტი:

„ჩვენ **ბათუმის ოლქის** მუსულმან ქართველთა წარმომადგენელი ერთხმად ვმონწობთ ღვთისა და ქვეყნის წინაშე: რომ ჩვენ, **ბათუმის ოლქის** (ქვემოთ დამონშებულ მასალაში ხაზგასმა ყველგან ჩემია – ტ.ფ.) მკვიდრნი მრავალ საუკუნეთა ისტორიით, სისხლ-ხორციით [ხელით მინაწერი: სისხლით და ხორციით] და იდეალებით [ხელით მინაწერი: კულტურით და ზნე-ჩვეულებით] მუდამ განუყრელი ვყოფილვართ [ხელით მინაწერი: ვიყავით და ვართ] ჩვენი დედა-სამშობლო საქართველოდან [ხელით ჩასწორებული: საქართველოსთან], რომ ჩვენი მხარე უსამართლოდ მოსწყვიტეს საქართველოს სხეულს ბრესტლიტოვსკის ძალდატანებითი ხელშეკრულებით, რომელიც უკუგდებულ იქმნა, მთელი ამიერ-კავკასიის მიერ სათანადო პროტესტით მოკავშირეთა წინაშე და რომელიც ან უკვე გაბათილებულია მოკავშირეთა ბრწყინვალე გამარჯვებით.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ქალაქი ბათომი მუდამ ქართული ყოფილა, რომ თურქების შემოსევამ მრავალი ქართველი აიძულა დაეტოვებინა აქ თავისი კერა და ამით ქალაქს ქართული ელფერი დაეკარგა, რომ ან ბათომი გადაიქცა ბუდეთ, სადაც თავს იყრიან მრავალი ბოროტგანზრახული ელემენტები, რომელნიც ლამობენ ჩვენი სამშობლოს პოლიტიკის ამღვრევას და ძირს უთხრიან მოკავშირეთა და საქართველოს შორის კეთილგანწყობილებას;

ვითვალისწინებთ რა ქალაქ ბათუმის მნიშვნელობას საქართველოს აღორძინებისათვის და ამ ქალაქის და მთელი მხარის მომავალ დაცემა-განადგურებას იმ შემთხვევაში თუ აწინდელი გამოურკვეველი მდგომარეობა აქ შეიცვალა;

გამოვსთქვამთ მთელი ჩვენი კუთხის მცხოვრებთა ნება-ყოფლობით მხურვალე სურვილს და მტკიცე გადაწყვეტილებას, რათა **ბათომი და მისი ოლქი** კვლავ შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკას, როგორც მისი განუყოფელი და უდავო ნაწილი ამ **მხარის** მკვიდრთა საბედნიეროდ, საზოგადოებრივ წესის და მშვიდობიანობის განმტკიცების და გამარჯვებულ მოკავშირეთ ღირსების ტრიუმფისათვის.

ინებოს ღმერთმა, ჩვენი პატარა კუთხის გულის სიღრმიდან ამოძახილმა ხმამ მიაღწიოს მათ გულ-ყურამდის, ვისგანაც დამოკიდებულია მისი ბედის გადაწყვეტა და აგვისრულდეს ჩვენი ნატვრა და მისწრაფება“.

ბათუმის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილება (1919-1921 დაუთარილებელი. სამოქალაქო განათლების განყოფილება. პავლე საყვარელიძის პირადი არქივი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა) ხელით მინაწერი: ბათუმის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილება¹⁷ (დადგენილების მეორე ხელმოწერილი პროექტი):

„ჩვენ შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმისა მოგვეცა რა შეძლება ვაუწყოთ მთელს ქვეყანას ჩვენი ერის სურვილები, ვმონწობთ:

¹⁶ <http://bit.ly/2lnuzdN>

¹⁷ <http://bit.ly/2uBQTOy>

1. ჩვენი ერთი ქართველი ერის შტოა, ჩვენი მხარე ხანგრძლივ ისტორიის მსვლელობაში ყოველთვის შეადგენდა საქართველოს სახელმწიფოს ნაწილს.

2. ბრესტ-ლიტოვსკის ძალდატანებით ხელშეკრულებით ჩვენი მხარე მოშორებულ იქნა საქართველოდან და ეხლა, როცა ეს ხელშეკრულება გაბათილებულია მოკავშირეთ გამარჯვებით, ჩვენს ერს სწყურია შეერთება დედა-საქართველოსთან.

3. აწინდელი გამოურკვეველი მდგომარეობამ გარდაქმნა **ბათომი და მთელს ჩვენს მხარეს** პოლიტიკურ ავანტიურის საგნად, იგი სპობს ამ კუთხის ეკონომიურ კეთილდღეობას, ხელს უწყობს არა სასურველ ბოროტ-განზრახულ ელემენტების მოქმედებას და იწვევს მცხოვრებთა აფორიაქებას.

4. ჩვენი ერის ინტერესები, ჩვენი სამშობლო საქართველოს ინტერესები, მთელი ამიერკავკასიის ინტერესები და დიდ სახელმწიფოთ ღირსება, რომელთაც დაანგრის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება ითხოვენ, რომ **ბათომის და მისი ოლქის** გამოურკვეველ მდგომარეობას ბოლო მოეღოს და **ჩვენი მხარე** დედა-საქართველოს დაუბრუნდეს.

ამას ვმონშობთ ჩვენ ჩვენი ერის ნება-ყოფლობის თანახმად და გვწამს, რომ ჩვენი ღალადი შესმენილ იქნება მათ მიერ ვისგანაც დამოკიდებულია ჩვენი ოლქის ბედ-იღბალი“.

ბათომის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილება. გამოქვეყნებული. წერილი დადასტურებული იყო ხელმოწერებით¹⁸. ეს ვარიანტი გაიგზავნა ერთა ლიგაშიც¹⁹:

ბათუმის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლები, შეკრებილნი ქალ. ბათუმში, რიცხვით ასი, 1919 წ. აგვისტოს 31-სა, კვირას, ვაცხადებთ ერთხმად ღვთისა და ქვეყნის წინაშე!

1. **ბათუმის ოლქის** მკვიდრნი (რუსული ტერმინების არასწორი თარგმანის გამო აქაც შეცდომით „ოლქია“ გამოყენებული! წესით, უნდა იყოს „მხარის“ – ტ. ფ.), სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლითა და ხორციით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები ვართ, მუსლიმანი ქართველები, და ტერიტორიულად და ეკონომიკურად ყოველთვის ჩვენი მხარე, დედა სამშობლოს – საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

2. **ბათომის ოლქის** აწინდელი მდგომარეობა აუტანელ პირობებში აყენებს მთელ ხალხს, ართმევს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლებას და საშუალებას, აძლიერებს უპასუხისმგებლო ჯგუფების პოლიტიკურ თარეშს და ხელს უწყობს მშვიდობიანობის და კეთილგანწყობის დამარღვეველ ადამიანთა ბოროტ განზრახულობას. ამის გამო შეუძლებელია მშვიდობიანი განვითარება.

3. ბათომის ოლქის მკვიდრთა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საჭიროებანი, აგრეთვე ამიერკავკასიის ყველა ერის ინტერესი და ურთიერთშორის კეთილმეზობლური განწყობილება და დიდ სახელმწიფოთა ღირსება თხოულობს, რომ ბოლო მოეღოს ოლქის დღევანდელ მდგომარეობას. სახელმწიფოებრივი წესიერება დამყარდეს და ხალხმა მშვიდობიანი კეთილდღეობით ცხოვრება მოიპოვოს.


4. ვინაიდან ეს შესაძლებელია მხოლოდ მუსლიმან ქართველების განთავისუფლებით და საქართველოს რესპუბლიკასთან შეერთებით, ამიტომ გამოვსთქვამთ შეურყეველ ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას:

¹⁸ ყრილობის მონაწილე ბეგების ზოგ ხელმოწერას თან ახლავს საგვარეულო ბეჭედი (ზოგი ხელმოწერა არაბული ასოებითაა. ეს დოკუმენტი გაიგზავნა ერთა ლიგაში). დოკუმენტი ხელმოწერებითურთ გამოქვეყნებულია ა. სილაგაძისა და ვ. გურულის მიერ წიგნში: „საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან“. ნაკვეთი I. მემედ-ბეგ აბაშიძე. დოკუმენტები და მასალები. თბ., 1996 წ. გვ. 33-37.



¹⁹ <http://blogger.ge/post/2022#sthash.5tOauGNP.dpuf>

ამიერიდან და სამარადისოდ ბათუმი და მისი ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს – საქართველოს რესპუბლიკას **სამუსლიმანო საქართველოს ფართე ავტონომიის ნიადაგზე** და ამ ავტონომიის ფარგლებში ეროვნულ უმცირესობათ მიენიჭოთ ჩვენთან თანასწორი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება.

5. დადგენილება ეს ეცნობოს პარიზის საზავო კონფერენციას და ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, მიიღოს ყოველი ზომა ჩვენი დადგენილების განსახორციელებლად²⁰:



²⁰ ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან. ნაკვეთი I. მემედ-ბეგ აბაშიძე. დოკუმენტები და მასალები. თბ., 1996 წ. გვ. 33-37. გარკვეულწილად სახეცვლილი ეს ვარიანტი გამოქვეყნებული აქვს გ. კუკულაძესაც (დამონმებულია: სცსსა, ფ. 1861, აღ. 2, ს. 42:1-3); იხ.: გუგული კუკულაძე, საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის პროცესში 1918-1920 წწ. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო); ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ბათუმი, 2016 წ., გვ. 69.



1919 წლის პირველ სექტემბერს ბათუმის ყრილობაზე მიღებულ იქნა მეორე დადგენილება (1919 წელი, 1 სექტემბერი; სამოქალაქო განათლების განყოფილება; სეა. ფ. 1833, აღწერა 1, საქ. 191, ფურც. 186)²¹:

²¹ <http://bit.ly/2GRzjuM>

ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობამ, რომელიც შესდგა ქალაქ ბათუმში, ქალაქის თვითმართველობის შენობაში, თავის მუშაობის მეორე დღეს, პირველ სექტემბერს 1919 წ., მიიღო შემდეგი დადგენილება:

1. **სამუსლიმანო საქართველოს** დედა-სამშობლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში უნდა ჰყავდეს თავის ავტონომიური მთავრობა.

2. **სამუსლიმანო საქართველოს** საკანონდებლო პარლამენტი უნდა ჰყავდეს.

3. **სამუსლიმანო საქართველოს** ავტონომიური მთავრობა შინაგან საქმეებში უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი. ეს საქმეებია:

ა/ სარწმუნოებრივი საქმე, ბ/ სამოსამართლო, ვ/ საადმინისტრაციო,

გ/ სამოსწავლო, ე/ სამეურნეო, სავაჭრო-სამრეწველო და სხვა ეკონომიური საქმეები და ვ/ სხვა შინაური საქმეები.

4. **სამუსლიმანო საქართველოს** ავტონომიური მთავრობა მთელ საქართველოს მთავრობასთან ერთად განსაზღვრულ პირობებში უნდა აწარმოებდეს შემდეგ საქმეებს: სამხედროს, საფინანსოს, საგარეოს, ფოსტა-ტელეგრაფს, რკინის გზებს და საბაჟოს.

5. **ავტონომიურ სამუსლიმანო საქართველოს** ძირითადი კანონები შემუშავებული უნდა იქნას მონვეულ დამფუძნებელ კრების მიერ.

6. ყრილობა **ბათუმის ოლქის** მცხოვრებთა ინტერესების და უფლებების დასაცველად და აგრეთვე ოლქის მართვა-გამგეობისათვის ირჩევს 37 წევრისაგან შემდგარ მეჯლისს.

7. მეჯლისს უფლება ეძლევა მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა **სამუსლიმანო საქართველო** ფართე ავტონომიურად შეუერთდეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას; ამისათვის მას ევალება აღძრას შუამდგომლობა სამუსლიმანო საქართველოს ფართე ავტონომიის დამტკიცებისათვის როგორც საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე პარიზის საზავო კონფერენციის წინაშე.

8. მეჯლისს ევალება აღძრას შუამდგომლობა ინგლისის მთავრობისა და მის მოკავშირეთა წინაშე: ა/ რათა **ბათუმის ოლქის** მართებლობის უფლება გადაეცეს თვით ოლქის მცხოვრებლებს, ბ/ მოხდეს სასწრაფო ახალი არჩევნები ქალაქის თვითმართველობისა, ბ/ გადაეცეს ფოსტა-ტელეგრაფი საქართველოს მთავრობას საერთო წარმოებისათვის და დ/ გადმოტანილ იქნას ქ. ბათუმში ნატანების საბაჟო აგრეთვე საერთო წარმოებისათვის.

ყრილობის თავმჯდომარე მემედ-ბეგ აბაშიძე

ამკარაა, რომ ყრილობის მონაწილეთათვის მთელი „სამუსლიმანო საქართველო“ და „ბათუმის ოლქი“ სინონიმებია.

1919 წლის პირველ სექტემბერსვე საქართველოს მთავრობამ დაამოწმა ორივე დადგენილება (ამონაწერი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1919 წ. 1 ენკენისთვის სხდომის ოქმიდან. 1919 წელი, 1 სექტემბერი; სამოქალაქო განათლების განყოფილება. სეა. ფ. 1833, აღწერა 1, საქ. 191, ფურც. 185)²²

მოისმინეს:

მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა: ბათუმის ოლქის ქართველ მუსულმანების წარმომადგენელთა ყრილობის მიერ მიღებული ორი დადგენილება (წარდგენილნი მთავრობაში დელეგაციის საშუალებით დასადასტურებლად).

²² <http://bit.ly/2lqWwkj>

დაადგინეს:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მოისმინა რა **ბათომის ოლქის** ქართველ მუსულმანთა წარმომადგენლების ყრილობის მიერ ა/წ. 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს მიღებული რეზოლიუციები, დაადგინა:

1. **ბათომის ოლქის** ქართველ მუსულმანთა წარმომადგენლების ყრილობის მიერ 1919 წელს აგვისტოს 31 მიღებული დადგენილება დადასტურებულ იქმნას.

2. 1919 წ. 1 სექტემბრის დადგენილება მიღებულ იქმნას პრინციპიალურად და გადაეცეს დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიას დაწვრილებითი განხილვისათვის.

ხელმოწერილ დოკუმენტებშიც და დადგენილებების პროექტებშიც ნათლადაა ნათქვამი, რომ **სამუსლიმანო საქართველოს ანუ ბათომის ოლქის (მხარის) მოსახლეობის დელეგატები ითხოვენ არა საკუთრივ ბათუმის ოკრუგის, ანუ აჭარის ავტონომიას, არამედ მთლიანი სამუსლიმანო საქართველოს – ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ავტონომიას**. ეს თხოვნა ადეკვატური და გაუორბელი ტერმინოლოგიით (აქ უკვე აღარ გამოიყენება ტერმინი: „ოლქი“) აისახა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ კონსტიტუციაში, სადაც ასეთი ჩანაწერია:

„თავი 11. ავტონომიური მმართველობა;

მუხლი 107: საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს სოხუმის ოლქი, **სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე)** და ზაქათალას ზაქათალის ოლქი, ენიჭებათ ადგილობრივ ავტონომიური მმართველობა.

მუხლი 108. წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი

შემუშავებელ იქნება ცალკე კანონით²³.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ ტექსტებში, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაში და 1919 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარებული მუსლიმანი ქართველების ყრილობის დადგენილებებში ავტონომიის კონტექსტით წარმოდგენილია ერთნაირი მიდგომა, რაც გამოსატყუია **იდენტური ტერმინოლოგიით²⁴**; ეს ათვალსაჩინოებს **საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებისა და „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“** საერთო მიზანს – საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას; კერძოდ, ორივე მხარის მიზანი იყო **ოსმალეთის მიერ ოკუპირებული მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს** (და არა – მხოლოდ აჭარის!) შემოერთება **დედასამშობლოსთან**. პარალელურად, ორივე მხარეს სურდა რუსეთის იმპერიის მიერ დატერორებული მუსლიმანი ქართველების ნდობის მოპოვება და მათი ინტეგრირება ქართულენოვან სახელმწიფოში.

შდრ.: სულ სხვა მიზანი, შესაბამისად, სულ სხვა ტერმინოლოგია ჰქონდათ ბოლშევიკებს (მიზანი უთუოდ აპირობებს ტერმინოლოგიის შერჩევას!):

²³ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), 1990, გვ. 476

²⁴ ფაქტია ისიც, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზერეულ ცოდნის გამო ისტორიკოსებისა თუ საზოგადო მოღვაწეების დიდი ნაწილი მაშინაც და დღესაც საქართველოს ერთი პატარა კუთხის – „აჭარის“ – სახელს აიგივებს მთლიანად „სამუსლიმანო საქართველოსთან“; იხ., მაგ. ნოე ჟორდანიას 1918 წლის 25 დეკემბერის მიმართვის ტექსტი: „მთავრობა აცხადებს, რომ ის **სამუსლიმანო საქართველოს** აძლევს ავტონომიას. თვითონ **აჭარის** წარმომადგენლები გამოსცემენ კანონებს, რომლებითაც თავიანთი გემოვნებითა და სინდისით მოაწყობენ თავის ცხოვრებას, მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავიანთი რწმენის უფლებებს, მოაგვარებენ ადგილობრივ საქმეებს და მათ თავიანთ მშობლიურ მხარეში დაამყარებენ ბედნიერებას“ (გაზ. „ერთობა“, 1919, №9).

ბოლშევიკებმა უგულბელყვეს როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, ისე სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა ყრილობის დადგენილებები, ზოგადად, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესები და 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში რუსეთ-ოსმალეთის ანტიქართული გარიგებით გადაინაწილეს საქართველოს ტერიტორია²⁵. აგრესორებმა ბათუმი მის გარშემო არსებული მცირე ტერიტორიით ფაქტობრივად ორ იმპერიას შორის გარდამავალ ზონად გამოაცხადეს (პორტო-ფრანკოდ)²⁶, რომელიც სამი თვის შემდეგ, 1921 წლის 16 ივლისს ე.წ. რევკომის დეკრეტით „გააფორმეს“ „აჭარის (/აჭარისტანის) ავტონომიურ რესპუბლიკად“. აჭარის ავტონომიის შექმნიდან მხოლოდ 3 თვის შემდეგ, 1921 წლის 13 ოქტომბერს, მოენერა ხელი ყარსის ხელშეკრულებას²⁷. შესაბამისად, არალოგიკურია, აჭარის ავტონომიის საფუძვლად ყარსის ხელშეკრულება მივიჩნიოთ²⁸; შდრ.: ყარსის ხელშეკრულება ხელმონერილია მოსკოვის მარიონეტი არალეგიტიმური რევკომის წარმომადგენლების მიერ და უკანონოა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების სამართლებრივი ბაზიდან გამომდინარე. დროში აცდენაც რომ არ იყოს, რუსეთ-ოსმალეთის 16 მარტის ანტიქართულ გარიგებას ნამდვილად ვერ „გაალეგიტიმურებს“ ყარსის ხელშეკრულებაზე მოსკოვის მიერ ამიერკავკასიაში დანიშნული მარიონეტული მთავრობების (რევკომების) წარმომადგენელთა ხელმონერები²⁹.

საქართველოს ინტერესებისა და ბათუმის მხარის წარმომადგენელთა 31 აგვისტოს ყრილობის დადგენილების იგნორირებით, რუსეთისა და ოსმალეთის რევოლუციური ხელისუფლებების 1921 წლის 16 მარტის გარიგებით ორად გაყოფილი ამიერკავკასიის რუკა ასე გამოიყურება:

²⁵ 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-ოსმალეთის გარიგების შესახებ არაფერი იცოდნენ გიორგი მაზნიაშვილმა, გრიგოლ ლორთქიფანიძემ და სხვა გმირმა ქართველებმა, რომლებმაც გმირული ბრძოლით ბათუმი გაათავისუფლეს თურქი ასკერებისაგან.

²⁶ Статья II – Турция соглашается уступить Грузии Суверенитет над портом и городом Батумом и территорией, лежащей к северу от границы, указанной в ст. I-й нынешнего договора и составляющей часть Батумского округа, при условии что:

1) Население местностей, указанных в настоящей статье договора будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине будет предоставлена возможность установить земельный закон соответствующий его положением.

2) Турции будет предоставлен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких-либо задержек и без обложения их какими бы то ни было сборами, с предоставлением Турции прав пользоваться Батумским портом без взимания за то специальных сборов. <http://bit.ly/2qdtlWa> ინტერპრეტაციისათვის იხ., ასევე: ო, გოგოლიშვილი, ბათუმის ოლქი უმძიმეს 1920-1921 წლებში; კრებული: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში“, 2009, გვ. 239-240. <http://bit.ly/2l1fvgz>

²⁷ იხ. ყარსის ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტი: Статья 6 – Турция соглашается уступить Грузии суверенитет над городом и портом Батум и территорией, лежащей к северу от границы, указанной в ст. 4 настоящего Договора и составляющей часть Батумского округа, при условии, что:

1) население местностей, указанных в настоящей статье, будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и религиозные права, и население будет иметь возможность установить в указанных местностях земельный закон, соответствующий его пожеланиям;

2) Турция будет обеспечен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее, через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких-либо задержек и без обложения их какими бы то ни было сборами, с предоставлением Турции права пользоваться Батумским портом без взимания за то специальных сборов / https://en.wikisource.org/wiki/Treaty_of_Kars/

²⁸ ზოგი დღესაც ულოგიკოდ ცდილობს გაამართლოს აჭარის ავტონომიის არსებობა და აჭარის ავტონომიის შექმნის საფუძვლად ყარსის ხელშეკრულებას აცხადებს; იხ. მაგ., „რა უფლებები აქვს თურქეთს აჭარის ავტონომიაზე და რა ეკონომიკურ უპირატესობებს აძლევს მას ყარსის ხელშეკრულება“ (27 იანვარი, 2015. 12:45). <http://bit.ly/2lDcfnN>

²⁹ გეოპოლიტიკურ კონტექსტში მოსკოვისა და ყარსის ანტიქართული ხელშეკრულებების შესახებ მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტყარაძე, გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში: ბათუმი 1878, 1920, 1991, 2008; კრებული: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში“, 2009, გვ. 111-136 <http://bit.ly/2qdBwYa>; <http://bit.ly/2l1fvgz>



დღეს ეჭვი აღარავის არ უნდა ეპარებოდეს, რომ 1921 წლის მარტში როგორც ბოლშევიკების, ისე, ქემალისტური თურქეთის მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფოს განადგურება და ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკურ-რელიგიური დანანევრება. ამ კონტექსტშია განსახილველი ორივე მხარის მცდელობაც, ქართველობისაგან გაემიჯნათ აჭარის მოსახლეობა და შეექმნათ ახალი ეთნიკური ჯგუფი: „აჭარლები“; ამიტომაც ქურთისტანის, თურქისტანის, ლაზისტანის და სხვა მსგავს ტერმინთა ანალოგიით შექმნეს ყოვლად ულოგიკო ტერმინი: **აჭარისტანი**³⁰.

პოსტსაბჭოთა საქართველოში და მეზობელ სახელმწიფოებში დღესაც არიან რელიგიურ გრძობებზე ორიენტირებული რადიკალური ჯგუფები, რომლებიც ხელს უშლიან, როგორც ქრისტიან და მუსლიმან ქართველთა ერთიანობას, ასევე, საქართველოს მოქალაქეთა კონსოლიდაციას და ცდილობენ, გაამართლონ საქართველოს კანონიერი ხელისუფლებებისა და აჭარის მოსახლეობის ნების გარეშე აგრესორებისაგან შექმნილი (/არსებული) აჭარის ავტონომია. ეს ჯგუფები (თუ მათი ლობისტები) ცდილობენ, დანერგონ „შიშის სინდრომი“, რომ, თითქოსდა, აჭარის ავტონომიის გაუქმების შემთხვევაში შეილახება ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიური³¹ თუ ეკონომიკური (/ბიზნეს) ინტერესები. სინამდვილეში, ჩემი დაკვირვებით, საქართველოში ქართველთა ავტონომია არ ემსახურება არც აჭარის მოსახლეობის და არც, ზოგადად, ქართველი ერის ინტერესებს³²; მეტიც: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში ქართველთა ავტონომია იურიდიული ნონსენსია.

აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ:

³⁰ როგორც ნესი, ინდოევროპული წარმომავლობის -სტან „ადგილი“ (<http://bit.ly/2IDfnsV>) დაერთვის ეთნონიმს და არა – გეოგრაფიულ სახელს; შდრ.: ქურთ-ისტანი-ი: ქურთების ადგილი). აჭარლების, მეგრელების, ლაზების, სვანების ცალკე ეთნიკურ ჯგუფებად გამოცხადებაზე ი. სტალინს უარი ათქმევინა ლ. ბერიამ გასული საუკუნის 30-იან წლებში (საკითხის ისტორიის შესახებ იხ., ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 2005, გვ. 43-44; ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირეობის ენის შესახებ და საქართველო; ქუთაისი, 2010, გვ. 29-48; ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის შესავალი, თბ., 2014, გვ. 27-33).


³¹ რელიგიური უფლებების დაცვის პერსექტივის შესახებ იხ. ქვემოთ (გვ. 84).

³² ამ თემაზე ვრცლად სხვაგან გვაქვს მსჯელობა; იხ., ტ. ფუტკარაძე, „ვის სჭირდება აჭარის ავტონომია“, გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990 წლის 17 მარტი; იხ., ასევე: ტ. ფუტკარაძე, აფსირტედან გამსახურდიაშვილს, თბ., 1999, გვ. 31-35.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების შემდეგ იყო ლოგიკური და სამართლებრივი საფუძვლები, ასევე, აჭარის მოსახლეობის რეალური განწყობაც და მზაობაც, რეფერენდუმის გზით გაუქმებულიყო აჭარის უკანონო ავტონომიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი; კერძოდ:

ა) 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულმა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების პირველმა პირმა, ზვიად გამსახურდიამ არაერთხელ განაცხადა:

„საქართველოს რესპუბლიკა ავტონომიას მტკიცე კონსტიტუციური გარანტიით აძლევს აფხაზ ხალხს, ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება რეფერენდუმით“³³. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ ერთ-ერთ პროექტზე ზვიად გამსახურდიას ხელით ჩამატებულია იგივე შინაარსის ტექსტი³⁴:



³³ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 9 აპრილს: <http://bit.ly/2qe9ueg> იხ., ასევე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 7 ივნისს: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ №114 (134), 1991, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 11 ივნისი. – № 114 (134). – 1 გვ. <http://bit.ly/2HjM3rO>. იხ., ასევე: ჯ. ხეცურიანი, 9 აპრილიდან 9 აპრილამდე, კრებული: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი“; თბ., 2016 წ. გვ. 27-25; ტ. ფუტყარაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორიენტირები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში; კრებული: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი“; თბ., 2016 წ. გვ. 45-59.

³⁴ კრებული: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი“; თბ., 2016 წ. გვ. 29.

ბ) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებიდან მალევე, პრეზიდენტთან ჩვენი შეთანხმების შემდეგ, ზემო აჭარის (ხულოს, შუახევისა და ქედის) რაიონების პრეფექტებმა, ბატონებმა: ბეჟან გობაძემ, შოთა ფუტყარაძემ და სანდრო ბერიძემ თავიანთი რაიონების სოფლების ყველა საკრებულოში ჩაატარეს საკრებულოს დეპუტატთა სხდომები და განიხილეს რეფერენდუმის მიზანშეწონილობის საკითხი. უკლებლივ ყველა სოფლის საკრებულოთა დეპუტატების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხელმოწერებით დაადასტურა მოთხოვნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წინაშე, რომ ჩატარებულიყო **რეფერენდუმი აჭარის ავტონომიის გაუქმების მიზნით**³⁵. რეფერენდუმის ჩატარების იდეას დაუპირისპირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ახალდანიშნული ასლან აბაშიძე (რომელმაც თავიდან ზვიად გამსახურდიას პირობა მისცა, რომ პრეფექტებთან ერთად ორგანიზებას გაუწევდა რეფერენდუმის ჩატარებას). აჭარის ავტონომიის შესანარჩუნებლად ასლან აბაშიძემ დაგეგმა ძალადობაზე ორიენტირებული მიტინგი 1991 წლის 22-23 აპრილს. მე 22 აპრილსვე წავედი თბილისში, რომ ცენტრალური ხელისუფლებისათვის რეალური ვითარება გამეცნო. პრეზიდენტმა საპრეზიდენტო არჩევნებამდე (არჩევნები დანიშნული იყო 1991 წლის 26 მაისს) თავი შეიკავა ასლან აბაშიძის გადაყენებისაგან და მოხოვა, დაგვებალანსებინა ვითარება. მე მეორე დღესვე, 23 აპრილს დავბრუნდი ბათუმში. **პრეფექტების მხრიდან კონსტრუქციული პოზიციის მიუხედავად, ასლან აბაშიძე მაინც ააქტიურებდა მისგან მართულ მცირერიცხოვან, მაგრამ აგრესიულ ჯგუფს, რამდენადაც აბაშიძის მიზანი იყო ძალაუფლების შენარჩუნება და გამყარება;** ეს კი შეუძლებელი გახდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების შემთხვევაში. იმხანად ასლან აბაშიძეს არავითარი ავტორიტეტი არ ჰქონდა ხალხში, შესაბამისად, **სიტუაციის ნორმალიზაცია შესაძლებელი იყო.** პროცესი ჩიხში შევიდა 1991 წლის 30 აპრილს **ასლან აბაშიძის კაბინეტში ნოდარ იმნაძის მკვლელობის გამო**³⁶... საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრეზიდენტმა პრეფექტებს გვთხოვა, უკეთესი დროისათვის გადაგვედო რეფერენდუმის ჩატარება და გვეთანამშრომლა ასლან აბაშიძესთან. მე ასლან აბაშიძესთან თანამშრომლობაზე უარი ვთქვი და 1991 წლის ივნისში ჩემი ნებით უარი ვთქვი ქალაქ ბათუმის პრეფექტობაზეც. **1991 წლის ივნისიდანვე ბატონი ზვიადის შემოთავაზებით, საქმიანობა გავაგრძელე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე.**

პრორუსული ძალების დესტრუქციული ქმედების გამო საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ 1991 წელს ვერ განახორციელა თავისი გეგმები არა მხოლოდ ბათუმის მხარეში, არამედ, ზოგადად, საქართველოში. ჩვენი მარცხი დიდწილად განაპირობა მალტაში რუსეთ-ამერიკის გარიგებამაც, რომლის შედეგადაც გასული საუკუნის 90-იან წლებში შესაძლებელი გახდა საბჭოთა იმპერიის ველიდან გასულიყვნენ მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის სახელმწიფოები³⁷.

დღეს საქართველო რუსეთთან საომარ სიტუაციაშია, შესაბამისად, **არც ახლა არის საკმარისი წინაპირობები, რომ რეფერენდუმის წესით გაუქმდეს იმთავითვე უკანონოდ შექმნილი ეს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი.** თუმცა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, არც ოსმალეთის ნანგრევებზე

³⁵ მე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, 1991 წლის მარტიდან ვიყავი ქალაქ ბათუმის პრეფექტი; შესაბამისად, საკმარისი ინფორმაცია მქონდა აჭარაში არსებულ ვითარებაზეც და საგარეო თუ საშინაო საფრთხეებზეც. ახლაც, 26 წლის შემდეგ, ვფიქრობ, რომ არა ასლან აბაშიძის დესტრუქციული ქმედება, 1991 წლის ზაფხულში რეალური შესაძლებლობა იყო, წარმატებით ჩატარებულიყო რეფერენდუმი უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიის მიზანშეწონილობის შესახებ.

³⁶ ინფორმაციისათვის იხ.: „მკვლელობა ასლან აბაშიძის კაბინეტში“ <http://bit.ly/2EtFgsG>

³⁷ მსჯელობისათვის იხ. ტ. ფუტყარაძე, ავსირტედან გამსახურდიამდე; თბ., 1999; ტ. ფუტყარაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორიენტირები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში; კრებული: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი“; თბ., 2016 წ. გვ. 45-59. დღეს სხვა რეალობაა; მსოფლიოში არსებული ამჟამინდელი გეოპოლიტიკური კონფიგურაცია ხელსაყრელ პირობებს ქმნის, განმტკიცდეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

აღმოცენებულ თურქეთს და არც რუსეთს არანაირი ლეგიტიმური უფლება არა აქვთ, ჩაერიონ აჭარის ავტონომიის ბედის გადაწყვეტაში, რამდენადაც აჭარის ავტონომიის საფუძველი – მოსკოვის ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე, რაც ყარსში ვითომდა „დაადასტურეს“ ამიერკავკასიაში ბუტაფორიულად შექმნილმა „რევკომებმა“.

საქართველოს არც ერთი კანონიერი ხელისუფლება არ არის ვალდებული გაითვალისწინოს უკანონო, მით უმეტეს, საქართველოსადმი მტრულად განწყობილ მხარეთა ანტიქართული გარეგნობის შედეგები; საქართველოს არანაირი **ლეგიტიმური ვალდებულება** არა აქვს, შეინარჩუნოს უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რამდენადაც, კავკასიაზე კონტროლის მოსურნე დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების გარეგნობით, 1921 წელს საქართველო მრავალმხრივად დაზარალდა.

საქართველოში ქართველთა ავტონომიის შენარჩუნებას საქართველოს ხელისუფლებას არ ავალდებულებს **არც ერთი სხვა საერთაშორისო დოკუმენტი**, რომელზეც ხელი მოწერილი აქვს საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას. ჩემი ღრმა რწმენით, ეს ულოგიკო ავტონომია საქართველოს სახელმწიფოს გამონეგების კონტექსტში არასოდეს შეასრულებს პოზიტიურ როლს; **მაგ., ტყუილად ჰგონია ვინმეს, რომ საქართველოში ქართველთა ავტონომიის შენარჩუნება ხელს შეწყობს აფხაზეთის ავტონომიაზე კონტროლის აღდგენას.** საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა თუ ცხინვალის მხარე უსისხლოდ და უმტკივნეულოდ დაბრუნდება მხოლოდ საქართველოს სრული დეოკუპაციის შემდეგ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დღეს არსებობა ვერ გამართლდება რელიგიური ფაქტორითაც: ავტონომიის შექმნის მომენტიდან ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე (09.04.1991) ათეისტური ბოლშევიკური (/კომუნისტური) ხელისუფლება, მოსკოვისა თუ ყარსის ხელშეკრულებებით აღებული **ვალდებულების საპირისპიროდ**, ავინროებდა მუსლიმანურ რელიგიას (ისევე, როგორც ქრისტიანობას), **რასაც 1923-1990 წლებში ეგუებოდა თურქეთის ხელისუფლებაც** (რუსეთ-ოსმალეთისათვის სავალდებულო ხელშეკრულებების არსებობის მიუხედავად!). როგორც აღინიშნა, საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას არ დაუდია არც მოსკოვისა და არც ყარსის ხელშეკრულებები; შესაბამისად, საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლება ანგარიშვალდებული არ არის არც ერთი მეზობელი სახელმწიფოს წინაშე; რაც მთავარია, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (09.04.1991) **საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაა დაცული ყველა კონფესიის წარმომადგენელთა უფლება.** არსებითია ისიც, რომ **ბევრი აჭარელი დაუბრუნდა წინაპრების რწმენას – ქრისტიანობას;** შესაბამისად, აჭარის ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი ისევ ქრისტიანია. დღეს აჭარა არის მსოფლიოს უნიკალურად ტოლერანტული სივრცე, სადაც მრავალი ფაქტი გვაქვს, როცა ერთ ოჯახად ცხოვრობენ ქრისტიანი და მუსლიმანი პირები. მიუხედავად ცალკეული რადიკალური ჯგუფების არსებობისა, თანამედროვე კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოში მაღალია სხვა რელიგიის წარმომადგენლებისადმი **შემწყნარებლური დამოკიდებულების პროცენტი**³⁸.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **არალოგიკურია, წინა პლანზე გამოვიტანოთ რელიგიის ასპექტით აჭარის ავტონომიის დაცვის ლოზუნგი.** ავტონომიის არსებობა/არარსებობა ნამდვილად არაფერს უცვლის მუსლიმანთა უფლებების დაცვის პერსპექტივას, რამდენადაც რელიგიური უფლებების დაცვის ყველა ბერკეტი ისედაც ადგილობრივი (მუნიციპალური) თუ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ხელშია. აქვე აღვნიშნავ:

³⁸ სპეციალური კითხვარების საფუძველზე წარმოებული კვლევის შედეგების ცხრილისთვის იხ. ხატია ნიკლაური, მორწმუნეებისა და ათეისტების ღირებულებათა კვლევა საქართველოში; თბ., 2018, გვ. 284-285.

სხვადასხვა გეოპოლიტიკური ვექტორის მქონე გარე ძალებისაგან მართული და, ფაქტობრივად, მხოლოდ ფინანსური ინტერესების მქონე ცალკეული რადიკალური ჯგუფები დღესაც ცდილობენ, აჭარაში, ზოგადად საქართველოში, დაძაბონ სიტუაცია. აჭარაში (/საქართველოში) დესტაბილიზაცია მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ქვეყნებსა თუ კლანებს აძლევს ხელს.

დღეს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება დაინტერესებულია, რომ საქართველოში იყოს ღირსეული მშვიდობა (და არა – დამარცხებულის მშვიდობა). 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აღიარებული საერთაშორისო საზღვრების გათვალისწინებით, თურქეთის მისამართით საქართველოს მხრიდან ტერიტორიული პრეტენზიები დღის წესრიგში არ დგას. თანამედროვე მოცემულობით, წესით, ამჟამად თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, რუსეთი კი – ოკუპანტი: რუსეთს საქართველოს ისტორიული მხარეების – აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის – ოკუპანტად მიიჩნევენ მთელი ცივილიზებული მსოფლიო; შესაბამისად, საქართველოს ამჟამინდელი პრიორიტეტია დეოკუპაცია – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა 1991 წლის საზღვრების ფარგლებში. თანამედროვე რეალობაში თურქეთთან მიმართებით მთავარია, თურქეთში მოქცეული ისტორიული ქართული მიწების ავტოქტონ მცხოვრებთა და მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებსაც ჰქონდეთ „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიით“, გაეროს „ეროვნულ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა დეკლარაციით“ და „ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ევროსაბჭოს ჩარჩო-კონვენციით“ გათვალისწინებული ენობრივ-კულტურული უფლებები.

25 თებერვალი და 7 მარტი – საზიემო დღეები თუ ტრაგიკული დღეები?

1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის არმიამ დაიკავა თბილისი.

1921 წლის 7 მარტს ათათურქის სამხედრო შენაერთებმა დაიკავეს ართვინი, 11 მარტს კი – ბათუმი. 1921 წლის თებერვალ-მარტში დე იურე და დე ფაქტო ისევ არსებობდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლება – საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა. შესაბამისად, როგორც 25 თებერვალს, ასევე, 7 მარტს მეზობელმა დიდმა სახელმწიფოებმა არაკანონიერად დაიკავეს და შემდგომ მიიერთეს საქართველოს ტერიტორია.

რეალური ისტორიის მიუხედავად 1922-1990 წლებში 25 თებერვალს საბჭოთა იმპერიაში საქართველოს მოსახლეობას აზიემებდნენ როგორც რევოლუციის დღეს – მენშევიკებისაგან საქართველოს განთავისუფლების დღეს. ეს იყო ცინიზმი: ახალაღორძინებული საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის დღეს ოკუპანტები საქართველოს მოსახლეობას უნათლავდნენ, როგორც „სადღესასწაულო დღეს“.

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წლის 9 აპრილი) 25 თებერვალი რეალური ისტორიის გათვალისწინებითაა სახელდებული: 25 თებერვალი არის საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის დღე.

7 მარტი თურქეთში დღემდე აღინიშნება ართვინის განთავისუფლების დღედ: ფაქტობრივად, დღემდე არსებული ოფიციალური ხელისუფლების კვალიფიკაციით, თურქეთმა 1921 წლის 7 მარტს საქართველოსაგან (მტრისაგან!) გაათავისუფლა ართვინის ოლქი. 7 მარტს იქაურ ქართველთა მონაწილეობით დღემდე იმართება დიდი ზეიმი მთელი თურქეთის მასშტაბით (განსაკუთრებით იმ

ქალაქებში, სადაც ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ)³⁹. სინამდვილე სხვაგვარია: 7 მარტს თურქეთმა საქართველოს მეორედ წაართვა ისტორიული ტერიტორია – ბათუმის ოლქის ნაწილი და ართვინის ოლქი (ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი).

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგ მთელმა მსოფლიომ საქართველო ცნო იმ საზღვრებში, რომელიც მას ჰქონდა 1991 წლის მდგომარეობით. საქართველოსა და თურქეთს შორისაც დაიდო ხელშეკრულება; შესაბამისად, დღეს თურქეთთან ტერიტორიული პრეტენზიების დაყენება ვერ თავსდება საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებში; თუმცა, არც ისაა მოსაწონი და კეთილმეზობლობის გამოხატულება, რომ 7 მარტს თურქეთი აღნიშნავს ქართველებისგან ართვინის განთავისუფლების დღედ.

ჩვენი მსჯელობა ასე შეიძლება შევაჯამოთ:

მოსახლეობის განწყობისა და სწორი ორიენტირების ჩამოყალიბების თვალსაზრისით არსებითია ობიექტური კვლევები და მათ საფუძველზე სასკოლო თუ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნა. ისტორიული რეალობის ადეკვატურად აღწერითა და სწორი კვალიფიკაციით **ხელი უნდა შეეწყოს მეზობელ სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას**. წარმოდგენილ მოხსენებაში საინფორმაციო ომის კონტექსტში განვიხილეთ ის **ტერმინოლოგიური უზუსტობები**, რომელიც გვაქვს ისტორიოგრაფიაში ბათუმის მხარისა და ბათუმის ოლქის, ასევე, აჭარის ავტონომიის შექმნის საფუძვლების განსაზღვრის მიმართულებით; კერძოდ:

1. ბათუმის მხარის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილ ოფიციალურ დოკუმენტებში აღრეულია ან მიზანმიმართულადაა გაყალბებული ისეთი რუსულენოვანი და ქართულენოვანი ტერმინების შინაარსი, როგორიცაა: „**ბათუმის მხარე**“, **Батумская область**, **Батумский округ**, „**ბათუმის ოლქი**“, „**სამუსლიმანო საქართველო**“, „**აჭარის ავტონომია**“... ტერმინების დაზუსტების შემთხვევაში, უეჭველი გახდება, რომ, ერთი მხრივ, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ და 1919 წლის აგვისტო-სექტემბრის ქართველ მუსლიმანთა ყრილობა, მეორე მხრივ, კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება, იბრძოდნენ, რომ სამუსლიმანო საქართველო, ანუ, ბათუმის მხარე – **ბათუმისა და ართვინის ოლქები** – აჭარა-ქობულეთი, მაჭახელა, ლივანა, ჭანეთის (ლაზეთის) ნაწილი, შავშეთ-იმერხევი, ტაოს დიდი ნაწილი – საქართველოს შემოერთებოდა ავტონომიის ფორმატი. „**სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი**“ და **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება შეთანხმებულად მოქმედებდნენ**.

2. საქართველოს ხელისუფლებაში რუსეთის მიერ დასმულმა ბოლშევიკურმა ხუნტამ რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის ანტიქართული გარიგების საფუძველზე (და არა მოსახლეობის ნებისა თუ ქართველი ერის ინტერესების შესაბამისად!) საქართველოს კუთვნილი ტერიტორია, კერძოდ, ბათუმის მხარის დიდი ნაწილი გადასცა ოსმალეთს; 16 ივლისს კი შექმნა აჭარის ავტონომია, როგორც ორ იმპერიას შორის გარდამავალი ზონა; შესაბამისად, საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას არც ერთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი არ ავალდებულებს, შეინარჩუნოს საქართველოში ეთნიკურ ქართველთა ავტონომია. არსებითია ისიც რომ აჭარის ავტონომიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობა დღეს ვერ გამართლდება რელიგიური ფაქტორით.

³⁹ <http://bit.ly/2H1awEK> (2017 წლის 6 მარტის მასალას ვიმონებთ 2018 წლის 1 მარტს); <http://bit.ly/2qbfYdM> სურათი გამოქვეყნებულია ფეისბუქის ბევრი მომხმარებლის მიერ (01.03.2018).

3. 1921 წლის 25 თებერვალს, ახალაღორძინებული საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის დღეს, საბჭოთა ოკუპანტები საქართველოს მოსახლეობას აზიზებდნენ, როგორც განთავისუფლების დღეს. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წლის 9 აპრილი) 25 თებერვალი რეალური ისტორიის გათვალისწინებითაა სახელდებული: 25 თებერვალი არის საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის დღე. **7 მარტი კი თურქეთში დღემდე აღინიშნება ართვინის განთავისუფლების დღედ;** არადა, 1921 წლის 7 მარტს ბოლშევიკურ რუსეთთან და თურქეთთან დამარცხებული საქართველოს სამხედრო შენაერთები იძულებულნი გახდნენ, დროებით დაეტოვებინათ საქართველოს ისტორიული ტერიტორია – ართვინის ოლქი: 1921 წელს თურქეთმა საქართველოს სახელმწიფოს მეორედ წაართვა ისტორიული ტერიტორია – ართვინის ოლქი (ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი), შესაბამისად, ამ დღის საზეიმოდ აღნიშვნა „მტრისაგან განთავისუფლების“ დღის კვალიფიკაციით, რბილად რომ ვთქვათ, ჩრდილს აყენებს საქართველო-თურქეთის ამჟამინდელ სტრატეგიულ პარტნიორობას.

4. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგ მთელმა მსოფლიომ საქართველო ცნო იმ საზღვრებში, რომლებიც საქართველოს **ჰქონდა 1991 წლის მდგომარეობით.** საქართველოსა და თურქეთს შორისაც დაიდო ხელშეკრულება; შესაბამისად, დღეს თურქეთთან ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენება ვერ ჩაჯდება საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებში; რუსეთი კი დღეს ოკუპანტი სახელმწიფოა, რამდენადაც მას ოკუპირებული აქვს მსოფლიოს მიერ აღიარებული საქართველოს ტერიტორიის მეხუთედი – აფხაზეთი და ცხინვალის მხარე.

5. სახელმწიფოთა შორის ხანგრძლივად ნორმალიზებული ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ობიექტურ კვლევასა და ისტორიული მოვლენების აკადემიურ კვალიფიკაციას.



მამია ფაღავა

რედაქტორისაგან

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი ორ ათეულ წელზე მეტია, წარმატებით იკვლევს ქორთხის სეობის ისტორიული ქართული პროვინციების, ლაზეთისა და მუჰაჯირობის პრობლემებს: დღემდე მოეწყო ოცდაათამდე კომპლექსური ექსპედიცია; შეგროვდა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა მნიშვნელოვანი ეთნოლოგიური, ფოლკლორული, დიალექტოლოგიური, არქეოლოგიური მასალები; დაიწერა ათეულობით სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია; სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხული იქნა მრავალი მოხსენება, რომლებმაც ქართველოლოგთა შორის ცხოველი ინტერესი აღძრა.

ჩვენი ჟურნალის მკითხველს ვთავაზობთ „ქართველოლოგიის ცენტრის“ მიერ 2017 წლის ივლის-აგვისტოში ისტორიულ ტაოში ჩატარებული ექსპედიციის სელმძვანელის, პროფესორ მამია ფაღავას, დღიურებს...

ექსპედიციის დღიურები

„ტაო 2017“ – კომპლექსური ექსპედიცია და იგეგმა საგრანტო პროექტის „ტაო – ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ – ფარგლებში, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

ექსპედიცია კომპლექსურია და მის შემადგენლობაში შედიან ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები:

I. პროფესორი **მამია ფაღავა**, ასოცირებული პროფესორი **მაია ბარამიძე** – დიალექტოლოგია;

II. პროფესორი **თინა შიოშვილი**, პროფესორი **რამაზ ხალვაში** – ფოლკლორისტიკა;

III. პროფესორი **ნუგზარ მგელაძე** – ეთნოგრაფია;

IV. ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**, მონვეული სპეციალისტი **ჯიმშერ ჩხვიმიანი** – არქეოლოგია (მატერიალური კულტურის ძეგლები);

V. პროფესორი **მალხაზ ჩოხარაძე**, ასოცირებული პროფესორი **ზაზა შაშიკაძე** – ისტორია;

მალხაზ ჩოხარაძე, ასევე, გადაიღებს ფოტოებსა და ვიდეომასალას „ქართველოლოგიის ცენტრის“ სასწავლო-სამეცნიერო არქივისა და დოკუმენტური ფილმისათვის.

– ექსპედიციის შემადგენლობაშია თურქოლოგიის მაგისტრანტი **მალვინა ფუტკარაძე**, რომელიც დაგვეხმარება ადგილობრივ თურქულენოვან მოსახლეობასთან კომუნიკაციის დამყარებაში.

– ექსპედიციაში „დამკვირვებლად“ მოვინვიეთ პროფესორი **თამარ სირაძე**, – საზღვარგარეთის ლიტერატურის სპეციალისტი, გამორჩეული მეინგლისურე...

– მძლოლი **ტარიელ დიასამიძე**. ბარემ ვიტყვი, რომ 2005 წლიდან „ქართველოლოგიის ცენტრის“ მიერ მონყობილი ყველა ექსპედიციის მძლოლია ბატონი ტარიელი; მასთან ერთად რამდენჯერმე მოვიარეთ შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში მიმობნეული ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები... ასე რომ, ექსპედიცია საიმედო ხელშია, რაც მისი წარმატებული მუშაობის საწინდარია.

ჩვენს ექსპედიციას ძალიან აკლია 1995 წლის ტაოს ექსპედიციის მონაწილე, ტაოს ერთ-ერთი პირველმკვლევარი ახალ დროში, ახლა ემერიტუს-პროფესორი **მერი ცინცაძე**, რომელიც დაკვირვებით ადევნებს თვალს ჩვენს საველე საქმიანობას...

25 ივლისი, სამშაბათი. 12 საათზე ექსპედიცია უნივერსიტეტის ეზოში შეიკრიბა. მხოლოდ მერაბ ხალვაში ვერ ახერხებს დღეს წამოსვლას, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა მორიგ შეხვედრას მასპინძლობს ბათუმი, ვერ დატოვებს სტუმრებს მასპინძელი უნივერსიტეტის ხელმძღვანელი. მოგვიანებით შემოგვიერთდება ბატონი მერაბი, პროფესორ ადამ მახარაძესთან ერთად...

გზას დავადექით; პირველად მალხაზ ჩოხარაძეს შევუარეთ ხელვაჩაურში, ტრადიციულად გზა დავილოცეთ ჩოხარაძეების ეზოში... შუადღის ორ საათზე უკვე სარფის საბაჟოზე ვიყავით.

სარფის საქართველოს საბაჟო მალე გავიარეთ, არც თურქულ მხარეს დაუყოვნებლივ ფეხით გადამსვლელები, მანქანამ კი კარგა ხანს გვალოდინა, – თაკარა მზის ქვეშ საათზე მეტი

ველოდით ტარიელის გადმოსვლას. საგულდაგულოდ ამონებდნენო თურქი მეზაჟეები ყველა მანქანას, – გვითხრა მძლოლმა, ამჯერად არც ბათუმში თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსულის წერილმა გაჭრა... არ გვიკვირს მეზაჟეების სიფრთხილე: როცა თურქეთის ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებული, მე-საზღვრეები სხვაგვარად ვერ მოიქცეოდნენ.

ბარგი ჩავალაგეთ, შემდეგ ჩავსხედით მანქანაში და გზას დავადექით. ქლასკურის ხეობაში შევიარეთ, სადაც ქვემო ქლასკურში, „ლაფერა პანსიონში“ ზაზა შაშიკაძე გველოდებოდა; შენოლ თაბანს, – „ლაფერას“ კლარჯ მეპატრონესა და მის თანამშრომლებს მცირე ძღვენი, საკუთარი დანურული „დირბულა“ მიართვა მალხაზმა, მცირე ქებაც დაურთო საკუთარი ღვინისა... სხვაგვარად არც შეიძლება: ხომ უნდა იცოდნენ ღვინოსამიუჩვეველმა ქლასკურელებმა, რამდენად კარგ ღვინოს მიირთმევენ...

დავემშვიდობეთ შენოლსა და მასთან ნადზე მყოფ ქლასკურელებს და იუსუფელისაკენ წავედით...

ცნობისათვის: ბოლო წლებში კლარჯეთში საველე ექსპედიციის დღეებში გვმასპინძლობს ბატონი შენოლ თაბანი, – ნიკო ღვინიაშვილი და „ლაფერას“ პერსონალი, გერმანულ ნაგაზ „ჭაჭასთან“ ერთად. ისინი ყველა პირობას გვიქმნიან მუშაობისათვის; ხშირად პანსიონის მეპატრონე თავად გვინებს გიდობას... და კიდევ, თავად შენოლი, მისი ძმა მედეთი და დედა, ალთუნ თაბანი (ოქრო ნენე) საყურადღებო ინფორმაციის მატარებლები არიან, ამიტომაც ხშირად ყოფილან ისინი ჩვენი რესპონდენტები... არც იმის აღუნიშნაობა იქნება, რომ „ლაფერას“ სტუმარს ქართული გარემო სვდება პანსიონში, რომლის შემოქმედი სწორედ ბატონი შენოლი და მისი ოჯახია, მათთან ერთად ქლასკურელი კლარჯები.

ბევრჯერ მიმოგზაურია ჭოროხის ხეობაში. სათავეებამდე ავყოლივარ მდინარეს. ყოველ ავლაზე რაღაც ახალს ხედავ მგზავრი. უპირველესად იმას, რომ მოუშლიათ ძველი გზები, ჭოროხის ნაპირებს რომ მიუყვებოდა. ახალი ტრასა

გაუყვანიათ ართვინი-იუსუფელის მონაკვეთზე, მთიდან მთაზე გაუკიდიათ ხიდები, მრავალი გვირაბი გაუჭრიათ, გზაც შეუმოკლებიათ 30 კილომეტრით მაინც. ქოროხისპირა სოფლები და ძველი გზაც წყალს დაუფარავს...

როგორც ვთქვით, გზა ქოროხისპირაზე გადიოდა. საოცარი სურათი იმლება მგზავრის წინ: მაღალი მთები, უმეტესად – შიშველი, კლდეები, ქოროხი, ზოგჯერ გულჯავრიანი, ხასიათამღვრეული რომ მიექანებოდა ზღვისაკენ, მზის სხივები ძლივს აღწევდა ხეობამდე... დღეს ზემოდან დაყურებთ ღრმა ხევში მწვანედ მოლივლივ წყალსატევს, ალაგ-ალაგ თევზსაშენიც მოუწყვიათ ხელოვნურ ტბაში. აღარსად ჩანს ხმაურიანი ქოროხი, ვეებერთელა გუბედ ქცეული მთვლემარე გოლიათივით უძრავად განოლილა...

ორ ათეულ წელში მთლიანად შეიცვალა ქოროხის ხეობა: მდინარეს გზა ჩაუკეტეს, მოათვინიერეს დაუდგარი ქოროხი! ახლა კაცის სურვილზეა დამოკიდებული მისი დინება. ერთ დროს მუდამ მღვრიე მდინარე, ახლა ანკარაა. ძნელია, დღეს მკითხველმა დაიჯეროს პოეტის ნათქვამი: „მოდის და მოქუხს ქოროხი, / მოაქვს შვავი და გოროხი...“ (ფრიდონ ხალვაში).

უნებლიეთ მახსენდება ნ. ბარათაშვილი: „წელად მოლელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა...“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი).

ანინდელი მკითხველი გაკვირვებით იტყვის: მართლა ნახა ფრიდონ ხალვაშმა მქუხარე ქოროხი, რომელსაც მოაქვს „შვავი და გოროხი“, თუ პოეტური ხილვაა მხოლოდ? ანდა როდის ნახა „მოდუდუნე მტკვარი ანკარა“ დიდმა პოეტმა? ორივე შემოქმედი მართალია, არც ერთი არ ტყუის, წერენ იმას, რაც ნახეს: ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამედროვე თბილისელებს, მომდევნო თაობებსაც, ახსოვთ „მტკვარი ანკარა“, ჩემს თაობას კი – მქუხარე ქოროხი, საუკუნეები რომ ეზიდებოდა ზღვისათვის საზრდოს და მასთან ერთად აშენებდა კახაბრის ველსა და ბათუმის ბაქანს, კვებავდა შავი ზღვის ხახადალებულ უფსკრულს... დღეს მდგომარეობა შეიცვალა: ქოროხი ანკარაა, მტკვარი – მღვრიე...

ფიქრებში გაილია გზა: იუსუფელში ჩავედით, იქიდან – სასტუმრო „აგარაში“, რომელიც ქვაბაგელ დევაძეებს გაუშენებიათ ჭილათში, პარხლისწყლის მარჯვენა ნაპირის მცირე ველზე.

დავბინავდით. კარგი პირობებია, ჩვენთვის მისაღები. ერთ საათში სავახშმოდ მიგვიწვევენ სასტუმროს რესტორანში. იქამდე ჯერ დროა, შეიძლება გარემოსაც შევავლოთ თვალი. მზე კარგა ხნის ჩასულია. დაბინდა. მაღლა ჭილათის ხოჯამ ეზანით ახმანამაზის (სალამოს ლოცვის) სალოცავად მიიწვია მორწმუნე ჭილათელები ჯამში. სიმშვიდეა. პარხლისწყლის ხმა თუ დაარღვევს სიჩუმეს...

სალამოს განვიმდა. ცივი წვიმა მოვიდა, მთაში რომ იცის, ისეთი; თუმცა მალევე გადაიღო. ოთხი თვეა, არ განვიმებულაო ჩვენს მხარეში, გვითხრა მასპინძელმა, – მუხო დევაძემ. აღვნიშნავთ, რომ ზღვისპირა საქართველოსაგან განსხვავებით, წვიმა იშვიათია ტაოს ქვეყანაში...

ერთ გარემოებასაც მივაქცევ მკითხველის ყურადღებას: პარხლისწყლის ხეობა მნახველს იზიდავდა ველური ბუნებით. მინახავს ადიდებული, გადარეული მდინარე, წალეკვით რომ ემუქრებოდა ყველაფერს. ერთი ტაოური გადმოცემით, ადიდებულმა პარხლისწყალმა წაიღო სწორედ გველვეშაპი (აჟდაჟ) და იხსნა სოფელი განსაცდელისაგან. დღეს ბეტონის ჯებირებში ჩაკეტილი დამხვდა მდინარე, მოთვინიერებული და დაბეჩავებული, მდინარისპირა შამბიც გაუჩეხავთ... გულწრფელად ვიტყვი, ვერ მოვიწონე შემოღობილი ხევი.

ვახშმის შემდეგ კარგა ხანს ვისხედით სასტუმროს ეზოში, ხვალინდელ დღეს ვგეგმავდით. ერთი მთავარი კითხვა გვანუხებდა: საიდან დავინწყით?

– მოდით, ხვალ გადავწყვიტოთ, რომელი სოფლიდან დავინწყით მუშაობა, ახლა ჯობია, დავიძინოთ, – ვთქვი მე.

ყველა დამეთანხმა...

26 ივლისი, ოთხშაბათი. მზიანი დილა გათენდა. პარხლისწყლის სევდიანი ხმა მესმის ახლად გაღვიძებულს. ჩიტები ჭიკჭიკებენ „აგა-

რას“ ეზოში, ფარშევანგებიც დასეირნობენ ნიწვოვნებში... თანდათან იღვიძებს ექსპედიცია, აბა, სოფელს კარგა ხანია ღვიძავს, ფუსფუსებს ყოველდღიური საზრუნავით დაღლილი. მოვემზადეთ და სასტუმროს რესტორნის აივანზე შევიკრიბეთ სასაუბროდ. გამოძინებული და ხალისიანია ყველა, ნუგზარია მხოლოდ „უხასიათოდ“, უარს ამბობს სამუშაოდ წამოსვლაზე, შეუძლოდ ვარ, დავრჩებიო სასტუმროში. ვიცით ნუგზარის უქეიფობის მიზეზი... სხვა რა გზაა, უნდა დარჩეს.

დღეს ელიასხევის, პარხლისწყლის მარჯვენა შენაკადის მაღლივ სოფლებში წავალთ სამუშაოდ, – მექართულე სოფლებში. ასეთი გადანყვებილება მივიღეთ საუზმის შემდეგ. ვფიქრობ, როგორ შეგვხვდებიან ტაოელები, მიგვიღებენ თუ არა თავისიანად; თუ მიგვიღებენ, რამდენად ჩაგვახედებენ მათ სამყაროში... უნდა მიგვიღონ. თუნდაც იმიტომ, რომ მათ გასაცნობად ჩამოვედით, მათზე მოსაფერებლად, და იმიტომაც, რომ ძველი და ახალი ტაოელების წარსული და თანამედროვეობა გავაცნოთ დანარჩენ საქართველოს, აქაურ მატერიალური კულტურის ძეგლებზე და ეთნოგრაფიულ ყოფაზე, მეტყველება და ფოლკლორზე მოვუთხროთ მკითხველს; საბოლოოდ ტაოს, ძველი საქართველოს ამ მნიშვნელოვანი პროვინციის ერთიანი პორტრეტი შევქმნათ და სხვასაც გავაცნოთ იგი.

გვჯერა, გაგვიგენებ ტაოელები, გულთან მიიტანენ ჩვენს სათხოვარს, თავიანთ სადარდებელს გვეტყვიან, ჩვენც ჩვენსას ვეტყვით და გულწრფელი დიალოგი გაიმართება სტუმრებსა და მასპინძლებს შორის... ჩვენი ცდა ამჯერადაც წარმატებული იქნება.

სარიგიოლში, პატარა დაბაში, გავჩერდით, მცირე მარკეტში წყალი და საგზალი შევიძინეთ, შევავსეთ სასტუმროდან წამოღებული სადილი. დაბიდან რამდენიმე კილომეტრში, იქ, სადაც ელიასხევი პარხლისწყალს უერთდება, გზა ორად იყოფა: ერთი პარხალსა და მის ზემო სოფლებში მიდის, მეორე – მარჯვნივ შეუხვევს და ელიასხევს მიუყვება. ჩვენ მარჯვნივ შევუხვევით.

ვიტყვით, რომ ელიასხევი ვინრო ხეობაა. პატარა სოფლები ხეობის ორივე მხარესაა გაშენებული, სადაც რელიეფი ამის საშუალებას იძლევა. უფრო ელიასხევის მარცხენა ნაპირია დასახლებული, თუმცა მდინარის სათავეში, სადაც ხეობა უფრო გაშლილია, სოფლები ორივე მხარეს ჩანს. და კიდევ, მცირემდინარია, უფრო მცირესავარგულიანია ტაო, სახნავ-სათესის ნაკლებობას უჩივის ელიასხევიც. ამიტომაც ყოველ გოჯ მინას იყენებს აქაური კაცი, ყორეს ააშენებს, მინას შემოაკავენ, ხელოვნურ დავაკებას შექმნის და სავარგულად აქცევს. ასეა ელიასხევიში, ასეა მთელს ტაოში. ტერასულს უწოდებენ ამგვარ მეურნეობას ეთნოგრაფები.

გზა მაღლა და მაღლა მიიწევს. შარა კარგია, დაბეტონებული, ალაგ-ალაგ მოასფალტებული. გავიარეთ ელიასხევი, სახეცვლილი ტაოური სოფელი, ჩვენგან მარცხნივ, მაღლა, მთის კალთებზე ცუცუკარია, უფრო მაღლა კი – ბონმინდა, ელიასხეველთა აილა და ძველი სალოცავი. ბარემ აღვნიშნავ, რომ უწინ სოფელი მაღლა ყოფილა გაშენებული, მთის ფერდობებზე; ხეობაში, მდინარისპირა დასახლებები მას შემდეგ გაჩნდა, რაც აქ სამანქანე გზები შემოიყვანეს.

ხვედამი||ხვეკში ავედით. სასტუმრო „მასისის“ ეზოში მევლუდ დოლენჯოლი (დოლენჯაშვილი) შევნიშნეთ, ჩვენი ძველი ნაცნობი, „მასისის“ აღმშენებელი და პატრონი. მანქანა გავაჩერეთ. დაინახა რა უცხო მინიბუსი, მუშაობას თავი მიაჩნება და ჩვენსკენ წამოვიდა. მის მოსვლამდე მანქანიდან გადმოვედით, სათითაოდ მოგვიკითხა:

– **მევლუდა დოლენჯოლი ვარ, აქაური გურჯი**, – მეუბნება ღიმილით.

– მამია ფალავა, ქართველი საქართველოდან, ბათუმიდან, – ვპასუხობ და აქაური წესისამებრ, შუბლის შუბლზე შეხებით ვესალმები...

ადრეც შევხვედრივართ მევლუდს, „მასის-შიც“ გვიცხოვრია ბევრ ჩვენგანს, მალხაზისა და რუსუდანის ჯვრისწერის ლხინიც ხომ აქ გადავიხადეთ ორი წლის წინათ?

ახალგაზრდა კაცია მევლუდ დოლენჯოლი, ორმოცს ახლად გაცილებული, შავგრემანი,

მკვირცხლი, მუდამ მოძრავი და საქმიანი, კარგი მექართულე, თავისი კუთხის მცოდნე და მოყვარული. პატარა მუზეუმი აქვს მონყობილი სასტუმროს ფოიეში, სადაც გამოფენილი აქვს ძველი საოჯახო ნივთები, ტაოურ სოფელში რომ გამოიყენებდნენ ტაოელები. რას არ ნახავთ მეველუდის კოლექციაში: კავი, ძველებური სასწორი, საცერი, თუნგები, თიხის ჭურჭელი, ცულები, წალდი, ნამგალი, სხვადასხვა იარაღი... ყოველდღიურად რაღაცას უმატებს თავის მუზეუმს მისი დამფუძნებელი და პატრონი.

მცირე ხნით გაეჩერდით „მასისის“ ეზოში. ჩაი მოგვართვეს, სადილიც შემოგვთავაზა მასპინძელმა.

ჩაი მივირთვით, სადილზე უარი ვთქვით. ჩვენი მოსვლის მიზეზი ავუხსენით მეველუდს, ვუთხარით, წიგნის დაწერას რომ ვაპირებთ ტაოზე და მასალების შესაგროვებლად რომ ვართ ჩამოსული.

დაგვპირდა, რომ დაგვეხმარება ამ საქმეში.

პირველი ჩანაწერები გავაკეთეთ ხევეკში, პირველი მთხრობელიც თავად მეველუდ დოლენჯოლი იყო.

– მეველუდ, ამ ხეობაში ეკლესია, ქილისა არის? თუ გაგიგონია ადგილის სახელი მაინც, სადაც ქილისა იყო? – ეკითხება მალხაზი.

– ქილისა აქ არ არი, საყდარი არი!

– სადაა საყდარი?

– საყდარი არი ქელაზორ... ჩვენში ხუთ ჯერზე არი საყდარი: ქელაზორ არი, ფიშნარხევ არი, ველითავში, კიდო – ბალხში, ქობაძეში. ყოლ მაჰალეში არი საყდარი, – ჩამოთვალა მეველუდმა ძველი სალოცავები.

– ხომ წაგვიყვან და გვანახებ რომელიმე საყდარს მაინც?

– წაგყვით'ნა, მიგიყვანოთ!

შემდეგ მთხრობელმა თავად შეცვალა საუბრის თემა: საქართველოს პასპორტი მინდაო, ყველას მისცეს, თურქს, ქურთს... გაგვანდო თავისი სანუხარი. მოდით, თავად რესპონდენტს მოვუსმინოთ, მის გულისწუხილს მივუგდოთ ყური:

– ხალხი გურჯი არ არი, იქ ჩუმუვდა, მიცა პასპორტი, ჩადებული აქვან. მე გურჯი ვარ, მე არ მომცა!

ბარემ ვიტყვი, რომ მეველუდი ერთი არაა თურქეთელი ქართველებიდან საქართველოს მოქალაქეობის მსურველი; არაერთი შეგვხვდრია მუჰაჯირთა შთამომავალი, კლარჯეთის, შავშეთისა თუ ტაოს მკვიდრი, საქართველოს მოქალაქეობაზე რომ ფიქრობენ, ცდილობენ, მაგრამ ვერ ღებულობენ. ბევრისათვის ქართული პასპორტი ეროვნული კუთვნილების გარეგანი ნიშანია. საქართველოს მოქალაქეობით ამტკიცებს, რომ ის გურჯია, ქართველია. თუმცა ზოგს სხვა აზრიც ანუხებს, რაზეც საუბარს არ გავაგრძელებ. მეველუდ დოლენჯოლი-დოლენჯაშვილი სწორედ თურქეთელ ქართველთა პირველ ჯგუფს ეკუთვნის.

საყდრის თემას დაუბრუნდით კვლავ.

– ხუთი საყდარი დაასახელეთ, სად დგას, რა ადგილებში დგას ისინი?

– საყდარი? სოფლის მაღალი ადგილია, [იქ] არი საყდარი, თელ მაღლა უბანებში არი, იქი-დამ უყურებ სოფელ. იქედამ შუმუყყები, ქომოსვალ, იქოს გათავდება სოფელი.

– საყდარში მიდიოდა ხალხი, სალოცავად ალბათ, რას სთხოვდნენ ღმერთს? – ვცდილობთ, დავაზუსტოთ საყდრის ფუნქცია ახალ დროში.

– მთაში არი [საყდარი], ვიცი ის ალაგი. რომ ბალანა დეზადვის, რომ ვერ დეჟალპარიკებს, იქ მივა და... იქ გურჯი მეზურია, იქოს ეხოწე-ბიან...

– საყდარზე მუმს, სანთელს დაანთებდნენ? – ქრისტიანობის კვალს ეძებს მალხაზი.

– საყდარზე ძველათ უნთიან, მუმში არ იყო და სხვა რამე უნთიან, ცეცხლი. აქ უწინ გურჯი წუმუვდოდა, იმალოდენ...

ძველად ანთებდნენ, ალბათ, საყდარში სანთელს და ისე შესთხოვდნენ უფალს შემწეობას. სანთელს გამუსლიმანების შემდეგაც ანთებდნენ, „ფარული ქრისტიანები“ ქრისტიანულ რიტუალს ასრულებდნენ წმინდა სანთლის დანთებით, მახვენარი მუსულმანები კიდევ ძველი ტრადიციით განაგრძობდნენ სანთლის დანთების ადათს. ეს წესი თანდათან მოიშალა, სალოცავმაც იცვალა სახე და დანიშნულებაც.

ყურადღება მიიქცია საყდრის მდებარეობამაც, კერძოდ იმან, რომ საყდარი სოფლის „უბანებს ხედავს“, „უყურებს სოფელს“. ჩანს, სალოცავი გარკვეულ შემთხვევაში სათვალთვლო ფუნქციასაც ასრულებდა; ყოველ შემთხვევაში, მისი მდებარეობა ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა.

ელისხევში კიდევაც ერთი სალოცავი, ბონმინდაზე, ელიასხევის დაილაზე. 1995 წელს ვიყავით იქ. სახლში დაბრუნებულმა მაშინდელი დღიური მოვძებნე, მოვიყვან ამონარიდს ჩანაწერიდან:

– აჰა, ეს კედი (←ქედი – ავტ.), ეს ბონმინდაა... ესაც ჩემი ნათქვამი. ყოველ ქარჩაზე გამუალთ აქა, ერთი ათი ცალი იქნება თუ ფშვიდი, თუ ვრა ცალი ცხუარი, რაცხა იმნეთი იქნება მისხამ (?) ნაართუამს, ფულს არ გამულეზს. ის ხალხი მოიკრიფებიან, გამუალთ აქა, დავჰკლავთ, დავჰჭრით, ადულებენ, იმა შევჰჭამთ. აქო დააგებენ ქილიმებ, ილოცვენ, ღმერთ ეხონებიან კი, აქო ნაწოლი გულისთუნ ჩონი ხონნები გეგონეო და ასე, ასე...¹

ელიასხეველთა ბონმინდის სალოცავზე მოგვითხრო ელიასხევის მკვიდრმა რეჯებ ქესკინმა. მისი მონათხრობი იმიტომაცაა საინტერესო, რომ თავად უნახავს სოფლის ბონმინდაზე გასვლა და თავადაა მონაწილე ყველა ქმედებისა. ბარემ ვიტყვი, რომ იმავე საღამოს ცუცკარელ ალი აზიჯის ჩამოვუგდე საუბარი ბონმინდის შესახებ; მინდოდა, ზოგიერთი ცნობა დამეზუსტებინა და ახალიც მომეპოვებინა ძველი სალოცავის შესახებ.

– თქვენ რა იცით ბონმინდა? – მეკითხება ალი.

– დღეს ვიყავით, ვნახეთ, რეჯებმაც გვიამბო სალოცავის შესახებ, – ვუპასუხე.

– რატომ გადით იქ? თქვენ მუსლიმანები ხომ არ ხართ?

შევატყვე, გვინყინა ალი აზიჯიმ. მისი აზრით, ბონმინდა მუსლიმანთა წმინდა სალოცავია და სხვას იქ არ მიესვლება... თუმცა უხალისოდ, მაგრამ მაინც მცირე რამ გვიამბო ბონმინდის შესახებ:

– [ყურბანს] დავჰკლავთ იშტა, განვიმდეს, ეფენდუმ, განვიმდება, ყალაა არ იყვეს, ბუქი არ იყვეს, სეპტკვა არა ჰყრიდეს...²

დავუბრუნდეთ რეჯებ ქესკინის მონათხრობს.

– ვისი საფლავებია აქ? – ვეკითხები მთხრობელს.

– აქ რუსეთ კი გუმუულია, გუმულია და ერთი სამი თანე თურქეთისი ასკერები მუუკტუნებია, ასე წინ მოსულ კაცები მუუკტუნებია, იქა, კუპრეთში. იმ კაცებ ის თავებ უხუჭიან კი, მოსულან აქოს, დაკარქულან. იმ ჯარის თავრობაა უთქვია კი: მე ასე სიცოცხლე რაღა ვქნა კი, ასე კაცები მუაკტუნე. იმასაც თავი მუუკტუნებია. აქო ჩანყობილან, დაკარქულან... იმის მერე იტყვიან კი, ეს ადგილი კაა ადგილია, უცალი ადგილია. ხალხსაც უთქვია კი, ჩვენც გვენეთ იქა, ღმერთისთუნ დავჰკლავთ რამენი ცხვრები, ჩვენ ხალხს გაუმარჯოს, ფინთი არ მუუვდეს, წყალი მუუვდეს. სუყველა ქარჩაზე გამუალთ ხალხი. ვიტყვით იქ, ჯამეში, გევდეთ და დავჰკლავთ ყურბნები. თოვლი ეაკრიფვის აქა, დილა გამოვლენ, იმ ცხოვრებ დაჰკლავენ, ღმერთ ეხონებიან, ეაკრიფვიან, წევლენ.³

რეჯების მოთხრობიდან ზოგიერთ დეტალს მივაქცევ ყურადღებას:

✓ რომ აქ, ბონმინდაზე, მუსულმანთა წმინდა სალოცავია;

✓ რომ აქ დამარხული არიან რუსების მიერ დახოცილი თურქი ჯარისკაცები და თვითმკვლეელი რუსი მეთაური. საყურადღებოა, რომ კუპრეთში დახოცილები თავად გამოსულან აქ და „დანოლი-

¹ იხ.: მ. ფალავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული, IV, ბათუმი, 2005, გვ. 150.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 150-151.

ლან“. რატომ მაინცდამაინც აქ, ბონმინდაზე, გამოვიდნენ და დაიმარხნენ? ეს ფაქტი ხომ არ მიანიშნებს, რომ აქ უნინდელი სალოცავია? დიახ, მიანიშნებს, რომ ეს წმინდა ადგილია, სახელწოდებაც გვიდასტურებს ამას – ბონმინდა;

✓ რომ აქ გაზაფხულზე (ქარჩაზე – ავტ.) დათქმულ დილას გამოდიან ელიასხეველები, ყურბანს (მსხვერპლს – ავტ.) კლავენ და სთხოვენ უფალს: „ფინთი არ მუუვდეს ჩვენ ხალხს“, „წყალი მუუვდესო“... დიახ, სხვასთან ერთად წყალს სთხოვენ ტაოელები ღმერთს. ამ კუთხეში ხომ რწყვის გარეშე შეუძლებელია საზრდოს მოყვანა. შემთხვევითი არაა წყალთან დაკავშირებული მოთხრობების სიმრავლე ტაოში.

ჩანს, ტრანსფორმაცია განიცადა ბონმინდის ფუნქციამ. ახალ დროში ახალი დატვირთვა შეიძინა ძველმა სალოცავმა.

მეველუდ დოლენჯოლის ვთხოვ, ჩამანერინემეთქი ადგილის სახელები. მთანხმდება. გონებით თვალს გადაავლებს შემოგარენს და იწყებს:

ბასლეკარი;

ქონობანი (<*ქომობანი. მ – ნ>ნ – ნ);

გოდრეკარი>გოდლეკარი;

დოლეჯიანკარი;

კრეკარი||კრავკარი||კრაჰკარი. უფრო **კრავკარი** (<*კრავეკარი) ისმის. ამოსავალ ფორმაც ის უნდა მივიჩნიოთ;

ფიშნარჯევი;

ვაჩეკარი;

კილდე (<*კლდე);

„**ამნეთი ვიციო**“, – მეველუდმა, სხვა არ ვიციო. უფრო სახელდახელოდ ვერ იხსენებს...

ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა გზაზე, გავაჩერეთ.

იაშარ ქეჩეჯი ვარო, – გაგვეცნო.

ჩვენც ჩვენი სახელები ვუთხარით, აქ მოსვლის მიზანიც გაგუმხილეთ.

უჭირს იაშარს ქართული, „**პეტრე ნევე და კაე არ ვიცი გურჯულიო**“, – იმართლებს თავს.

იაშარ ქეჩეჯი ერთი რომ იყოს, ყურადღებას არც მივაქცევდი ამ ფაქტს. საქმე იმაშია, რომ, იაშარის მსგავსად, მრავალი ტაოელი, შავში,

კლარჯი თუ მუჰაჯირთა შთამომავალი იზრდება სხვა მხარეში, სხვა კულტურას ითვისებს, მისი ნაწილი ხდება, საკუთარ ენას და, ზოგადად, კულტურას ივიწყებს; ზოგი კიდევ საერთოდაც ვერ (თუ არ) სწავლობს წინაპართა ენას. შედეგად ვლებულობთ სურათს:

✓ ახალთაობამ ქართული არ იცის, სხვა კულტურის ნაწილია იგი.

✓ საშუალო თაობამ ცუდად იცის წინაპართა ენა.

✓ ქართულად მხოლოდ მამათა თაობა ლაპარაკობს, თუმცა ისიც ორი კულტურის მატარებელია, ხშირად ქართულად გაჭირვებით ახერხებს კომუნიკაციას თანამოსაუბრესთან, შელახულია მისი ქართული...

იაშარ ქეჩეჯი საშუალო თაობის ჭოროხისქვეყნელია, თავისი თაობის ხვედრის მატარებელი.

მანქანაში ჩავსხედით და ზემო სოფლებში წავედით. მეველუდ დოლენჯოლიმ ითავა მეგზურობა. უკეთესს ვერც ვინატრებდით.

– მეველუდ, შენი თურქული გვარი მითხარი, ჩავინერო!

– **რათ გინდა თურქული, მოგონილი, მეველუდა ვარ დოლენჯოლი||დოლენჯაშვილი, გურჯი, ასე იცოდეთ!**

არაფერს ვამბობ, დუმილით ვეთანხმები გამცილებელს.

მანქანა აღმართებს შეუდგა:

უკან ჯე (<*ჯევი),

ქეჯანები,

სადიყანა (<*სადლიყანა||სადგიყანა),

ზეათ – იეთი!

გვაჩვენებს მანქანიდან ადგილებს მეველუდი.

– **აქოს გააჩერე, ჩომოდით, ეს გოდლეკარია!**

მანქანიდან ჩამოვედით. ცნობისმოყვარეობით ვათვალისწინებთ სოფელს...

აზიზ ქურთი გავიცანით, გოდლეკარელი ტაოელი. თაკარა მზის ქვეშ ქვებზე ჩამოვსხედით, მასალების ჩასანერად მოვემზადეთ.

– ბატონო აზიზ, სოფლის ადგილების, ყანა-ბაზჩების სახელები ჩამანერინე, ძველი მაი-

ნტერესებს, მინდა, ვიცოდე, ვინ ცხოვრობდა აქ ძველიდან.

– ძველი სახელები ზათი გურჯია სულ:

ობლეკარი,

ჭეღანკარი,

ჭოროხნაქეთი (*ჭოროხნაქედი||ჭოროხნახედი?),

ველისთა (*ველისთავი?),

მასისი,

სანათლიე,

საფალანთო,

ჭეთავი (*ჭვეითავი<ჭვეისთავი),

ეთებ ჭალები,

ქეე ყანები (*ქედი ყანები თუ ქვეე ყანები?),

იეთი ჭევი (იეთინ დერესი – თურქული სახელიც გვითხრა აზიზმა). ოტელს გულისხმობს, „მასისს“, დააზუსტა მეველუდმა.

ქვეე – ელიასჭევი,

იმის ქვეე – დევთისკარი.

სხვას ვერ იხსენებს აზიზ ქურთი, მეც ვცვლი საუბრის თემას და მცენარეთა სახელებს ვეკითხები:

– ამას რას ეძახით? – კაკალზე ვეკითხები.

– ეს კაკალაა, ჯევიზ!

– ეს რაღაა? – კარტოფილის ყანაზე ვუთითებ.

– ეს მარქვალაია, მარ-კვალი (დამარცვლით მეუბნება აზიზი).

ვიფიქრე, კითხვა ვერ გაიგო-მეთქი აზიზმა:

– მაყვალზე არ გეკითხები (იქვე ბარდის ბურქებიც იყო და იმის სახელს ხომ არ მეუბნება-მეთქი, ვიფიქრე), ყანაში რომ გითესიათ, იმაზე გეკითხები, კარტოფილზე.

– ჩვენ მარქვალს ვეტყვით, მარკვალი! – გაიმეორა.

ახლა გავიგე! მარქვალი||მარკვალი კარტოფილის მნიშვნელობით სამხრულ მეტყველებაში მხოლოდ ტაოურში დადასტურდა. ბარემ ვიტყვი, რომ სალიტერატურო ქართულში და

დიალექტთა უმეტესობაში დასახელებული კულტურის აღსანიშნავად ნასესხები ფუძე იხმარება – კარტოფილი, სხვადასხვა ფონეტიკური სახესხვაობით, გვხვდება ინგლიზიც, აჭარულში გვხვდება ქართული ფუძე – მინიხაპაე (შდრ. მინავაშლაე), ტაოურს ქართული ფუძე გამოუყენებია, მაგრამ არა ყველა სოფელს.

თანდათან აგვენყო საუბარი. ვხედავ, რესპონდენტიც იხსნება, უფრო იოლად იხსენებს სიტყვებს, რომელთაც ჩვეულებრივ საუბარში აქტიურად აღარ იყენებს, უბრალოდ, ყოველდღიურ ურთიერთობაში არ სჭირდება...

– ეს რაღაა? – სახლის სახურავზე ვეკითხები.

– თავანი გადაკოჭილი, დაბურული – საჯი (თუნუქი – ავტ.). უნინ ყავარი იყო, ჰამა დალპა, დაჩურულდა.

– რა ქნა?

– დაჩურულდა და, დალპა!

დაჩურულდა – საყურადღებო ფუძეა დალპობის მნიშვნელობით. შდრ. ჩურუქსუ – დამპალი წყალი, ჩურულაე||ჩურუგაე – დამპალი თვე⁴.

მრავალი თვალსაზრისით საყურადღებოა ტაოური სახლ-კარი, საკარმიდამო ზოგადად. პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქვემოთაც არაერთხელ შევეხებით მას.

– რა არის ეს? – ვეკითხები აზიზს ეზოში მდგარ ძველი ნაგებობის ნანგრევებზე.

– [აქ] ტახტადან ბელელი მქონდა, შაჭმელი დავდებდი. ახლა დამხლევდა, დეინგრა.

საოჯახო ნივთები აწყვია იქვე, ყორესთან. სახელებს ვეკითხები მასპინძელს:

– აე ჩეთენია, გოდორი, აგი – მაჭალა, გოდორზე პეტრაე, იმი პეტრაე – ჭელედი, ასე ნამეებამ კლავზე (ხელით მაჩვენებს აზიზი – ავტ.).

ყურადღებას იქცევს მოქსოვილი ჭურჭლის სახელწოდებები: გოდორი, მაჭალა||მახალა, ჭელედი, განსაკუთრებით მაჭალასა და ჭელედის პოვნიერება ტაოურში.

⁴ შდრ.: ჩურუნგაე (თ. დიალ. çürük +ay) ივლისის მეტსახელი (ხშირი წვიმების, უხვნალექიანობის გამო შერქმეული. იხ. შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971. აჭარულში, განსაკუთრებით ქვემოაჭარულსა და ქობულეთურში იხმარება ჩურულაე||ჩურუგაე ფორმები.

– გოდორს მოიკიდებთ, ტვირთს წაიღებთ, ხომ?

– **გოდორში ყველს ჩადევ, გახმება!** – მკასუხობს აზიზი.

გოდორი ტვირთის გადასატანად არ გამოიყენება ტაოში, საამისოდ **მაჯალა||მახალა** და **კვლედი** აქვთ, გოდორი ბელელში უდგათ, ჭურჭლად იყენებენ.

ტაოში, განსაკუთრებით მთის სოფლებში, თოვლი ბევრი მოდიოდა, ზოგჯერ სამ მეტრზე მეტი გათოვდებოდაო, გვეუბნებიან. ზოგადად, ცივი და გრძელი ზამთარი იცოდა ამ კუთხეში. სახლსაც შესაბამისს აკეთებდა ტაოელი: ნაგებობა, როგორც წესი, რამდენიმესართულიანი იყო:

პირველი სართული ქვისაა, ყორისაა, შიგბოსელია გამართული. ბოსელში შემოღობილი კუთხეა, რომელსაც **ქორს** ეძახიან, წვრილფეხა საქონელი, „თხები და ცხვრები“ შეიყრება შიგდიას, ტაოურში „ქორის“ დანიშნულება განსხვავებულია შავშურისაგან, საერთოდ – ქართული ენის სხვა ქვესისტემებისაგან, სადაც ეს ტერმინი გამოიყენება.

მეორე სართული „სახლს“ უჭირავს, ოჯახის წევრთა სადგომს.

მესამე სართულზე სათივე||სათივრე და ბელელია გამართული. სართულები შიგა კიბით უკავშირდება ერთმანეთს.

როგორც ვხედავთ, ტაოური სახლი ვერტიკალური განლაგებისაა. და, რაც მთავარია, საცხოვრებელი ნაგებობის ტიპი გარემოს შესაბამისია, გარემო პირობებთან შეხამებული.

აზიზის ეზოში, ხეზე **გურგვალა** (ხის მორისაგან გამოთლილი სკა – ავტ.), იქვე ჩანს **კოდიც** (ფიცრისაგან დამზადებული სკა – ავტ.). ელიასხევი, ჩანს, მეფუტკრეობა კარგადაა განვითარებული.

გოდლეკარიდან იეთში ავედით. ყურადღებას იქცევს თვით სოფლის სახელწოდება – **იეთი*ი-აეთ**ისაგან. **ია** კიდევ ადამიანის საკუთარ სახელად გვხვდება, ან მეტსახელად (მდრ. გვარი **ია-შვილი**). **იეთი იას** ჩამომავლების საცხოვრისს უნდა აღნიშნავდეს.

– **გურჯები მუასხი და!** – ეუბნება მეველუდი პირველმეხვედრ იეთელს. შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა: „**ესენი ჩემი ნათესავები არიან ყოლანი**“.

სოფელს ვათვალიერებ. მშენიერი დასახლებაა, ტიპური ტაოური, მთის კალთებზე შეფენილი. სახლები უმეტესად ახალია, აივნიანი. სამოცამდე ქოხია იეთში; ზამთრობით სოფელი იცლება, უმეტესობა ქალაქში მიდის გამოსაზამთრებლად, რამდენიმე ოჯახი რჩება მხოლოდ... კაკალი, ვაშლი, მსხალი, – ზოგადად ხილი ცოტაა იეთში, თუ არ ჩავთვლით ბალს, რომელიც აქ და მთელს ელიასხევი მრავლადაა. ბარემ ვიტყვი, რომ ბალი პანტაა, წვრილნაყოფიანი, მაგრამ ტკბილი და გემრიელი.

სოფლის სავარგულები სათიბებად, უმეტესად ჭალებადაა ქცეული. ნაკლებადაა ყანები, აღარ თესავენ პურს და სხვა მარცვლეულს. ბაღებში ჩანს მარქვალი და ლობიო. როგორც ამბობენ, კარგი ლობიო მოდის ტაოს მთიან სოფლებში...

იეთში მისდევენ მეფუტკრეობას, ძველებურად აღარ აშენებენ საქონელს, უმეტესობას თითო-ოროლა ძროხა თუ ჰყავს ოჯახში, ზოგიერთს დაილაზეც დაუდის მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი.

იეთლები დღეს სათიბებში საქმობენ. მაჯალამოკიდებული ქალები შეგვხვდნენ გზაზე, ცელებითა და ნამგლებით აღჭურვილნი. სოფელი ტერასაზეა გაშენებული. სამანქანე გზა სოფლის თუ უბნის თავზე გაივლის, ეზოებში, კარზე, ჩვეულებრივ, სამანქანე გზა არ შედის.

საინტერესო ინფორმაცია მოვიპოვეთ იეთში. ერთი კია, ქართული უჭირთ იეთლებს...

იეთიდან **ქობაში||ქვაბაში||ქობაკში||ქვაბაკში||ქობაკარში** წავედით. ყველა ფორმა გვხვდება ადგილობრივთა გამოთქმაში. ზღვის დონიდან 2000 მეტრზე გაუშენებიათ დასახლება ძველ ტაოელებს. ვინრო ტყის ზოლის იქით ალპური ზონა იწყება. შუადღეა. მზე აცხუნებს, იხრაკება ირგვლივ ყველაფერი, „გევხრაკეთ ჩვენც“ – მასალის საძიებლად ჩამოსული ქალა-

ქელები... გრილი სიო ანელებს სიცხეს. იაშარ ჩელიქი და მე გზისპირას, მაგიდასთან დავსხედით სასაუბროდ.

ორმოცდათექვსმეტი წლის კაცია იაშარი, შავგრემანი, მზით გარუჯული, როგორც მომეტებული ნაწილი ტაოელებისა. მძიმე შრომას დალი დაუსვამს მისთვის, ნაადრევად მოხუცებულა ყოვედღიურობას შეჭიდებული. უჭირს იაშარს ქართული. იგი პასიური მცოდნეა წინაპართა ენისა. ჩვეულებრივ დღეებში თურქულად საუბრობს, აღარც ოჯახის წევრებს ელაპარაკება ქართულად. ახლა იძულებულია, თუ მე ვაიძულებ, ქართულად ისაუბროს. ვხედავ, ჯერ თურქულად გაიზრებს სათქმელს, შემდეგ ცდილობს, თარგმნოს და ისე გამოთქვას ქართულად. მეტყველება უჭირს ჩემს რესპონდენტს, უკბილობაც უშლის ხელს, ამიტომაც ხშირად ვამეორებინებ სათქმელს, ვაზუსტებ, ვცდილობ, მის მიერ გამოთქმული სახელური თუ ზმნური ფორმები სწორად ჩავინერო. თანდათან ყური ერგევა იაშარის ქართულ გამოთქმას, აღარც მე მიჭირს ჩაწერა. ერთი კია, დიდ გაჭირვებაში, ეზიეთში ვართ ორივე...

– იაშარ ბატონო, ადგილის სახელები მინდა ვიცოდე აქაური, ოღონდ ქართული სახელები მაინტერესებს, ძველი და არა ახალი, თურქული.

– ყველა არ მახსოვს.

– რასაც გაიხსენებ, ის ჩამაწერინე.

იაშარი მკარნახობს, თან ხელით მაჩვენებს ადგილებს:

მურუდა (<*მრუდა),

ქვაბელეთი შდრ. გვარსახელი ქვაბელი,

ვაკეწარი (*ვაკ-ევ-ნარ შდრ. ვაკევი),

ფილარეთი||ფილარეთი,

კოჭა ტყე,

დიდქედი,

ბარდიეთი,

ნეკნარი ძირი (<*ლექნარი ძირი შდრ. ლეკი),

სახაზო,

ძენმანი ჯევი (<*ძენნარი ჯევი. შდრ. ძენნი||ძენკნი. აჭარაში, ქედის მუნიციპალიტეტში სოფლის სახელია ძენ[ნ]მანი),

ჯიდის თავი,

უკანა მთა,

გამელთ წინა (<*გა[ლ]მელთ წინა? ღ' და-კარგულია),

გულია ძირი,

ბასლიან დუზი,

ფერსაბერ ტყე,

ქვაფუტკარ მალარა (მალარო, სადაც გარეული ფუტკარი ბუდობს. შდრ. ხეფუტკარა),

წითელთი||წითელთა,

უკან ტყე.

გაჩერდა იაშარი, სიგარეტს მოუკიდა, ფიქრობს. მცირე ხნით ყურადღება ექსპედიციის წევრების საქმიანობაზე გადამაქვს:

თინა, მათა და მალვინა ლობიოს მრჩველ ქალებთან საუბრობენ...

მალხაზი და ჯიმშერი სურათებს იღებენ, ხშირად მე და იაშარიც ვხვდებით მათ ობიექტივში.

რამაზი და ზაზა მევლუდს ელაპარაკებიან, ზაზა ისმენს, რამაზი ინერს ვიდუოკამერიით...

თამარს ფოტოაპარატი მოუმარჯვებია, იღებს, ცდილობს, აღიქვას ყველაფერი, რაც ხდება.

ტარიელი მანქანაშია, სიცხეს მორიდებული...

– იაშარ ბატონო, აქედან გზები საითკენ მიდის?

– ეს გზა ისე მივა, ხოფისკე, ასე – სარიგიოლისკე წავა, ბალხისკე წავა...

– თქვენ ზამთარ-ზაფხულ აქ ხართ, თუ მიდიხართ სხვაგან?

– ზამთარ აქ არ ვართ, ჭილათ ვართ!

შევნიშნავთ, რომ ჭილათი ქობაელთა სოფელია პარხლისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ბარის სოფელი. აღსანიშნავია, რომ ძველი სოფელი ქვაბაგია, ჭილათი – ახალია. დიდთოვლობა იცის ქვაბაგში. სამი-ოთხი მეტრი(?) მოვარო ზოგჯერ, შესაბამისად, ზამთარი გრძელია. ამიტომაც ქვაბაგელებმა ბარში ჩამოინაცვლეს, ასევე მოიქცნენ ბალხელები, სხვებიც, შექმნეს ახალი სოფელი, თუმცა წინაპართა ნასახლევი არ დაუტოვებიათ, ბალხშიც უვლიან ძველ სახლ-კარს.

– გაღმა, მაღალი მთა რომ ჩანს, რას ეძახით?

– ეს მასისია, მის გვერდით – მოგლესილი. მასისზე ბევრი გოლია: სავილვილე გოლი, თხელპა, გურჯი გოლი, ყური გოლი.

– ამ გოლებში ხარი არ ცხოვრობდა? გოლის ხარის ამბავი არ გაგიგონია?

– გოლში შავი წარი ყოფილა ზამანიდღე, ახლა აღარ არი. გუმოვდოდა, წარებ ეჭედებოდა, შევდოდა შიან. გოლის წარი კარგი დიდი ყოფილა. არ ვიცი, რა იქნა მასკა...

იაშარმა იცის, რომ ძველად ტბაში შავი ხარი ცხოვრობდა. ისიც იცის, რომ იგი სოფლის ხარებს ეჭიდებოდა, დიდი იყო და ერეოდა კიდეც, მაგრამ არ იცის, სად წავიდა იგი... აღვნიშნავთ, რომ ლეგენდა ტბის ხარის შესახებ საქართველოს ბევრ კუთხეშია შენახული სხვადასხვა ვარიაციით. მნიშვნელოვანია, რომ იგი ტაოელთა ხსოვნასაც დაუცავს, მართალია, სქემატურად, მაგრამ მაინც.

– წინათ სოფელში ბევრ საქონელს ინახავდით? ძროხას, წარს, პურტყებს...

– ბევრი იყო, ხუთმოციც იქნებოდა, ტყოვნარში იქნებოდეს. მეცხვარე იქნებოდა, აძვებდა, საღამოს მოჰყავდა: წარები იყვნეს, ფურები იყვნეს, პურტყები (ხბოები, წვრილფეხა საქონელიც – ავტ.) იყვნეს. ახლა აღარ არიან, გათავდეს.

წარი და ფური – ოპოზიციაა. მნიშვნელოვანია ასევე პურტყი – ხბოსა და თხა-ცხვრის (წვრილფეხა პირუტყვის – ავტ.) მნიშვნელობით. სხვა სამხრულ კილოებში პურტყი არ დაგვიდასტურებია. საინტერესოა, რას უნდა უკავშირდებოდეს ტაოური პურტყი? ხომ არ არის იგი ფონეტიკურად სახეცვლილი – პირუტყვი? თუ ეს ასეა, მაშინ პირუტყვის მნიშვნელობა ტაოურში დავინროებულება. ბარემ ვიტყვი, რომ ტაოურმა (არც სხვა სამხრულმა კილოებმა) პირუტყვი არ იცის...

ყურადღებას მივაქცევ თვლის სისტემას ტაოურში: „ძველათ ჩემი მამას დედე ამნაირ თლიდეს: ათი, ოცი, ოროცი, სამოცი... ბიჭები

ჩამოვლენ [საქართველოდან – ავტ.] და ისინი თლიან, იმათ უმზირვარ, ისინი სხვაფერ თლიან, მე ვთქვია კი... წორი ქართული ეს არი: ათდაორ, ათდასამ, ათდაოთხ... ეს არი წორი დათლა“⁵, მითხრა ელიასხეველმა რეჯებ ქესკინმა. მას შემდეგ მექართულე ტაოელებთან ყოველი შეხვედრისას ვაკვირდები თვლის სისტემას ტაოურში, იგი ათობით – ოცობითია. ტაოურმა იცის: ათი, ოცი, ოცი და ათი, ოროცი, სამოცი, ოთხოცი, ხუთოცი, ექვსოცი, შვიდოცი...

ხუთოცის გვერდით ხმარობენ ასსაც.

მეორეს მხრივ: ათდაერთი, ათდაორი, ათდასამი...

ვფიქრობთ, საყურადღებო ფაქტია ტაოურში დაცული, საინტერესო ქართული ენის ისტორიისათვის.

და კიდევ: ყურადღებას იქცევს მრავლობითი რიცხვის წარმოება – ეს სუფიქსით (თუმცა სხვა მანარმოებლებიც გვხვდება): „ერთი თანე მოვდოდა, იქი (ორი) თანე მოდიოდეს“; „ბალხი დამ მოდიოდეს: ორნი, ექუსნი, ფიდნი, ვრანი, ბევრი მოდიოდეს“⁶ – დაუპირისპირა ერთმანეთს მხოლობითი და მრავლობითი რეჯებ ქესკინმა.

ჩვენ წინ ძველი სახლია, ტიპური ტაოური. სახლის შესახებ ვეკითხები იაშარს, რომელმაც ასე „გაანანილა“ სართულები: „ქოხი (აქ: სახლი) სამი ყათი იყო: ძირა ბოსელი, იმის ზედადნ სახლი, ზედადნ სათივრე, მერეგი, იქ თივებ ვჯოხილით. ბოსელში ქორი იყო, პურტყებით“.

ჩვენს კითხვაზე: პურტყს რას ეტყვი?

– ცხვარი, თხა, ხბო... პურტყია, – მიპასუხა იაშარმა.

ქვაბაგში ხილი ცოტაა, მაგრამ არის მაინც:

ვაშლი: წითელი, ყუთელი, თეთრი.

ბალი: ყუთელი, წითელი.

მსხალი: ხურდა სხალი, ცივათი, დიდვა-ნი (ასე გეგზდება, – ხელით მაჩვენებს იაშარი მსხლის ზომებს – ავტ.).

⁵ მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული, IV, ბათუმი, 2005, გვ. 162.

⁶ იქვე, გვ. 155.

– ყანა-ბაღში რას თესავთ? ძველად რას თესავდნენ?

– **ვთესვდით ქერი, ცერცვი, შავი ცერცვია, ქართოლი|მარქვალი** (ორივეს ვეტყვით – და-აზუსტა ინფორმატორმა), **ლებიო ვთესვდით, ლახანა...**

– ქერს თუ თესავდით, ალბათ, კალოსაც ლენავდით.

– **ჰო, კალობა ვიჯებოდით, ქერს ვლენდით. ცხენს ვამუშავებდით კალოზე. ძირაჲ გულისხმობს კევრის ძირს – ავტ.] ქვები დატენილი იყო დასობილი და ცხენი არუნიებდა: დავჟდებოდით [კევრზე – ავტ.], გავლენდით კალოს.**

მოყვანილ მონათხრობში ყურადღებას მივაქცევთ ზმნის ხოლმეობითის ფორმებს: **ვლენდით, გავლენდით**, რაც საყურადღებო ფაქტია ტაოურში და სამხრულ მეტყველებაში ზოგადად.

ქვაბაგის გაღმა, ფერდობებზე, მახსოვს, სახლები იყო ერთმანეთთან მიჯრით ნაშენები. პირველი ექსპედიციის დროს აჰმედ უსტიოლიმ მითხრა, იქ, სერებზე, საქონელს „აძუებენ, საღამოს მწყემსი მორეკავს, ქალები ფურებ მონველენ“, დილით ისევ გარეკავსო მწყემსი ძროხას...

– გაღმა, სერზე რომ ქოხები იყო, რა იქნა? – ვეკითხები იაშარს.

– **იქ აგრები იყო, დაანგრიეს, დახრაკესო, –** იაშარმა.

ძროხას, ზოგადად საქონელს, ახლა ნაკლებად აშენებენ ქვაბაგელები, აღარც ალალები სჭირდებათ, ამიტომაც დაანგრიეს ქოხები და შეშად გამოიყენეს. აქ ხომ დიდი ზამთარი იცის, გრძელი და უხვთოვლიანი, გასათბობად „ქარქაშ შეშას“ (ასე ეძახიან ხმელ შეშას ქვაბაგელები – ავტ.) იყენებენ მხოლოდ, ჰოდა, გამოიყენეს ძველი აგრები შეშად. 1995 წლის ექსპედიციის შემდეგ რამდენჯერმე ვიყავი ამ სოფელში, ყოველ მოსვლაზე ვკითხულობდი ქვაბაგს გაღმა ფერდობებზე შეფენილი ალალებისა და საიალალო სახლების ამბავს, სხვადასხვა პასუხს ვღებულობდი, ვინ რას მეუბნებოდა და ვინ –

რას. იაშარის პასუხმა დააკმაყოფილა ჩემი ცნობისმოყვარეობა...

– იაშარ ბატონო, ამდენი ყორეები გიშენებიათ სოფელში, ქვებს საიდან ეზიდებოდნენ თქვენი დედები, საიდან მოგაქვთ თქვენ?

– **ქობაჲ ქვა და ბუქია ზათი** (ქვაბაგის ხალხური ეტიმოლოგია: „აქ ქვაჲა და ბუქი, იმდაგვარ ქვაბაჲ დუურქმევიან“ – გაიმეორა მთხრობელმა – ავტ.), **ძარებით** (მარხილი – ავტ.) **ათრევდენ ქვას თოვლშიგან, აქ გავტეხდით**, [ყორეს|ყვერეს] **ვაშენებდით.**

– ტყე ბევრი გაქვთ, რა მცენარეები ხარობს აქ?

– **ამ ტყეში თეთრი ხეა, კატარი!**

– ნადირი ბევრია ტყეში?

– **ტყეში დათვი არი, დომუზი არი, ოტომანი თხა – *ნადირი თხა, გელი არი...**

– ნადირს ხოცავთ?

– **მოჰკლენ, შეჰჭამ, დათვ მოჰკვლენ, უჩუმრა მოჰკვლენ.**

***ნადირი თხა** აქ: გარეული თხა. „ნადირი“ „გარეულის“ მნიშვნელობით მნიშვნელოვანი სიახლეა ტაოურში.

– სახლის ძირი ქვისაა, ყორეა, ზემოთ ხე. სახლისათვის ფიცრებს ხელით ხერხავდით, ალბათ.

– **ზათინდელი ხელი ხიზარი იყო, ხერხავდენ: ერთანე ზედან, ორი თანე ძირედან... დილაზე ავდგებოდით, საღამომდე ვჰნევიდით. ესენი ხელით გათლილია: ერთ თანე გორგალი ხიდან ერთ თანე ტახთა გამოვდოდა ცულითა, თლიდეს და თლიდეს...**

ძნელი ყოფილა ყველა დროში სახლის შენება, განსაკუთრებით ძველად. ხელით, ცულით, რამდენი ფიცარი უნდა გათალო, რომ სახლი ააშენო? თუნდაც ხიზარით რამდენი მორი უნდა გახერხო, რომ სახლის მშენებლობისათვის იკმაროს? ზოგადად, მძიმე შრომაა ხიზარზე მუშაობა, ბავშვობაში მინახავს ხიზარზე მორების ხერხვა, დღემდე მახსოვს გაოფლიანებული „ხიზარჯების“ დაღლილი სახეები...

– ლობე გაქვთ აგერ. მოდი, მითხარი ლობის ნაწილების სახელები, რას ეძახით თითოეულს?

– დაასობ – აზულია.

აზულ გაამგრებ, ანჩალმა (სხვაგან ბიჯგს||-ბაჯგს ეძახიან – ავტ.).

გააჭედებ ჩეფერი!

– გააჭედებულ ლარტყას ჩეფერს ეტყვიოთ თუ ჭერს?

– **ჭერსაც ვეტყვიოთ, ჩეფერსაც.**

„ჩეფერი“ „ჭერის“ თურქული შესატყვისია. აჭარაში „ჭერიც“⁷ იციან და „ლარტყაც“, სოფლის სახელწოდებაცაა „ჭერი“ ზემოაჭარაში, სხალთისწყლის ხეობაში.

იაშარის საუბრიდან ჩანს, რომ ქვაბაგელები „ქვას“ „ყვერეს“ ეძახიან. ლობის ქვა მთხრობელმა მოიხსენია როგორც „ქემელი ყვერე“.

„ყვერე“ „ყორეს“ ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია. იგივე ძირი, „ყორ“, ჩანს გეოგრაფიულ სახელში – „ყოროლისთავი“ (სოფელი ბათუმთან ახლოს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში) და მდინარის სახელწოდებაში – „ყოროლისწყალი“. „ყოროლისთავი“ „ყორის“, „ქვის“ თავს, „ყოროლისწყალი“ „ქვიან წყალს||ხეობას“ ნიშნავს. თქმულს შეიძლება კიდევ დავუმატოთ: ორთაბათუმელთა დაკვირვებით, ყოროლისწყლის ხეობიდან რამდენი ქვაც არ უნდა აიღონ, ერთი განვიმებაც საკმარისია, ხევი კვლავ რომ ქვით აივსოს. საიდან მოდის ამდენი ქვა? – უჩნდებათ სამართლიანი კითხვა ორთაბათუმელებს.

დაიღალა იაშარი. ორ საათზე მეტია, თაკარა მზის ქვეშ ვსხედვართ და ვსაუბრობთ. მისი სტუმართმოყვარეობით ბოროტად ვისარგებლე. საყურადღებო მასალებიც ჩამანერინა. მაღლობა გადავუხადე იაშარს, შეგანუხე-მეთქი, სინანულიც გამოვხატე, ამდენი ხანი მზის ქვეშ გაგხრაკე-მეთქი.

– **არ გავხრაკულვარ, კიდევ მოდი, გევხსენებ, გეტყვი,** – ალაღად მითხრა ქვაბაგელმა გურჯმა რესპონდენტმა.

ორღობეში გავიარე. წყაროსთან მამაკაცები საუბრობდნენ. მივესალმე. ქალაქელი ქვაბაგე-

ლები აღმოჩნდნენ, ზაფხულს ატარებენ მშობლიურ სოფელში, „ბურსას დგანან“ წელიწადის სხვა დროს. ორჰან ასლანი – ჰავიაჰმედოლი აქტიურობს. იგი კარგად ლაპარაკობს ქართულად. გეოგრაფიულ სახელებს მანერინებს, თან ხელით მაჩვენებს:

ჰავიამეზერი – კაცი ჰავიდან მოსულა, აქ მომკტარა, ჩუუფლიან.

ნაბიანი – აქ დიდი კამანდარი დამდგარა, ზომო მაჰალეში. აქნედან ნაბნი კაცი დამყდარა, **ნაბიანი** დუურქმინ.

აინიანი – პატინა ადგილია.

ზომელე – დიდი კამანდარის ფერი.

სახუნდარი – შდრ. ხუნდი.

სიკლია ტყე – ზათინდელი ბევრი ტყეა.

***ჯარებთი ათალი** (<*ჯარებთა ათალი?).

ბოზალთი – (<*ბოძალთი?) ისიც ჯარი ათალი.

****დიდი ათალი** – ბოვრ ჯარებ აძუებდენ.

სახაზო

*****ლენმანი ჯევი,**

ბალხი [მ]თა,

თეთრი წყალი,

ყუთელი წყალი,

ნისქვილები – ასე ზემოთ დანკალეზული იყო ნისქვილები ერთმანეთის ზედან. ხუთ-ექს ხანეს ერთი ნისქვილი ქონდა, იხმარებდეს: დიკა, ლაზუთი, ცერცვი... ვაფქვიდით.

კილდიათი,

გაღმა კილდიათი.

***ჯარებთი** ორმაგი მრავლობითის ფორმაა: -ებ და თ' ნიშნით ნაწარმოები.

****ელიასხეველებს** ხარი რომ უყვარდათ და ბევრსაც აშენებდნენ, იქიდანაც ჩანს, რომ მხოლოდ ერთ სოფელს სამი ხარების საწოლი ჰქონია: ჯარებთი ათალი, ბოზალთი და დიდი ათალი. ამ უკანასკნელში „ბოვრ ჯარებ აძუებდენ“.

*****ლენმანი ჯევი** – საინტერესო ფორმაა **ლენმანი**: ჩანს, იგი მიღებულია **ლენ[რ]მანი**'სა-

⁷ ჭერი – დაუმუშავებელი, გაუთლელი წვრილი ხე, იყენებენ სასიმინდის, საქათმისა და მისთ. იატაკის დასაგებად იხ. შ. ნიჭარაძე, დასახ. შრომა. ვიტყვი, რომ მოყვანილი განმარტება მთლად ზუსტად ვერ ასახავს „ჭერის“ მნიშვნელობას. „ჭერი“ არა მარტო სასიმინდისა და მისთ. იატაკის მასალაა, არამედ ლობის ბოძებს შორის გაჭედებული თუ გადებული, უმეტესად – გაპობილი, ხე.

გან (შდრ. მც. **ლერნამა** – სასტიკირია (*Valeriana thiliifolia*), იგივეა, რაც **ჭიბონა**⁸).

ერთი ამბავიც მომითხრო ორჰანმა, რუსი რომ მოსულა აქ, იმდროინდელი. ვიტყვი, რომ რუსებს არ წყალობენ ტაოელები, არც ორჰანის მოთხრობაა გამონაკლისი: „ქომოთობაში რუსებსა მუხებითა ხელები უსვინან, კაცები მუჟკლიან, გუგდიან, გუდუჟყრიან ქომოთკე, ჯევში. აქ არ უქნიან. აქ გურჯი ყოფილან, რუსჯა იცოდეს, ჩაგებებიან, თოფი არ ყოფილა აქ. ქალები დამალულან ტყეში, ღამე მოვდოდეს სახში, დღე ტყეში იმალვოდეს...“

რუსული მმართველობა ამ კუთხეში დიდხანს არ გაგრძელებულა, მიუხედავად ამისა, ერთი რუსული სიტყვა დარჩენილა ტაოურში რუსული მმართველობის სამახსოვროდ, ესაა „კამანდარი“: „აქ დიდი კამანდარი დამდგარა“ (შდრ. რუს. командарм შემ. командующий армией – არმიის სარდალი).

კარგა ხანია, ქვაბაგში ვართ, კარგადაც ვიმუშავებ; დროა, სხვა სოფელში გადავიდეთ.

შუადღე გადასული იყო, ფიშნარხევი რომ ავედით. მაღალი მთის კალთებზე გაუშენებიათ სოფელი. სამანქანე გზა მიდის ფიშნარხევამდე, გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიალწვე დასახლებამდე. მანქანა გავაჩერეთ, ბილიკით შევედით სოფელში.

მუზაფერ გულლერ⁹, – გაგვაცნო მევლუდმა მასპინძელი, ნათესავიაო ჩემი.

ფიშნარხევი, ტაოს სხვა სოფლების მსგავსად, ირწყვება. სარწყავი რუ არხით მოუყვანიათ ფიშნარხეველებსაც, „ძველი თურმე თამარასი მოყვანილია“.

საყურადღებო ცნობაა. ფიშნარხეველთა მესხიერებას შეუნახავს ლეგენდა თამარ დედოფლის მიერ სოფელში წყლის მოყვანის შესახებ. ყურადღებას მივაქცევთ, რომ მეფეს სარწყავი არხები უშენებია ტაოს მრავალ სოფელში, კლარჯეთშიც, წყალი კიდეც მზით გახრაკული მთის კალთების მაცოცხლებელია. იმდენად მნიშვნელოვანია სარწყავი წყალი ტაოელთა ყო-

ველდლიურობისათვის, რომ წყლის გამყვანის ხსოვნამ საუკუნეებს გაუძლო, ზოგჯერ ისე ცოცხლად მოგიტხრობენ ლეგენდას, რომ თითქოს გუშინდელი ამბავია და არა ცხრა საუკუნის წინანდელი. და კიდეც, იბადება კითხვა, რატომ მაინცდამაინც თამარ დედოფლის სახელი ცოცხლობს ჭოროხის ხეობის მკვიდრთა ლეგენდება თუ გადმოცემებში და არა საქართველოს სხვა რომელიმე მეფისა თუ დედოფლისა? ჩვენი კითხვა არაა შემთხვევითი და პასუხსაც მოითხოვს, ოღონდ არა – აჩქარებულს...

– აქ, ამ სოფელში, ძველიდანვე გურჯები ცხოვრობდნენ თუ ჯერ სხვები იყვნენ და თქვენი ძველები გვიან მოვიდნენ?

– ეს სახლი... ამისი საიბი გურჯისტან ნესულან, აღარ მოსულან, სამუშაოდ წასულან, დამჩალა⁹ იქა.

მთლად კარგად ვერ გაიგო ჩვენი კითხვა მუზაფერმა.

– აქ უჩუმარაა თუ ილოცებდენ ქრისტიანები? – ეკითხება მალხაზი.

– ერმენ ხევეკში ულოცვიან... იქ ერმენია ზათი. ამ ხევეკში (გულისხმობს ხევაას, ელიასხევის სოფელს – ავტ.) ულოცვიან, მუსლიმანებ ულოცვიან. აქ ხრისტიანები არ ცხოვრობდენ.

– შენ ფიქრობ, რომ ესკიდან აქ მუსლიმანები ცხოვრობდნენ? თამარა დედოფალს რომ ახსენებ, მის დროსაც აქ მუსლიმანები ცხოვრობდნენ და იგი მუსლიმანებს უშენებდა არხებს?

ვერაფერი გვიპასუხა მუზაფერმა. მისი ცოდნა თამარის ეპოქის ტაოს ვერ სწვდება, თავად მუსულმანია და გაუგონია, დედებიც მუსულმანები იყვნენო...

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, დაიძაბა მასპინძელი. აზრი არა აქვს საუბრის ასე გაგრძელებას, ამიტომაც თემა შევცვალე:

– სად საქმობთ, ბატონო მუზაფერ?

– აქ ბევრ რასმე ვისაქმებ. აქ გზევენარ ვაკეთებ, ხიდები არი, დიდვანი ხიდები, იმა ვაშენებ...

⁸ შ. ნიჟარაძე, დასახ. შრომა.

⁹ დამჩალა – აქ: მომკვდარა.

– მაღლა, მთებში, ზიარეთი ყოფილა. გაგიგონიათ რამე ზიარეთზე? საყდარზე? ხომ არ ყოფილხართ იქ?

– იმხან (აქ: ძველად, წინათ) ასე იყო: ავათ არი, თავი ტკივა, წევა იქა, ფაშვი ტკივა, წევა იქა... მე არ ვიყავ, არ ვჯერვარ¹⁰.

– მუზაფერ, ძველი ამბები გეცოდინება, სოფელში გაგონილი ან დედებების ნათქვამი.

– ძველი ხებრები? რა გინდა, რა ვიცი?

– საიდან მოსულან დედებები?

– ამ ქოხებ ხედავ, ამათა? ამათში იყვნეს!

– თქვენ ფიქრობთ, რომ დედებები არ მოსულან, აქაურები იყვნენ.

– არ მოსულან, აქ დეზადენ, აქ გეზადენ...

– გასაგებია! რას ისაქმებდნენ ძველები?

– ქერ დათესვიდეს, სელ დათესვიდეს... ისე იზამდეს.

– ჯარს, ძროხას, პურტყეებს არ აშენებდნენ?

– აშენებდენ!

– ამდენი ყორე ვისი ნაშენებია? ქვები საიდანაა მოზიდული?

– ზრუგით მუუტანიან, ჩვენ არაბაათ ვერ მოვტანთ იმა. დედებმა აშენეს ყვერები, ჩვენც ვაშენებთ...

– როგორ ფიქრობთ, სად უფრო კარგი ქართულით ხვარათობენ, – ელიასხევში თუ ბორჩხაში? თუ არიგებთ ბორჩხელების გურჯულს?

– ჩვენი გურჯი და შავშეთის გურჯი არ ეწყობა. ბორჩხაში ნახვარ ვხვდები მე, ავ. შენი ხვარათობა¹¹ ბევრი ვერ გიმიგნია.

– მე შენს ხვარათობას ვიგნეფ, ბორჩხელეების, შავშელეების ლაპარაკსაც ვიგნეფ... – ვცდილობ, მისთვის გასაგებად ვუთხრა მუზაფერს. – ბაღნებმა გურჯული არ იციან, რატომ არ ასწავლით?

– ჩვენ ქი წვენეთ, აქ გათავდება გურჯი. მე მექთებში მივდოდი, თურქჩა არ ვიცოდი, იმხან გევრიგე.

– „ჩვენ ქი წვენეთ, აქ გათავდება გურჯი“ – გვეუბნება მუზაფერი. მის ნათქვამში სინანული ჩანს შექმნილი ვითარებისა გამო. მუზაფერის თაობა ბოლო ქართულის მცოდნე თაობაა ამ კუთხეში. ნიშანდობლივია, რომ სკოლაში მიმავალმა მუზაფერმა და ბევრმა მისმა თანატოლმა ტაოელმა, შავშმა თუ კლარჯმა, თურქული არ იცოდა, ოჯახში ქართულად ლაპარაკობდნენ, სოფელშიც, და ქართული იცოდა მხოლოდ. ახლა მოზარდი თურქულ გარემოში იზრდება, ოჯახშიც დედ-მამა თურქულად ესაუბრება, ამიტომაც არ იცის ქართული, წინაპართა ენა.

კიდევ ერთ გარემოებას მივაქცევ მკითხველის ყურადღებას: „ჩვენ ქი წვენეთ, აქ გათავდება გურჯი“, – გვეუბნება ინფორმატორი.

ვინ იწოდება გურჯად მექართულე ტაოელის გაგებით?

ტაოში, მსგავსად ჭოროხის სხვა ქვეყნებისა, ქართველად, გურჯად მხოლოდ ის ითვლება, ვინც ქართული ენა იცის. წინაპართა ენის ცოდნაა ეროვნული კუთვნილების განმსაზღვრელი ნიშანი. რესპონდენტთა საუბრებიდან გვესმის სინტაგმა: **ესკი გურჯი** (აქ: ყოფილი ქართველი) და **გურჯი**. ვილაც, დაფუშვით, რომელიმე პარხლელი **ესკი გურჯია**, დღეს – **თურქი**, ქართულის არმცოდნე. რომელიმე ელიასხეველი **გურჯია** იმიტომ, რომ მან იცის ქართული...

და კიდევ: „**გზა შამოვდა, მას მერე სუყველა თურქჩა პარიკობენ. ჩვენში არიან და თურქებ ეტყვიან კი**“¹².

ან: „**პარხალი გურჯი არ არი, ბალხი არი, ქობაჲ არი... ქართული ლაპარაკი აბლი დარჩა**“¹³. შდრ. „**ალთი პარმალში** (პარხალი – ავტ.) **გურჯი არ არიან, გურჯიჯა არ იციან, ესკი გურჯი არიან თუ არა, ისაც არ ვიცი მე**“, – გამოთქვამს ეჭვს მუზაფერ გულერი.

ქართულის მცოდნე თუ არ დარჩება სოფელსა თუ კუთხეში, „გათავდება გურჯი“. მუზაფერს

¹⁰ **ჯჯერვარ – ვჯერდები** (აქ: მჯერა). შდრ.: „**მით არ ვჯერვარ ქმარსა ჩემსა...**“ (ვტყ. 1214,1); „**შენ არ სჯერხარ, უსწავლელი კაცი ვითმცა შევაჯერენ**“ (ვტყ. 791,4); ხამს ყოვლისა დაჯერება. ბრძენი სჯერა მონვენადსა (ვტყ. 1050,4).

¹¹ ხვარათობა – ლაპარაკი, მხოლოდ ტაოურში დასტურდება.

¹² მ. ფალავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული, IV, ბათუმი, 2005, გვ. 150.

¹³ იქვე, გვ. 151.

უყვარს თავისი სოფელი, ამიტომაც რჩება „აქო-ვრში“, თანასოფლელებთან ერთად არ ტოვებს ფიშნარხევს, არ მიდის ქალაქში უკეთესი ცხოვრების საძიებლად.

კვლავ ვუბრუნდებით საყდრის თემას:

– შორია აქედან საყდრამდე? – ვეკითხებით მუზაფერს.

– ნახვარ საათში გეხვალ არაბაათ!

– ეს არაბა გავა?

– ამ მანქანით ვერ გეხვალთ! – ჩაერთო საუბარში მეველუდი.

– უკან დასხნენ, გევა, ესას გევა. არაბა მივა იქა. გძელი თუა, არ გავა.

– შენ არ გაგყვები საყდართან?

– მე – ვერა. ბალანა არი პუტურუ, ნვრილი, ვუმზირო'და...

ხშირ-ხშირად იხედება მუზაფერი ქოხში, შვილიშვილს დახედავს, მის ძილს დარაჯობს. უკან მობრუნებული გვებოდიშება: „პუტურაა არი, ვერ გიმიგდია, ჩემი თორია“.

– აქედან ქობაა ჩანს?

– ქობაა აქიდან ვერ დეანახავ!

– მუზაფერ, მოდი, ადგილის სახელები ჩამაწერინე, – ვთხოვ მასპინძელს.

– აქიდან ჩახყვები ასე, ხამფიანკარი, აბლი ქომოთკენ – ვაჩეკარი, მერე – გოდლეკარი. ჩვენ მოლახოლის შვილები ვართ. აქოს ისენი აღარ არიან, გენჯები წოვდეს აქედან.

– სხვა სახელები არ გახსოვთ?

ხონითები – უბანია სოფლის,

ვაჩეთები, იგივე ვაჩეკარი,

კოჩიან ყანა,

კოდელიან ყანა,

ფუქშებ ყანა,

მოლახლიან ჭალა,

სალიან ჭალა,

ეიბიან ჭალა,

ხიტთან ჭალა,

ბოცებ ჭალა,

ხალენ ჭალა,

ყანორენ ჭალა,

ყულახ სვანი,

მომონნი.

მუზაფერმა საინტერესო გეოგრაფიული სახელები ჩაგვანერინა, სადაც:

ყანა – მინის მნიშვნელობით იხმარა.

ყანა და ჭალა (აქ: სათიბი) სინონიმებად გამოიყენა, ორივე ერთად **მინის** მნიშვნელობით.

ყურადღება მიიქცია კიდევ შემდეგმა:

ხონითები იგივეა, რაც **ხონითიანი** შდრ.: **ხონითიენთი**.

ვაჩეთები – **ვაჩეთიანი** შდრ. **ვაჩეთიენთი**.

ხონისა და ვაჩეს ჩამომავლების||სახსლეულის საცხოვრისი, სხვა შემთხვევაში – ხონისა და ვაჩეს ჩამომავლების მეტსახელი გვარები, ქოხის სახელები.

საყურადღებოა სინტაგმა ტოპონიმები, რომელთა შემადგენლობაშია **კარ'** ფუძე: **ვაჩეკარი**, **აზლენკარი**...

უაღრესად მნიშვნელოვანია გეოგრაფიულ სახელთა წარმოების პრინციპი ტაოში, იგი დაკავშირებულია სოფლის დასახლების სტრუქტურასთან.

დავტოვებ მუზაფერი „პუტურუ თორთან“ და მალა ავედით, იქ, სადაც ჩვენი მანქანა და ექსპედიციის რამდენიმე წევრი გველოდებოდა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მოგვიახლოვდა, კაცი ჩვენთან გაჩერდა, გამოგველაპარაკა, ქალმა გზა გააგრძელა, ძროხა გადენა ქოხისაკენ.

– ალთინ გული, – გაგვეცნო შავგრემანი, დაკუნთული ახალგაზრდა. ჩვენც ჩვენი ვინაობა ვუთხარით. აღმოჩნდა, ბათუმში უმუშავია ალთინს, ქართულად სხვა ტაოელებზე უკეთ საუბრობს, ოღონდ მის ტაოურს ამკარად ეტყობა ბათუმური მეტყველების კვალი.

ოჯახში მიგვინვია ალთინმა, „ჩაი ვსვათო“, შემოგვთავაზა. ჩაიზე და, შენუხებაზე ზოგადად, უარი ვუთხარით, აქვე ვისაუბროთო, ვთხოვეთ.

შევთანხმდით, გზისპირას, ქვებზე ჩამომსხდარნი ვისაუბრებდით.

– ამ მცენარეს (ანწლზე ვეკითხები – ავტ.) რას ეძახით?

– **ყრალი მოლი**, არ ჭამენ, ამუა, გახმება, დეკარგვის.

მოლი, აქ: ბალახი. ყრალი მოლი, სინტაგმა კარგად ასახავს ამ მცენარის თვისებას.

– ალთინ, სოფელში ხილი გაქვთ, მოდი, მათი სახელები გვასწავლე.

– მეფვა ბევრია:

სხალი – ჭანურა¹⁴, პანტა, ვანგისა¹⁵.

ვაშლი – ბოკელაჲ, დიდი და წითელი, წვნიანი; მწვანე ვაშლაჲ, სიცივეს რომ შეჭამს, ფქვილს გავს, ბებრები კოვზით შეჭამენ.

ბალი გვაქ – ყუთელი, შავი...

– ალთინ, ძროხები გყავთ, რძისგან რას აკეთებთ?

– მაშინას დავაბრუნეფთ, ბადიაში ნანველს ჩავასხამთ, ორი ღარი აქ: ერთიდან გამუა კამალი, მეორიდან – დელამოტი. დელამოტს გავაცხელებთ, ერთი საჰათი გახდება, მერე ის ყველი ამოვა თავიდან, მისი წყალი ამოვა, ჯეჯიმში ჩავასხამთ, მუუჭირებთ, მერე შრატი რომ გამოვა, დარჩება ყველი. ყველ ბელელში დავდებთ, გაშრება და ერთ თვეს იქეთ მოხმება, გამძაღდება შიანაჲ, გაშავდება, მერე შიჭამენ. ძალე ყველი, ან შავი ყველი ქვია. პუტრაჲ ყველი ათ ჭიქა ჩაის დაგალევიფს.

დავინტერესდი ალთინის მონათხრობით. ვინც იცის ყველისადმი ჩემი დამოკიდებულება, არ გაიკვირვებს ჩემს ცნობისმოყვარეობას.

– ალთინ ხომ ვერ გვაჩვენებ ძალე ყველს? ეგებ გაქვთ სახლში...

– მაქ, დადექით, მოგიტან!

მაღე დაბრუნდა ალთინი ყველით, მოზრდილი ნატეხი (ქვასავით მაგარი იყო და ნაჭერს ვერ ვუნოდებ – ავტ.) მოგვართვა. გავსინჯეთ, ვისაც სურვილი გექონდა. ყველი მაგარია, გამომშრალ-გამხმარი, მაგრამ – გემრიელი.

კარგი ყველია-მეთქი, ვუთხარი ალთინს, მაღლობა გადავუხადე. დარდი არ მომასვენებდა, რომ არ გამესინჯა აქაური ყველი-მეთქი, ვეუბნები ტარიელს.

ჩემთვის გაუგებარი დარჩა, რატომ ჰქვია ამ ყველს „ძალე ყველი“. სრულიადაც არ ჰქონდა მძალე გემო მორთმეულ „შავ ყველს“. „მძალე“ ხომ „...მომწკლარტო, მომწარო გემოსია? მძალე ერბო, მძალე ნიგოზი, მძალე ყველი“ (ქეგლ).

ფიშნარხევიდან წამოვედით, სოფლის ბოლოს ვისადილეთ მწირი სადილით: ყველი, პური, ზეთისხილი, კიტრი, პომიდორი, – ეს იყო სულ ჩვენი საგზალი. შემდეგ მეველუდმა მდინარის გაღმა წყაროზე გაგვიყვანა, – ცივი წყაროა, საამო...

დავილაღეთ. უკვე საღამოა. ხოჯამ იქინდის ნამაზზე მოუხმო მლოცველებს. წინ საკმაო გზა გვაქვს სასტუმრომდე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

¹⁴ ყურადღება მიიქცია მსხლის ჯიშმა ჭანურაჲ. ნაკლებად ველოდებოდი ტაოშიც თუ შემხვდებოდა იგი. ჩემს ბავშვობაში ჩვენს ეზოშიც ხარობდა ჭანურაჲ, სახლის წინ იდგა ბებერი, უკვე დახავსებული, ჩხავერი აეშვით მასზე. ერთ დიდთოვლიან ზამთარში წაიქცა. ჭანურაჲ ხარობდა აგარაშიც (ორთაბათუმის აგარაში), ბაბუაჩემის ბაღში. რამდენადაც ვიცი, ჩემს დედულეთში მოჭრეს გადაბერებული ხე, ახალი არავის დაუმყნია და არ გაუმრავლებია. მსხალი აღარაა, სახელი დარჩა, შეინახა მესხიერებამ. უყურადღებობით ჩვენ თვალწინ გაქრა სხვა ადგილობრივი მსხლის ჯიშები: ჯენჯირმა, კადუმუთი, კალმოსაფი... გადაშენების პირასაა სხვა მრავალი...

¹⁵ ვანგისაჲ ძალიან მაგარია, სიცივეს რომ შეჭამს (გვიან შემოდგომაზე – ავტ.) შიანაჲ გაშავდება, დაცივივა. ღორი ჭამს. ღორი მეტია აქ, ხუთმეტი ერთათ დადიან.



პიხაიძე მანუჩარაძე

ფრაგმენტები ქართულ ფილოსოფიაზე და ქართველ ფილოსოფოსთა ცხოვრებიდან*

ნუცუბიძიანა – 2

„ნუცუბიძიანაზე“ შედარებით სრული სურათის შესაქმნელად მოვიტანთ ამონარიდებს შალვა ნუცუბიძის უახლოესი ადამიანების წიგნებიდან:

**ქეთევან ნუცუბიძე (შალვა ნუცუბიძის მეუღლე)
„შალვა ნუცუბიძე“, მე-2 გამოცემა, თბილისი, 1988**

* * *

შალვა ნუცუბიძეს ბევრი ბაძავდა და ამის გამო ზოგიერთი მათგანი კომიკურ სიტუაციაშიც აღმოჩენილა. „ერთი აღიარებდა კიდეც, იმდენად დიდი იყო ჩემზე ნუცუბიძის გავლენა, მე მას სიარულშიც კი ვბაძავდიო. სიარულში ნუცუბიძეს თავი ოდნავ მარჯვნივ გადახრილი ეჭირა და მეც ასე დავინწყე სიარულიო. იმ ხანებში ერთი გოგონა შეჰყვარებოდა და უარი კი მიიღო, დედას არ მოსწონხარ, თავი მოლრეცილად აქვსო. ასე შალვას სიყვარულმა პირველი სიყვარული დამაკარგვინაო“.

* * *

ნუცუბიძის ლექციაზე ერთი დაგვიანებული სტუდენტი კარის ჭუჭრუტანიდან უგდებდა ყურს ლექტორის საუბარს. ნუცუბიძემ გაალო კარი, შემოიყვანა სტუდენტი და უთხრა: „ჭუჭრუტანიდან ფილოსოფია ჯერ არავის შეუსწავლიაო“.

* * *

„სამაგისტრო გამოცდების სამზადისში [ნუცუბიძე] ხშირად უნახავთ ტრამვაის ვაგონში რომელიმე მგზავრის ზურგზე მიყრდნობილი არისტოტელესა და ციცერონის თხზულებებს რომ ჩასცქეროდა“.

* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 4, 5, 6, 2017 წ.

* * *

ერთ-ერთ ინგლისურ ჟურნალში აღნიშნულია: „...ნუცუბიძემ განმინდა ფილოსოფია სპეკულატიური და ინტუიციური ნაწილებისგან და დაგვანახა გზა სიბრძნისკენ, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ფილოსოფიის უაღრესად დახლართული პრობლემების მარტივი გადაწყვეტის მიმართებით“.

* * *

„ცნობილი მოაზროვნე, ესპანელი ორტეგა ი გასეტი, ფილოსოფოსთა შეკრებაზე, რომელსაც ანრი ბერგსონი (დიდი ფრანგი ფილოსოფოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში – მ. მ.) თავმჯდომარეობდა, თავის მოხსენებაში შეეხო ნუცუბიძის შრომებს, განაცხადა: რომ „გნოსეოლოგიაში მე მიმდევარი ვარ პატარა საქართველოს დიდი მოაზროვნისა. ყველა მოაზროვნის სამუშაო მაგიდაზე მისი წიგნი უნდა იყოს“. ამ აზრს ბერგსონიც დაეთანხმა“.

* * *

ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის რექტორია, შალვა ნუცუბიძე პრორექტორი. არაკეთილმოსურნეებმა მათ შორის „ჩორთის“ ჩამოგდება შეძლეს. ნუცუბიძემაც დაწერა განცხადება განთავისუფლებაზე და სახლში წამოვიდა.

სახლში დაბრუნებულმა „გაიშილიფა, ცივი წყალი შეისხა, ...და თავის სამუშაო მაგიდას ღილინით რომ მიუჯდა, სადარბაზოში ზარის ხმა გაისმა. ოთახში შემოვიდა ივანე ჯავახიშვილი. მან ყოველგვარი შესავალის გარეშე კატეგორიულად განუცხადა:

ახლავე უნდა დაუბრუნდეთ თქვენს მოვალეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში არც მე დავბრუნდებიო.

არც ამაზე შეეყოყმანებულა შალვა და ორივენი მეგობრული განწყობით უნივერსიტეტისაკენ წავიდნენ“.

* * *

ერთ კრებაზე ნუცუბიძემ თურმე კბილი გაჰკრა აგრონომებს. განაწყენებულმა მსმენელმა განაცხადა: პრორექტორმა „პეტრუშკის მეცნიერები გვინოდაო“. შალვამ თავი იმართლა: „მე პეტრუშკა არ მიკადრებია, ოხრახუმის მეცნიერები გვყავს-მეთქი“.

* * *

„ერთ პროფესორს მისი ასპირანტი ყოველთვის პირად მომსახურებას უწევდა - პალტოს გახდიდა, მიაწვდიდა, პორტფელს წაუღებდა, მიაცილებდა და მოაცილებდა.

– ის პროფესორი კარგ მიმდევარს ამზადებს – სახლიდან უნივერსიტეტამდე და უნივერსიტეტიდან სახლამდე, – შენიშნა შალვამ“.

* * *

„უნივერსიტეტის ადგილკომის არჩევნებზე უდიერად გამოსულ თანამშრომელს, გვარად კვირიკაძეს, შალვამ უთხრა:

– შენი გვარი შესწორებას მოითხოვს.

– როგორ? – განცვიფრებულმა იკითხა.

– უბრალოდ, პირველი ასო უნდა გამოაკლდეს, – თქვა შალვამ“.

* * *

ცნობილი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი „გიორგი ახვლედიანი რომ ხედავდა, რა გატაცებული პრორექტორი იყო [ნუცუბიძე], ერთხელ შეეკითხა:

- რა ისმის ფულოსოფიის ფრონტიდანო?
- ფულოსოფიის ფრონტზე ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ცუდი სუნი მოდის ფუნეტიკის მხრიდან, – არ დაიბნა შალვა“. აქ ნუცუბიძემ ხაზი გაუსვა დიდი ენათმეცნიერის ფონეტიკოსობას.

* * *

გასული საუკუნის 30-იან წლებში, იდეოლოგიური პოზიციებიდან უტევდნენ უნივერსიტეტის პროფესორთა ერთ ჯგუფს, მათ შორის შალვა ნუცუბიძეს.

სკათედრაზე ელაგა ნუცუბიძის შრომები და მათი ავტორიც თავის პოზიციას ასე „ინანიებდა“: „უარს ვამბობ ყველა ამათზე. დავინწყით თავიდან“.

„– როდის დადექი შენ ჩვენს პლატფორმაზე? – ირონიულად ჰკითხეს ნუცუბიძეს.

– როდესაც რევოლუციის მატარებელი ოქტომბრის პლატფორმაზე ჩამოდგა, უბაგაჟო ხალხი უმალ გადმოხტა და პლატფორმაზე დადგა. ნურას უკაცრავად, თუ ბაგაჟიან ხალხს ცოტა დააგვიანდაო, – უმალ უპასუხა შალვა ნუცუბიძემ.

ამაზე ისეთი ხმაურიანი, შეუჩერებელი ტაში ატყდა, ისე აგუგუნდა სტუდენტობა, რომ ისინი, ვისაც უნდა ეყვირა: „ძირს შალვა ნუცუბიძე“, აღფრთოვანებულ ვაშას გაიძახოდნენ“.

ამის გამგონე, ერთ პარტიაში ახლად შესულს, თითქოს მის მეგობარს შორიდან დაუძახია:

„– შალვა, ნანოლის პოლიტიკა არ დაგავინყდესო.

– ზოზო, მე რო არ ნაწვწოლილიყავი, შენ როგორ გადამახტებოდიო, – უკვე სიცილით ესროლა სიტყვა შალვამ“.

* * *

ერთ-ერთი ცხარე დისკუსიის შესვენებაზე ნუცუბიძე მის გარშემო შეკრებილთ სხვადასხვა ამბებს უყვებოდა, ამით ხალხის ყურადღებასაც იპყრობდა და დაძაბულ სიტუაციასაც ამსუბუქებდა.

ერთ ახალ მოსულს შორიდან დაუძახია:

„– როგორა, ხართ, ბატონო შალვა, როგორ?

– მეხვიით, მეხვიით! – ხმამაღლა გასძახა შალვამ.

– გამოიწით, თავში არ დაგვეცესო, – იხუმრა ვითომ განზე მდგომმა მინისტრმა, რომელსაც საზოგადოების ყურადღება აკლდა და თითქმის მარტო იყო.

– ნუ გეშინიათ, მეხი ცარიელ ადგილზე არ ეცემო, – მიახალა შალვამ“.

* * *

„მახსოვს, – იგონებდა გიორგი ახვლედიანი, – შალვამ წინასწარ გვაჩვენა კოლეგებს ჯერ გამოუქვეყნებელი თავისი თარგმანი „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი მონაკვეთისა. ჩვენ ყველანი გაგვაოცა თარგმანის ადეკვატურობამ და რუსული ლექსის სიმშვენიერემ. ივანე ჯავახიშვილმა თქვა: „ამით ხომ რუსთველოლოგიის ნახევარია გაკეთებული“. მახსოვს, თუ როგორ განცვიფრდა დიმიტრი უზნაძე და ჰკითხა შალვას: „შენ ხომ არ შეცდი შენი შემოქმედების გზის არჩევანში, იქნებ დიდი პოეტის გზა უფრო შეგეფერებოდა, ვიდრე დიდი მეცნიერისაო“.

* * *

როდესაც ციხეში დამპატიმრებლები და დიდი პოსტის ადამიანებიც მოხვდნენ, №10 პატიმარ ნუცუბიძეს არა მხოლოდ თავის გამამხნეველად შეუნიშნავს:

„ზოოპარკი ცხოველებისთვის შენდება, ციხე – ადამიანებისთვის, ქაჯებისთვის კი არა! ესეც ხომ ცხოვრებაა, მხოლოდ სამყაროს უფსკრულის ერთ კუნჭულში მიხვეტილი“.

* * *

თბილისში, საპატიმროში მორიგი დაკითხვისას გამომძიებელს ნუცუბიძისთვის ჩვენების დასაწერად ქალაქი მიუწოდებია. პატიმრის ირონიულ შეკითხვაზე „– იქნებ მიკარნახოთ...“ გამომძიებელს უთქვამს:

„– მეტი სერიოზულობით შეხედეთ თქვენს საქმეს, ეს ქალაქი თქვენი სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტია.“

შალვამ თავი დაღუნა და, რაც რამ ბოროტება გაახსენდა საერთოდ, ყველა თავის თავს მიანერა, იმ განზრახვით, რომ სიკვდილის განაჩენის სისრულეში მოყვანას დააჩქარებდა. ბოლოს ჩვენების ტექსტსა და ხელწერას შორის დიდი მანძილი რომ დატოვა, გამომძიებელმა იყვირა:

– ყოფილო პროფესორო, დაგავიწყდა ხელი სად უნდა მოაწერო?

– არა, მე არაფერი არ მავიწყდება, ეს ადგილი თქვენთვის დავტოვე, იქნებ რაიმე გამომრჩა და თქვენ დაამატოთ, – თქვა შალვამ და თვალი გაუსწორა გამომძიებელს“.

ამის შემდეგ გამომძიებელს ტელეფონზე ვილაცისთვის უთქვამს – „გამოუსწორებელიაო“ და ნუცუბიძე ჯერ სხვა კამერაში გადაუყვანიათ, სულ მალე კი თბილისის საპატიმროდან მოსკოვში გაუმწესებიათ.

* * *

როცა ნუცუბიძე მეორედ ქორწინდებოდა ყოფილა მითქმა-მოთქმა:

„– ნაქმარევი რომ აირჩია, გაუთხოვარი ქალი აღარ იყო?! – არ ცხრებოდნენ. ეჰ, ბედია ყველაფერი! – დაასკვნეს საბოლოოდ. მაგრამ ერთმა მაინც თქვა: რომ მცოდნოდა ასეთი უბრალო მოთხოვნებისა იყო, – მეც შევეცდებოდი...“

* * *

ასეც ხუმრობდნენ თურმე: „შალვა ნუცუბიძეს გაჩეჩილადის კალენდარი ისე შეუძლია წაიკითხოს, შექსპირი გეგონებო“.

* * *

ნუცუბიძე როგორც კი შეატყობდა, რომ სასმელი ძალას იკრებდა, სუფრას ტოვებდა და თან დასძენდა: „პატრიოტიზმი ის ცეცხლია, რომელზედაც თუ ხოხობი არ დუღს, ჩახოხბილი არ დამზადდება“.

* * *

თურმე, როცა ნუცუბიძეს სახლში მარტო სტოვებდნენ, მხოლოდ ერთი საქმე ევალებოდა – რძის ადუღება, რასაც მისი საყვედური მოსდევდა: „თქვენ ყველაზე ძნელ საქმეს მიტოვებთ. რძეს დავადექი თავზე – არ ადუღდა, მოვცილდი და გადმოვიდაო“.

* * *

ნუცუბიძის პორტრეტის კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი: „მისგან თხოვნით რისიმე მიღება ძნელი იყო, სურვილი ნატვრის სახით უნდა გამოგეთქვა. მაშინ იტყოდა: რა გაქვთ სანატრელი, ნატვრის თვალი აგერ არ ვარო!“.

* * *

ერთ პედაგოგს ნუცუბიძისთვის ნიშნისმოგებით უთქვამს:

„– დღეს თქვენი ვაჟი გამოვიჭირე, გაკვეთილი არ იცოდაო.“

– თქვენც მაშინ გამოიჭირეთ, როცა იცისო“, – უპასუხია ნუცუბიძეს.

* * *

ნუცუბიძეს მეცნიერებათა აკადემიის თაობაზე ასეთი ირონიული შენიშვნა გამოუთქვამს:

„– აკადემიის კარი რაკი ერთი გაიღო, ვეღარ იხურება – ზოგს შესასვლელად წინაპრების ძვლების ფოსფორი უნათებს გზას, ზოგს თანამდებობით ირჩევენ, ზოგს ხელმძღვანელ პოსტიდან განთავისუფლებისას აკადემიკოსობით იმაღლიერებენ, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ თვითონ უნდათ სწირონ, ჩვენ კი მხოლოდ პირჯვარი ვინეროთ!“

* * *

ბახმაროში მიმავალი ნუცუბიძე ნაბელავთან შეჩერებულა. ეს სასარგებლო წყალი უსარგებლოდ რომ მიედინებოდა და თანაც მდინარის ქეები რკინით იყო შეღებილი, ირონიულად უთქვამს: „ქეებიც კი განითლებულან სირცხვილისგან“.

* * *

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე, როდესაც ნუცუბიძეს აკადემიის წევრობა შეუწყვიტეს, აკადემიის პრეზიდენტს განუცხადებია, დადგენილება ერთხმად არის მიღებულიო. ამის პასუხად ივანე ბერიტაშვილს განუცხადებია:

„რატომ ერთხმად, – მე წინააღმდეგი ვარ...“ პასუხად რომ მხოლოდ დუმილი მიიღო, დასძინა, – „მე ვტოვებ ამ უსამართლო სხდომას“ და პირდაპირ ნუცუბიძესთან წასულა სახლში.

ამ პროტესტის თაობაზე არაფერი უთქვამს დიდ მეცნიერსა და მოქალაქეს ნუცუბიძისთვის. ამის თაობაზე სხვებისგან გაუგია ოჯახს.

* * *

იმ დროიდან, როცა აკადემიიდან გამოყვანის საკითხი დადგა, ნუცუბიძე წუთი წუთზე დაპატიმრებას ელოდა. ციხისთვის თადარიგიც დაუჭერია. ყოველი ზარი მისთვის ჯოჯოხეთის ტოლფასი იყო.

„– ასეთ თავისუფლებას პატიმრობა სჯობიაო“, – უთქვამს და შინაგან საქმეთა მინისტრისთვის დაურეკია:

„– მოდიხართ თუ მოვიდეთ?“

როცა იქიდან უპასუხეს – თქვენთან მოსვლას არ ვაპირებთო, თან მცირედი სატელეფონო საუბრის შემდეგ გაუღიმია და ოჯახის წევრებს გადახვევია.

ჩვეული იუმორით უთქვამს:

„– მოლა ნასრედინის ამბავი დაგვემართა, – გვიხაროდეს აკადემიიდან გამოყვანა!“

აკადემიის ამბავი ამით არ დამთავრებულა. ერთ ოჯახის ახლობელ ექიმს ნუცუბიძისთვის უკითხავს:

„– მაინც რისთვის გამოგიყვანეს აკადემიიდან?...“

– ჯობია, გენაცვალე, გეკითხებოდნენ, რისთვის გამოგიყვანეს, ვიდრე რისთვის შეგიყვანესო“, – ღიმილით უპასუხია ნუცუბიძეს.

* * *

როცა ნუცუბიძე მეცნიერებათა აკადემიიდან გამოიყვანეს, იმ ხანებში გერმანიაში იბეჭდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანი მისი ვრცელი წინასიტყვაობით. გასაგები მიზეზის გამო წიგნის ბეჭდვა შეუჩერებიათ. გამოსავალი კი ასე მოინახა – წინასიტყვაობა გამოქვეყნდა ახალგაზრდა გერმანელის გვართ, რომელსაც სახელი აინტერესებდა. სამაგიეროდ, საკმაოდ სოლიდური ჰონორარი ნუცუბიძეს გამოუგზავნეს.

ნუცუბიძის მეუღლე ქალბატონი ქეთევანი ამის თაობაზე წერს: „ამ თანხამ მატერიალურად წელში გაგვმართა და სხვისი სახელით დაბეჭდილი სტატია შალვამ ისევ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. იგი ხშირად დაიმონმებდა გერმანელ ავტორს, როცა საყვედურობდნენ, „აბა, შენს მეტი ვინმე თუ ამბობს ასეთ რამესო“.

* * *

აკადემიიდან გამოყვანილი ნუცუბიძე პერიოდულად შეუვლიდა აკადემიის პრეზიდენტს – ნიკო მუსხელიშვილს და შეახსენებდა მისი საკითხის გადასინჯვას. ერთხელ უთქვამს კიდეც: „მაკვირვებ, მოგჩერებივარ და ვერ გამიგია, ბოლოს და ბოლოს, ხარ თუ არა პრეზიდენტი?!“

გავიდა ხანი და 1960 წლის 14 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ ნუცუბიძე აღადგინა ნამდვილ წევრად.

ნიკო მუსხელიშვილს მადლობის სათქმელად მისული ნუცუბიძისთვის ღიმილით უკითხავს:

„– ჩემს პრეზიდენტობას რალა ვუყოთ, ხომ არ გექნება რაიმე წინადადება?“

„– ისევ შეჩვეული „ჭირი“ გვიჩვენია, იყოს, რაც არის“, – დაუფიქრებლად უპასუხია ნუცუბიძეს.

* * *

ინსტიტუტის დირექტორობიდან განთავისუფლებული მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი ივანე ბერიტაშვილი გლდანში მისულა ნუცუბიძის სახლში. მომხდარის გამო აღელვებული ყოფილა. ამის თაობაზე სუფრასთან ნუცუბიძეს ასეთი რამ უთქვამს:

„– მსოფლიოში კვანტური ფიზიკა ვითარდება, საქართველოში კი ფიზიკური კვანტი“.

* * *

ლექციაზე დაგვიანებულ ნუცუბიძეს ნიკო კეცხოველი ეკითხება:

„– როდის იწყება, ბატონო შალვა, ლექცია?“

– როდესაც პროფესორი შედის აუდიტორიაში“, – პასუხობს ნუცუბიძე.

* * *

უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი თავის კაბინეტში გამოძახებულ ნუცუბიძეს არც დაჯდომას სთავაზობს და არც უშვებს. ნუცუბიძე ფანჯრიდან პეტრე მელიქიშვილის ძეგლს გასცქერის. გათავისუფლებული რექტორი მისულს ეკითხება:

„– რას უყურებ იქეთ, ხომ არ მოგენატრა მასთან წოლა?
– შენთან დგომას, მასთან წოლა მირჩევნია...“ – უთქვამს ნუცუბიძეს.

* * *

ნუცუბიძე წინააღმდეგი იყო თავისი 80 წლის იუბილე პომპეზურად აღენიშნათ და გამოსვლის დამთავრებას ასე აპირებდა:

„ვერ ვიტყვი ზოგიერთებივით, რომ ყველა პირობა მქონდა მუშაობისა და ყველაფერი გავაკეთე. ვიტყვი – ყველაფერი გამიკეთეს იმისთვის, რომ არ გამეკეთებინა, მაგრამ ვერაფერიც ვერ დამაკლეს“.

* * *

ნუცუბიძის ერთი აღმოჩენა „ჯერალდ გარიტმა ერთ კონგრესზე „საკმაოდ პარადოქსალურად მოიხსენია“, რაც შალვა ნუცუბიძემ კარგის მაუნწყებლად მიიჩნია, რადგან ჯერ კიდევ შოპენჰაუერს გერმანიაში, უილიამ ჯეიმსს ამერიკაში თავიანთი მეცნიერებისთვის განემარტათ, ყოველი მნიშვნელოვანი და ჭკმმარიტების მქონე დებულება თავდაპირველად პარადოქსალურია, შემდეგ საეგებისო და ბოლოს – ნამდვილიო“.

**თამარ ნუცუბიძე (შალვა ნუცუბიძის ქალიშვილი)
„შალვა ნუცუბიძე. მეცნიერის გზა“, თბილისი, 1988**

* * *

ნუცუბიძეს უთქვამს: „როდესაც პოლიტიკურ სიტყვას ვამბობდი, მიკიჟინებდნენ – ლექციას გვიკითხავსო, ახლა ლექციებს ვკითხულობ და – პოლიტიკას გვაპარებსო“.

* * *

ნუცუბიძე იხსენებდა 1940 წლის 20 ოქტომბერს მოსკოვში შინაპატიმრობიდან კრემლში, სტალინის კაბინეტში, სტუმრობას. ეს „ვიზიტი“ უკავშირდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ რუსულ თარგმანს: „ვიყავით ოთხიოდე ქართველი კაცი. ჩამოვარდა ლაპარაკი საშა ნულუკიძის სამგლოვიარო მიტინგზე კობას (სტალინის – მ. მ.) მიერ წარმოთქმული სიტყვის შესახებ. მე სიტყვა კარგად მახსოვდა და მასპინძელს მისი დასაწყისი გავახსენე. ის აღფრთოვანებული დარჩა და იქვე მდგომ ბერიას მიმართა: – თქვენ ამბობდით, რომ ვერსად აღმოაჩინეთ ჩემი ამ სიტყვის კვალი. აი, ამას კარგად ხსომებია, შეიძლება ითქვას – სიტყვასიტყვით. ამის გამგონებ [ბერიამ] მომმართა მისთვის ჩვეული მანერით: – შე ყურუმსალო, თუ ეს დოკუმენტი ასე გახსოვდა, რად არ გაამხილეო? მართალია, მობაასე ჩემი ციხის პატრონი იყო, მაგრამ კრემლის მასპინძელი უფრო მეტი ავტორიტეტის პატრონი აღმოჩნდა და მეც მკვახედ ვუპასუხე: – მე ისეთი სავაჭროს პატრონი არა ვარ, რომ მუშტარს ვეძებდე. ვისაც ესაჭიროებოდა, თვითონ მომაკითხავდა“.

* * *

ნუცუბიძეს არც ერთი ხელისუფლება არ სწყალობდა. არ მიაღებინეს მონაწილეობა რუსთაველის იუბილეზე 1966 წელს. „განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო ის ფაქტი, რომ 1968 წელს თბილისის უნივერსიტეტის 50 წლის იუბილეზე მის ერთ-ერთ დამაარსებელს სიტყვა არ მისცეს, არადა ამის დიდი სურვილი ჰქონდა“.

* * *

ცნობილი სომეხი მეცნიერის ვაზგენ ჩალოიანისთვის ნუცუბიძეს უთქვამს: „არასოდეს გისურვებთ ისეთი წიგნის დაწერას, რომელსაც ყველა დაეთანხმება, რადგან ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ უმნიშვნელო წიგნი დაწერეთ“.

* * *

ნუცუბიძე თურმე ხუმრობდა: „მემუარების დასაწერად ცოტა გამოშტერებაა საჭირო და ეს დრო ჯერ არ დამდგომიაო“.

* * *

ნუცუბიძისთვის ერთხელ უთქვამთ: „შენ ბევრი ქვა გესროლეს“, რაზედაც მას უპასუხია: „ეს ქვები მე პიედესტალად მექცა“.

* * *

ნუცუბიძის მონაცემებით აღტაცებულ ერთ-ერთ თანამოსაუბრეს მისთვის რჩევა მიუცია: „– დაწერეთ, რაც იცით, ჭურში ჩამარხეთ, ერთი საუკუნის მერე ამოთხრიან და შთამომავლობა მაღლობას გეტყვით“.

ნუცუბიძეს ღიმილით მიუგია: „ერთი თვის მერე რომ ამოთხარონ?!“

* * *

ნუცუბიძისთვის უთქვამთ: „ბატონო შალვა, თქვენ ვინმე უნდა დაგყვებოდეთ და იწერდეს თქვენს საუბარს“.

„– კი დამყვებიან და კიდევ იწერენო“, – დაუმშვიდებია მრჩეველი ნუცუბიძეს.



ნიაზ ზოსიძე

ქართული დასახლებები აფრიკაში?

გიორგი მახარაძის წიგნი „არდავინყება მოყვრისა“, რომელიც 1976 წელს გამოიცა, არაერთ საინტერესო მასალასთან ერთად გვამცნობს, რომ აფრიკაში საჰარის უდაბნოს პირას ქალაქ უარგლაში ქართველებიც ცხოვრობენ. ამის დასტურად იმონებებს გამოჩენილი მოგზაურის და ანთროპოლოგის დოქტორ ა. ვ. ელისეევის ცნობას, რომელიც 1897 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ სათაურით „ჩვენსა და სხვაგან“. ელისეევს ეთიოპიაში, ეგვიპტეში, ტუნისში, ალჟირში, საჰარაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები აღწერილი აქვს წიგნში „По белому свету“.

აფრიკაში მცხოვრებ ქართველებზე წერდნენ გაზეთები „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“. გიორგი მახარაძე აღნიშნავს, რომ ყველაზე სრულყოფილი მასალა აფრიკის ქართველებზე გამოქვეყნდა 1939 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. სტატიის ავტორი გრიგოლ კუტუბიძე აღწერს მეზღვაური სიორიძის ნაამბობს, რომელიც მას ფოთში შეხვედრია. მეზღვაური ყვება, რომ ალჟირის ნავსადგურში საშუალება მიეცა მეგობარ ქართველ მეზღვაურთან ერთად გემიდან ჩამოსვლისა და ქალაქში გასეირნებისა. ნავსადგურში მათ ნახეს მტვირთავები, რომლებიც აუტანელ პირობებში მძიმე სამუშაოს ასრულებდნენ და თავზე ფრანგი ზედამხედველი

ადგათ მათრახით. ჩემმა მეგობარმა მითხრა, სიამოვნებით დავუნაყავდი ცხვირპირს ამ ზედამხედველსო. უცებ ერთი შავკანიანი მტვირთავი ჩვენთან მოიჭრა და ქართულად გვითხრა, ქართველები ხართ? ჩვენ გაცოცებულები და გაშტერებულები ვუყურებდით შავკანიან ბიჭს.

შემდეგ ის შავკანიანი მოგვიყვა, რომ აქ რამდენიმე სოფელში უძველესი დროიდან ქართველები ცხოვრობენ, ზანგები არ ვართ, მზემ გაგვაშავა ასეო. ქართული ენა აქომამდე იმიტომ შევინარჩუნეთ, რომ სხვა ტომიდან ქალს არ შევირთავდით და არც ქალს გავატანდითო. ფრანგმა ზედამხედველმა საუბარი აღარ აცალა „ქართველ“ მტვირთავს, მათრახი გადაუჭირა და საქმისკენ მოუნოდა. გაგულისებულებმა მაშინ კინალამ შარი ვნახეთ, მაგრამ ნერვები მაინც მოვთოკეთ...

ამის შემდეგ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სხვა ჟურნალისტი მ. მამულაშვილი დაუკავშირდა ამბის მომყოლ მეზღვაურს და უფრო დაზუსტებული ტექსტი დაიბეჭდა გაზეთში. იქ, მაროკოს საზღვრისპირა ქალაქ უჯდასთან მცხოვრები ქართველების უმეტესობა გვარად გუგუნარები და ჭანუყვარები არიანო. ძალიან გაჭირვებულად ცხოვრობენ, მოსავალიც არ მოდის და ნავსადგურში იმიტომ მუშაობენ მონებივითო.

ამ გვარების ხსენებაზე რა თქმა უნდა, ჩვენ გუგუნავები და ჭანუყვადები გაგვახსენდა...

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ თემაზე შემდგომაც არაერთხელ ითქვა და დაინერა. ერთნი აცხადებენ, იქაური ქართველები ეგვიპტელი ფარაონების მიერ კავკასიიდან წაყვანილი ტყვეების შთამომავალნი შეიძლება იყვნენო, მეორენი სხვა ვერსიას გვთავაზობენ – ქართველებს უძველესი დროიდან ხშირი ვაჭრობა ჰქონდათ აფრიკაში და შეიძლება ბევრი იქ დარჩა კიდევცო. სხვები იმ ვერსიას ემხრობიან, რომ იბერნი ხშირად სახლდებოდნენ ესპანეთში და იქიდან აფრიკაში მოხვედრა ძნელი არ იყოო.

სამწუხაროდ, მეცნიერი ელისევეი არ აზუსტებს თუ როგორ მოხვდნენ ქართველები ქალაქ უარგლაში.

მოგვიანებით, 1972 წელს გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ (21 ივნისი) დაიბეჭდა დ. ფაშტიანის წერილი: „საიდან მოხვდნენ აფრიკაში?“ ავტორი ასაბუთებს, რომ აფრიკაში ქართველთა დამკვიდრება შორეულ წარსულში უფროა შესაძლებელი, ვიდრე უახლოეს წლებში, კერძოდ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში – ე. წ. მამულუქების პერიოდი, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი შავბნელი პერიოდია ავადსახსენებელი მუჰაჯირობისა, როდესაც ქართველი ფეოდალები ქართველ ბავშვებს ჰყიდდნენ უცხოეთში“. მოსაზრებას იმითაც ამყარებს, რომ „ორი საუკუნის მანძილზე თეთრკანიანი ქართველი შავკანიან ქართველად ვერ იქცეოდა აფრიკის მცხოვრებელ მზის ქვეშაც კი“. იქვე გამოთქვამს ვარაუდს: „ხომ არ არიან ისინი გვერდითი შტო იმათი, ვინც შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები გაიარეს...“

საბჭოთა პერიოდში აფრიკაში მომუშავე სპეციალისტებიც ეხებიან ამ საკითხს. კერძოდ, ადგილობრივების თქმით, ალჟირის ცალკეულ ადგილებში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც სრულიად განსხვავდებიან ზნე-ჩვეულებით, რელიგიით, ენით არაბი მოსახლეობისგანო, ტოპონიმებსაც იშველიებენ, ბერთუთა, თიარეთი...

ცნობილი მეცნიერი ილია ტაბალუა ორჯერ იმყოფებოდა ალჟირში, მაგრამ იქ ქართველთა ცხოვრების ფაქტები ვერ აღმოუჩინია.

თანამედროვე მეცნიერ-მკვლევარნიც შიგადაშიგ აჟღერებენ ქართველთა აფრიკაში ცხოვრების თემას და მარტო შავკანიან ქართველობაზე ყურადღების გამახვილებას არ მიიჩნევენ სწორად.

სხვა საგულისხმო ფაქტებიც მისაღებია მხედველობაში, თუნდაც ის, რომ თურქეთში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლობაში შემონახულია გადმოცემა, რომ მათი წინაპრები ოსმალეთში დამკვიდრებისათვის ადგილობრივებთან დიდ განეგ-გამონევაში იყვნენ, უწევდათ ჩხუბი სადავო მინის დათმობა-არდათმობაზე, იყო „ფიშტოს გავარდნა“, „თავზეხელალებულ გურჯთა“ გადარევა და მოდავის ფეხქვეშ გაგდება, ტვინში სისხლასხმულთა დაქადება, რაც მოხდება, მოხდეს, მაინც წასულია ჩვენი საქმე, სინსილა განყდა იმათიო, იყო „ყამას ტრიალი“ და მეხანჯლეობა... მერე კიდევ ის იყო, რომ „ჩასახლებულ გურჯს“, ვინც რამეს დააშავებდა, წაატანდნენ კისერში ხელს და აფრიკაში გადასახლებდნენო.

ორდუს, უნიეს, გოლჯუკის მუჰაჯირებთან შეხვედრის დროს, ასაკოვან მუჰაჯირებს რამდენჯერმე შევახსენე, რაიმე თუ გსმენიათ გურჯების ოსმალეთიდან აფრიკაში გადასახლების შესახებ-მეთქი. ბევრი ვერაფერი მითხრეს, მაგრამ მარწმუნებდნენ, მასე რომ ხდებოდა წყალი არ გაუვა, „ჰამან ფაცას უკან დაატევიებდნენ“, მარა სად, როდის და რამდენი გადასახლეს, ჩვენ არ ვიცითო.

ზაქარია ჭიჭინაძეს მივაყურადლოთ:

„ქობულეთს, კახაბერს და აჭარაშიაც ჩემთვის ხშირად უამბნიათ, რომ ჩვენებური კაცები აფრიკაშიაც ცხოვრობენო, იგინი ძველად გადაუსახლებიათ იქაო. ამ გადასახლების ამბები წინეთ კი სცოდნიათ აქეთ, ხოლო ჟამთა ვითარების გამო, სადღეისოდ კი აღარავის ახსოვს, ამის მცოდნე კაცნი დღეს მათში აღარავინ არის. ასე მივიწყებას ერთის მხრით ის გა-

რემოებაც უნყობდა ხელს, რადგანაც აფრიკა გაცილებით შორს არის ოსმალეთზედ.

იყო კიდევ ასეთი გადმოცემაც: ბევრს ეს-სომება, რომ ბათუმის ახლო-მახლო სოფლებში ადრე მრავლად ესახლნენ არაბები თავიანთის ცოლ-შვილით. მათი რიცხვი არც მცირე იყო. რუსთაგან ამ კუთხის შეერთების შემდეგ, ეს არაბები აქ აღარ დარჩნენ და სულ გადასახლდნენ ოსმალეთში. მათ აქ დგომა უხერხულად მიაჩნდათ, ესენი ისე გადასახლდნენ, რომ დღეს ბათუმში მათი რიცხვის სულ აღარაფერი სჩანს. მქონია შემთხვევა და ამათს შესახებ ხშირად მიკითხავს ცნობები თუ იგინი საიდან მოუყვანიათ და დაუსახლებიათ აქ და ან რისთვის გადასახლდნენ ამ უკანასკნელ დროს მეთქი? მათ მომიგეს შემდეგი გადმოცემა:

საიღამაც ეს არაბის ხალხი გადმოუსახლებიათ, სწორედ ამათ სოფლებში, სადაც ამათ უცხოვრიათ, იქ იმ სოფლებში გადაუსახლებიათ აქედამ გადასახლებული ჩვენებური გურჯები. როდის იყო ეს გადასახლება, ან რა მიზეზის წყალობით ჩვენ ამაზედ ვერა შევიტყვეთ რა. ამის მერე როცა ვისურვეთ ამ გადასახლებულების შესახებ რამე ცნობების შეკრება თვით ამ არაბებისგან, რომ იქნება მათში ვინმემ რამე იცოდეს, თუ მათ სოფლებში ვინ დაასახლეს და ან როდის, ამ დროს, ეს არაბები აქ აღარ იყვნენ. დღეს ხომ მათი რიცხვი სულ აღარ არის, გადასახლდნენ და ამით ჩვენ ვეღარ ვისარგებლეთ.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ აფრიკაში ქართველ მაჰმადიანთ რიცხვი გაფანტული უნდა იყოს სხვა და სხვა ადგილებში, ამას კი ეჭვი და ფიქრი არ უნდა. ეს ჩვენ კარგად ვიცით. ხოლო ის კი არ ვიცით თუ იქ ქართველები სად ცხოვრობენ და ან მათ იქ სადღეისოდ ქართული ენა იციან თუ არა. ბევრს ქართველ მოგზაურს ვკითხე ამათ შესახებ, მაგრამ მათგან მე ვერა შევიტყვე რა, თუმცა იმას კი ამბობდნენ ხოლმე, რომ „დიახ, აფრიკაში ჩვენებურებიც სცხოვრობენო“. კითხვა მი-

გვიცია: თუ სად ცხოვრობენ, რომელ კუთხეში, ან მათი სოფლის სახელები ხომ არ იცით? მათ ყოველივე ამაზე პასუხი უთქვამთ, რომ ეგ ჩვენ არ ვიცითო. მაინც ბედმა არ დაგვტოვა სულ ცარიელი, ამ უკანასკნელ წლებს, ჩვენ შევიტყვეთ ცოტა ოდენი ცნობები, რაც ცხადად გვისაბუთებს, რომ დიახ, აფრიკაში ქართველ მაჰმადიანთ მცხოვრებთა რიცხვი დღესაც ყოფილა და იქ მათ ქართული ენაც არ დავინწყებიათ.

ამის შესახებ ჩვენ აი რას მოვიყვანთ: ქობულეთში სცხოვრობს ერთი ქართველი მაჰმადიანი გულო ალა კაიკაციშვილი, ბათუმში კარგად ცნობილი. ამის ერთმა შვილმა, ასლანმა თფილისში გაათავა გიმნაზიის სწავლა, ამის მერე ოდესის უნივერსიტეტში სწავლობდა. ეს იქ გარდაიცვალა. ამ გულო ალა კაიკაციშვილის მეორე შვილი 1900 წ. ბათუმში, ერთ ევროპელ მოგზაურთან ოსმალური ენის მთარგმნელად დადგა. მოგზაურს სამგზავროდ თან უნდა გაჰყოლოდა მთელს აღმოსავლეთის ქალაქებში და ეს მალეც მოხდა. ევროპელი გაემგზავრა და კაიკაციშვილიც გაჰყვა თანა. ამ მოგზაურ სწავლულს აღმოსავლეთის ქალაქებში კარგა ხანს მოუხდა მგზავრობა. ამასთანავე მგზავრობდა ჩვენი თანა მექვეყნე კაიკაციშვილიც. ერთ დროს ესენი ჩასულან აფრიკის ქალაქ ბეირუთში, სადაც დარჩენილან კარგა ხანს. აქ ყოფნის დროს, კაიკაციშვილი თურმე ხშირად დაიარებოდა სხვა და სხვა ყავახანებში.

ერთ ყავახანაში შესულა. სხვათა შორის, იქ ერთ ალაგას ოთხი კაცი მჯდარა, რომელნიც ყავას სომდენ და მასთან ქართულადაც ლაპარაკობდენ. ქართული ენის გაგონება კაიკაციშვილს დიდად გაჰკვირვებია, თან გახარებია კიდევ და ამიტომ მაშინათვე იმ ოთხი კაცის ახლოს მისულა და ქართული სიტყვით სალამი მიუცია. იმათაც გაჰკვირვებიათ ეს და თან დიდათაც გახარებიათ. მალე ერთმანეთი გაუცვნიათ და ლაპარაკიც დაუწყიათ თავთავიანთ შესახებ. კაიკაციშვილს თავის

იქ მისვლის ყოველივე უამბნია, იმათ ლაპარაკი აღტაცებით მოუსმენიათ და სულ თურმე პირში უყურებდნენ ქართული სიტყვების გამოთქმას. თავის ამბების დასრულების შემდეგ მერე უამბნია მთელი თავიანთის კუთხის ამბები, ესე იგი ბათუმის ოლქის, ქობულეთი, აჭარა, ლივანა და სხვების. ამის ამბების დასრულების შემდეგ მათ დაუნყვიათ თავიანთი ამბები და უამბნიათ, უთქვამსთ შემდეგი:

ძიავ! ჩვენ აქ აი საიღამ და როგორ ჩავვარდით: ჩვენ ვსახლობდით ოსმალეთში, ბურსას ახლოს. იქ მოხდა სხვა და სხვა ავი საქმენი, ამის გამო ჩვენ ჩამოგვეკიდნენ, ჩვენ გვცვენეს დამნაშავედ. ამის მიზეზით იქიღამ გაგვყარეს და აქ გადმოგვასახლეს 40 ოჯახი. აქ ბეირუთში ვსცხოვრობთ და დანარჩენიც აქეთ იქით სცხოვრობენ სხვა და სხვა სოფლებში და ქალაქებშიო. უთქვამთ, რომ ეს გადასახლება ჩვენი დასჯა არისო.

ამათ საქართველოს შესახებ, ანუ თავიანთ კუთხის გამო დიდი გულის მტკივნეულობა გამოუჩენიათ. ლაპარაკის დროს თურმე აღარ იცოდნენ რა ექმნათ.

ამ ამბის შეტყობის დროს, ბათუმში ვნახე ზოგიერთი მოხუცი ქართველი მაჰმადიანები და მათ ვკითხე აფრიკაში მცხოვრებ მათ მოძმეთა ამბები და აი რა შევიტყვე.

თქვენში რომ ეხლა ციმბირს იტყვიან, ჩვენებურ კაცებს რომ გზავნიან, ძველად ჩვენში, ჩვენი ციმბირიც ის ყოფილა. ვინც ჩვენში დააშავებდა რამეს, ყველა მათ იქა გზავნიდა და მით სჯიდა. ამიტომ ძმაო, იქით ჩვენებიც ბევრი არის წასული, ოსმალის მთავრობისაგან როგორათაც ჩვენს ციმბირათ აფრიკა და არაბისთანი აქვდა დადგენილი, ისევე ჩვენი აჭარა, ლივანა, შავშეთი და სხვა ეს ადგილები დადგენილი იყო ოსმალის საციმბიროთ. ოსმალში ვინც რამეს დააშავებდა, გაქუცავდა, ან მოკლავდა ვინმეს, ყველა იმათ აქ აციმბირებდნენ, აქა გზავნიდნენ. ჩვენც ეს მეხანჯლეობა და კაცის კვლა სულ მათგან ვისწავლეთ; თორემ ძველად ჩვენ ასეთები არა ვყოფილვართ.

ამათვე სთქვეს: აქ ჩვენში რომ არაბები სცხოვრობდნენ, ისინიც ძველად ყაჩაღობის გამო გადმოუსახლებიათ აქეთ საციმბიროთ, ამიტომაც გაიქცნენ 1878 წ. ეს ომი რომ მოხდა ამით ისარგებლეს და წავიდნენ იქით, თორემ ეს ომი არ ყოფილიყო უამისოდ ოსმალის მთავრობა იქით მათ არ გაუშვებდაო. სხვა რამ ცნობები ამათგან ვერა შევიტყვე რა, ხოლო ის კი ხშირად უთქვამსთ, რომ აფრიკაში ჩვენები ბარე სამი არისო, სამი ნიშნავს მრავალს. ამის შემდეგ, მე ვნახე სტამბოლიღამ მოსული ქართველ ახალგაზრდა მოლები, რომელთაც სწავლა სტამბოლში დაემთავრებინათ. მათ ცნობები ვკითხე ბურსის ქართველ მაჰმადიანთ შესახებ და თქვენ ხომ არ იცით, იქიღამ სად გადასახლეს მეთქი. მათ აი რა გადმოცეს ამის შესახებ: ბურსის ახლო მახლო სულ ღარიბი ხალხი ცხოვრობს, მათ თავიანთ საკუთარი მოლის შენახვა არ ძალუძთ, ამიტომ რამაზანში სალოცავად ჩვენ გაგვგზავნეს, იქ ცუდი ჰაერია და რამდენიმე ჩვენებური მოლები დაიხოცნენ კიდევ, სტამბოლს ვეღარ დაბრუნდნენ. ჩვენ იქ ყოფნის დროს შევიტყვეთ, რომ ბურსიღამ ჩვენებურებს სხვა და სხვა უშორეს ადგილებში ასახლებდნენო. მიზეზები გადასახლების ის იყო თურმე, რადგანც ის ადგილები არ ვარგოდა და იქ ჩვენებურები იხოცებოდნენ. მერე ამათ ავკაცობა დაინყეს და მხოლოდ ამის მოხერხებით გადაირჩინეს თავი და მთავრობამ იგინი შორს გადასახლათ, ვგონებთ აფრიკაში, თორემ მათ იქიღამ არსად წაიყვანდნენო. ეხლა ბურსაში ჩვენებურთა რიცხვი ერთობ ცოტა არისო.

სთქვეს ამათ: „ღიას, ყველა ეს ჩვენებურები ბურსიღამ აფრიკაში უნდა იყვნენ წასულნიო“.

სხვა რა ვთქვათ, დანარჩენზე, ალბათ, ის მკვლევრები იტყვიან, ვისაც მეტი საბუთი ჩაუვარდებათ ხელში და უფრო მეტი სალაპარაკო ექნებათ, მეტ სინათლეს მოჰფენენ მართლაც საინტერესო ფაქტს თუ მოვლენას. ჩვენ კი აქტუალობის გამო, კიდევ ერთხელ წამოგჭერთ ეს თემა...



ნეჭა ტიტიდიშვიდი

მეცნიერი, მოღვაწე, აღმზრდელი

პროფესორ ნელი დუმბაძის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო

ნელი დუმბაძე ოზურგეთის მაზრის ულამაზეს სოფელ შემოქმედში აზნაურ ივანე დუმბაძისა და ლიზა ქიქოძის ტრადიციულ ოჯახში 1917 წლის 17 ივლისს დაიბადა.

იმ დროის კვალობაზე კარგად განყობილ ოდა-სახლს და ეზო-მარანს არასოდეს აკლდა სტუმარი და ნათესავ-მოკეთე. ივანე დუმბაძეს, დუშეთის მაზრის სახელმწიფო მოხელეს, მუდამ ხალხი ეხვია გარს, უყვარდა პოეზია, პოლიტიკაზე მსჯელობა და საუბარი. თავად მენშევიკური პარტიის წევრს მიუღებლად მიაჩნდა ბოლშევიკური იდეალები. ოჯახის დიასახლისი – ლიზა ქიქოძე გამორჩეულად კეთილშობილი, დარბაისელი ქალი ბრძანდებოდა, ქართული სიტყვიერების დიდი დამფასებელი და მოყვარული. მშობლები თავიანთ სამ შვილს – გივის, ნელის და ალექსანდრეს ქვეყნის, ხალხისა და წიგნის სიყვარულით ზრდიდნენ. მამას განსაკუთრებით ეამაყებოდა ღვთითნაჩუქარი ქალიშვილი, ხშირად მოიხმობდა სტუმრებთან და იოსებ გრიშაშვილის ლექსს ათქმევინებდა:

„თქვენ ამბობდით, – საქართველომ რაგინდ ბევრი გაიბრძოლოს, ის რუსეთის კოლონიად გადიქცევა მაინც ბოლოს?!..“

ცხადია, მაშინ არავინ იფიქრებდა, რომ ეს პატარა „დეკლამატორი“ ქართველ მწერალთა შემოქმედების მკვლევარი გახდებოდა; უბრალოდ, თავად ოჯახის სულისკვეთება და განწყობილება იყო შეურიგებელი კოლონიურ რეჟიმთან, კომუნისტურ იდეალებთან, ამიტომ ბავშვებიც ამ სულისკვეთებით იზრდებოდნენ და ლექსებსაც შესაფერისს სწავლობდნენ.



თვალი, რომელიც „ყველაფერს ხედავდა“, არც ამ ბედნიერ ოჯახს ტოვებდა უყურადღებოდ. 1937 წელს ივანე დუმბაძე „ხალხის მტრის“ ბრალდებით დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს კიდეც. მანამდე კი 13 წლის ასაკში ოჯახის უფროსი ვაჟიშვილი გარდაიცვალა. დედის უნუგეშო სასონარკვეთამ და გლოვამ შეძრა მოზარდი გოგონას ფაქიზი სული. დარჩა სევდა უკუწრებელი... იგი მის ხასიათს შეენივთა, ხოლო მერე და მერე თვისებად ექცა.

1934 წელს ნელი დუმბაძემ დაამთავრა ოზურგეთის პედაგოგიური ტექნიკუმი და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ქუთაისი – ქართული სულით გაჯერებული ეს კოლორიტული ქალაქი სტუდენტი გოგონასათვის „რომად და ათინად“ იქცა. სწორედ აქ, ამ ქალაქში შეახვედრა განგებამ იგი „მარად ჭაბუკად“ გარდასახულ ქართული ლექსის რაინდს – ლადო ასათიანს, ლადომაც უმაღლესი შეიქცნო თავისი სწორფერი – „სევდისარი“ (პოეტს ხასიათის გამო მეგობრისათვის ასეთი მეტსახელი შეურქმევია; იგი მას სხვა ეპითეტებითაც ამკობდა: „ღრუბლების ფერია“, „კეთილო დაო“ და სხვ.). ისინი მარტო ერთი თაობის, ერთი წრის ადამიანები კი არ გამოდგნენ, არამედ – სულიერი ერთობითა და მხოლოდ ამ ორისთვის ცნობილი იდუმალებით შეკრული მოყვასნი. ლადოს ხიბლავდა მეგობარი ქალის უბიწოება, სულის სიმალღე, რომანტიკული ხედვა, თხემით ტერფამდე ქათქათა სინმინდე, იდეალისტობა.

ცხრამეტი წლის ლადო ცნობილ მწერალ ქალს, იმ დროის ძალზე პოპულარული რომანის – „ლიანა ლორდიას“ ავტორს, საფო მგელაძეს, სწერს: „თქვენს წიგნებს სიხარულით ვკითხულობ, მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანებისა თქვენს ლიანას ჩვენი სასწავლებლის გოგონები და ვაჟები აღმერთებენ. ჩემი ამხანაგი ნელი დუმბაძე, რომელმაც თქვენ წერილი მოგწერათ, უდავოდ ლიანას განსახიერებაა – აი, აქ გაიმარჯვებ თქვენ, ძვირფასო მწერალო!..“

ლადომ ნელის სახით იპოვა „იდუმალ ზრახვათა მესაიდუმლე“. ეული, მარტოსული ახალგაზრდა თავის განცდებს, გრძნობებს, შეხედულებებს თამამად ანდობდა, უძღვნიდა ლექსებს, წერდა წერილებს.

ამ წერილებსა და ლექსებში სრულად ჩანს ლადოს სტუდენტობის პერიოდის სულის მღვლვარება, ერთი „შავთვალა გოგონას“ სიყვარულით გამოწვეული ფორიაქი, რომელიც ნელი დუმბაძის უახლოესი მეგობარი გახლდათ.

ეს ლექსები და წერილები, აგრეთვე, სხვა სტუდენტი მეგობრებისადმი მიძღვნილი ლექსები ქალბატონმა ნელი დუმბაძემ და ცნობილმა ჟურნალისტმა, ბატონმა შოთა ქურიძემ, რომელიც, ასევე, ლადოს უახლოესი მეგობარი იყო, ერთ პატარა წიგნად შეკრეს, წინათქმა და შენიშვნები დაურთეს და გამოსცეს. ამ წიგნში ნელი დუმბაძესთან და შოთა ქურიძესთან ერთად ლადოს ლექსების ადრესატები არიან: მარო ბარჯაძე, მარუსია ტრაპაიძე, არკადი კაჭკაჭიშვილი, ზინა ხონელიძე, ქეთევან ხონელიძე, ქეთევან ხუნდაძე და თინათინ ყიფიანი.

აღნიშნულის შესახებ აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე წერს: „...პოეტის კეთილმა მეგობრებმა, რომლებიც ასე უყვარდა ლადო ასათიანს, ბევრი გააკეთეს მისი ხსოვნისათვის. აჭარაში ახლახან გამოცემული წიგნი – „ყმანვილკაცობის ფურცლები“ ერთი უპრეტენზიო დადასტურებაა „ადრე წასული კაცისადმი“ უანგარო სიყვარულისა, მასზე ზრუნვისა და ერთგულებისა. ეს წიგნი გვიჩვენებს, რომ ლადო ასათიანს ბევრი მეგობარი ჰყავდა თანაკურსელ სტუდენტთა შორის. მათ უანგაროდ უყვარდათ თავიანთი ტოლ-სწორი. ისინი უეჭველად გრძნობდნენ მომავალი დიდი პოეტის ტალანტს, კეთილშობილებას, სისპეტაკეს, პირდაპირობას და ცდილობდნენ გაეზიარებინათ მისი იმდროინდელი პირადი სულიერი დრამატიზმის ტკივილები. ამ მეგობართაგან ლადო ასათიანისთვის ყველაზე მეტი გააკეთეს მიხეილ ალავიძემ, ნელი დუმბაძემ, შოთა ქურიძემ. ისინი რომ არა, ჩვენ ბევრი რამ არ გვეცოდინებოდა პოეტის არა მარტო ჭაბუკური წლების, არამედ საერთოდ, მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრების არაერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ“ (კრიტიკული ეტიუდები, თბ., 1981, ტ. II, გვ. 254).

ლადო ასათიანისა და ნელი დუმბაძის კურსზე (1934 წლის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის №33 ჯგუფი) აკადემიურად ძლიერი სტუდენტები სწავლობდნენ. სწორედ ამ კურსიდან გამოვიდნენ ცნობილი მოღვაწეები: გიორგი შალამბერიძე, ნელი დუმბაძე, ლევან კიკნაძე, ავქსე-

ნტი მიშველაძე, შოთა ქურიძე, მიხეილ ალავიძე და სხვ.

აქ ლექციებს კითხულობდნენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, მაგრამ სტუდენტები განსაკუთრებული სიმპათიით იყვნენ განწყობილი ერთი მათზე 4-5 წლით უფროსი ახალგაზრდა ლექტორის მიმართ. მათ მუდამ მისი ხილვა, მასთან ყოფნა ენადათ. ეს იყო გიორგი ჯიბლაძე.

დიდია ბატონი გიორგის ღვანლი ამ ახალგაზრდების წრეობა-ჩამოყალიბებაში. ცნობილია მისი განსაკუთრებული ზრუნვა მომავალ ნიჭიერ პოეტზე – ლადო ასათიანზეც.

ინსტიტუტდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტი ნელი დუმბაძე სამუშაოდ აჭარისწყლის სკოლაში მასწავლებლად იქნა გამწესებული.

„...აჭარისწყალი, აჭარისწყალი! ნეტავ, აჭარის ღვინო გერქვას შენ!“ – წერდა ლადო მეგობარს...

სოფელმა შეითვისა და შეიყვარა ახალგაზრდა მასწავლებელი. მოსწავლე გოგო-ბიჭები ზეანუელი ხელებით მოაფრიალებდნენ ხოლმე ფოსტას მასწავლებელთან – უკვე ცნობილი პოეტის ლადო ასათიანის წერილებს.

1941 წელს ნელი დუმბაძე დაანინაურეს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის კაბინეტის გამგედ. 1943 წელს იგი მეცნიერ-თანამშრომლად იწყებს მუშაობას აჭარის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმში.

პატარა ქალაქში უმალ შესამჩნევი გახდა ეგზომ ნატიფი ქალიშვილის შემომატება. ახალგაზრდა ქალი მრავალთა მხედველობის არეში მოექცა, გაჩნდნენ ახალი მეგობრები, მისი ღირსების დამფასებლები.

ნელი დუმბაძე აქტიურად ებმება ქვეყნის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაში. აქვეყნებს კრიტიკულ წერილებს, სტატიებს, თეატრალურ რეცენზიებს.

სწორედ ამ დროს იბეჭდება ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“, რომელსაც ბათუმის დრამატუ-

ლი თეატრი დგამს. ნ. დუმბაძე თავის მოსაზრებებს ავტორს უზიარებს. საპასუხო ბარათში ლევან გოთუა ნელის სწერს: „ჰოი, ნეტავ, საქართველოში ქართველ მწერლებს ასეთი მკითხველები ბლომად და მრავლად ჰყავდეთ!..“ ეს იყო 1944 წელს. უფრო გვიანდელ ბარათში მწერალი ასე ეხმიანება მას: „...თქვენი შენიშვნები ჩემს ნაწერებზე მით უფრო საინტერესოა, რომ თქვენ უბრალო მკითხველი არ ბრძანდებით... და, რაც მთავარია, გულწრფელობა შესანიშნავად შემოგინახავთ... ვაგლახ, რომ ჩვენთან ამით ბევრი ვერ დაიქადნის...“

მწერლისა და მკითხველის ეს მიმოწერა გულითად მეგობრობასა და საქმიან თანამშრომლობაში გადაიზარდა.

1949 წლის სექტემბერში ნელი დუმბაძე სამუშაოდ გადადის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, რომელსაც წლების განმავლობაში თვალსაჩინო მეცნიერი, პროფესორი ალექსანდრე ჩავლეიშვილი ხელმძღვანელობდა. ნელი დუმბაძე ა. ჩავლეიშვილის ღირსეული კოლეგა აღმოჩნდა. მათმა ერთობლივმა საქმიანობამ მკვიდრი ნიადაგი შექმნა მომავალ ფილოლოგთა კადრების მომზადებისათვის. ამავე საქმეს ხელს უწყობდა მათი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული ახალგაზრდა შემოქმედთა წრე და ხელნაწერი ჟურნალი, რომლის ფურცლებზეც პირველი ნათლობა მიიღეს დღეს უკვე სახელგანთქმულმა პოეტებმა და მწერლებმა, მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: ნოდარ ჯალალონიამ, გული სალუქვაძემ, შოთა ზოიძემ, შუშანა ფუტყარაძემ, რეზო ართილაყვამ, ცისანა ანთაძემ, თენგიზ რამიშვილმა, დავით თედორაძემ და სხვ., ან განსვენებულმა ზურაბ გორგილაძემ, იური ბიბლიეიშვილმა და ნოდარ ძირკვაძემ. წარმატებული მეცნიერები არიან, აგრეთვე, ნ. დუმბაძის ყოფილი სტუდენტები, პროფესორები: მამია ფაღავა, ოთარ ფუტყარაძე, შორენა მახაჭაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე და სხვ.

1956 წელს ნ. დუმბაძე იცავს დისერტაციას ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე – „რაჟდენ გვეტაძის შემოქმედება“, 1975 წელს კი – დისერტაციას დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე – „ქართული სიმბოლიზმი“.

იგი პირველი დოქტორ-პროფესორია აჭარაში მოღვაწე ქალთა შორის.

მისი პროფესიონალიზმი, ფართო განათლება და ერუდიცია, მაღალი გემოვნება, ლექციის კითხვის თავისებური მანერა განსაკუთრებულ ინტერესს აღუძრავდა ახალგაზრდობას საგნისადმი.

მისმა მეცნიერულმა ნაღვანმა, გამოკვლევებმა და წერილებმა დამსახურებული ავტორიტეტი მოუხვეჭა მას ქართველ მწერალთა შორის. განსაკუთრებით აჭარაში მოღვაწე მწერლები, მისი ყოფილი სტუდენტები, ყველა, ვინც ქალ-

ბატონ წელის პირადად იცნობდა, საზგასმული მოკრძალებითა და ღრმა პატივისცემით არის მისი ხსოვნისადმი განწყობილი.

1996 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ლიტერატურის კვლევაში შეტანილი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის წელი დუმბაძე ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

2003 წელს იგი აბუსერისძე ტბელის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა.

პროფესორი წელი დუმბაძე გარდაიცვალა 2005 წლის 27 აპრილს. იგი დაკრძალულია მისი მშობლიური შემოქმედის თემის სოფელ ჭალის სასაფლაოზე.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი ამაღლებული სული.



ჭეშარი 2

2018
